




სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის
საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია

LEPL – DAVID AGHMASHENEBELI
NATIONAL DEFENCE ACADEMY OF GEORGIA

სტაბილურობა ახლო აღმოსავლეთში და
საქართველოს უსაფრთხოების გამოწვევები

STABILITY IN THE MIDDLE EAST AND GEORGIA'S SECURITY CHALLENGES



სამხედრო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის შრომათა კრებული
PAPER COLLECTION OF THE MILITARY SCIENTIFIC-PRACTICAL CONFERENCE

ბორო, 2025

სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს
ეროვნული თავდაცვის აკადემია

LEPL - DAVID AGHMASHENEBELI NATIONAL DEFENCE
ACADEMY OF GEORGIA



სტაბილურობა ახლო
აღმოსავლეთში და საქართველოს
უსაფრთხოების გამოწვევები

STABILITY IN THE MIDDLE EAST AND
GEORGIA'S SECURITY CHALLENGES

სამხედრო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის შრომათა კრებული
PAPER COLLECTION OF THE MILITARY SCIENTIFIC-PRACTICAL CONFERENCE

გორი, 2025

სარედაქციო კოლეგია

სარედაქციო კოლეგიის

ხელმძღვანელი

პოლკოვნიკი ზურაბ ზერეკიძე

სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს
ეროვნული თავდაცვის აკადემიის რექტორის მოადგილე

სარედაქციო კოლეგიის წევრები

პოლკოვნიკი ირაკლი უჩაძე

სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს
ეროვნული თავდაცვის აკადემიის მაგისტრატურის
ხელმძღვანელი

ნიკოლოზ სამხარაძე

სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს
ეროვნული თავდაცვის აკადემიის მაგისტრატურის
თავდაცვის ანალიზის მიმართულების პროფესორი

ნინო ოხანაშვილი

სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს
ეროვნული თავდაცვის აკადემიის მაგისტრატურის
თავდაცვის ანალიზის მიმართულების ასისტენტ
პროფესორი

ვიცე-პოლკოვნიკი
ლევან გოზალიშვილი

სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს
ეროვნული თავდაცვის აკადემიის მაგისტრატურის
უსაფრთხოების კვლევების მიმართულების უფროსი

ლევან ნიკოლეიშვილი

სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს
ეროვნული თავდაცვის აკადემიის მაგისტრატურის
უსაფრთხოების კვლევების მიმართულების პროფესორი

შადიმან ბიწაძე

სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს
ეროვნული თავდაცვის აკადემიის მაგისტრატურის
უსაფრთხოების კვლევების მიმართულების
ასოცირებული პროფესორი

ქეთევან ჩახავა

სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს
ეროვნული თავდაცვის აკადემიის მაგისტრატურის
უსაფრთხოების კვლევების მიმართულების ასისტენტ
პროფესორი

© საავტორო უფლებები დაცულია
გამომცემლობა:

სსიპ - დავით აღმაშენებლის
სახელობის საქართველოს
ეროვნული თავდაცვის
აკადემია 2025

ISBN-978-9941-8-7820-6

პოლკოვნიკი
ჯამბულ ზალოშვილი

სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს
ეროვნული თავდაცვის აკადემიის მაგისტრატურის
სახელმწიფო რესურსების მართვის მიმართულების
უფროსი

გიორგი კბილცეცხლაშვილი

სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს
ეროვნული თავდაცვის აკადემიის მაგისტრატურის
სახელმწიფო რესურსების მართვის მიმართულების
პროფესორი

ვიცე-პოლკოვნიკი
ნიკოლოზ ხაჩიძე

სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს
ეროვნული თავდაცვის აკადემიის ბაკალავრიატის
ხელმძღვანელი

რომეო გალდავა

სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს
ეროვნული თავდაცვის აკადემიის ბაკალავრიატის
ინფორმატიკის მიმართულების უფროსის მოვალეობის
შემსრულებელი

ნანი არაბული

სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს
ეროვნული თავდაცვის აკადემიის ბაკალავრიატის
ინფორმატიკის მიმართულების ასოცირებული
პროფესორი

გიორგი კაკაშვილი

სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს
ეროვნული თავდაცვის აკადემიის ბაკალავრიატის
ინფორმატიკის მიმართულების ასოცირებული
პროფესორი

ლევან ჭოლიკიძე

სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს
ეროვნული თავდაცვის აკადემიის ბაკალავრიატის
ინფორმატიკის მიმართულების ასოცირებული
პროფესორი

ვიცე-პოლკოვნიკი
იოსებ ტურაშვილი

სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს
ეროვნული თავდაცვის აკადემიის ბაკალავრიატის
მენეჯმენტის მიმართულების უფროსი

ქეთევან ჭიაბრიშვილი

სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს
ეროვნული თავდაცვის აკადემიის ბაკალავრიატის
მენეჯმენტის მიმართულების პროფესორი

რუსუდან
დალაქიშვილი-ჭიჭინაძე

სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს
ეროვნული თავდაცვის აკადემიის ბაკალავრიატის
მენეჯმენტის მიმართულების ასოცირებული
პროფესორი

თინათინ ჟორჟოლიანი	სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის ბაკალავრიატის მენეჯმენტის მიმართულების ასოცირებული პროფესორი
შალვა კვეზერელი	სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის ბაკალავრიატის მენეჯმენტის მიმართულების ასოცირებული პროფესორი
გივი დუჭიძე	სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის ბაკალავრიატის მენეჯმენტის მიმართულების ასოცირებული პროფესორი
ვიცე-პოლკოვნიკი ომარ თურმანიძე	სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის ბაკალავრიატის თავდაცვისა და უსაფრთხოების მიმართულების უფროსი
ლევან გეგეშიძე	სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის ბაკალავრიატის თავდაცვისა და უსაფრთხოების მიმართულების პროფესორი
პოლკოვნიკი გიორგი ლალიაშვილი	სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელი
ნიკოლოზ ესიტაშვილი	სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის სამეცნიეროკვლევითი ცენტრის მთავარი მეცნიერი
თინათინ კროპაძე	სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის სამეცნიეროკვლევითი ცენტრის მთავარი მეცნიერი
ქეთევან კვესელავა	სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის სამეცნიეროკვლევითი ცენტრის მთავარი მეცნიერი
ზურაბ სამხარაძე	სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის სამეცნიეროკვლევითი ცენტრის მთავარი მეცნიერი
კომპიუტერული დიზაინერი მარიშა ძულიაშვილი	სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის სოციალური მედია მარკეტინგის და გრაფიკული დიზაინის მთავარი სპეციალისტი

EDITORIAL BOARD

Head of the Editorial Board

Colonel Zurab Zerekidze

Deputy Rector of LEPL-David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia

Members of the Editorial Board

Colonel Irakli Uchadze

Head of MA Program of LEPL - David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia

Nikoloz Samkharadze

Professor of MA Program in Defense Analysis at LEPL – David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia

Nino Okhanashvili

Assistant Professor of MA Program in Defense Analysis at LEPL – David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia

Lieutenant Colonel
Levan Gozalishvili

Head of MA Program in Security Studies at LEPL – David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia

Levan Nikoleishvili

Professor of MA Program in Security Studies at LEPL – David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia

Shadiman Bitsadze

Associate Professor of MA Program in Security Studies at LEPL – David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia

Ketevan Chakhava

Assistant Professor of MA Program in Security Studies at LEPL–David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia

© ALL RIGHTS RESERVED
PUBLISHING:

LEPL - DAVID AGHMASHENEBELI
NATIONAL DEFENCE ACADEMY
OF GEORGIA 2025

ISBN-978-9941-8-7820-6

Colonel Jambul Zaloshvili	Head of MA Program in State Resource Management at LEPL–David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia
Giorgi Kbiltsetskhlashvili	Professor of MA Program in State Resource Management at LEPL – David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia
Lieutenant Colonel Nikoloz Khachidze	Head of the Bachelor’s at LEPL – David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia
Romeo Galdava	Acting Chief of the Bachelor’s program in Informatics at LEPL – David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia
Nani Arabuli	Associate Professor of the Bachelor’s Program in Informatics at LEPL-David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia
Giorgi Kakashvili	Associate Professor of the Bachelor’s Program in Informatics at LEPL - David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia
Levan Cholikidze	Associate Professor of the Bachelor’s Program in Informatics at LEPL - David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia
Lieutenant Colonel Ioseb Turashvili	Head of the Bachelor’s Program in Management at LEPL - David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia
Ketevan Chiabrishvili	Professor of the Bachelor’s Program in Management at LEPL-David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia
Rusudan Dalakishvili-Chichinadze	Associate Professor of the Bachelor’s Program in Management at LEPL - David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia
Tinatin Jorjoliani	Associate Professor of the Bachelor’s Program in Management at LEPL - David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia
Shalva Kvezereli	Associate Professor of the Bachelor’s Program in Management at LEPL - David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia

Givi Duchidze	Associate Professor of the Bachelor's Program in Management at LEPL - David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia
Lieutenant Colonel Omar Turmanidze	Head of the Bachelor's Program in Defence and Security at LEPL - David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia
Levan Gegeshidze	Professor of the Bachelor's Program in Defence and Security at LEPL - David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia
Colonel Giorgi Laghiashvili	Head of the Scientific Research Center of LEPL – David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia
Nikoloz Esitashvili	Chief Scientist of Scientific-Research Center of LEPL - David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia
Tinatin Kropadze	Chief Scientist of Scientific-Research Center of LEPL - David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia
Zurab Samkharadze	Chief Scientist of Scientific-Research Center of LEPL - David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia
Ketevan Kveselava	Chief Scientist of Scientific-Research Center of LEPL - David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia
Computer Designer Marisha Dzuliashvili	SMM and Graphic Design Main Specialist of PR Department of LEPL - David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia

შინაარსი

ვიცე - პოლკოვნიკი ომარ თურმანიძე სირიაში რეჟიმის ცვლილების გავლენა ახლო აღმოსავლეთის გეოპოლიტიკაზე და სამხრეთ კავკასიის კონტექსტი	13
ვიცე პოლკოვნიკი ლევან გოზალიშვილი საქართველოს საგარეო პოლიტიკა ჩინეთისა და ახლო აღმოსავლეთის ურთიერთქმედების ფონზე	22
ვიცე-პოლკოვნიკი ნიკოლოზ ხაჩიძე რუსეთის XXI საუკუნის საგარეო პოლიტიკის თეორიული ანალიზი (საქართველოს მაგალითი)	31
პოლკოვნიკი გიორგი მეშველიანი უსაფრთხოების გამოწვევები მულტიპოლარულ მსოფლიოში: დიდი ძალები, პატარა სახელმწიფოები და საქართველოს არჩევანი	37
ვიცე-პოლკოვნიკი გოჩა ბათაძე საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკა და სახალხო გვარდია	49
პირველი კლასის რიგითი ნინო სამადაშვილი სირიის უახლესი მოვლენები და მათი გავლენა შავი ზღვის რეგიონისა და სამხრეთ კავკასიის სატრანზიტო ფუნქციაზე	62
პოლკოვნიკი ჯამბულ ზალოშვილი ახლო აღმოსავლეთი: რისკები და შესაძლებლობები საქართველოსთვის	78
ვიცე-პოლკოვნიკი ვაჟა ვაშაყმაძე სტაბილურობა ახლო აღმოსავლეთში და საქართველოს უსაფრთხოების გამოწვევების სამართლებრივი ასპექტები	88

ვიცე-პოლკოვნიკი იოსებ ტურაშვილი სტაბილურობა ახლო აღმოსავლეთში და საქართველოს უსაფრთხოების გამოწვევები	97
ვიცე-პოლკოვნიკი ზვიადი აბუთიძე სტაბილურობა ახლო აღმოსავლეთში და საქართველოს უსაფრთხოების გამოწვევები დემოგრაფიული ფაქტორების გათვალისწინებით	106
პოლკოვნიკი მამუკა სამხარაძე, მაიორი ალექსი გელაშვილი ინჟირლიკის საავიაციო ბაზის როლი ახლო აღმოსავლეთის უსაფრთხოებაში....	118
ვიცე-პოლკოვნიკი რუსლან დარჩიძე ირანის საგარეო პოლიტიკური ინტერესები სამხრეთ კავკასიაზე: საფრთხეები და შესაძლებლობები	130
მაია კაპანაძე, რაულ ფევაძე თურქეთის აქტიურობა ახლო აღმოსავლეთში და მისი გავლენა სამხრეთ კავკასიის უსაფრთხოების გარემოზე	140
უფროსი სერჟანტი ნიკოლოზ მაღლაკელიძე სტაბილურობა ახლო აღმოსავლეთში და საქართველოს უსაფრთხოების გამოწვევები	147

CONTENTS

Lieutenant Colonel Omar Turmanidze The Impact of Regime Change in Syria on the Geopolitics of the Middle East and the Context of the South Caucasus	14
Lieutenant Colonel Levan Gozalishvili Georgian Foreign Policy in the Context of China and the Middle East Interaction	23
Lieutenant Colonel Nikoloz Khachidze Theoretical Analysis of Russia's Foreign Policy in the 21st Century (The Example of Georgia)	32
Colonel Giorgi Meshveliani Security Challenges in a Multipolar World: Great Powers, Small States, and Georgia's Strategic Choice	39
Lieutenant Colonel Gocha Batadze First Democratic Republic of Georgia and the People's Guard	50
Private First Class Nino Samadashvili The Latest Developments in Syria and Their Impact on the Transit Function of the Black Sea Region and the South Caucasus	63
Colonel Jambul Zaloshvili The Middle East: Risks and Opportunities for Georgia	79
Lieutenant Colonel Vazha Vashakmadze Stability in the Middle East and Legal Aspects of Georgia's Security Challenges	89

Lieutenant Colonel Ioseb Turashvili	
Stability in the Middle East and Georgia's Security Challenges	98
 Lieutenant Colonel Zviadi Abutidze	
Stability in the Middle East and Georgia's	
Security Challenges in the Context of Demographic Factors.....	107
 Colonel Mamuka Samkharadze, Major Alexi Gelashvili	
The Role of Incirlik Air Base in Middle East Security	119
 Lieutenant Colonel Ruslan Darchidze	
Political Interests in The South Caucasus: Threats and Opportunities	132
 Maia Kapanadze, Raul Pevadze	
Turkey's Activity in The Middle East and its Impact on	
the Security Environment of The South Caucasus	141
 Senior Sergeant Nikoloz Maghlakelidze	
Stability in The Middle East and Georgia's Security Challenges	148

სირიაში რეჟიმის ცვლილების გავლენა ახლო აღმოსავლეთის გეოპოლიტიკაზე და სამხრეთ კავკასიის კონტექსტი

ვიცე - პოლკოვნიკი ომარ თურმანიძე

სსიპ-დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს
ეროვნული თავდაცვის აკადემიის
ბაკალავრიატის თავდაცვა და უსაფრთხოების მიმართულების უფროსი,
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის
პოლიტიკის მეცნიერების დოქტორანტი

აბსტრაქტი

სირიის კონფლიქტი, რომელიც 2011 წელს “არაბული გაზაფხულის” სახელით ცნობილი აჯანყებების ტალღის ფონზე დაიწყო, გაჭიანურებულ და მრავალმხრივ კრიზისად გადაიქცა, რამაც ღრმა გავლენა მოახდინა ახლო აღმოსავლეთის გეოპოლიტიკურ გარემოზე. თავდაპირველად პოლიტიკური რეფორმებისა და ავტორიტარული მმართველობის დასრულების მოწოდებებით გამოწვეული სამოქალაქო არეულობა სწრაფად გადაიზარდა სრულმასშტაბიან ომში, რომელშიც ჩართული იყო შიდა, რეგიონული და საერთაშორისო აქტორების რთული ქსელი. ეს ნაშრომი იკვლევს ასადის რეჟიმის დაცემასა და მისი შემდგომი ძალაუფლების კონსოლიდაციის გავლენას რეგიონული ძალაუფლების დინამიკაზე, უსაფრთხოების არქიტექტურასა და სახელმწიფოთაშორის ურთიერთობებზე. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ისეთი ძირითადი მოთამაშეების სტრა-ტეგიულ გათვლებსა და ჩარევებს, როგორიცაა რუსეთი, შეერთებული შტატები, ირანი, თურქეთი, ისრაელი და სპარსეთის ყურის ქვეყნები. კვლევა აფასებს, თუ როგორ გახდა სირიის ბრძოლის ველი გეოპოლიტიკური არენა მარიონეტული კონფლიქტებისთვის, იდეოლოგიური შეჯიბრებებისთვის და ალიანსების რეკონფიგურაციისთვის. იგი ასევე იკვლევს ჯიჰადისტური და სეპარატისტული ჯგუფების აღზევებასა და დაცემას, ქურთული ძალების როლს და რეჟიმის გადარჩენის შედეგებს ავტორიტარული მდგრადობისთვის ახლო აღმოსავლეთში. საბოლოო ჯამში, ეს კვლევა ამტკიცებს, რომ სირიის შემთხვევა ადგილობრივი ბრძოლებისა და გლობალური ძალაუფლების კონკურენციის გადაკვეთის მაგალითია და აჩვენებს, თუ როგორ შეუძლია რეჟიმის ცვლილებას - ან მის კრახს - შეცვალოს რეგიონული წესრიგი მომდევნო ათწლეულების განმავლობაში.

საკვანძო სიტყვები: სირია, რეჟიმის ცვლილება, ახლო აღმოსავლეთი, გეოპოლიტიკა, რეგიონული ძალები.

THE IMPACT OF REGIME CHANGE IN SYRIA ON THE GEOPOLITICS OF THE MIDDLE EAST AND THE CONTEXT OF THE SOUTH CAUCASUS

Lieutenant Colonel Omar Turmanidze

Head of the Defense and Security Program of Baccalaureate
LEPL - David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia,
PhD student in political science at the Caucasus International University

Abstract

The Syrian conflict, which erupted in 2011 amidst the wave of uprisings known as the Arab Spring, has evolved into a protracted and multifaceted crisis with profound implications for the geopolitical landscape of the Middle East. Initially sparked by calls for political reform and the end of authoritarian rule, the civil unrest quickly escalated into a full-scale war involving a complex network of domestic, regional, and international actors. This paper explores the impact of attempts to remove the Assad regime and its subsequent consolidation of power on regional power dynamics, security architectures, and interstate relations. Special attention is given to the strategic calculations and interventions of key players such as Russia, the United States, Iran, Turkey, Israel, and the Gulf monarchies. The study evaluates how the Syrian battlefield became a geopolitical arena for proxy conflicts, ideological contests, and the reconfiguration of alliances. It also examines the rise and decline of jihadist and separatist groups, the role of Kurdish forces, and the implications of regime survival for authoritarian resilience in the broader Middle East. Ultimately, this research argues that the Syrian case exemplifies the intersection of local struggles with global power competition and illustrates how regime change—or its failure—can reshape regional order for decades.

Keywords: Syria, Regime Change, Middle East, Geopolitics, Regional powers.

შესავალი

21-ე საუკუნის მე-2 ათწლეულის დასაწყისში, მე-2 მსოფლიო ომის შემდგომ ჩამოყალიბებული მსოფლიო წესრიგი ნელ-ნელა შეირყა. მსოფლიო პოლიტიკური მოვლენები, ახლო აღმოსავლეთში, რუსეთის ქმედებები საქართველოსა და უკრაინაში, სამოქალაქო ომი სირიაში და სხვა მნიშვნელოვანი გეოპოლიტიკური ცვლილებები მაჩვენებელი იყო იმის, რომ არსებული მსოფლიო წესრიგი ვეღარ ასრულებდა ძალთა ბალანსის საერთაშორისოდ ცნობილ პრინციპებს.

ნებისმიერი მსოფლიო წესრიგი ადრე თუ გვიან აღმოჩნდება ხოლმე ორი ძირითადი ტენდენციის წინაშე, რომელიც გავლენას ახდენს მის ერთობაზე, ესენია: ლეგიტიმურობის ახალი დეფინიცია ან ძალთა ბალანსის მნიშვნელოვანი გადახრა. პირველი ტენდენცია - გამოიკვეთება, როდესაც ღირებულებები, რომლებიც საფუძვლად უდევს საერთაშორისო თანხმობას ფუნდამენტურად იცვლება. ამის მიზეზი შეიძლება იყოს ის, რომ ისინი ვინც მის შენარჩუნებას უზრუნველყოფდნენ ამ ღირებულებებს აღარ იზიარებენ ან როდესაც ლეგიტიმურობის ახალი კონცეფცია რევოლუციური გზით იკიდევს ფეხს. (სირიის მაგალითი). საერთაშორისო წესრიგის კრიზისის მეორე მიზეზი - შეიძლება იყოს სიტუაცია, როდესაც აღმოჩნდება, რომ მას არ შესწევს ძალა, მართოს ძალთა ურთიერთობაში წარმოქმნილი დიდი ცვლილებები. ანუ, წესრიგი ირღვევა, მაშინ, როდესაც მისი მნიშვნელოვანი მონაწილეებიდან რომელიმე მათგანი ვეღარ თამაშობს თავის როლს.¹

მეორე მსოფლიო ომის შემდგომი მსოფლიო წესრიგის მოშლისა და ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებული ახალი მსოფლიო წესრიგის კონტექსტში ცალსახად შესაძლოა განვიხილოთ სირიის 13 წლიანი სამოქალაქო ომი, რომელიც საბოლოო ჯამში ბაშარ-ალ-ასადის რეჟიმის დამხობით დასრულდა.

სირიის არაბულ რესპუბლიკაში 2011 წელს დაწყებულმა სამოქალაქო ომმა მნიშვნელოვნად შეცვალა ახლო აღმოსავლეთის გეოპოლიტიკური რეალობა. ასადის წინააღმდეგ დაწყებული ოპოზიციური გამოსვლები, მალევე გადაიზრდა აჯანყებასა და მრავალფრონტიან კონფლიქტში, სადაც ერთმანეთს დაუპირისპირდნენ არამხოლოდ შიდა ძალები, არამედ გლობალური და რეგიონული მოთამაშეები.

ასადის ხელისუფლების შენარჩუნება შესაძლებელი გახდა რუსეთის ფედერაციისა და ირანის ისლამური რესპუბლიკის აქტიური სამხედრო და პოლიტიკური მხარდაჭერით. ბოლო წლების განმავლობაში სირიაში მიმდინარე მოვლენებმა და ირანის აქტიურმა მხარდაჭერამ სირია გახადა ერთგვარი სტრატეგიული ჰაზი შიიტური ისლამური ღერძისა. სამოქალაქო ომის პერიოდში სირია იქცა რეგიონული გეოპოლიტიკური კონკურენციის ერთ-ერთ ძირითად ეპიცენტრად. სირიის გეოსტრატეგიულ მდებარეობას ასევე მნიშვნელობა ენიჭება როგორც რეგიონული უსაფრთხოების სიტემაში, ასევე დიდ სახელმწიფოთა გლობალურ თამაშში. ამიტომაც იყო, რომ სირიის სამოქალაქო ომი იქცა არამხოლოდ ქვეყნის შიდა აქტორების და პირისპირების ცენტრად არამედ გარე, რეგიონული და გლობალური მოთამაშეების ასპარეზის პლაცდარმად. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ირანის მხარდაჭერას ასადის რეჟიმისადმი განაპირობებდა ის, რომ ირანი ასადის რეჟიმს განიხილავს როგორც შიიტური ინტერესების დაცვის ბუფერულ მექანიზმს რეგიონში. სირია არის ე.წ. შიიტური ღერძის ნაწილი, რომელიც აერთიანებს თეირანს, ბაღდადს, დამასკოსა და ბეირუტს. ასადის ხელისუფლება ირანისთვის მნიშვნელოვანია, როგორც „ჰესბოლასთვის“ * სამხედრო ლოჯისტიკური მხარდაჭერის არხი, ისე ისრაელთან უშუალო სტრატეგიული წნეხის მექანიზმი.

1 ჰ. კისინჯერი, მსოფლიო წესრიგი, გამომცემლობა ინტელექტი, (თბილისი 2020. გვ. 519-520.)

* ჰესბოლა - (არაბ. ჰიზბუ 'ლ-ლაჰ, უფლის პარტია ან უფლის დაჯგუფება) - ლიბანელი შიიტთა დაჯგუფება, აერთიანებს პოლიტიკურ ფრთას და შეიარაღებულ ფრთას. ჩამოყალიბდა 1980-იანი წლების პირველ ნახევარში, შიიტებით დასახლებულ ბეკაას მუჰაფაზაში ისრაელის ლიბანში შეჭრის საპასუხოდ.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ასადის ხელისუფლება დასაყრდენი იყო არამხოლოდ ირანის, არამედ რუსეთის ფედერაციისთვის, იგი წარმოადგენდა სერიოზულ სტრატეგიულ მოკავშირეს. ასადის რეჟიმის შენარჩუნება რუსეთისათვის არანაკლებ მნიშვნელოვანია, ვიდრე ირანისთვის. სწორედ აქ იკვეთება რუსეთ-ირანის სტრატეგიული კავშირები. რუსეთისათვის სირია წარმოადგენს ერთადერთ ქვეყანას ახლო აღმოსავლეთში სადაც განთავსებულია რუსეთის მუდმივი სამხედრო-საზღვა ბაზა - ტარტუსი (Tartus Naval Base), ასევე ავიაბაზა ლატაკიაში (Hmeimim Air Base - Latakia Air Base). სწორედ ეს ბაზები უზრუნველყოფენ რუსეთის ფედერაციის სამხედრო წვდომას ხმელთაშუა ზღვაზე და აძლიერებენ მის გლობალურ სტრატეგიულ პოზიციებს. სწორედ ამ თვალსაზრისით იყო ასადის რეჟიმის დაცვა ერთ-ერთი სტრატეგიული გეოპოლიტიკური პრიორიტეტი.

წინამდებარე სტატიაში განხილულია მსოფლიო გეოპოლიტიკური მოვლენებიდან ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე ცვლილებები. **კერძოდ სტატიის მიზანია გაანალიზოს** ასადის რეჟიმის სტრატეგიული ფუნქცია და ორიენტირებულია **შეისწავლოს** რეჟიმის ცვლილების შემდეგ ჩამოყალიბებული ახლო აღმოსავლეთის გეოპოლიტიკური ვითარება. სტატიაში აგრეთვე მიმოვიხილავთ ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე მოვლენებსა და მათ გავლენას მსოფლიო პოლიტიკის წარმართვის პროცესში. ანალიზის შედეგად წარმოდგენილი იქნება ის შესაძლო გეოპოლიტიკური ცვლილებები, რომლებიც მოსალოდნელია სირიაში ახალი მმართველობის ჩამოყალიბების პირობებში.

ძირითადი ნაწილი

გასული წლის 8 დეკემბერს 13 წლიანი სამოქალაქო ომისა და ოპოზიციონერთა მხარდამჭერების ხანგრძლივი გამოსვლების შემდეგ სირიაში დაემხო ასადების რეჟიმის 54 წლიანი მმართველობა, თავად ბაშარ-ალ-ასადი ოჯახთან ერთად მოსკოვში გაიქცა. ასადების ოჯახი სირიას 1970 წლიდან მართავდა, აქედან 30 წელი მამა - ჰაფეზ-ალ-ასადი (1970-2000), ხოლო 2000 წლიდან შვილი - ბაშარ-ალ-ასადი (2000-2024).

ასადის რეჟიმის ჩამოშლას მნიშვნელოვნად ხელი შეუწყო ორმა გადამწყვეტმა საგარეო პოლიტიკურმა ფაქტორმა:

- ასადის მთავარი მოკავშირე - რუსეთი, სამ წელზე მეტია ჩაფლულია უკრაინასთან ომში და მას ნაკლები დრო და ენერგია შემორჩა სხვა რეჟიმების მხარდასაჭერად;
- ასადის მეორე მოკავშირე - ირანი და მისი სამხედრო პოლიტიკური ინსტრუმენტი „ჰესბოლა“ ძალზე დასუსტდა ისრაელთან კონფლიქტში;³

რეჟიმის დამხობის შემდეგ სწრაფად განხორციელდა რეგიონში გეოპოლიტიკური სიტუაციის ცვლილებები. სირიასა და მის სამეზობლო ქვეყნების ცხოვრებაში ახალი ეტაპი დაიწყო.

ასადის გაქცევის შემდეგ ქვეყნის სათავეში ისლამისტური ორგანიზაცია - **„ჰაით თაჰრირ ალ-შამის“** * ლიდერი **აბუ მუჰამედ ალ ჯულანი** * მოვიდა. სირიის ახალი ლიდერი გაემიჯნა

3 ზ. ბატიაშვილი, „ასადის რეჟიმის დამხობა, მხარეთა პოზიციები, მოგებულები და წაგებულები,“ რონდელის ბლოგი, 27.12.2024. <https://surl.gd/wlwxsz> (გადამოწმებულია 07.05.2025)

* ჰაით თაჰრირ ალ-შამი - სუნიტური ისლამისტური პოლიტიკური და გასამხედროებული ორგანიზაცია, რომელიც სირიის სამოქალაქო ომში იყო ჩართული. ჩამოყალიბდა 2017 წლის 28 იანვარს რამდენიმე შეიარაღებული ფრაქციის გაერთიანების გზით.

* აჰმად ჰუსეინ ალ-შარაა - ფსევდონიმი: აბუ მუჰამედ ალ-ჯულანი. (ასევე აბუ მოჰამედ ალ-გოლანი) დაბადებულია 1982 წლის 29 ოქტომბერს. სირიის პრეზიდენტი 2025 წლის 29 იანვრიდან. სირიელი ისლამისტი, სირიაში ჯიჰადისტური მოძრაობის მოღვაწე. 2017 წლიდან მსახურობდა სუნიტური ისლამისტური პროთურქული ტერორისტული ორგანიზაცია ჰაით-თაჰრირ ალ-შამის ემირად. 2024 წლის 8 დეკემბრიდან ასადის გაქცევის შემდეგ ქვეყნის დე-ფაქტო ლიდერი. 2025 წლის იანვრიდან სირიის პრეზიდენტი.

იმ რადიკალურ ფორმებს, რასაც ის და მისი ორგანიზაცია სირიის სამოქალაქო ომის ცხელ ფაზაში სჩადიოდნენ. ალ-ჯულანის ცდილობს მისი ორგანიზაციის - „ჰაით თაჰრირ ალ-შამის“ რებრენდირებას, ლეგიტიმაციის განმტკიცებასა და აცხადებს, რომ აქტიურად დაიცავს უმცირესობების უფლებებს.⁶ ექსპერტთა მოსაზრებებით ალ-ჯულანის გააჩნია პირადი პოლიტიკური ამბიციები და ის არ არის პიროვნება, რომელიც ადვილად მართვადი იქნება გარე ძალების მიერ. მის განვლილ ბიოგრაფიას თუ გადავხედავთ, ცხადია, რომ ის არ არის მოწყვლადი პიროვნება, რომელიც ადვილად მოექცევა ვინმეს გავლენის ქვეშ. ეს სირიისათვის ერთმნიშვნელოვნად კარგია, ვინაიდან, იმ სტატუსკვოდან გამომდინარე რომელშიც სირია იმყოფება, ვგულისხმობ, რა პოლიტიკური მრავალფეროვნებაც არსებობს ქვეყნის შიგნით და გარეთ. სწორედ სირიელი ხალხისთვის ხელსაყრელი უნდა იყოს ზუსტად ისეთი პიროვნება, რომელიც არავის გავლენის ქვეშ არ მოექცევა, მიიღებს რაციონალურ გადაწყვეტილებებს, სწორ პოლიტიკურ გათვლებს გააკეთებს და მეტნაკლებად გაითვალისწინებს და გაატარებს ყველა აქტორის ინტერესებს, ამ ძალისხმევით დააბალანსებს მათ.

ბაშარ ალ-ასადის რეჟიმის დაცემა არამხოლოდ სირიის შიდა პოლიტიკის ცვლილებას ნიშნავს, არამედ ის მნიშვნელოვან საფუძველს უყრის ახლო აღმოსავლეთის გეოპოლიტიკურ რეორგანიზაციას. რეგიონში ყალიბდება ახალი პოლიტიკური თამაშის წესები, სადაც იკვეთება თურქეთის, ირანის, ისრაელისა და არაბული ქვეყნების ინტერესები. რეჟიმის ცვლილება ფაქტობრივად საფუძველი ხდება ახალი გეოპოლიტიკური გადანაწილებისა. იცვლება რეგიონში მოთამაშე აქტორების ძალთა ბალანსი. ზოგიერთი ქვეყნის გავლენები შესუსტდა ასადის რეჟიმის დასრულების შემდგომ, ზოგიერთის კი პირიქით გაძლიერდა.

რეგიონულ მოთამაშეებს დაუდგათ ახალი რეალობა და გეოპოლიტიკური სურათი. მოკლედ წარმოვადგენ თითოეულ იმ ძირითად აქტორს და მათ პოლიტიკურ ველზე ცვლილებებს, რაც გამოიწვია ასადის რეჟიმის დაცემამ.

ირანი - ირანის გავლენა შესუსტდა, ვინაიდან, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ იგი იყო ასადის რეჟიმის სტრატეგიული მოკავშირე და პარტნიორი. ასადის ხელისუფლება საშუალებას აძლევდა ირანს გაეტარებინა თავისი გავლენა ლიბანამდე (ე.წ. „შიიტური ნახევარმთვარე“). ირანმა დაკარგა როგორც სახმელეთო ხიდი (ირანი-ერაყი-სირიის სახმელეთო გზა) ლიბანთან, ასევე დაკარგა ხმელთაშუა ზღვაზე გასასვლელი. ირანი ამ სახმელეთო გზასა და ხმელთაშუაზღვაზე გასასვლელ ქსელს სისი ხნის განმავლობაში აშენებდა და უამრავი დრო და რესურსი დახარჯა მასში. ამ მარშრუტის ქსელის ერთ-ერთი შემოქმედი იყო ირანის ისლამური რესპუბლიკის რევოლუციის გუშაგთა კორპუსის ყუდსის ძალების მეთაური გენერალი ყასემ სოლეიმანი, რომლის ლიკვიდაციაც განხორციელდა 2020 წლის 3 იანვარს ბაღდადის საერთაშორისო აეროპორტის სიახლოვეს, ამერიკის შეერთებული შტატების დრონებიდან გაშვებული რაკეტების მიერ.⁷ დღეს დღეობით ირანს გაუჩნდა საფიქრალი და თავსატეხი, თუ როგორ შეინარჩუნოს ლიბანში ფიზიკური კავშირი ლიბანში მოქმედ შიიტურ სამხედრო პოლიტიკურ დაჯგუფება „ჰესბოლასთან“. ირანი აგრეთვე ცდილობს აიცილოს სირიული სცენარის განვითარება ერაყში.

რუსეთის ფედერაცია - ასადის რეჟიმის დასახმარებლად მოსკოვმა ძალზედ დიდი რესურსები დახარჯა - სამხედრო ბაზები, დიპლომატიური მხარდაჭერა, ფინანსური დახმარება და სხვ. რეჟიმის დამხობის შემდეგ რუსეთის გავლენა შემცირდა და საეჭვო გახდა სირიაში რუსული სამხედრო ბაზების ლეგიტიმაცია. რუსეთი ითვლებოდა მთავარ მფარველად ასადის რეჟიმისა და ახლა ცხადია იგი მთავარი წაგებული მოთამაშეა რეჟიმის ცვლილების შემდეგ.

6 United Nations Security Council Reports on Syria, გაეროს სშროების საბჭო, 2024-2025.

<https://www.un.org/securitycouncil/> (გახსნილია 05.05.2025)

7 ზ. ბატიაშვილი, „ასადის რეჟიმის დამხობა, მხარეთა პოზიციები, მოგებული და წაგებულები,“ რონდელის ბლოგი, 27.12.2024. <https://surl.gd/wlwxsz> (გადამოწმებულია 07.05.2025)

აქ აღსანიშნავია, ის ფაქტიც, რომ ახალი მმართველობის მოსვლის შემდეგ რუსეთის გავლენა შემცირდა არა მხოლოდ სირიაზე, არამედ მთელს ახლო აღმოსავლეთის რეგიონში.⁸ სირიაში ასადის რეჟიმის ვერ შენარჩუნებამ ნათლად გამოაჩინა რუსეთის პრობლემები. უკრაინის ომში დასუსტებული რუსეთი ისე წარმოჩნდა, რომ მას არ შეუძლია ორ ფრონტზე ეფექტურად ომის წარმოება. გრძელვადიან პერსპექტივაში, რუსეთს ძალიან გაუჭირდება სამხედრო ბაზების შენარჩუნება ახლო აღმოსავლეთში, რაც იმას ნიშნავს, რომ მას ხმელთაშუაზღვაში არ ექნება მყარი დასაყრდენი. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ რუსეთს ასადის რეჟიმის დროს ჰქონდა ორი ძალიან ეფექტური სამხედრო ბაზა სირიაში. ხმელმომხმარებლის საჰაერო ბაზა - თავისი საჰაერო და სადაზვერვო ინფრასტრუქტურით და ხმელთაშუაზღვის საზღვაო ბაზა ქ. ტარტუსში. აღნიშნული სამხედრო ბაზები რუსეთს საშუალებას აძლევდა განევრცო ინფრასტრუქტურული პროექტები როგორც სირიის ასევე აფრიკის მიმართულებით, რაც გულისხმობდა სადაზვერვო ინფორმაციების მოპოვება შეგროვებას და რეგიონის მასშტაბით აკავშირებდა აფრიკის კონტინენტზე მათ მოკავშირეებთან.

დღეისათვის რუსეთის სამხედრო ბაზებზე რაოდენობები შემცირებულია, თუმცა რუსეთი კვლავ ინარჩუნებს ბაზებს სირიაში. გრძელვადიან პერსპექტივაში მათი მომავალი გაურკვეველია. ხმელთაშუა ზღვაში ბაზირებული სამხედრო გემები ზღვაში არიან გასული. რუსეთი ბაზების შენარჩუნებასთან დაკავშირებით ახალ ხელისუფლებასთან მოლაპარაკებებს აწარმოებს, თუმცა ამ დროისთვის რაიმე ხელშესახები შეთანხმება მიღწეული არ არის⁹.

2025 წლის თებერვალ-მარტში გავრცელებული ინფორმაციით, რუსეთს შესაძლოა სირიაში ზოგიერთი სამხედრო ბაზის შენარჩუნება შეეძლოს. სირიის ახალი მთავრობის ლიდერმა რუსეთის მთავრობასთან მოლაპარაკებების შედეგად განაცხადა, რომ „თუ რუსეთის სამხედრო ყოფნით რაიმე სარგებელს მივიღებთ, ამას დავუშვებთ“¹⁰.

თურქეთი - ასადის რეჟიმის დასრულების შემდეგ, ხელისუფლებაში მოვიდნენ პრო-თურქული ძალები, ცხადია თურქეთის დახმარებით და თურქეთის როლი და გავლენა რეგიონში საგრძნობლად გაძლიერდა. თურქეთი წლებია მზარს უჭერდა ოპოზიციურ ჯგუფებს და ცდილობდა გავლენების გაძლიერებას. რეჟიმის ცვლილების შემდეგ თურქეთი ითვლება მთავარ გამარჯვებულად. ის რეგიონში კატართან ერთად მოქმედებს¹¹. ვინაიდან თურქეთმა გადამწყვეტი როლი ითამაშა ასადის რეჟიმის ცვლილების საქმეში, არის მოლოდინი, რომ თურქეთის მთავრობას დიდი გავლენა ექნება სირიის ახალ მმართველობაზე. აქედან გამომდინარე ანკარამ შესაძლოა ისეთი ენერგეტიკული პროექტები წამოწიოს წინა პლანზე კატარის ბუნებრივი აირის ევროპაში ტრანსპორტირების საკითხი. (კატარი-საუდის არაბეთი-იორდანია-სირია-თურქეთი-ევროპა). აღნიშნული პროექტი სრულიად ახალ გეო-პოლიტიკურ რეალობას შექმნის მსოფლიო პოლიტიკურ რუკაზე. სირიაში თურქეთის ერთ ერთი პოლიტიკური ინტერესი იყო და რჩება სირიის ჩრდილოეთით ე.წ. „უსაფრთხო ზონის“ შენარჩუნება, რომელიც ემსახურება ქურთისტანის მუშათა პარტიის (PKK) და მათი მოკავშირეების შეკავებას. ამასთან თურქეთი დაინტერესებულია სამოქალაქო ომის სირიიდან წამოსული ლტოლვილები, რომლებიც დაახლოებით ოთხ მილიონამდეა თურქეთში, დააბრუნოს სირიაში. ხელი შეუწყოს მათ ნებაყოფილობით და უსაფრთხო დაბრუნებას. რაც ასევე დაკავშირებულია უსაფრთხოების ზონის შენარჩუნებასთან. რეჟიმის შეცვლის შემდეგ, თურქეთი აქტიურად ცდილობს მყარად პოზიციონირებდეს, როგორც შუამავალი დასავლეთსა

8 Syria's Assad flees as rebel forces seize control of Damascus. . Reuters, (2024).

<https://www.reuters.com> (გადამოწმებულია 07.05.2025)

9 Ph. Loft. Syria after Assad: Consequences and Interim Authorities 2025. Research Briefing. (2025), chrome-extension://efaidnbmnnnibpcajpcglclefindmkaj/https://researchbriefings.files.parliament.uk/documents/CBP-10161/CBP-10161.pdf

10 იქვე.

11 ზ. ბატიაშვილი, „ასადის რეჟიმის დამხობა, მხარეთა პოზიციები, მოგებულები და წაგებულები,“ რონდელის ბლოგი, 27.12.2024. <https://surl.gd/wlwxsz> (გადამოწმებულია 07.05.2025)

და სირიის ახალ მმართველობას შორის, ასევე თურქეთი ცდილობს წარმოიჩინოს, როგორც რეგიონალური უსაფრთხოების გარანტი.¹²

ისრაელი - როგორც თურქეთი ასევე ისრაელი არის მხარე, რომელიც შეიძლება ჩავთვალოთ გამარჯვებულად ასადის რეჟიმის დამხობის შემდეგ. ცხადია ასადის რეჟიმის დამარცხებით მთავარი გამარჯვებული სირიელი ხალხია, განსაკუთრებით კი სუნიტური უმრავლესობა, რომელიც 54 წლიან ჩაგვრას განიცდიდნ ასადების ალავიტური კლანის მიერ. თუმცა სირიის რეჟიმის შეცვლით ისრაელი ცალსახად გამარჯვებულია ასევე, ვინაიდან მან ირიბად ხელი შეუწყო ასადის რეჟიმის ჩამოშლას, მაშინ როდესაც ისრაელ პალესტინის ახალი ომის ფონზე (ღაზას სექტორი), საგრძნობლად შეასუსტა „ჰესბოლას“. ეს სამხედრო ტერორისტული ორგანიზაცია კი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ ასადის რეჟიმის მნიშვნელოვანი საყრდენი იყო. ასადის რეჟიმის დაცემით კი „ჰესბოლას“ გამოეცალა სახმელეთო მომარაგების გზები ირანიდან სირიის გავლით¹³.

მაშინ, როდესაც „ჰესბოლას“ აღარ აქვს სახმელეთო მომარაგების გზა ირანიდან, ეს ისრაელს აძლევს მეტ შესაძლებლობას უფრო გაბედულად იმოქმედოს ლიბანის მიმართულებით. მიუხედავად იმისა, რომ ის თავს გრძნობს მოგებულ პოზიციაში ასადის რეჟიმის დამხობით ის ფრთხილად აკვირდება ახალი ხელისუფლების ქმედებებს ისრაელთან მიმართებაში, ვინაიდან მას მიაჩნია, რომ სირიის ახალი მმართველობა მინიმუმ სოლიდურობას გამოიჩენს პალესტინელების მიმართ. ამისდა მიუხედავად ისრაელი გამუდმებით, პრევენციული მიზნით ანადგურებს ასადის რეჟიმის მიერ დატოვებულ სამხედრო საწყობებს, სამხედრო ინფრასტრუქტურასა და შეიარაღებას, იმ მიზნით, რომ მომავალში არ მოხდეს აღნიშნული შეიარაღების გამოყენება ისრაელის წინააღმდეგ¹⁴.

ამერიკის შეერთებული შტატები (აშშ) - გარდა რეგიონული მოთამაშეებისა ცხადია ახლო აღმოსავლეთში, მათ შორის სირიაშიც, თავისი ინტერესები ამოძრავებს შეერთებულ შტატებს. აშშ-სა და ევროპის (განსაკუთრებით საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი, გერმანია) ინტერესები სირიაში სამოქალაქო ომის განმავლობაში იყო ე.წ. „ისლამური სახელმწიფოს“ განადგურება. ამ მიზანს ისინი მათი ჩართულობის გარდა, პროთურქული მეზრძოლების მეშვეობით ახორციელებდა.

შეერთებულ შტატებსა და ევროპის ქვეყნებში, მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლებაში მოსული ახალი ლიდერი აბუ მუჰამედ ალ-ჯულანის და მისი ორგანიზაცია - „ჰაით თაჰრირ ალ-შამი“ ტერორისტულ ორგანიზაციადაა გამოცხადებული, მიესალმნენ ასადის რეჟიმის დამხობას. შედეგად, ევროპაში იმედიც გაჩნდა, რომ სირიიდან მიგრირებული ლტოლვილები ნებაყოფილობით დაუბრუნდებიან თავიანთ სამშობლოს. შეერთებული შტატების სამხედროები ამ ეტაპზე ძალიან მცირე რაოდენობით არიან წარმოდგენილი სირიაში, თუმცა როგორც გაგრძელდება სირიისა და აშშ-ს სამხედრო თანამშრომლობა ამას მომავალი გვიჩვენებს. ზოგადად აშშ-ევროპისა და სირიის მომავალი თანამშრომლობა მეტწილად დამოკიდებული იქნება სირიის ახალი მმართველობის პოლიტიკაზე, იმაზე თუ რამდენად მოიპოვებს საერთაშორისო ნდობასა და შეძლებს შიდა ლეგიტიმაციის განმტკიცებას. ამასთან დასავლეთი და შეერთებული შტატები, ცხადია ითხოვს ადამიანის უფლებების კუთხით რეფორმების გატარებას და უმცირესობების უფლებების დაცვას.

საქართველოსა და სამხრეთ კავკასიის კონტექსტი - სირიაში რეჟიმის ცვლილება, ისევე როგორც ახლო აღმოსავლეთში ნებისმიერი გეოპოლიტიკური ცვლილებები საინტერესო და ყურადსაღებია როგორც საქართველოში, ასევე სამხრეთ კავკასიის რეგიონში. აქ რამდენიმე

12 „Turkey and the transition to a post-Assad regime in Syria,“ Arab Center, Washington D.C. (2024), <https://arabcenterdc.org/resource/turkey-and-the-transition-to-a-post-assad-regime-in-syria/> (გადამოწმებულია 07.05.2025)

13 C. Phillips, The Battle for Syria: International Rivalry in the New Middle East, Yale University Press. (2024).

14 ზ. ბატიაშვილი, „ასადის რეჟიმის დამხობა, მხარეთა პოზიციები, მოგებულები და წაგებულები,“ რონდელის ბლოგი, 27.12.2024. <https://surl.gd/wlwxsz> (გადამოწმებულია 07.05.2025)

მნიშვნელოვანი ფაქტორია გასათვალისწინებელი. პირველ რიგში რუსეთის ფაქტორი, საგულისხმოა ის ფაქტი, რომ თურქეთი დაკარგავს გავლენას ახლო აღმოსავლეთში შესაძლოა აგრესიულად მოიქცეს შავი ზღვის რეგიონში, მათ შორის საქართველოს მიმართულებით რათა მოახდინოს ძალების კომპენსირება. ყოველ შემთხვევაში, რუსეთის გავლენის შესუსტება სირიაში გამოიწვევს ძალების გადანაცვლებას და ეს შეიძლება მოხდეს სწორედ სამხრეთ კავკასიის რეგიონში. ამას ემატება ის ფაქტიც, რომ სამხრეთ კავკასიის რეგიონში საგრძნობლად გაიზარდა თურქეთის გავლენა, განსაკუთრებით 2020 წლიდან ყარაბაღის ომის შემდგომ¹⁵. სირიაში რეჟიმის ცვლილების შემდეგ თურქეთის როლს კიდევ უფრო გაზრდის, რამაც შეიძლება გამოიწვიოს რუსეთის ჩართულობა. მართალია მოსკოვს სომხეთ-აზერბაიჯანის ბოლო კონფლიქტის შემდგომ სამხრეთ კავკასიაში შესუსტებული აქვს პოზიციები, თუმცა თურქეთის მზარდი გავლენა სწორედ რომ გახდეს რუსეთის კვლავ შემობრუნების მიზეზი კავკასიის მიმართულებით. კიდევ ერთი ფაქტორი, რომელიც საჭიროებს ყურადღებას არის ის, რომ სირიის კონფლიქტის დასრულების ფონზე სირიაში სამოქალაქო ომის დროს მოქმედი ექსტრემისტული ჯგუფები შესაძლოა მიგრირდნენ ახალ ადგილებში, განსაკუთრებით ასადის მხარდამჭერი ჯგუფები, ეძებონ ახალი ადგილები და თავშესაფრები რეგიონში სადაც უსაფრთხოების კონტროლი სუსტია და გეოგრაფიულად ახლოს არის სირიასთან - კავკასია კი ასეთი რისკის შემცველია.

გარდა ზემოთაღნიშნულისა ასადის რეჟიმის დასრულება საქართველოსთვის საინტერესოა იმ კუთხითაც, რომ მოსკოვის დაჟინებული მოთხოვნითა და ზეწოლით ასადის რეჟიმმა 2018 წლის 29 მაისს აღიარა საქართველოს ოკუპირებული რეგიონების - ცხინვალის რეგიონისა და აფხაზეთის ე.წ. „დამოუკიდებლობა“. ცოტა მოგვიანებით აფხაზეთის ე.წ. მთავრობამ სირიაში ე.წ. „საელჩოც“ გახსნა თუმცა ასადის რეჟიმის დასრულების შემდეგ, რუსეთმა ამ „საელჩოს“ ევაკუაცია განახორციელა.¹⁶ რეჟიმის ცვლილების შემდეგ წაიღეს თუარა ამ „აღიარებას“ სირიის ახალი მთავრობა ამ დროისთვის უცნობია.

ამასთან, აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ახლო აღმოსავლეთში მზარდი დამაბულობისა და მოსალოდნელი კონფლიქტების გამო საქართველო და სამხრეთ კავკასია რჩება შუა დერეფნის ერთად ერთ უსაფრთხო ნაწილად და აქ - სამხრეთ კავკასიაში უსაფრთხოების განმტკიცებამ, შეიძლება ხელი შეუწყოს იმას, რომ საქართველო გახდეს ახალი ენერგეტიკული პროექტების დერეფანი ევროპისათვის.

დასკვნა

ამრიგად, სირიაში ბაშარ ალ-ასადის რეჟიმის ცვლილება წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე კომპლექსურ და სენსიტიურ გეოპოლიტიკურ საკითხს, რომელიც სცილდება სირიის შიდა პოლიტიკის ფარგლებს და გადადის რეგიონულ და გლობალურ სტრატეგიულ ინტერესთა ველში. ეს მოვლენა ახალი მსოფლიო წესრიგის ჩამოყალიბების მნიშვნელოვან გეოპოლიტიკურ ცვლილებად შეიძლება შეფასდეს. რეჟიმის შენარჩუნება და დაცემა დიდწილად დამოკიდებული იყო ისეთ რეგიონულ და გლობალურ მოთამაშეებზე, როგორიცაა, რუსეთი, აშშ, ირანი, ისრაელი საუდის არაბეთი და დასავლეთის ქვეყნები. სტატიის ფარგლებში განხილული საკითხები აჩვენებს, რომ რეჟიმი რაცარუნდა მტკიცე იყოს, შეიძლება გახდეს მოწყვლადი შიდა და გარე აქტორების ინტერესთა ცვლილებების შემთხვევაში. ამჟამად მიმდინარე პოლიტიკურ ტრანზიციასზე ბევრი რამე იქნება დამოკიდებული, როგორც რეგიონის ასევე მსოფლიო გეოპოლიტიკურ თამაშებში რა როლს შეასრულებს სირია. ამასთან მომავალი დაკვირვების საგანია, შეინარჩუნებს თუარა ახალი ხელისუფლება სტაბილურობას, შექმნის

15 Irakli Sirbiladze, „Russia in the South Caucasus Amid the War.” The End of Russia’s “Unipolar Moment” in the South Caucasus. German Marshall Fund of the United States, 2024. <http://www.jstor.org>

16 ზ. ბატიამვილი, „ასადის რეჟიმის დამხობა, მხარეთა პოზიციები, მოგებულები და წაგებულები,” რონდელის ბლოგი, 27.12.2024. <https://surl.gd/wlwxsz> (გადამოწმებულია 07.05.2025)

თურა პირობებს ლტოლვილთა უკან დასაბრუნებლად და გააგრძელებს თურა ადამიანის უფლებების დაცვას ისე, როგორც ეს მათ განცხადებებშია ასახული.

საქართველოსთვის, როგორც სამხრეთ კავკასიის მცირე სახელმწიფოსთვის მნიშვნელოვანია სირიის გეოპოლიტიკური ტრანსფორმაცია, იმის გათვალისწინებით, რომ თურქეთსა და ირანის რეგიონული პოლიტიკის ცვლილება ავტომატურად აისახება სამხრეთ კავკასიაში ძალთა გადაადგილებაზე. ამასთანავე, სირიის ავტორების ახალი კონფიგურაცია შესაძლოა საჭიროებდეს უსაფრთხოების რეგიონული არქიტექტურის გადახედვას, სადაც საქართველომ უნდა იმოქმედოს როგორც პროაქტიური მოთამაშე.

ბიბლიოგრაფია

- ბატიაშვილი, ზურაბ. «ასადის რეჟიმის დამხობა, მხარეთა პოზიციები, მოგებულები და წაგებულები.» Georgian Foundation for Strategic and International Studies, December 27, 2024. <https://gfsis.org>.
- კისინჯერი, ჰენრი. მსოფლიო წესრიგი. თარგმნილია მაია ფანჯიკიძის მიერ. თბილისი: ინტელექტი, 2020.
- Loft, Ph. Syria after Assad: Consequences and Interim Authorities 2025. Research Briefing, 2025.
- Phillips, Christopher. The Battle for Syria: International Rivalry in the New Middle East. New Haven: Yale University Press, 2024.
- Reuters. “Syria’s Assad Flees as Rebel Forces Seize Control of Damascus.” Reuters, 2024. <https://www.reuters.com>.
- Sirbiladze, Irakli. “Russia in the South Caucasus Amid the War.” In The End of Russia’s ‘Unipolar Moment’ in the South Caucasus, German Marshall Fund of the United States, 2024. <http://www.jstor.org>.
- United Nations Security Council. Reports on Syria. 2024–2025. <https://www.un.org/securitycouncil>.
- Arab Center, Washington, DC. Turkey and the Transition to a Post-Assad Regime in Syria. 2024.
- Georgia’s Ministry of Foreign Affairs (2022). Annual Security Review and Regional Challenges. www.mfa.gov.ge

საქართველოს საგარეო პოლიტიკა ჩინეთისა და ახლო აღმოსავლეთის ურთიერთქმედების ფონზე

ვიცე პოლკოვნიკი ლევან გოზალიშვილი

სსიპ-დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს
ეროვნული თავდაცვის აკადემიის
მაგისტრატურის უსაფრთხოების კვლევების მიმართულების უფროსი,
სტუ-ს საერთაშორისო ურთიერთობების პროგრამის დოქტორანტი

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომი იკვლევს საქართველოს საგარეო პოლიტიკის შესაძლებლობებსა და გამოწვევებს ჩინეთისა და ახლო აღმოსავლეთის მზარდი ურთიერთქმედების ფონზე. გლობალური ძალთა ბალანსის ტრანსფორმაციის პირობებში, საქართველო - როგორც მცირე სახელმწიფო, თუმცა სტრატეგიულ გეოგრაფიული მდებარეობით იმყოფება რთული საგარეო პოლიტიკური არჩევანის წინაშე. კვლევა აანალიზებს, თუ როგორ მოქმედებს ჩინეთის “სარტყელისა და გზის” ინიციატივა და ახლო აღმოსავლეთში მისი გაძლიერებული პოზიციები საქართველოს გეოპოლიტიკურ მდგომარეობაზე.

ნაშრომი იკვლევს საქართველოს წინაშე არსებულ დილემას - ევროატლანტიკური ინტეგრაციის კურსის შენარჩუნებასა და ჩინეთისა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებთან ეკონომიკური თანამშრომლობის გაღრმავებას შორის ბალანსის მოძებნის აუცილებლობას. თვისებრივი და რაოდენობრივი ანალიზის საფუძველზე, კვლევა ავლენს, რომ საქართველოს ეროვნული უსაფრთხოება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული პრაგმატული საგარეო პოლიტიკური ბალანსირების უნარზე.

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ საქართველოსთვის ოპტიმალური საგარეო პოლიტიკის მოდელია „ბალანსირების სტრატეგია“, რომელიც გულისხმობს დასავლეთთან პოლიტიკური და უსაფრთხოების თანამშრომლობის პრიორიტეტიზაციას, პარალელურად კი ჩინეთთან და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებთან ეკონომიკური ურთიერთობების პრაგმატულ განვითარებას იმ სფეროებში, რომლებიც არ ეწინააღმდეგება საქართველოს სტრატეგიულ ინტერესებს. ნაშრომის ბოლოს წარმოდგენილია კონკრეტული რეკომენდაციები და დასკვნები, მათ შორის ინსტიტუციური მექანიზმების გაძლიერება, გამჭვირვალე საინვესტიციო გარემოს შექმნა და შიდაპოლიტიკური კონსენსუსის მიღწევა საგარეო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებზე.

კვლევის სიახლე მდგომარეობს საქართველოს საგარეო პოლიტიკის მრავალგანზომილებიან ანალიზში, რომელიც განიხილავს არა მხოლოდ ტრადიციულ დასავლურ-რუსულ დიქტომიას, არამედ მზარდი ჩინური ფაქტორის გავლენას რეგიონულ და გლობალურ დინამიკაზე. ნაშრომი წარმოადგენს მნიშვნელოვან თეორიულ და პრაქტიკულ წვლილს საქართველოს უსაფრთხოებისა და საგარეო პოლიტიკის კვლევების სფეროში.

საკვანძო სიტყვები: საქართველოს საგარეო პოლიტიკა, ჩინეთი, ახლო აღმოსავლეთი, სარტყელისა და გზის ინიციატივა, დაბალანსების სტრატეგია.

GEORGIAN FOREIGN POLICY IN THE CONTEXT OF CHINA AND THE MIDDLE EAST INTERACTION

Lieutenant Colonel Levan Gozalishvili

Chief of Master Program in Security Study of
LEPL-David Aghmashenebeli National Defense Academy of Georgia
Doctoral student of the International Relations Program at GTU

Abstract

This paper examines the opportunities and challenges facing Georgia's foreign policy against the backdrop of China's growing interactions with the Middle East. In the context of a transforming global balance of power, Georgia, as a small state with a strategic geographical location, faces complex foreign policy choices. The study analyzes how China's "Belt and Road Initiative" and its strengthened position in the Middle East impact Georgia's geopolitical situation.

The paper investigates the dilemma facing Georgia - the necessity of finding a balance between maintaining its Euro-Atlantic integration course and deepening economic cooperation with China and Middle Eastern countries. Based on qualitative and quantitative analysis, the research reveals that Georgia's national security significantly depends on its ability to conduct pragmatic foreign policy balancing.

The study concludes that the optimal foreign policy model for Georgia is a "balancing strategy," which entails prioritizing political and security cooperation with the West while pragmatically developing economic relations with China and Middle Eastern countries in areas that do not contradict Georgia's strategic interests. The paper concludes with specific recommendations and conclusions, including strengthening institutional mechanisms, creating a transparent investment environment, and achieving domestic political consensus on key foreign policy directions.

The novelty of the research lies in the multidimensional analysis of Georgia's foreign policy, which examines not only the traditional Western-Russian dichotomy but also the influence of the growing Chinese factor on regional and global dynamics. The work represents an important theoretical and practical contribution to the field of research on Georgia's security and foreign policy.

Keywords: Georgian foreign policy, China, Middle East, Belt and Road Initiative, balancing strategy.

შესავალი

21-ე საუკუნეში საერთაშორისო ურთიერთობების სისტემა მნიშვნელოვან ტრანსფორმაციას განიცდის. ერთპოლუსიანი მსოფლიო თანდათან იცვლება მულტიპოლარული სისტემით, სადაც ახალი ძალების აღმავლობა, განსაკუთრებით ჩინეთის, მნიშვნელოვან გავლენას ახდენს გლობალურ გეოპოლიტიკურ და გეოეკონომიკურ ლანდშაფტზე.¹ ახლო აღმოსავლეთი, როგორც სტრატეგიული ენერგორესურსების და სატრანზიტო დერეფნების რეგიონი, ჩინეთის საგარეო პოლიტიკის მზარდ ინტერესს წარმოადგენს. მეორე მხრივ, ამ რეგიონში ტრადიციულად ძლიერია დასავლეთის გავლენა, რაც ქმნის კომპლექსურ გეოპოლიტიკურ გარემოს.

საქართველო, როგორც მცირე სახელმწიფო სტრატეგიულად მნიშვნელოვან გეოგრაფიულ მდებარეობით, იძულებულია მოახდინოს ადაპტაცია ამ ცვალებად გარემოსთან. ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოება კრიტიკულად არის დამოკიდებული მის უნარზე, განახორციელოს პრაგმატული საგარეო პოლიტიკური ბალანსირება დასავლელ სტრატეგიულ პარტნიორებთან თანამშრომლობის გაღრმავებასა და ახლო აღმოსავლეთის რეგიონში ჩინეთის მზარდი ეკონომიკური და გეოპოლიტიკური გავლენის კონტექსტში. ეს ორმხრივი მიდგომა უზრუნველყოფს ქვეყნის გრძელვადიან სტაბილურობას რთულ რეგიონულ გარემოში.

წინამდებარე ნაშრომის მიზანია გამოიკვლიოს საქართველოს საგარეო პოლიტიკის გამოწვევები და შესაძლებლობები ჩინეთისა და ახლო აღმოსავლეთის ურთიერთქმედების ფონზე, გაანალიზოს ბალანსირების არსებული სტრატეგიის ეფექტურობა და შეიმუშაოს რეკომენდაციები საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების გაძლიერებისთვის. ნაშრომი სტრუქტურირებულია შემდეგნაირად: პირველ ნაწილში წარმოდგენილია თეორიული ჩარჩო და მეთოდოლოგია, შემდეგ განხილულია საქართველოს გეოპოლიტიკური მდგომარეობა, დასავლეთთან ურთიერთობების მნიშვნელობა, ჩინეთის გავლენა ახლო აღმოსავლეთში და მისი შედეგები საქართველოსთვის. ნაშრომის ბოლო ნაწილში წარმოდგენილია ბალანსირების სტრატეგიის ანალიზი, რეკომენდაციები და დასკვნა.

თეორიული ჩარჩო და მეთოდოლოგია

ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია მცირე სახელმწიფოებისთვის მნიშვნელოვნად განსხვავდება დიდი ძალებისგან. მცირე სახელმწიფოები, როგორცაა საქართველო, ხშირად დგანან დილემის წინაშე - როგორ უზრუნველყონ საკუთარი სუვერენიტეტი და უსაფრთხოება შეზღუდული რესურსების პირობებში და დიდი ძალების გეოპოლიტიკური ინტერესების გადაკვეთაზე.² ამ კონტექსტში, ბალანსირების პოლიტიკა წარმოადგენს არა მხოლოდ თეორიულ მოდელს, არამედ პრაქტიკულ სტრატეგიას გადარჩენისა და განვითარებისთვის.

საერთაშორისო ურთიერთობების თეორიაში ბალანსირების სტრატეგია გულისხმობს სახელმწიფოს მიერ ძალთა ბალანსის შექმნას კონკურენტ ძალებს შორის, რათა თავიდან აიცილოს რომელიმე მათგანზე გადამეტებული დამოკიდებულება.³ მცირე სახელმწიფოებისთვის ეს შეიძლება გამოიხატოს სხვადასხვა ძალებთან მრავალმხრივი თანამშრომლობის განვითარებით, ნეიტრალიტეტის პოლიტიკით, ან რეგიონული ინტეგრაციის მექანიზმებში მონაწილეობით.

ამ კვლევაში გამოყენებულია როგორც თვისებრივი, ისე რაოდენობრივი მეთოდები. თვისებრივი ანალიზი ეფუძნება საქართველოს საგარეო პოლიტიკის დოკუმენტების, ოფიციალური განცხადებებისა და ექსპერტული შეფასებების შესწავლას. რაოდენობრივი ანალიზი მოიცავს სავაჭრო, საინვესტიციო და ეკონომიკური თანამშრომლობის მონაცემებს საქართველოს, დასავლეთის, ჩინეთისა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებს შორის.

1 Allison Graham, „The New Spheres of Influence: Sharing the Globe with Other Great Powers,“ (Foreign Affairs 2020), 30-40.

2 Giorgi Gvalia, David Siroky, Bidzina Lebnidze, and Zurab Iashvili. „Thinking Outside the Bloc: Explaining the Foreign Policies of Small States.“ (Security Study 2013), 98-131.

3 Stephen M. Walt, „Alliance Formation and the Balance of World Power.“ (International Security 1985), 3-43.

ძირითადი ნაწილი

I. საქართველოს გეოპოლიტიკური მდგომარეობა

საქართველოს გეოპოლიტიკური მდგომარეობა განისაზღვრება მისი სტრატეგიული მდებარეობით შავი ზღვის რეგიონში, კასპიის ზღვასა და ახლო აღმოსავლეთს შორის. ეს მდებარეობა ისტორიულად ანიჭებდა ქვეყანას მნიშვნელოვან სატრანზიტო ფუნქციას, თუმცა ამავდროულად მას აქცევდა რეგიონული და გლობალური ძალების ინტერესთა შეჯახების ეპიცენტრში.⁴

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, საქართველომ აირჩია პროდასავლური საგარეო პოლიტიკური კურსი, რაც ნათლად აისახა ევროკავშირსა და ნატოსთან დაახლოების მისწრაფებებში. თუმცა, აღნიშნული კურსი სერიოზულ გამოწვევებს წააწყდა, განსაკუთრებით რუსეთის მხრიდან, რომლის წინააღმდეგობამ პიკს 2008 წლის აგვისტოს ომის პერიოდში მიაღწია, აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ოკუპაციის ფორმით.⁵ საქართველოსთვის ოკუპირებული ტერიტორიები წარმოადგენს უსაფრთხოების მუდმივ გამოწვევას, რომელიც ზღუდავს ქვეყნის საგარეო პოლიტიკურ მანევრირების უნარს და კომპლექსურ გავლენას ახდენს მის საერთაშორისო ურთიერთობებზე.

მიუხედავად არსებული გამოწვევებისა, საქართველო ინარჩუნებს ევროატლანტიკური ინტეგრაციის კურსს როგორც სტრატეგიულ მიზანს. ამავდროულად, 2010-იანი წლებიდან საქართველო აქტიურად ცდილობს ეკონომიკური ურთიერთობების დივერსიფიკაციას, მათ შორის ჩინეთთან და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებთან თანამშრომლობის გაღრმავებით.⁶ ეს მიდგომა ასახავს ქვეყნის მცდელობას, მოახდინოს ბალანსირება გეოპოლიტიკურ რეალობასთან და უზრუნველყოს მისი ეკონომიკური და პოლიტიკური უსაფრთხოება.

II. დასავლური პარტნიორობის მნიშვნელობა საქართველოსთვის

დასავლეთთან სტრატეგიული პარტნიორობა საქართველოსთვის წარმოადგენს როგორც იდეოლოგიურ არჩევანს, ისე პრაგმატულ აუცილებლობას. ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებისა და ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA) ხელმოწერამ 2014 წელს მნიშვნელოვნად გააძლიერა საქართველოს ეკონომიკური ინტეგრაცია ევროპასთან.⁷ 1992 წლიდან ევროკავშირი საქართველოს უმსხვილესი დონორი და ყველაზე დიდი სავაჭრო პარტნიორია. ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში, საქართველომ ევროკავშირის ყველა პარტნიორს შორის ერთ-ერთი ყველაზე მაღალი დონის დახმარება მიიღო ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით.⁸ ევროკავშირის მხარდაჭერა საქართველოს მიმართ ყოველთვის ორიენტირებული იყო საქართველოში მცხოვრები მოსახლეობის ცხოვრების ხარისხის ხელშეწყობისა და თვალსაჩინო გზით გაუმჯობესებაზე.

უსაფრთხოების სფეროში საქართველოს ნატოსთან თანამშრომლობა მოიცავს სხვადასხვა პროგრამებს, მათ შორის ნატო - საქართველოს არსებით პაკეტს (SNGP), რომელიც მიზნად ისახავს საქართველოს თავდაცვითი შესაძლებლობების გაძლიერებას.⁹ საქართველო

4 Cornel Svante E. and Frederik Starr „The Guns of August 2008: Russia's War in Georgia.” (Armonk, NY: M.E. Sharpe, 2009).

5 Ronald Asmus, „A Little War That Shook the World: Georgia, Russia, and the Future of the West.” (New York: Palgrave Macmillan, 2010).

6 Kornely Kakachia, and Salome Minesashvili „Identity Politics: Exploring Georgian Foreign Policy Behavior,” (Journal of Eurasian Studies 2015), 171-180.

7 European Commission. “EU-Georgia Deep and Comprehensive Free Trade Area (DCFTA),” <https://0fj.cc/aOpuwzIHvJo> (ბოლო წვდომის თარიღი 28.04.2025 წ.).

8 THE EUROPEAN UNION IN GEORGIA, <https://eu4georgia.eu/the-european-union-in-georgia/> (ბოლო წვდომის თარიღი 28.04.2025 წ.).

9 ნატო-საქართველოს თანამშრომლობის ისტორია <https://infocenter.gov.ge/nato-georgia/nato-georgia-history/> (ბოლო წვდომის თარიღი 28.04.2025 წ.).

აქტიურად მონაწილეობდა ნატოს სამშვიდობო მისიებში, რაც ხაზს უსვამს მის წვლილს საერთაშორისო უსაფრთხოებაში და მზადყოფნას ალიანსში გაწევრიანებისთვის.

დასავლური ინსტიტუტების და ღირებულებების გავლენა საქართველოზე არ შემოიფარგლება მხოლოდ პოლიტიკური და ეკონომიკური ასპექტებით. დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარება, კანონის უზენაესობა და ადამიანის უფლებების დაცვა წარმოადგენს საქართველოს ევროპული ინტეგრაციის მნიშვნელოვან კომპონენტებს. თუმცა, ამჟამად (2025 წელი), საქართველოს საგარეო კურსი დასავლეთთან ურთიერთობაში გარკვეულ კრიზისს განიცდის. ბოლო პერიოდში გამოიკვეთა უთანხმოება ევროკავშირთან და ამერიკის შეერთებულ შტატებთან დემოკრატიული ღირებულებების, სასამართლო რეფორმის და საერთაშორისო სტანდარტების დაცვის საკითხებზე. გარკვეული კანონმდებლობა და პოლიტიკური გადაწყვეტილებები დასავლელი პარტნიორების კრიტიკის საგანი გახდა.

იუხედავად ამჟამინდელი დაძაბულობისა, დიდი ალბათობით საქართველო შეძლებს სიტუაციის ნორმალიზებას დასავლეთთან, რადგან ქვეყნის სტრატეგიული მიზანი ევროკავშირისა და ნატოში გაწევრიანება რჩება. ეკონომიკური, უსაფრთხოების და კულტურული ფაქტორები კვლავ მნიშვნელოვანი წინაპირობაა ამ ურთიერთობების შენარჩუნებისთვის. სავარაუდოდ, პოლიტიკური დიალოგი და კომპრომისები საშუალებას მისცემს საქართველოს, აღადგინოს და გააგრძელოს ახლო თანამშრომლობა დასავლელ პარტნიორებთან.

III. ჩინეთის მზარდი გავლენა ახლო აღმოსავლეთში

ჩინეთის გავლენა ახლო აღმოსავლეთში უკანასკნელი ათწლეულის განმავლობაში მნიშვნელოვნად გაიზარდა, რაც დაკავშირებულია „სარტყელისა და გზის“ ინიციატივის განხორციელებასთან. ეს მასშტაბური პროექტი, რომელიც 2013 წელს დაიწყო, მიზნად ისახავს სავაჭრო და ინფრასტრუქტურული კავშირების განვითარებას აზიას, ევროპასა და აფრიკას შორის.¹⁰ ახლო აღმოსავლეთი წარმოადგენს ამ ინიციატივის მნიშვნელოვან კომპონენტს, როგორც ენერგეტიკული რესურსების წყარო და სტრატეგიული სატრანზიტო დერეფანი.

ჩინეთის ეკონომიკური ჩართულობა რეგიონში გამოიხატება მზარდი სავაჭრო ურთიერთობებით და პირდაპირი უცხოური ინვესტიციებით. 2021 წლისთვის ჩინეთი გახდა სპარსეთის ყურის ქვეყნების უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი, ნავთობის იმპორტის მთავარი მიმართულება და მნიშვნელოვანი ინვესტორი რეგიონის ინფრასტრუქტურულ პროექტებში.¹¹ განსაკუთრებით აღსანიშნავია ჩინეთის სტრატეგიული პარტნიორობა ირანთან, რაც გამოიხატება 25-წლიანი თანამშრომლობის ხელშეკრულებით, რომელიც მოიცავს 400 მილიარდ დოლარზე მეტი ინვესტიციის განხორციელებას ირანის ენერგეტიკულ და სატრანსპორტო სექტორებში.¹²

ჩინეთის სტრატეგიული ინტერესები რეგიონში არ შემოიფარგლება მხოლოდ ეკონომიკური ასპექტებით. ბოლო წლებში აღინიშნება ჩინეთის მზარდი ჩართულობა პოლიტიკური და უსაფრთხოების მიმართულებით, რაც გამოიხატება შუამავლის როლით რეგიონულ კონფლიქტებში (მაგალითად, საუდის არაბეთსა და ირანს შორის ურთიერთობების ნორმალიზაციაში 2023 წელს) და სამხედრო თანამშრომლობის გაღრმავებით ცალკეულ ქვეყნებთან.¹³ ეს ტენდენცია წარმოადგენს გამოწვევას დასავლეთის ტრადიციული გავლენისთვის რეგიონში და ქმნის ახალ გეოპოლიტიკურ დინამიკას.

10 Ilan Alon, Zhang Wenxian, and Christopher Latteman, „China's Belt and Road Initiative: Changing the Rules of Globalization. Cham:” (Palgrave Macmillan, 2018).

11 U.S.-China Economic and Security Review Commission. „China's Activities and Influence in the Middle East, Central Asia, and South Asia.” (Annual Report to Congress, 2023).

12 Alex vatanka. „China's Great Game in Iran.” (Foreign Policy, 2019).

13 Jonathan Fulton, „China's Changing Role in the Middle East.” (Atlantic Council, 2023).

IV. ჩინეთ-ახლო აღმოსავლეთის ურთიერთქმედების გავლენა საქართველოზე

ჩინეთისა და ახლო აღმოსავლეთის ურთიერთქმედების გაღრმავება პირდაპირ გავლენას ახდენს საქართველოზე, როგორც პოტენციურ სატრანზიტო ქვეყანაზე „სარტყელისა და გზის“ ინიციატივის ფარგლებში. საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობა ანიჭებს მას სტრატეგიულ მნიშვნელობას შუა დერეფნის განვითარებაში, რომელიც აკავშირებს ჩინეთს ევროპასთან ცენტრალური აზიისა და ახლო აღმოსავლეთის გავლით.¹⁴

ეკონომიკური თვალსაზრისით, ეს ქმნის მნიშვნელოვან შესაძლებლობებს საქართველოსთვის. ბოლო წლებში გაიზარდა ჩინეთის ინვესტიციები საქართველოში, განსაკუთრებით სატრანსპორტო და ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის სფეროში.¹⁵ ამასთან, ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებიდან, განსაკუთრებით გაერთიანებული არაბთა საამიროებიდან, იზრდება ინვესტიციები საქართველოს უძრავი ქონების, ტურიზმისა და საფინანსო სექტორებში,¹⁶ იგივე შეიძლება ითქვას თურქეთზეც.¹⁷ თუმცა, ეს პროცესები წარმოშობს გარკვეულ გამოწვევებს საქართველოს უსაფრთხოებისთვის. ამ კონტექსტში, საქართველო შესაძლოა დადგეს შემდეგი გამოწვევების წინაშე:

პირველ რიგში, ჩინეთის მზარდი ეკონომიკური გავლენა შეიძლება გადაიზარდოს პოლიტიკურ გავლენაში, რაც გამოწვევას შეუქმნის საქართველოს პროდასავლურ საგარეო კურსს. მეორე, ჩინეთის მიერ ახლო აღმოსავლეთში პოზიციების გაძლიერება და რუსეთთან სტრატეგიული პარტნიორობა ქმნის პოტენციურად არახელსაყრელ გეოპოლიტიკურ კომბინაციას საქართველოსთვის. მესამე, ეკონომიკური დამოკიდებულების ზრდა ჩინეთზე შეიძლება გახდეს მოწყვლადობის წყარო საქართველოსთვის, იმ შემთხვევაში, თუ ეს დამოკიდებულება გამოყენებული იქნება პოლიტიკური ზეწოლის ინსტრუმენტად. მეოთხე, სტრატეგიული ობიექტების უცხოური კონტროლი, განსაკუთრებით ენერგეტიკისა და ტრანსპორტის სფეროებში, შეიძლება პრობლემატური გახდეს ეროვნული უსაფრთხოებისთვის და ბოლოს, არსებობს რისკი, რომ საქართველო აღმოჩნდეს დიდი გეოპოლიტიკური მოთამაშეების ინტერესთა კონფლიქტში, განსაკუთრებით როცა საქმე ეხება ჩინეთის ინიციატივებს რეგიონში.

V ბალანსირების სტრატეგიის ანალიზი და პერსპექტივები

საქართველოს არსებული საგარეო პოლიტიკური სტრატეგია, რომელიც ცდილობს შეათავსოს ევროატლანტიკური ინტეგრაცია და ეკონომიკური თანამშრომლობის გაღრმავება ჩინეთთან და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებთან, წარმოადგენს პრაგმატული ბალანსირების მცდელობას. თუმცა, ამ სტრატეგიის ეფექტურობა შეზღუდულია რამდენიმე ფაქტორით.

პირველ რიგში, საქართველოს შეზღუდული ეკონომიკური და პოლიტიკური რესურსები ართულებს სრულფასოვან ბალანსირებას დიდ ძალებს შორის. მეორე, რუსეთის მიერ ტერიტორიების ოკუპაცია წარმოადგენს მუდმივ საფრთხეს, რომელიც ზღუდავს საქართველოს საგარეო პოლიტიკურ არჩევანს. მესამე, დასავლეთსა და ჩინეთს შორის მზარდი კონკურენცია და დაძაბულობა ართულებს საქართველოს პოზიციას, რადგან ქვეყანა შეიძლება იძულებული გახდეს მკაფიო არჩევანი გააკეთოს.

საერთაშორისო გამოცდილება აჩვენებს, რომ მცირე სახელმწიფოები ხშირად იყენებენ სხვადასხვა ბალანსირების მოდელებს. მაგალითად, ბალტიისპირეთის ქვეყნებმა აირჩიეს მკაფიო დასავლური ორიენტაცია და ნატოს წევრობით უზრუნველყვეს თავიანთი უსაფრთხოება, თუმცა ამავდროულად ინარჩუნებენ ეკონომიკურ კავშირებს ჩინეთთან.¹⁸ ცენტრალუ-

14 Revaz Topuria., “Georgia: The Key to China’s ‘Belt and Road’.” (The Diplomat, 2016).

15 გიორგი ქართველიშვილი, „გლობალური ჩინეთი და საქართველო“ (ინდიგო 2023).

16 UNITED ARAB EMIRATES MINISTRY OF FOREIGN AFFAIRS „Economic“.

17 Mariam mtivlishvili „Turkey becomes the main investor country of Georgia“ (GEORGIA TIDAY, 2024).

18 PISM „Prospects for Cooperation between the Baltic States and China,” <https://abrvin/hRnZ> (ბოლო წვდომის თარიღია 29.04.2025 წ.).

რი აზიის ქვეყნები, მათ შორის განსაკუთრებით ყაზახეთი ახორციელებს „მრავალვექტორულ“ საგარეო პოლიტიკას, რომელიც ცდილობს ბალანსის დაცვას რუსეთს, ჩინეთსა და დასავლეთს შორის. ცენტრალური აზიის ქვეყნების ოფიციალურ საგარეო პოლიტიკურ დოქტრინებში მრავალვექტორული მიდგომა ფუნდამენტურია. ეს ნიშნავს, რომ ქვეყნები ცდილობენ, არ მისცენ უპირატესობა რომელიმე ერთ დიდ ძალას, არამედ გაამდიერონ ურთიერთობები ყველა მთავარ გლობალურ მოთამაშესთან-რუსეთთან, ჩინეთთან, დასავლეთთან (აშშ, ევროკავშირი) და თურქეთთან.¹⁹

ცენტრალური აზიის ქვეყნების, მრავალვექტორული საგარეო პოლიტიკა არის მოქნილი და პრაგმატული პასუხი გლობალურ ძალთა კონკურენციაზე. ეს მიდგომა მათ აძლევს საშუალებას, შეინარჩუნონ სუვერენიტეტი, მიიღონ ეკონომიკური სარგებელი და თავიდან აიცილონ ერთი ძალისადმი გადაჭარბებული დამოკიდებულება.

საქართველოსთვის საგარეო პოლიტიკური კურსის ოპტიმალური მოდელი შეიძლება იყოს ეგრედ წოდებული „ბალანსირების სტრატეგია“, რომელიც შესაძლოა მოიცავდეს ძლიერი პოლიტიკური და უსაფრთხოების კავშირების შენარჩუნებას დასავლეთთან, განსაკუთრებით ნატოსა და ევროკავშირთან, რაც უზრუნველყოფს ქვეყნის სტრატეგიულ უსაფრთხოებას და საერთაშორისო მხარდაჭერას. ამავდროულად, ეკონომიკური თანამშრომლობის პრაგმატულ განვითარებას ისეთ ქვეყნებთან, როგორიც არის ჩინეთი და ახლო აღმოსავლეთის სახელმწიფოები იმ სფეროებში, რომლებიც არ ეწინააღმდეგება საქართველოს სტრატეგიულ ინტერესებს და არ ქმნის პოლიტიკური ან უსაფრთხოების რისკებს. ეს მოდელი საშუალებას მისცემს საქართველოს მაქსიმალურად გამოიყენოს სხვადასხვა საერთაშორისო პარტნიორის შესაძლებლობები და შეინარჩუნოს სუვერენიტეტი მრავალმხრივი გეოპოლიტიკური გამოწვევების ფონზე.

ზემოაღნიშნული მიდგომა ითვალისწინებს, რომ საქართველო არ უნდა იყოს ერთპიროვნულად მიბმული რომელიმე დიდ ძალასთან, არამედ უნდა შეძლოს მოქნილი და თანაბრად სარგებლიანი ურთიერთობების განვითარება, რაც ხელს შეუწყობს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას, უსაფრთხოების გაძლიერებას და რეგიონულ სტაბილურობას.

VI. რეკომენდაციები

საქართველოს მთავრობისთვის შეიძლება შემუშავდეს შემდეგი რეკომენდაციები ბალანსირების ეფექტური სტრატეგიის განსახორციელებლად:

- 1. საგარეო პოლიტიკის დივერსიფიკაცია:** საქართველომ სასურველია შეინარჩუნოს ევროატლანტიკური ინტეგრაციის სტრატეგიული კურსი, მაგრამ ამავდროულად გააღრმავოს დიპლომატიური ურთიერთობები ჩინეთთან და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებთან არაპოლიტიზირებულ სფეროებში, როგორიცაა კულტურა, განათლება და მეცნიერება.
- 2. ეკონომიკური თანამშრომლობის დივერსიფიკაცია:** მნიშვნელოვანია სავაჭრო და საინვესტიციო ურთიერთობების დაბალანსებული განვითარება, რათა თავიდან იქნას აცილებული გადამეტებული ეკონომიკური დამოკიდებულება რომელიმე მხარეზე. პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს ისეთ სფეროებს, როგორიცაა მწვანე ენერგეტიკა, ციფრული ეკონომიკა და ტრანსპორტი.
- 3. ინსტიტუციური მექანიზმების განვითარება:** უმნიშვნელოვანესია საქართველოს სახელმწიფო ინსტიტუტების გაძლიერება, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან უცხოური ინვესტიციების შეფასებასა და მონიტორინგზე, რათა უზრუნველყოფილ იქნას მათი შესაბამისობა ეროვნული უსაფრთხოების ინტერესებთან.

¹⁹ Eldar Mamedov, and Svetlana TKach., “Multi-Vectorial Approach as the Key Model of Central Asian Countries’ (Foreign Policy.” *Mezhdunarodnaya Zhizn* , 2023).

4. **უსაფრთხოების სექტორის რეფორმირება:** საქართველომ მნიშვნელოვანია გააგრძელოს თავდაცვითი შესაძლებლობების გაძლიერება ნატოსთან თანამშრომლობის ფარგლებში, განსაკუთრებული აქცენტით კიბერუსაფრთხოებაზე, ჰიბრიდული საფრთხეების წინააღმდეგ ბრძოლასა და კრიტიკული ინფრასტრუქტურის დაცვაზე.
5. **რეგიონული თანამშრომლობის გაღრმავება:** საქართველომ სასურველია განავითაროს მჭიდრო თანამშრომლობა სხვა რეგიონულ აქტორებთან, როგორცაა აზერბაიჯანი და თურქეთი, რათა გააძლიეროს თავისი პოზიციები, როგორც სატრანზიტო ქვეყნისა და ენერგეტიკული დერეფნის ცენტრალური რგოლის, რაც ხელს შეუწყობს ეკონომიკური განვითარების გაძლიერებას, ენერგოუსაფრთხოების უზრუნველყოფასა და გეოპოლიტიკური მნიშვნელობის ზრდას.
6. **გამჭვირვალე საინვესტიციო გარემოს შექმნა:** მნიშვნელოვანია შემუშავდეს მკაფიო კრიტერიუმები და პროცედურები უცხოური ინვესტიციების, განსაკუთრებით ჩინეთიდან მომავალი ინვესტიციების, შეფასებისთვის მათი პოტენციური გავლენის თვალსაზრისით ეროვნულ უსაფრთხოებაზე.
7. **საზოგადოებრივი დიპლომატიის გაძლიერება:** საქართველომ სასურველია გააძლიეროს საზოგადოებრივი დიპლომატიის ძალისხმევა ჩინეთსა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში, რათა წახალისოს ორმხრივი კულტურული გაცვლები, ტურიზმი და ბიზნეს კონტაქტები.
8. **პოლიტიკური კონსენსუსის ჩამოყალიბება:** მნიშვნელოვანია შიდაპოლიტიკური კონსენსუსის მიღწევა ძირითად საგარეო პოლიტიკურ პრიორიტეტებზე, რათა პოლიტიკური ცვლილებების მიუხედავად უზრუნველყოფილი იყოს საგარეო პოლიტიკის მდგრადობა.

დასკვნა

საქართველოს უსაფრთხოება ჩინეთისა და ახლო აღმოსავლეთის ურთიერთქმედების ფონზე წარმოადგენს კომპლექსურ გამოწვევას, რომელიც მოითხოვს მრავალგანზომილებიან მიდგომას. ჩინეთის მზარდი გავლენა ახლო აღმოსავლეთში ქმნის როგორც შესაძლებლობებს, ისე რისკებს საქართველოსთვის. ერთი მხრივ, საქართველოს შეუძლია ისარგებლოს თავისი სტრატეგიული მდებარეობით და გახდეს მნიშვნელოვანი სატრანზიტო კვანძი „სარტყელისა და გზის“ ინიციატივის ფარგლებში. მეორე მხრივ, არსებობს რისკები, რომ გადამეტებული ეკონომიკური დამოკიდებულება ჩინეთზე შეიძლება გადაიზარდოს პოლიტიკურ გავლენაში და შეუქმნას საფრთხე საქართველოს პროდასავლურ საგარეო კურსს.

კვლევამ აჩვენა, რომ საქართველოს ეროვნული უსაფრთხოება კრიტიკულად არის დამოკიდებული მის უნარზე, განახორციელოს პრაგმატული საგარეო პოლიტიკური ბალანსირება დასავლელ სტრატეგიულ პარტნიორებთან თანამშრომლობის გაღრმავებასა და ახლო აღმოსავლეთში ჩინეთის მზარდი გავლენის კონტექსტში. ეს მოითხოვს გონივრულ მიდგომას, რომელიც უზრუნველყოფს ეკონომიკური შესაძლებლობების მაქსიმალურ გამოყენებას ეროვნული უსაფრთხოების ინტერესების დაზიანების გარეშე.

ოპტიმალური ბალანსირების სტრატეგია საქართველოსთვის გულისხმობს პოლიტიკური და უსაფრთხოების თანამშრომლობის პრიორიტეტიზაციას დასავლეთთან, ამავდროულად ეკონომიკური ურთიერთობების პრაგმატულ განვითარებას ჩინეთთან და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებთან. ამისთვის საჭიროა ინსტიტუციური მექანიზმების გაძლიერება, გამჭვირვალე საინვესტიციო გარემოს შექმნა და საგარეო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებზე შიდაპოლიტიკური კონსენსუსის მიღწევა.

სამომავლო კვლევები ამ მიმართულებით შეიძლება ფოკუსირდეს კონკრეტული

სექტორული თანამშრომლობის მექანიზმების შემუშავებაზე, რომლებიც უზრუნველყოფენ ოპტიმალურ ბალანსს ეკონომიკურ შესაძლებლობებსა და უსაფრთხოების რისკებს შორის. ასევე მნიშვნელოვანია საქართველოს გამოცდილების შედარებითი ანალიზი სხვა მცირე სახელმწიფოების გამოცდილებასთან, რომლებიც დგანან მსგავსი გეოპოლიტიკური გამოწვევების წინაშე.

ბიბლიოგრაფია

- გიორგი ქართველიშვილი, “გლობალური ჩინეთი და საქართველო” ინდიგო 2023 <https://indigo.com.ge/articles/globaluri-chineti> (ბოლო წვდომის თარიღი 29.04.2025 წ.).
- ნატო-საქართველოს თანამშრომლობის ისტორია <https://infocenter.gov.ge/nato-georgia/nato-georgia-history/> (ბოლო წვდომის თარიღი 28.04.2025 წ.).
- Allison, Graham. “The New Spheres of Influence: Sharing the Globe with Other Great Powers.” *Foreign Affairs*, 2020.
- Alon, Ilan, Wenxian Zhang, and Christopher Lattemann, eds. “China’s Belt and Road Initiative: Changing the Rules of Globalization.” Cham: Palgrave Macmillan, 2018.
- Asmus, Ronald D. “A Little War That Shook the World: Georgia, Russia, and the Future of the West.” New York: Palgrave Macmillan, 2010.
- Cornell, Svante E. and S. Frederick Starr, eds. “The Guns of August 2008: Russia’s War in Georgia.” Armonk, NY: M.E. Sharpe, 2009.
- European Commission. “EU-Georgia Deep and Comprehensive Free Trade Area (DCFTA).” <https://0fj.cc/aOpuwzIHvJo> (ბოლო წვდომის თარიღი 28.04.2025 წ.).
- Fulton, Jonathan. “China’s Changing Role in the Middle East.” Atlantic Council, June 2023.
- Gvalia, Giorgi, David Siroky, Bidzina Lebanidze, and Zurab Iashvili. “Thinking Outside the Bloc: Explaining the Foreign Policies of Small States.” *Security Studies*, 2013.
- Kakachia, Kornely and Salome Minesashvili. “Identity Politics: Exploring Georgian Foreign Policy Behavior.” *Journal of Eurasian Studies*, 2015.
- Mamedov, Eldar, and Svetlana Tkach. “Multi-Vectoral Approach as the Key Model of Central Asian Countries’ Foreign Policy.” *Mezhdunarodnaya Zhizn International Affairs*, 2023.
- Mtivlishvili Mariam “Turkey becomes the main investor country of Georgia” *GEORGIA TODAY*. 2024 <https://abr.v.in/h4nu> (ბოლო წვდომის თარიღი 30.04.2025 წ.).
- PISM “Prospects for Cooperation between the Baltic States and China” <https://abr.v.in/hRnZ> (ბოლო წვდომის თარიღი 29.04.2025 წ.).
- THE EUROPEAN UNION IN GEORGIA <https://eu4georgia.eu/the-european-union-in-georgia/> (ბოლო წვდომის თარიღი 28.04.2025 წ.).
- Topuria, Revaz “Georgia: The Key to China’s ‘Belt and Road’.” *The Diplomat*, April 28 2016.
- UNITED ARAB EMIRATES MINISTRY OF FOREIGN AFFAIRS “Economic Cooperation” <https://abr.v.in/eqpe> (ბოლო წვდომის თარიღი 29.04.2025 წ.).
- U.S.-China Economic and Security Review Commission. “China’s Activities and Influence in the Middle East, Central Asia, and South Asia.” *Annual Report to Congress*, 2023.
- Vatanka, Alex. “China’s Great Game in Iran.” *Foreign Policy*, September 5, 2019.
- Walt, Stephen M. “Alliance Formation and the Balance of World Power.” *International Security*, 1985.

რუსეთის XXI საუკუნის საგარეო პოლიტიკის თეორიული ანალიზი (საქართველოს მაგალითი)

ვიცე-პოლკოვნიკი ნიკოლოზ ხაჩიძე

სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის
საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის
ბაკალავრიატის ხელმძღვანელი,
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის
პოლიტიკის მეცნიერებების საგანმანათლებლო პროგრამის დოქტორანტი

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომი მიზნად ისახავს რუსეთის ფედერაციის საგარეო პოლიტიკის თეორიული ანალიზის განხორციელებას XXI საუკუნის კონტექსტში, სამხრეთ კავკასიის რეგიონისა და განსაკუთრებით საქართველოს მაგალითზე. საქართველოსთან მიმართებით რუსეთის პოლიტიკა ცხადყოფს იმ ტრანსფორმაციებს, რაც მას შემდეგ მოხდა, რაც სსრკ დაიშალა და რუსეთის ფედერაცია ახალი გეოპოლიტიკური რეალობის წინაშე დადგა. სტატია ეფუძნება საერთაშორისო ურთიერთობების წამყვან თეორიებს, რომელთა გამოყენება საშუალებას გვაძლევს გავიაზროთ რუსეთის ქცევის მოტივაცია, სტრატეგია და გავლენების მექანიზმები. ქვემოთ უოლცის ნეორეალისტური თეორია, რომელიც საერთაშორისო სისტემას ანარქიულ სტრუქტურად მიიჩნევს, გამოდგება ცენტრალურ ჩარჩოდ რუსეთის ქცევის ანალიზისთვის. ნეორეალიზმის თანახმად, სახელმწიფოები დამოუკიდებელი მოქმედი სუბიექტები არიან და მათი ძირითადი მიზანია უსაფრთხოების უზრუნველყოფა, რისთვისაც ძალის კონცენტრირება და გავლენის სფეროების გაფართოება გამოიყენება. ამ კონტექსტში, რუსეთის მიერ 2008 წელს საქართველოს ტერიტორიების – აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის (სამხრეთ ოსეთის) ოკუპაცია და შემდგომი ნაბიჯები, როგორცაა ე.წ. საზღვრის გადმოწევა და ჰიბრიდული ზეწოლა, წარმოჩინდება როგორც სახელმწიფო ინტერესების რაციონალური დაცვა გლობალურ ძალთა ბალანსის პირობებში.

გარდა ამისა, ნაშრომში გამოყენებულია რაციონალური აქტორის მოდელი, რომელიც ანალიზის საშუალებას გვაძლევს სახელმწიფოს გადაწყვეტილების მიღების პროცესზე. რუსეთის საგარეო პოლიტიკა ამ მოდელის მიხედვით განიხილება როგორც გააზრებული, სტრატეგიულად დაგეგმილი და ცივი გაანგარიშების შედეგი, რაც მეტყველებს იმაზე, რომ სახელმწიფოს ქმედებები ემყარება საგარეო ინტერესების მაქსიმიზაციის და მინიმალური დანაკარგების პრინციპებს. სტატიის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს აგრეთვე „თამაშების თეორიის“ გამოყენება (ჯონ ნიუმენის მიხედვით), რაც გვაჩვენებს საერთაშორისო ურთიერთობებს როგორც სტრატეგიულ თამაშს, სადაც მონაწილე სახელმწიფოები ცდილობენ მაქსიმალური უპირატესობის მოპოვებას. რუსეთის ქცევა რეგიონში, მათ შორის საქართველოს მიმართ, ახსნადია როგორც მრავალსფერიანი, გათვლილი თამაში, სადაც ყველა ნაბიჯი წინასწარ არის გაწერილი შესაძლო შედეგების გათვალისწინებით. მოცემული თეორიული ანალიზი საშუალებას იძლევა, უფრო ღრმად გავიაზროთ რუსეთის საგარეო პოლიტიკური ქცევის საფუძვლები და საქართველოზე განხორციელებული ზეწოლის მექანიზმები, რაც მნიშვნელოვანია როგორც მეცნიერების, ისე პრაქტიკული უსაფრთხოების პოლიტიკისთვის. საკვანძო სიტყვები: რუსეთის საგარეო პოლიტიკა, ნეორეალიზმი, ქვემოთ უოლცი, რაციონალური აქტორის მოდელი, თამაშების თეორია, საქართველო, სამხრეთ კავკასია, ოკუპაცია, გეოპოლიტიკა, საერთაშორისო უსაფრთხოება.

საკვანძო სიტყვები: რუსეთის საგარეო პოლიტიკა, ნეორეალიზმი, ქვემოთ უოლცი, რაციონალური აქტორის მოდელი, თამაშების თეორია, საქართველო, სამხრეთ კავკასია, ოკუპაცია, გეოპოლიტიკა, საერთაშორისო უსაფრთხოება.

THEORETICAL ANALYSIS OF RUSSIA'S FOREIGN POLICY IN THE 21ST CENTURY (THE EXAMPLE OF GEORGIA)

Lieutenant Colonel Nikoloz Khachidze

Head of Baccalaureate Program of
LEPL - David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia.
Doctoral student of Political Science Educational Program of
Caucasus International University

Abstract

The present work aims to implement a theoretical analysis of the foreign policy of the Russian Federation in the context of the XXI century, on the example of the South Caucasus region and especially Georgia. Russia's policy in relation to Georgia shows the transformations that have taken place since the USSR collapsed and the Russian Federation faced new geopolitical realities. The article is based on the leading theories of international relations, the use of which allows us to understand the motivation, strategy and mechanisms of Russian behavior. Kenneth Waltz's neorealist theory, which considers the international system's anarchic structure, is the central framework for the analysis of Russia's behavior. According to neorealism, states are independent active subjects and their main purpose is to ensure security, for which force concentration and spheres of influence expansion are used. In this context, Russia's 2008 occupation of Georgia's territories – Abkhazia and Tshkinvalis region (sam-khret osetis) and further steps, such as border crossings and hybrid pressures appear as rational protection of state interests in conditions of global power balance.

In addition, the rational actor model is used in the paper, which allows us to analyze the state's decision-making process. Russia's foreign policy according to this model is considered to be well-thought-out, strategically planned and the result of cold calculation, which shows that the state's actions are based on the principles of maximization of foreign interests and minimal losses. An important part of the article is also the use of "game theory" (according to John Newman), which shows international relations as a strategic game where participating states try to gain maximum advantage. Russia's behavior in the region, including towards Georgia, can be explained as a multi-step, calculated game, where every step is written in advance, taking into account the possible consequences. This theoretical analysis allows us to understand more deeply the foundations of Russia's foreign policy behavior and the pressure exerted on Georgia, which are important both for science and for practical security policy.

Keywords: Russian foreign policy, neorealism, Kenneth Waltz, rational actor model, game theory, Georgia, South Caucasus, occupation, geopolitics, international security.

შესავალი

საბჭოთა კავშირი მე-20 საუკუნის დასაწყისში შეიქმნა და წარმოადგენდა მსოფლიოს უდიდეს სახელმწიფოს. ეს იყო ფორმალურად მოკავშირე რესპუბლიკების გაერთიანება, თუმცა რეალურად ის წარმოადგენდა მოსკოვიდან ცენტრალიზებულად მართულ იმპერიას. საბჭოთა კავშირის პოლიტიკა და იდეოლოგია დამყარებული იყო მოსახლეობის ტოტალურ კონტროლზე, სიტყვა თავისუფლების მნიშვნელობა რეალურად არ არსებობდა საბჭოთა სისტემაში. მსგავსმა რეპრესიულმა პოლიტიკამ გამოიწვია უკმაყოფილების ეტაპობრივი ზრდა მოკავშირე რესპუბლიკების უმეტეს ნაწილში. გორბაჩოვმა სცადა იმპერია გარდაექმნა რეალურ დემოკრატიულ სახელმწიფოდ თუმცა ეს პროცესი 1991 წელს საბჭოთა კავშირის დაშლით დამთავრდა. უნდა ითქვას, რომ საბჭოთა კავშირის დაშლა ერთი მხრივ გამოიწვია დასავლეთის (აშშ, ნატო, ევრო კავშირი) გაძლიერებამ და მეორე მხრივ საბჭოთა კავშირის პროგრესულად მოაზროვნე ქვეყნების სწრაფვამ ევროპული განვითარებისკენ.

XXI საუკუნეში საბჭოთა კავშირის „მემკვიდრე“ რუსეთი იწყებს კრიზისიდან გამოსვლას და გაძლიერებას. რუსეთის გაძლიერებასთან ერთად იზრდება ნატოს და ევროკავშირის გავლენები პოსტსაბჭოთა სივრცის ქვეყნებზე, განსაკუთრებული მონდომებით ევროპული და ნატოს კურსით განვითარებისკენ მიისწრაფვის ბალტიისპირეთის ქვეყნები, საქართველო და უკრაინა. ეს მოცემულობა მნიშვნელოვნად შემაშფოთებელია რუსეთისთვის და ის ახდენს სამხედრო აგრესიის დემონსტრირებას საქართველოში.

საერთაშორისო საზოგადოება და მსოფლიოს დემოკრატიული ქვეყნები რუსეთის ქმედებებს განიხილავენ როგორც აგრესორის, ჰეგემონობის სურვილით აღსავსე ქვეყნის ქმედებას. ისინი აღნიშნავენ, რომ რუსეთის საგარეო პოლიტიკას კარგად ხსნის კლასიკური რეალიზმის თეორია, თუმცა რუსეთის აგრესიული საგარეო პოლიტიკა განხილული თუ იქნება მისი ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე შესაძლებელია ითქვას, რომ მათი მიზანი არა ჰეგემონობის სურვილი არამედ უსაფრთხოების შენარჩუნება და თვითგადარჩენაა. გამომდინარე აქედან ნაშრომის მიზანია ახსნას რუსეთის საგარეო პოლიტიკური კურსი ნეორეალიზმის თეორიის ჭრილში.

ძირითადი ნაწილი

ნეორეალიზმის მამამთავრად ითვლება მე-20 საუკუნეში მოღვაწე ამერიკელი მეცნიერი ქენეთ უოლცი. მის საყოველთაოდ აღიარებულ ნაშრომში „საერთაშორისო პოლიტიკის თეორია“, რომელიც 1979 წელს დაიწერა საუბარია საერთაშორისო ურთიერთობების მეცნიერულად შესწავლაზე. რეალიზმისგან განსხვავებით უოლცის ნეორეალიზმი აქცენტს ადამიანის ბუნების ფაქტორზე კი არ აკეთებს არამედ ფოკუსირებას ახდენს საერთაშორისო პოლიტიკის სტრუქტურაზე. ნეორეალიზმი არის სტრუქტურული თეორია, შესაბამისად თეორია აგებულია საერთაშორისო პოლიტიკის სტრუქტურაზე. უოლცი სტრუქტურას განსაზღვრისთვის იყენებს სამ ელემენტს: **მოწყობის პრინციპი, მონაწილე ელემენტები და ძალთა განაწილება**. მისი ახსნით მოწყობის პრინციპი ანარქიულია, ხოლო ელემენტებს სტრუქტურის მონაწილე საერთაშორისო ორგანიზაციები და სახელმწიფოები წარმოადგენენ. სტრუქტურაში ძალთა განაწილებას განსაზღვრავენ მთავარი მონაწილეები, ძლიერი სახელმწიფოები და არა საერთაშორისო ორგანიზაციები.¹

ქენეთ უოლცის ნეორეალიზმის მთავარი დაშვებები მდგომარეობს შემდეგში, პირველი, საერთაშორისო სისტემა ანარქიულია და სახელმწიფოები ამ სისტემის მთავარი ფაქტორები არიან. მეორე, სახელმწიფოთა მთავარი საზრუნავი ეროვნული ინტერესების დაცვა და თვითგადარჩენაზე ზრუნვაა. შესაბამისად სახელმწიფოების ქმედება აიხსნება

¹ ეკა აკობია, საერთაშორისო ურთიერთობების თეორია. სალექციო კურსი, გამომცემლობა, სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი 2006 წ.

არა მათი ჰეგემონობის სურვილით არამედ უსაფრთხოების უზრუნველყოფიდან გამომდინარე. 1959 წელს გამოცემულ ნაშრომში “ადამიანი სახელმწიფო და ომი” უოლცი გამოყოფს საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის სამ დონეს. ინდივიდი, სახელმწიფო და საერთაშორისო სისტემა. მოცემული დონეების მიხედვით ავტორი აყალიბებს ომის გამომწვევ მიზეზებს. ინდივიდის დონის მიხედვით ომს იწვევს ადამიანის ბნელი ბუნება და მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილებები. სახელმწიფო დონის მიხედვით ომის გამომწვევი მიზეზი სახელმწიფოს პოლიტიკური მოწყობაა. არადემოკრატიული სახელმწიფოები უფრო მეტად არიან მიდრეკილი კონფლიქტისკენ ვიდრე დემოკრატიული სახელმწიფოები. რადგან ნაშრომის მიზანია რუსეთის საგარეო პოლიტიკის თეორიული ანალიზის გაკეთება ყურადღება უნდა გამახვილდეს საერთაშორისო სისტემის დონეზე. მესამე დონის მიხედვით ომის გამომწვევი მიზეზი არის საერთაშორისო სისტემის ანარქიულობა. სისტემაში არ არსებობს შემაკავებელი ძალა, რომელიც შეაკავებს კონკრეტულ სახელმწიფოთა აგრესიულ ქმედებებს, რაც სახელმწიფოებს აიძულებს იმოქმედონ უსაფრთხოების შენარჩუნების და თვითგადარჩენისთვის²

რუსეთის აგრესიული პოლიტიკა საქართველოს ევროატლანტიკური კურსის მიმართ გამოწვეულია იმ საფრთხის არსებობით, რომელიც წარმოიქმნება ნატოს სამხრეთ კავკასიის რეგიონში შემოსვლით. 2002 წელს პრადის სამიტზე საქართველომ გააკეთა ოფიციალური განაცხადი ნატოში გაწევრიანებასთან დაკავშირებით. ქართული სახელმწიფოს სწრაფვას ნატოსკენ ახალი სიცოცხლე შესძინა „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ ქვეყნის სათავეში მოსულმა პროდასავლური საგარეო პოლიტიკური კურსის მქონე ახალმა ხელისუფლებამ. 2008 წლის ბუქარესტის სამიტზე, ალიანსის მხრიდან მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომ საქართველო და უკრაინა გახდებოდნენ ალიანსის წევრი ქვეყნები. ბუქარესტის სამიტზე მიღებულმა გადაწყვეტილებამ და კოსოვოს აღიარებამ რუსეთს უსაფრთხოების პრობლემა შეუქმნა, ასევე რუსეთის სტატუსს მსოფლიოს მასშტაბით ჩრდილი მიადგა. ერთი მხრივ ნატოს ჯარების შემოსვლის ალბათობა მის საზღვრებთან ახლოს და მეორე მხრივ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღება რუსეთის გვერდის ავლით. მიმდინარე პროცესი რუსეთისგან სწრაფი და გაბედული ნაბიჯის გადადგმას მოითხოვდა. შესაბამისად 2008 წლის აგვისტოში განხორციელდა რუსეთის ფართო მასშტაბიანი შეიარაღებული აგრესია საქართველოს წინააღმდეგ.

სტატია განიხილავს საქართველოს შემთხვევას, თუმცა კონტექსტიდან გამომდინარე საინტერესო იქნება უკრაინის ქეისის მოკლედ განხილვაც 2013-14 წლებში უკრაინის კონფლიქტამდე იანუკოვიჩი დაახლოებული პირი იყო კრემლთან, თუმცა ჰქონდა ევროპული ინტერესებიც, მან უარი თქვა ევრაზიის ეკონომიკურ კავშირში გაწევრიანებაზე. იანუკოვიჩმა აქტიური მოლაპარაკებები დაიწყო ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის და ასოცირების შეთანხმებაზე. ევროკავშირის გაფართოება რუსეთის საზღვართან ახლოს საფრთხის შემცველი იყო რუსეთისთვის, შესაბამისად მათ მოახერხეს იანუკოვიჩის დარწმუნება, ხელი არ მოეწერე ასოცირების შეთანხმებისთვის. აღნიშნულ ფაქტს უკრაინაში საპროტესტო აქციები და იანუკოვიჩის რუსეთში გაქცევა მოჰყვა. შედეგად ხელისუფლებაში სრულად პროდასავლური მმართველობა მოვიდა. ახალი ხელისუფლების მიზანი ევროკავშირში და ნატოში გაწევრიანება იყო, რაც რუსეთისათვის საფრთხეს წარმოადგენდა. უკრაინის ნატოში გაწევრიანება ავტომატურად გამოიწვევდა რუსეთის საზღვართან ნატოს ჯარების განლაგებას, რაც რუსეთის უსაფრთხოებას და ეროვნულ ინტერესებს პრობლემებს შეუქმნიდა, შესაბამისად განხორციელდა საპასუხო ქმედება ყირიმში და დონეცკში.³

2 ნინო ოხანშვილი, ეთნოპოლიტიკური კონფლიქტების გამომწვევი მიზეზების თეორიული ანალიზი (სამხრეთ კავკასიის შემთხვევა). (სადისერტაციო ნაშრომი, 2018).

3 ე. აკობია, რ.თვალავაძე, მ.ტარასაშვილი, ლ. კაკაშვილი, თ.მოსიძე, საერთაშორისო ურთიერთობების თეორიული სკოლა. (გამომცემლობა, კავკასიის უნივერსიტეტი, თბილისი 2021 წ.)

რუსეთის ქმედებები სრულად აიხსნება ნეორეალიზმის ერთ-ერთი მთავარი დაშვებით „საერთაშორისო სისტემაში სახელმწიფოს უმთავრესი საზრუნავი უსაფრთხოება და თვითგადარჩენაა“. სამხრეთ კავკასიის რეგიონში რუსეთის ეროვნული ინტერესებისთვის პრობლემას წარმოადგენს ნატოს და ევროკავშირის გაფართოება. რუსეთის აგრესიული ქმედება გამოწვეული იყო უსაფრთხოების პრობლემიდან, კონკურენტი ძალის დომინანტობის გაზრდა რუსეთის ინტერესებისთვის არის ყველაზე დიდი საფრთხე, შეიძლება ითქვას, რომ რუსეთი მოიქცა ისე, როგორც აიძულა საერთაშორისო სისტემის სტრუქტურამ. საერთაშორისო სისტემაში არ არსებობს შემაკავებელი ძალა ნატოს და დასავლეთის ინტერესების შესაჩერებლად, შესაბამისად რუსეთმა გადადგა აგრესიული, მაგრამ მისთვის რაციონალური ნაბიჯი.

რაც შეეხება რაციონალურობას, უნდა აღინიშნოს, რომ რუსეთის გადაწყვეტილებებს საქართველოსთან მიმართებით კარგად ხსნის გადაწყვეტილების მიღების ანალიტიკური მოდელებიდან ერთ-ერთი, რაციონალური აქტორის მოდელი. ეს მოდელი დამყარებულია შემდეგ საფეხურებზე. **ზუსტი და სრულყოფილი ინფორმაციის შეგროვება, შესაძლო ალტერნატივების გათვალისწინება, ალტერნატივების ადეკვატური შეფასება, ყველაზე მომგებიანი ალტერნატივის არჩევა.** რთულია იმის დადასტურება რამდენად გაანალიზა მოცემულ საფეხურების მიხედვით რუსეთმა გადაწყვეტილების მიღება. რადგან საქართველომ მაინც მოაწერეს ხელი ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებას და ნატოში გაწევრიანების პროცესიც შეუქცევადად მიმდინარეობს. მაგრამ იმის თქმა კი გადაჭრით შეიძლება, რომ მათ იმოქმედეს მაქსიმალური სარგებლის მიღების ტაქტიკით. რუსეთის სარგებელი იყო უშუალო მოწინააღმდეგის დომინანტობის და გაფართოების შეჩერება, საკუთარი ძალის დემონსტრირება და იმის დამტკიცება, რომ რუსეთი რჩება ანგარიშგასაწევ ძალად მსოფლიოს მასშტაბით. თუ დასავლეთს შეუძლია მიიღოს ერთპიროვნული გადაწყვეტილება, რომელიც საფრთხეს უქმნის რუსეთს მაშინ რუსეთსაც შეუძლია მიიღოს საპასუხო გადაწყვეტილება ეროვნული ინტერესების დასაცავად.⁴

რუსეთის და დასავლეთის ურთიერთქმედებას საერთაშორისო სისტემაში ასევე კარგად გამოხატავს „თამაშების თეორია“. აღნიშნული თეორია პირველად ჯონ ნიუმენმა განიხილა, რომელიც გვცხმობს გავანალიზოთ სახელმწიფოების ქმედებები ერთმანეთთან ურთიერთობის დროს. თამაშების თეორია აგებულია სწორედ ზემოდ განხილულ რაციონალური აქტორის მოდელზე. თამაშების თეორია კარგად მუშაობს ისეთი ტიპის ურთიერთობების დროს, რომლებშიც გამარჯვებულები სარგებელს იღებენ სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღების შედეგად. თამაშების თეორიებიდან ერთ-ერთი კარგად ხსნის რუსეთის საგარეო პოლიტიკას დასავლეთთან მიმართებით სადაც საქართველოს უსაფრთხოების გამოწვევებიც აქტუალური საკითხია. თამაში „მშიშარა“ დაფუძნებულია შემდეგ პრინციპზე-ერთმანეთის საპირისპიროდ მაღალი სიჩქარით მოძრაობს ორი მანქანა, მძღოლი, რომელიც გადავა გზიდან შეჯახების შიშიდან გამომდინარე „წააგებს“ რომელიც არ გადავა „მოიგებს“, თუ ორივე გადაუხვევს მათ რეპუტაციას დანარჩენების თვალში ჩრდილი მიადგება ხოლო თუ არცერთი არ გადავა გზიდან შეჯახება და მძიმე შედეგები გარდაუვალია. ამ თამაშის შინაარსი კარგად ხსნის რუსეთის ქმედებების მართებულობას. რუსეთს არ შეეძლო ბუქარესტის სამიტზე მიღებული გადაწყვეტილების და კოსოვოს აღიარების შემდეგ გზიდან გადაეხვია და იგივე სიმძიმის პასუხი არ დაებრუნებინა მოწინააღმდეგე მხარისთვის. რა თქმა უნდა იგივე პრინციპის გათვალისწინებით არც დასავლეთს შეეძლო გზიდან გადახვევა. უნდა აღინიშნოს, რომ ორივე მხარეს აქვს შეჯახებისთვის მზაობა და ამ პროცესში შეჯახების შედეგების სიმძიმე ისეთ პატარა ქვეყნებზე გადადის, როგორიც საქართველოა.⁵

4 A. Mintz, K. DeRouen, Understanding Foreign Policy Decision Making. (Cambridge University Press, New York. 2010).

5 A. Mintz, K., DeRouen Understanding Foreign Policy Decision Making. Cambridge University Press, New York. 2010,

დასკვნა

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ რუსეთის საგარეო პოლიტიკური კურსის აგრესიულობა გამომდინარეობს ქვეყნის ეროვნული ინტერესებიდან, მათ სურთ საკუთარი ქვეყნის უსაფრთხოების უზრუნველყოფა და შესაბამისად მოქმედებენ თვითგადარჩენის პრინციპით. დასავლეთი მუდმივად ცდილობს რუსეთის ინტერესების საწინააღმდეგო ქმედებების განხორციელებას, რუსეთის დასუსტებას და დომინანტობას საერთაშორისო სისტემაში. რუსეთის პოლიტიკა არის რაციონალური პასუხი მის წინააღმდეგ განხორციელებული ქმედებებისა. როგორც ქენეთ უოლცი ამბობს საერთაშორისო სისტემაში მნიშვნელოვანი აქტორები არიან სახელმწიფოები და სტრუქტურას განსაზღვრავენ ძლიერი მოთამაშეები. შესაბამისად რუსეთი ანარქიულ საერთაშორისო სისტემაში ეროვნული ინტერესების დასაცავად თავის სიძლიერეს იყენებს. ასევე ხაზი უნდა გაესვას იმ ფაქტს, რომ რუსეთი საგარეო პოლიტიკის წარმოებისას იღებს რაციონალურ თუმცა მეზობლებისათვის არასასურველ გადაწყვეტილებას თვითგადარჩენის და უსაფრთხოების უზრუნველყოფისთვის.

ბიბლიოგრაფია

აკობია ე, თვალავამე რ, ტარასაშვილი მ, კაკაშვილი ლ, მოსიძე თ. საერთაშორისო ურთიერთობების თეორიული სკოლა. კავკასიის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი 2021,.

აკობია, ეკა, საერთაშორისო ურთიერთობების თეორია. თბილისი 2006.

ოხანშვილი ნინო, ეთნოპოლიტიკური კონფლიქტების გამომწვევი მიზეზების თეორიული, ანალიზი (სამხრეთ კავკასიის შემთხვევა). ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. თბილისი მიეთითოს დისერტაციაა 2018

Mintz A, DeRouen K, Understanding Foreign Policy Decision Making. C ambridge University Press, New York. 2010,

უსაფრთხოების გამოწვევები მულტიპოლარულ მსოფლიოში: დიდი ძალები, პატარა სახელმწიფოები და საქართველოს არჩევანი

პოლკოვნიკი გიორგი მეშველიანი

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს
თავდაცვის ინსტიტუციური აღმშენებლობის სკოლის კურსის უფროსი,
სტუ-ს საერთაშორისო ურთიერთობების დოქტორანტი

აბსტრაქტი

21-ე საუკუნის მსოფლიო წესრიგი მკვეთრად განსხვავდება ცივი ომისა და პოსტბიპოლარული ეპოქისგან. საერთაშორისო სისტემაში ძალთა ბალანსის ცვლილებამ მნიშვნელოვნად გაზარდა სტრატეგიული გაურკვევლობა, განსაკუთრებით კი - პატარა და სუსტი სახელმწიფოებისთვის, რომლებიც ხშირად აღმოჩნდებიან გლობალური ძალების ინტერესთა დაპირისპირების ეპიცენტრში. სტატია ხსნის, თუ როგორ იცვლება უსაფრთხოების გარანტიები მულტიპოლარული სისტემის ჩამოყალიბების ფონზე და როგორ უნდა მოემზადონ პატარა სახელმწიფოები ამ გაურკვეველი გარემოსთვის.

სტატია მიმოიხილავს აშშ-ის ჰეგემონიური პოზიციის შესუსტებას, რუსეთის რეგიონული ძალაუფლების ზრდას, ჩინეთის გლობალური ეკონომიკური გაფართოებას და ახლო აღმოსავლეთში რეგიონის ლიდერი სახელმწიფოების (საუდის არაბეთი, ირანი, ისრაელი, თურქეთი) თვითმყოფად დღის წესრიგს. ავტორი მიუთითებს, რომ აშშ-ის გლობალური ყურადღების გადატანამ ინდო-წყნარი ოკეანის რეგიონზე შეამცირა ახლო აღმოსავლეთის მნიშვნელობა, რასაც მოჰყვა ძალაუფლების ვაკუუმი და უსაფრთხოების პასუხისმგებლობის დელეგირება რეგიონის პარტნიორ ქვეყნებზე. რუსეთის გაძლიერებული სამხედრო ინტერვენციების და ჩინეთის ინფრასტრუქტურული ინიციატივების ფონზე მსგავსი ტენდენცია ქმნის უფრო არასტაბილურ და კონკურენტულ საერთაშორისო და რეგიონულ სისტემას.

სტატია კონკრეტულ შემთხვევებზე დაყრდნობით აანალიზებს გლობალური აქტორების პასუხისმგებლობების კრახს. ავღანეთის მაგალითი აჩვენებს, თუ როგორ შეიძლება დიდი ძალის დროებითი ჩართულობა გადაიზარდოს სტრატეგიულ მიტოვებაში, თუკი ფუნქციური ინტერესები ამოიწურება. სირიის შემთხვევაში, რუსეთის სამხედრო მხარდაჭერა ასადის რეჟიმის მიმართ შემოიფარგლა საკუთარი გავლენის განმტკიცებით და არა მოსახლეობის უსაფრთხოების ან დემოკრატიის ხელშეწყობით. უკრაინის ომმა გამოავლინა ღირებულებებზე დაფუძნებული პარტნიორობის შეზღუდულობა სამხედრო დაცვის თვალსაზრისით, მაშინ როცა სომხეთის მაგალითი ნათლად აჩვენებს, რომ ფორმალური სამხედრო ალიანსებიც კი ვერ უზრუნველყოფენ რეალურ მხარდაჭერას კრიზისის ან ომის დროს.

განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა საქართველოს მაგალითს, როგორც პატარა სახელმწიფოს, რომელსაც არაერთგზის გააჩნია მფარველის ძებნის გამოცდილება. ამისათვის კმარა ისტორიული მაგალითების გახსენება, რომლებიც ეხება ვახტანგ VI-ის ევროპულიმიწრაფებებს და ერეკლე II-ის რუსეთზე დაფუძნებულ ალიანსს. ორივე მაგალითი მკაფიოდ ასახავს, რომ გარე დაპირებები თუ იმედები ხშირად ვერ იქცევა ქმედით მხარდაჭერად. თანამედროვე გლობალურ სამყაროში, რომელიც დინამიურად გამოკვეთილად მულტიპოლარული გახდა, არცერთ დიდ ძალას აღარ შესწევს უნარი, აიღოს რომელიმე სხვა პატარა და სუსტი სახელმწიფოს უსაფრთხოების აბსოლუტურ ვალდებულება, შესაბამისად, საქართველოც ვერ იქნება მომავალში რომელიმე ერთ დიდ ძალაზე დამოკიდებული.

სტატიის დასკვნაში ხაზგასმულია, რომ მულტიპოლარულ ეპოქაში საქართველოს საგარეო პოლიტიკა უნდა დაეფუძნოს მრავალვექტორულობას, პარტნიორთა დივერსიფიკაციას და და-

მოუკიდებელი თავდაცვითი უნარების გაძლიერებას. ამისათვის კი აუცილებელია დასავლეთთან ღირებულებითი პლატფორმის გაძლიერება, მაგრამ პრაგმატულ პარალელურ ურთიერთობებთან ერთად თურქეთთან, ჩინეთთან, არაბულ ქვეყნებთან და ინდოეთთან. მხოლოდ მოქნილი და ფრთხილი საგარეო პოლიტიკა უზრუნველყოფს იმას, რომ საქართველო დარჩეს არა მხოლოდ გარე მფარველობის მიღების იმედად, არამედ იყოს უსაფრთხოების და რეგიონული/გლობალური პასუხისმგებლობის გამზიარებელი ავტორი.

საკვანძო სიტყვები: მრავალპოლარული მსოფლიო წესრიგი; გლობალური ძალები და რეგიონული უსაფრთხოება; საქართველოს საგარეო პოლიტიკის გამოწვევები; ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტები და გლობალური პასუხისმგებლობა; მცირე სახელმწიფოები და დიდი ძალების კონკურენცია; გეოპოლიტიკური ტრანსფორმაციები.

SECURITY CHALLENGES IN A MULTIPOLAR WORLD: GREAT POWERS, SMALL STATES, AND GEORGIA'S STRATEGIC CHOICE

Colonel Giorgi Meshveliani

Course leader of Defence Institutional Building School
of Ministry of Defense of Georgia
Doctoral student of international relations educational program

Abstract

The global order of the 21st century differs markedly from that of the Cold War and post-bipolar eras. Changes in the international balance of power have significantly increased strategic uncertainty, particularly for small and vulnerable states that often find themselves at the intersection of competing great-power interests. This article examines how security guarantees are evolving amidst the formation of a multipolar system and how small states must adapt to this increasingly unpredictable environment.

The study explores the decline of U.S. hegemonic dominance, the rise of Russia's regional power, China's global economic expansion, and the assertion of independent agendas by key regional actors in the Middle East, including Saudi Arabia, Iran, Israel, and Turkey. The author highlights how the U.S. strategic pivot toward the Indo-Pacific has diminished the Middle East's priority, creating a power vacuum and transferring security responsibilities to regional partners. Against the backdrop of Russia's intensified military interventions and China's expansive infrastructure initiatives, this trend has led to a more unstable and competitive international and regional system.

Drawing on specific case studies, the article analyzes the collapse of great-power security commitments. The case of Afghanistan illustrates how temporary great-power engagement can devolve into strategic abandonment once functional interests are exhausted. In Syria, Russia's military support for the Assad regime focused narrowly on securing influence rather than on protecting civilians or promoting democratic reforms. The war in Ukraine has exposed the limitations of value-based partnerships when confronted with direct military threats, while Armenia's experience vividly demonstrates that even formal military alliances cannot guarantee effective support during crises or warfare.

Particular attention is devoted to the case of Georgia, a small state with a long history of seeking protection from external powers. Historical examples such as Vakhtang VI's pro-European orientation and Erekle II's alliance with Russia clearly demonstrate that external promises and expectations often fail to translate into tangible support. In today's rapidly evolving multipolar world, no major power possesses the capacity or willingness to assume absolute security commitments for small and vulnerable states, and thus, Georgia can no longer rely on dependence upon a single great power.

The conclusion emphasizes that Georgia's foreign policy in the multipolar era must be based on multivectoral engagement, diversification of partnerships, and the strengthening of independent defense capabilities. Strengthening a value-based platform with the West remains essential, but it must be complemented by pragmatic parallel relations with Turkey, China, Arab countries, and India. Only a flexible and carefully balanced foreign policy will ensure that Georgia not merely awaits external protection, but actively participates as a responsible actor in regional and global security dynamics.

Key words: Multipolar World Order; Global Powers and Regional Security; Georgia's Foreign Policy Challenges; Middle East Conflicts and Global Responsibility; Small States in Great Power Competition; Geopolitical Transformations.

„პოლიტიკაში არ არსებობენ მუდმივი მეგობრები და მტრები,
არსებობს მუდმივი ინტერესები!“
უისტონ ჩერჩილი

შესავალი

21-ე საუკუნის მსოფლიო წესრიგი მნიშვნელოვნად განსხვავდება ცივი ომის ან პოსტბიპოლარული ეპოქისგან. საერთაშორისო სისტემაში მიმდინარე ძალთა ბალანსის ცვლილების ფონზე საერთაშორისო ურთიერთობები სულ უფრო მეტად ეფუძნება მოქნილ და სწრაფად ცვალებად სტრატეგიულ ვექტორებს. მიმდინარე პროცესში, აშშ-ის ჰეგემონიის დაღმასვლის ფონზე სხვა დიდი ძალები კონკურენტულ პირობებში ცდილობენ ერთმანეთის ალტერნატივებად ჩამოყალიბებას, რომელიც გამოიხატება გავლენის სფეროების გაფართოებაში, პერიფერიული სივრცეების ათვისებაში ან პირდაპირ სამხედრო დაპირისპირებაში. მიმდინარე ძალთა ბალანსის პროცესის ფონზე სულ უფრო მზარდი ხდება სტრატეგიული გაურკვევლობის ხარისხი, რაც ანარქიულ საერთაშორისო სისტემაში პატარა და სუსტი სახელმწიფოებისთვის მეტ დაუცველობას ნიშნავს.¹

ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში ჩვენ ვხედავთ, თუ როგორ იცვლება გლობალური ძალთა ბალანსი. აშშ-ის ჰეგემონიური პოზიცია თანდათან სუსტდება, რუსეთი იმყარებს პოზიციებს ახლო აღმოსავლეთსა და უკრაინაში, ჩინეთი აფართოებს ეკონომიკურ გავლენას მსოფლიო მასშტაბით, ხოლო რეგიონული მოთამაშეები (საუდის არაბეთი, ირანი, ისრაელი, თურქეთი) ცდილობენ საკუთარ დღის წესრიგზე ორიენტირებას. ახლო აღმოსავლეთის რეიონი დიდი ხანია წარმოადგენს გლობალური ძალების დაპირისპირების არენას და ახალი მსოფლიო წესრიგის შემქმნელ ერთ-ერთ ლაბორატორიას, სადაც მუდმივად ირღვეოდა და ირღვევა საერთაშორისო წესები და ნორმები, ხდება უსაფრთხოების გარანტიების გადაფასება და გლობალური აქტორების ინტერესთა კვეთაზე ეწირებიან აწ უკვე ყოფილი მოკავშირე ქვეყნები.²

ამავე დროს, სახელმწიფოები, რომლებიც წარმოადგენენ პერიფერიას ან ნახევრადპერიფერიას, ხშირად რჩებიან დიდი ცენტრების დაპირისპირების წინა ხაზად. ისინი სტრატეგიულ პარტნიორებს (ცენტრებიდან) ირჩევენ იმ იმედით, რომ ეს არჩევანი საერთაშორისო სისტემაში იქნება მათი თვითგადარჩენის და სტაბილურობის გარანტი. თუმცა, როგორც ისტორიული გამოცდილება აჩვენებს, გლობალური მოთამაშეები (ცენტრები) საკუთარ გეოპოლიტიკურ პრიორიტეტებსა და ვალდებულებებს შორის ხშირად არჩევენ პირველს. რომელიმე პერიფერიის ან ნახევრადპერიფერიის უსაფრთხოების მიმართ აღებული პასუხისმგებლობა მათთვის დროებითი მომენტია, რომელიც საჭიროების ამოწურისთანავე ან პრიორიტეტის შეცვლისთანავე ქრება.

ამ სტატიის მიზანია წამოყენებული ჰიპოთეზის დამტკიცება, რომ გლობალური აქტორები ხშირად ვერ ასრულებენ რომელიმე მოკავშირე ან პარტნიორი ქვეყნის წინაშე აღებულ უსაფრთხოების ვალდებულებებს და შესაბამისად, როცა გეოპოლიტიკური ვექტორები იცვლება, მოკავშირეები ან პარტნიორები ანარქიულ საერთაშორისო წესრიგში ხშირად მარტოდმარტო, მიტოვებულები რჩებიან. ამ ფონის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია საქართველოს მაგალითზე დავსვათ ლეგიტიმური შეკითხვა: როგორ უნდა იმოქმედოს მცირე სახელმწიფომ სამყაროში, სადაც უსაფრთხოება აღარ ეფუძნება დაპირებებს, ხოლო გავლენის სურვილი და საკუთარი ინტერესების დაცვა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე პარტნიორი ან მოკავშირე ქვეყნის უსაფრთხოებაზე აღებული პასუხისმგებლობა?

1 Robert O. Keohane, after Hegemony : Cooperation and Discord in the World Political Economy, Princeton, N.J. : (Princeton University Press. 1984). <http://archive.org/details/afterhegemonycoo00keoh>

2 Immanuel Maurice Wallerstein., The Decline of American Power: The U.S. in a Chaotic World, (New York: New Press. 2011)

მოცემული სტატია მთლიანად ეფუძნება ჰეგემონური სტაბილობის თეორიას, რომლის მიხედვითაც საერთაშორისო სტაბილურობა დამოკიდებულია ერთ გლობალურ ჰეგემონურ ძალაზე, რომელიც უზრუნველყოფს წესრიგს, უსაფრთხოებას და ეკონომიკურ თანასწორობას. ჰეგემონიის შესუსტება ან მისი პრიორიტეტების ცვლილება იწვევს საერთაშორისო სისტემის ანარქიულობას, ძალაუფლების ვაკუუმს და სტრატეგიული გაურკვევლობის ზრდას, რაც განსაკუთრებით მძიმე შედეგებს უსტიდაპატარასახელმწიფოებისთვის იწვევს. ამ კონტექსტში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ჩარლზ კინდლბერგერის არგუმენტი, რომ ჰეგემონმა უნდა იკისროს გლობალური ლიდერობის პასუხისმგებლობა, რაც მოიცავს საჯარო სიკეთეების მიწოდებას, სავაჭრო ლიბერალიზაციის მხარდაჭერას და კრიზისების მენეჯმენტს; მისი არქონა ან უმოქმედობა, როგორც 1930-იანი წლების მაგალითზე ვხედავთ, იწვევს გლობალურ ქაოსს და ექსპლუატაციის შესაძლებლობების ზრდას სხვა აქტორების მხრიდან.³ მოცემული სტატია იკვლევს, თუ როგორ ვლინდება ჰეგემონიის დაღმასვლის ეფექტები კონკრეტულ რეგიონულ კონფლიქტებში და რა სტრატეგიული არჩევანი ევალებათ პატარა სახელმწიფოებს ამ ცვლილებული გარემოს პირობებში. აღნიშნული თეორია ძირითადად აყალიბებს სტაბილურობის და წესრიგის უნიპოლარულ პირობებზე დამოკიდებულებას. აქვე შეიძლება დავამატოთ, რომ ჰეგემონური სტაბილურობა განისაზღვრება არა მხოლოდ სამხედრო თუ ეკონომიკური ძალით, არამედ ჰეგემონის უნარით - უზრუნველყოს საერთაშორისო წესრიგის წესების და ინსტიტუტების დაცვა.

სტატიაში გამოყენებულია ისტორიულ-ქრონოლოგიური ინტერპრეტაციის, შედარებითი ანალიზისა და შემთხვევის შესწავლის (case study) მეთოდები. კვლევა ემყარება ავღანეთის, სირიის, უკრაინისა და სომხეთის კონკრეტულ მაგალითებს, რათა გამოიკვეთოს ჰეგემონიური სტაბილობის თეორიის პრინციპების ფუნქციური გაშლა: როგორ მოქმედებს ჰეგემონიური ძალის შესუსტება პერიფერიული სახელმწიფოების უსაფრთხოებაზე და როგორ ვლინდება პასუხისმგებლობის კრაზი გლობალურ და რეგიონულ კონფლიქტებში.

აშშ-ის ჰეგემონიის დაღმასვლა და მულტიპოლარული წესრიგის ფორმირება

გლობალურ საერთაშორისო სისტემაში მიმდინარე სტრუქტურული ტრანსფორმაციის პროცესი გამოიწვია აშშ-ის ჰეგემონიის დაღმასვლის ფაზამ, რაც დიდი ალბათობით მომავალ მულტიპოლარული სისტემის ჩამოყალიბებას დაუდებს საფუძველს. ეს არ არის მხოლოდ უნიპოლარული საერთაშორისო წესრიგის ევოლუცია, არამედ ეს არის ამ სისტემის კრაზი: ძალთა ბალანსი, რომელიც ამერიკის შეერთებული შტატების გარშემო იყო ფორმირებული, თანდათან ირღვევა და განიცდის ტრანსფორმაციას. აშშ, როგორც ე.წ. „ლიბერალური ჰეგემონია“, წლების განმავლობაში აკონტროლებდა საერთაშორისო წესრიგის ფორმირებას. იგი სამხედრო ინტერვენციებითა და ინსტიტუციური ზეგავლენის ბერკეტების გამოყენებით ცდილობდა საერთაშორისო სისტემის სტაბილურობის შენარჩუნებას, თუმცა XXI საუკუნის მეორე ათწლეულში მისი ეს პოზიცია შესუსტდა და ეს ყოველივე კარგად აისახა მის საგარეო პოლიტიკაში, რასაც ახლო აღმოსავლეთის რეგიონთან მიმართებაში პარტნიორ ქვეყნებზე უსაფრთხოების პასუხისმგებლობის დელეგირების (burden sharing) სტრატეგია მოჰყვა.⁴

ამ პროცესს თან სდევს რამდენიმე პარალელური ტენდენცია. პირველი: აშშ-ის გლობალური პრიორიტეტების გადახედვა, რომლის მთავარი ფოკუსიც 2022 წლის ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიის მიხედვით არის ჩინეთი და მისი შეკავება როგორც ეკონომიკური, ისე - სამხედრო გზით.⁵ შესაბამისად, ინდო-წყნარი ოკეანის მიმართულებაზე რესურსების

3 Charles P. Kindleberger, „Dominance and Leadership in the International Economy: Exploitation, Public Goods, and Free Rides. *International Studies Quarterly* 25 (2): pg.242. 1981 y. <https://doi.org/10.2307/2600355>.

4 Ray Takeyh, „Middle East Burden Sharing | Council on Foreign Relations“, (January 2019.), <https://www.cfr.org/in-brief/middle-east-burden-sharing>.

5 Joe Biden, „US NATIONAL SECURITY STRATEGY.“ (The White House. 2022)

გადატანამ ბუნებრივია გამოიწვია სხვა რეგიონების სტრატეგიული გადაფასება. მათ შორისა ახლო აღმოსავლეთის რეგიონიც, რომლის პრიორიტეტულობამაც იკლო {რანდი}. მეორე: რუსეთის გაძლიერება იმ სივრცეებში, სადაც აშშ-ის ჰეგემონიური დადმასვლით გამოწვეული სიცარიელები გაჩნდა. ამის მაგალითებად შეიძლება გამოდგეს სირია, ლიბია, აფრიკა და ასე შემდეგ. მესამე: ჩინეთის ეკონომიკური და ინფრასტრუქტურული გაფართოება, რომელიც რბილი ძალის ელემენტების გაძლიერებას ისახავს მიზნად (OBOR/Belt and Road Initiative).⁶ მეოთხე: რეგიონული ძალების გაძლიერება და მათი შემოსვლა რეგიონულ თამაშში დამოუკიდებელი დღის წესრიგით (ირანი, თურქეთი, ისრაელი, საუდის არაბეთი), სადაც ყველა მათგანი ცდილობს მეტი ავტონომია მოიპოვოს და აღარ იყოს უნიპოლარული სისტემის პარამეტრებზე მიბმული.⁷

ამ პირობებში მულტიპოლარული წესრიგი სულაც არ ნიშნავს გარანტირებულ სტაბილურობას. პირიქით - ეს არის ბევრად უფრო გაურკვეველი, ხშირად კონფლიქტური სტრუქტურა, სადაც არცერთი ძალა არ იღებს რეგიონის სტაბილურობაზე სრულ პასუხისმგებლობას და ამავდროულად ყველა ცდილობს მიაღწიოს გავლენის ლოკალურ გაფართოებას. ახლო აღმოსავლეთი ამ დინამიკის კლასიკური მაგალითია. ეს არის რეგიონი, სადაც აშშ-ის ჰეგემონიის დადმასვლა ქმნის ძალაუფლების ვაკუუმს და ამავდროულად არ ჩანს რეალური სტაბილურობის ალტერნატიული გარანტორი.

საქართველოსთვის ეს ნიშნავს ერთ რამეს: სტრატეგიული პროგნოზირებადობა შემცირებულია, ხოლო ტრანსფორმირებად საერთაშორისო სისტემაში ნავიგაცია გახდა ურთულესად კომპლექსური. თუ წარსულში შესაძლებელი იყო კონკრეტული ცენტრი სახელმწიფოს არჩევა და მისი „ქოლგის ქვეშ“ არსებობა, დღეს ქვეყანამ უნდა ისწავლოს ისეთ გარემოში მოქმედება, სადაც არც ერთი მოთამაშე არ იძლევა სტაბილურობის და უსაფრთხოებაზე პასუხისმგებლობის გარანტიას. აშშ-ის ჰეგემონიის დადმასვლის პროცესში პირველ რიგში სწორედ საქართველოსნაირი პატარა და სუსტი ქვეყნები რჩებიან განსაკუთრებულად დაუცველები.

გლობალური ძალების პასუხისმგებლობის კრახი (კონკრეტული შემთხვევების ანალიზი)

ავღანეთი - აშშ-სგან სტრატეგიული მიტოვება: ავღანეთი წარმოადგენს კლასიკურ მაგალითს იმისა, თუ როგორ შეიძლება დიდი ძალის მონაწილეობა ქვეყნის სტაბილიზაციის და აღმშენებლობის პროცესში გადაიქცეს დროებით პასუხისმგებლობად, რომელიც დროთა განმავლობაში მცირდება და საბოლოო ჯამში პროცესის ფორსირებულად, სრული მიტოვებით დასრულდა. 2001 წელს, აშშ-მა და მისმა მოკავშირეებმა თავდაპირველად ტერორიზმის მოტივით ავღანეთში შესვლასთან ერთად თავის თავზე აიღეს ქვეყნის უსაფრთხოება და სტაბილურობა, რასაც უნდა მოჰყოლოდა დემოკრატიული ინსტიტუტების ჩამოყალიბება. მძლავრი საერთაშორისო მხარდაჭერის პირობებში ჩამოყალიბდა კარზაის და შემდეგ ღანის მთავრობები, რომლებიც სწორედ დასავლური მფარველობის იმედიით იმყოფებოდნენ ძალაუფლებაში.⁸

თუმცა, 2021 წელს ჯო ბაიდენის ადმინისტრაციამ საბოლოოდ გამოაცხადა სამხედრო ძალების გაყვანა, რამაც მყისიერად შექმნა პოლიტიკური ვაკუუმი და თალიბანს საშუალება მისცა ხელში აეღო ქვეყნის მართვა. შედეგად, არა მხოლოდ ქვეყნის მართვის სისტემა დაინგრა,

6 english.gov.cn. "Initiative Offers Road Map for Peace, Prosperity." March 2015.

https://english.www.gov.cn/archive/publications/2015/03/30/content_281475080249035.htm.

7 Ashley L Rhoades, Elna Treyger, Nathan Vest, Christian Curriden, Brad A. Bemish, Irina A. Chindea, Raphael S. Cohen, Jessica Giffin, and Kurt Klein., Great-Power Competition and Conflict in the Middle East, RAND Corporation. Published Jun 12 2023. https://www.rand.org/pubs/research_reports/RR969-3.html.

8 Ibid. Ashley L Rhoades, Elna Treyger 2023.

არამედ დასრულდა დასავლური ტიპის სახელმწიფოს მშენებლობის თითქმის ოცწლიანი მცდელობა.

ავღანეთის შემთხვევა კარგად წარმოაჩენს ჰეგემონიური სტაბილურობის თეორიის შეზღუდვებს, როცა სუსტი სახელმწიფოს უსაფრთხოებაზე პასუხისმგებლობა გლობალური ძალების მხრიდან მხოლოდ ფუნქციური ინტერესების ფარგლებში მოიაზრება. როდესაც პროცესი, წესრიგი ან გარემო მათთვის არარენტაბელური ხდება, მათი მხრიდან აღებული ყოველგვარი პასუხისმგებლობა და ვალდებულება ქრება. ავღანეთი აღმოჩნდა დაუცველი და მიტოვებული, შესაბამისად მისი შემთხვევა სრულად ადასტურებს ჰეგემონიის ფუნქციური ვალდებულებების ხასიათს.

სირია-ფორმალური მხარდაჭერა და შეზღუდული პასუხისმგებლობა: სირიის შემთხვევაში საქმე გვაქვს ისეთ გეოპოლიტიკურ რეალობასთან, რომელიც ურთიერთდაკავშირებული წინააღმდეგობებით არის სავსე. 2015 წელს სირიაში რუსეთის ინტერვენცია ოფიციალურად ასადის რეჟიმის მხარდაჭერის მიზნით დაიწყო, თუმცა უფრო ფართო თვალსაზრისით, ეს იყო სტრატეგიული პოზიციონირება აშშ-ის შემცირებული გავლენის ფონზე.

მოსკოვმა წარმოქმნილი ძალაუფლების ვაკუუმის შესავსებად გამოიყენა სამხედრო ბერკეტები - კერძო სამხედრო კომპანიები და საჰაერო ძალები, რათა გაემყარებინა ასადის პოზიციები და დაეხალანებინა დასავლური გავლენა. თუმცა, მიუხედავად დეკლარირებული მხარდაჭერისა, რუსეთის მონაწილეობა არასდროს გაცდენია ქვეყნის სტრატეგიულ წერტილებში რეჟიმის შენარჩუნების მცდელობას, ხოლო უსაფრთხოების ფართო უზრუნველყოფა, სამოქალაქო მოსახლეობის დაცვა ან დემოკრატიული რეფორმების მხარდაჭერა არასოდეს ყოფილა მის დღის წესრიგში.⁹

უფრო მეტიც, სირიის მაგალითზე აშკარად ჩანს, რომ მხარდაჭერის ფორმალური სტრატეგია არ ნიშნავს პრაქტიკულ პასუხისმგებლობას. რეგიონებში, სადაც რუსეთის პირდაპირი კონტროლი არ ვრცელდებოდა (მაგალითად იდლიბი ან ქურთების მიერ კონტროლირებული რეგიონები), უსაფრთხოება კვლავ ქაოტურ დონეზე რჩებოდა. ცალსახად, რუსეთი ასადის რეჟიმს განიხილავდა როგორც დამაკავშირებელ რგოლს რეგიონული გავლენის სისტემაში და არა როგორც ვალდებულებას მოსახლეობის წინაშე. 2024 წლის ბოლოს ასადის რეჟიმი დაემხო, და რუსეთი მისთვის მხოლოდ თავშესაფრის მიცემით შემოიფარგლა. მან აქცენტი ქვეყანაში სამხედრო ბაზების შენარჩუნებაზე გააკეთა და დღესაც განაგრძობს ამ მცდელობას.¹⁰ აღნიშნული შემთხვევა გვიჩვენებს, რომ პასუხისმგებლობა სირიის მსგავსი სახელმწიფოს მიმართ აღიქმება როგორც სხვა აქტორის გეოპოლიტიკური ინტერესი და არა როგორც ღირებულებითი ვალდებულება.

სირიის შემთხვევა აჩვენებს ძალაუფლების ვაკუუმის შევსების წარუმატებელ მცდელობას ჰეგემონიის დაღმასვლის ფონზე. აშშ-ის გავლენის შემცირებამ გახსნა სივრცე რუსეთის ინტერვენციისთვის, თუმცა მოსკოვმა რესურსების შეზღუდულობის გამო ვერ შეძლო ფართომასშტაბიანი სტაბილურობის უზრუნველყოფა და მხოლოდ კონკრეტული სტრატეგიული პოზიციების შენარჩუნებით დაკმაყოფილდა, რაც ტრადიციულ ჰეგემონურ ფუნქციასთან შეუთავსებელი ქცევაა. ეს მაგალითი ცხადყოფს, რომ ძალაუფლების ვაკუუმის შევსება არასრულფასოვანი რესურსებით ვერ ცვლის ჰეგემონურ ფუნქციას.

უკრაინა - ღირებულებებზე დაფუძნებული პარტნიორობა და სტრატეგიული მიტოვება: უკრაინის შემთხვევა არ არის კოლონიალური დამოკიდებულება ან მფარველობით გამოწვეული ფიზიკური კონტროლი, არამედ ეს არის ღირებულებითი და პოლიტიკური

9 Ibid. Ashley L Rhoades, Elina Treyger 2023.

10 Amr Hamzawy, Triche Natalie, "The Gulf Shifts Policies in Response to the 'New' Syria." Carnegie Endowment for International Peace. January 2025. <https://carnegieendowment.org/research/2025/01/the-gulf-shifts-policies-in-response-to-the-new-syria?lang=en>. (Access 13.05.25)

თანხვედრის საფუძველზე ჩამოყალიბებული სტრატეგიული მოლოდინი. 2014 წლის მაიდნის მოვლენების შემდეგ, უკრაინა ღიად იხრებოდა დასავლური კურსისკენ, ორი მთავარი მიზნით: ევროკავშირში ინტეგრაცია და NATO-ში გაწევრიანება. მისი შიდა და საგარეო პოლიტიკური ორიენტაცია ჩამოყალიბდა როგორც პრო-დასავლური, რაც რუსეთის მხრიდან ავტომატურად აღქმული იყო, როგორც გეოპოლიტიკური გამოწვევა.

დასავლური სახელმწიფოების პოლიტიკური მხარდაჭერა იყო ძლიერად არტიკულირებული: მაღალი დონის ვიზიტები, ოფიციალური განცხადებები, ეკონომიკური დახმარება, სანქციები რუსეთის წინააღმდეგ. თუმცა, როდესაც 2022 წელს რუსეთმა სრულმასშტაბიანი სამხედრო აგრესია დაიწყო, უკრაინა აღმოჩნდა პირდაპირი სამხედრო საფრთხის წინაშე, დასავლეთის უშუალო ჩარევის გარეშე. ბუნებრივია, არც NATO ჩაერია, არც რაიმე მნიშვნელოვანი სამხედრო დახმარება განხორციელდა თავდაპირველად. მხოლოდ მას შემდეგ, რაც უკრაინელმა საზოგადოებამ და შეიარაღებულმა ძალებმა აჩვენეს წინააღმდეგობის უნარი, დასავლეთმა დაიწყო სამხედრო და ფინანსური დახმარების ეტაპობრივი გაძლიერება.¹¹

ეს ყოველივე მიუთითებს იმაზე, რომ ღირებულებებზე დაფუძნებული მოკავშირეობა არ წარმოადგენს უსაფრთხოების გარანტიას, თუ იგი არ არის მყარად განპირობებული გეოპოლიტიკური ვალდებულებით. უკრაინა, რომელიც მრავალწლიანი პროცესის შედეგად მოიაზრებოდა დასავლური სივრცის ნაწილად, ფიზიკურად აღმოჩნდა მარტო გლობალურ მოთამაშესთან ომში, რომელი ომიც გახდა ყველაზე მძიმე ფორმით დარტყმა ღირებულებებით დაკავშირებულ უსაფრთხოების ილუზიაზე.

უკრაინის გამოცდილება ცხადყოფს, რომ ღირებულებებზე დაფუძნებული პარტნიორობა ვერ ანაცვლებს ჰეგემონური სტაბილურობის საფუძველზე შექმნილ უსაფრთხოების მყარ სისტემას. მიუხედავად პოლიტიკური სოლიდარობისა და დეკლარაციული მხარდაჭერისა, პირდაპირი სამხედრო ჩარევის არარსებობამ წარმოაჩინა, რომ ღირებულებითი ალიანსი ვერ ცვლის მკაფიოდ ჩამოყალიბებული ჰეგემონის პასუხისმგებლობით როლს.¹²

სომხეთი - სიმბოლური მფარველობა და პრაქტიკული უქმედობა: სომხეთისა და რუსეთის ურთიერთობა სამხედრო ბაზებით, დიპლომატიური შეთანხმებებით და კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაციის (CSTO) წევრობით წლების განმავლობაში ეფუძნებოდა ერთგვარ სტრატეგიულ კავშირს ამ ორ ქვეყანას შორის. სწორედ CSTO-ის წევრობა ქმნიდა სომხური პოლიტიკური ელიტის მხრიდან მოლოდინს, რომ კრიზისის შემთხვევაში რუსეთი აღასრულებდა გაერთიანებული უსაფრთხოების მექანიზმით გათვალისწინებულ ვალდებულებას. თუმცა, 2020 წლის ყარაბაღის ომის და განსაკუთრებით, 2022-2023 წლებში აზერბაიჯანის მხრიდან განახლებული მოქმედებების დროს ეს მოლოდინი სრულიად ჩამოიშალა.¹³

მოსკოვმა არა მხოლოდ არ განახორციელა სომხეთის მხარდამჭერი სამხედრო ჩარევა, არამედ პრაქტიკულად ნეიტრალური პოზიცია შეინარჩუნა. რეალურად, რუსეთი აღმოჩნდა წნეხის ქვეშ ერთი მხრივ უკრაინის ომიდან გამომდინარე, ხოლო მეორეს მხრივ - სომხეთის მიმართ გაკეთებული მცდარი დაპირებების გამო. იმ ფონზე, როცა სომხეთი ოფიციალურად ითხოვდა კოლექტიური უსაფრთხოების მექანიზმის ამოქმედებას, CSTO-მა თავი აარიდა ნებისმიერ ღიად დეკლარირებულ მოქმედებას, ხოლო კრემლის პოზიციამ საბოლოოდ დაასუსტა რუსეთისადმი ნდობა სომხეთში

ეს შემთხვევა ნათლად აჩვენებს, რომ მფარველობის ინსტიტუციური ფორმები:

11 Ibid. Ashley L Rhoades,, Elina Treyger 2023.

12 "Joint Declaration on EU-NATO Cooperation by the President of the European Council, the President of the European Commission, and the Secretary General of the North Atlantic Treaty Organization." NATO. 2023. https://www.nato.int/cps/en/natohq/official_texts_210549.htm. (გადამოწმებულია 13.05.25)

13 George Meneshian., 2023. "Armenia-Russia Relations: Navigating a Shifting Landscape." November 14, 2023. <https://brus-selsmorning.com/armenia-russia-relations-navigating-a-shifting-landscape/35582/>. (Access 13.05.25)

ალიანსები, შეთანხმებები, გაერთიანებები - შეუძლებელია აღქმული იქნას, როგორც ავტომატური უსაფრთხოების გარანტიები მაშინ, როცა პარტნიორი ძალა სისტემურ კრიზისშია ან პოლიტიკური გათვლები აჭარბებს მოკავშირეობრივი ვალდებულების შესრულებას. ფორმალური სამხედრო ალიანსები ვერ ანაზღაურებენ ჰეგემონიის კრახით გამოწვეულ უსაფრთხოების ვაკუუმს. ფეგემონური სისტემის რღვევის პირობებში ინსტიტუციური გარანტიებიც კარგავენ ეფექტურობას.

საქართველოს ისტორიული გამოცდილება - დაკარგული მფარველობის გაკვეთილები

საქართველოს ისტორიაში არაერთი შემთხვევა ყოფილა, როდესაც ქვეყნის მმართველ ელიტას გლობალურ ან რეგიონულ ძალებში უძებნია უსაფრთხოების კუთხით მფარველი, თუმცა როგორც ამას თანამედროვე გამოცდილება გვიჩვენებს, ასევე ხდებოდა წარსულშიც: მფარველობითი დამოკიდებულება ხშირად ვერ რეალიზდებოდა პრაქტიკულ პასუხისმგებლობად, რის შედეგადაც ქვეყანა არაერთგზის აღმოჩენილა მძიმე გეოპოლიტიკური წნეხის ქვეშ.

ვახტანგ VI – ევროპა და რუსეთი (დაკარგული სტრატეგიული ორიენტაცია): ვახტანგ VI-ის მცდელობა - გაეთავისუფლებინა ქართლი სპარსეთის ვასალობისგან და მარველობისთვის მიემართა ევროპისთვის, ნათლად წარმოაჩენს იმ ისტორიულ ლოგიკას, როდესაც პატარა სახელმწიფო ეძებს მფარველ ძალას, რათა იარსებოს დამოუკიდებლად. სულხან-საბას დიპლომატიური მისია საფრანგეთში სწორედ ამის დასტური იყო. ქართლის ხელისუფლება უშედეგოდ ცდილობდა სპარსეთის წინააღმდეგ დასავლეთის ჩართულობის მოპოვებას. იმდროინდელმა ევროპამ, რომლის ძირითადი გამოწვევა ოსმალეთის შეკავება იყო, ირანი სწორედ ამ შეკავების ერთ-ერთ მექანიზმად აღიქვა და ქართლსაც პრაქტიკულად სხვა გზა არ დაუტოვა.

მოგვიანებით, იმედგაცრუებულმა ვახტანგმა ყურადღება გადაიტანა რუსეთზე, მაგრამ რუსეთს გააჩნდა თავისი სტრატეგიული ინტერესები, რასაც ემატებოდა ოსმალეთთან ომის თავიდან აცილების სურვილი, რაც საბოლოოდ ვახტანგ VI-ის მარცხის მიზეზად იქცა. მეფე იძულებული გახდა თავი შეეფარებინა სწორედ იმ ქვეყნისთვის, რომელმაც ვერ აიღო ქართლის უსაფრთხოების და დაცვის ვალდებულება.¹⁴

ერეკლე II, გეორგიევსკის ტრაქტატი და ღალატით დასრულებული ალიანსი: ერეკლე II-ის მცდელობა - რუსეთთან გეორგიევსკის ტრაქტატის გაფორმებით საქართველოს უსაფრთხოების გარანტიისთვის მიეღწია, კიდევ ერთი ნათელი მაგალითია იმ დრამატული განსხვავებისა, რაც არსებობს დაპირებულ მფარველობასა და რეალურ ქმედებას შორის. 1783 წელს ხელმოწერილი ტრაქტატი, რომელიც ითვალისწინებდა ქართლ-კახეთის მონარქიის დაცვის ვალდებულებას რუსეთის მხრიდან, 1795 წელს აბსოლუტურად უგულებელყოფილ იქნა, როდესაც ირანის შაჰმა აღა-მაჰმად-ხანმა თბილისი გაანადგურა.

რუსეთი, რომელიც ჯერ კიდევ იკრებდა ძალებს სამხრეთ კავკასიაში ინტენსიური ჩარევისთვის, პრაქტიკულად თავი შეიკავა მოქმედებისგან, რის შედეგადაც ქართლ-კახეთის უკვე მოხუცმა მეფემ სამხედრო მარცხი განიცადა და ქვეყანა განადგურების ზღვარზე აღმოჩნდა. საბოლოოდ, 1801 წელს ეს პროცესი დასრულდა რუსეთის მხრიდან საქართველოს არაფორმალური მფარველობის ფორმალური ანექსიით.¹⁵

14 მანანა ჭუმბურიძე, "Documents of King Vakhtang VI; Manana Chumburidze." (National Archives of Georgia. 2013) <https://archive.gov.ge/en/mefe-vakhtang-vi-is-sabutebi-manana-chumburidze>. (Access 13.05.25)

15 მანანა ჭუმბურიძე, "მეფე ერეკლე II-ის საბუთები; მანანა ჭუმბურიძე." (საქართველოს ეროვნული არქივი. 2013.) <https://archive.gov.ge/en/mefe-erekle-ii-is-sabutebi-manana-chumburidze>. (Access 13.05.25)

საქართველო მულტიპოლარული წესრიგის ჩამოყალიბების პირობებში

აშშ-ის ჰეგემონიის დაღმასვლამ და მსოფლიოში ძალთა განახლებულმა გადანაწილებამ მცირე სახელმწიფოების წინაშე ძველი კითხვები ახალი სიმწვავეთ დააყენა: ვის უნდა დაეყრდნოს სახელმწიფო უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, როდესაც არცერთი გლობალური მოთამაშე აღარ იღებს აბსოლუტურ პასუხისმგებლობას? სწორედ ამ მდგომარეობაშია დღეს საქართველო, რომელიც თითქმის სამი ათეული წელია დასავლეთისკენ გაკაფულ გზაზე მოძრაობს, მაგრამ რეალობა თანადროულად ითხოვს დაბალანსებულ მიდგომას სხვა მნიშვნელოვან აქტორებთანაც.¹⁶

1990-იანი წლებიდან მოყოლებული საქართველოს საგარეო პოლიტიკის მთავარი ვექტორი იყო დასავლური ინტეგრაცია - NATO-სა და ევროკავშირისკენ სვლა, რასაც დიდწილად განაპირობებდა აშშ-ის ჰეგემონიური ძალის სტატუსი.¹⁷ თუმცა, ბოლო წლებში ეს მოცემულობა თანდათან შეიცვალა და ვაშინგტონის გლობალური პრიორიტეტებმა აზიისკენ გადაინაცვლა, ხოლო ევროპა დღემდე ვერ ქმნის ერთიან უსაფრთხოების პოლიტიკას. ამ ფონზე საქართველო რჩება ისეთ სივრცედ, რომელსაც უყურებენ როგორც გეოპოლიტიკურ გზაჯვარედინს, მაგრამ არა როგორც მფარველობის ობიექტს.

ამავე დროს, საქართველოს გარშემო პოზიციებს იმაგრებს **რუსეთი**, რომელიც 2008 წლის შემდეგ პირდაპირი სამხედრო და პოლიტიკური წნეხით განაგრძობს პროცესების მართვას. მეორე მხარეს აქტიურდება **თურქეთი და ირანი**, როგორც რეგიონული ძალები, რომლებსაც აქვთ საკუთარი დღის წესრიგი და გავლენის გაფართოების ინტერესები. ჩინეთიც ინარჩუნებს მზარდ ეკონომიკურ ინტერესს (ტრანსპორტის დერეფნები, ინფრასტრუქტურა), თუმცა მათ უსაფრთხოებაზე პასუხისმგებლობას არ იზიარებს.¹⁸

ამპირობებში საქართველოს მოლოდინი ერთი, ძლიერი მფარველისადმი **აღარ შეესაბამება გეოპოლიტიკურ რეალობას**. საჭიროა არამხოლოდ პარტნიორების სიმრავლე, არამედ საგარეო პოლიტიკის **გადაფასება**, რომელიც **ორიენტირებული იქნება მრავალვექტორულობაზე და მოქნილ ბალანსზე**. ამ სტრატეგიულ ნიადაგზე საჭიროა:

- გაღრმავდეს თანამშრომლობა დასავლეთთან ღირებულებით პლატფორმაზე, **მაგრამ არა მოლოდინით, რომ დასავლეთი ავტომატურად დაგვიცავს**;
- ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად გაძლიერდეს პრაგმატული არხები თურქეთთან, ჩინეთთან, არაბულ ქვეყნებთან და ინდოეთთან;
- გაფართოვდეს დიპლომატიური ჩართულობა მეზობლებთან ისე, რომ არ შეიქმნას ცალმხრივი დამოკიდებულების შთაბეჭდილება.

დღევანდელი გარემო გვკარნახობს, რომ **საქართველომ უნდა ისწავლოს ისტორიული გაკვეთილებიდან**. მფარველობაზე ერთპიროვნული ფსონის დადება ვერ უზრუნველყოფს ჩვენი ქვეყნის უსაფრთხოებას და სტაბილურობას. მხოლოდ ცივი გონებით გააზრება, რისკების მართვა, ასევე რეგიონულ და გლობალურ დონეზე შესაძლებელია კავშირებში ფრთხილი გაწევრიანებით ისეთი სივრცის მიღება, სადაც საქართველო იქნება არა „დაცული“, არამედ თვითონაც იქნება აქტიური და პასუხისმგებლობის გამზიარებელი მოთამაშე.

16 Donald Rayfield, *Edge of Empires: A History of Georgia*. (University of Chicago Press, Reaktion Books. 2019).

<https://press.uchicago.edu/ucp/books/book/distributed/E/bo14444362.html> .

17 Suny, Ronald G. 1994. "The Making of the Georgian Nation, Second Edition." Indiana University Press (blog). 1994. <https://iupress.org/9780253209153/the-making-of-the-georgian-nation-second-edition/>. (Access 13.05.25)

18 Ibid. Ashley L Rhoades,, Elina Treyger 2023.

დასკვნა

მფარველობის სტრატეგიის ლიმიტები და საქართველოს არჩევანი

სტატიის ანალიზმა ცხადყო, რომ ჰეგემონური სტაბილობის თეორიის ძირითადი პროგნოზი სრულად შეესაბამება თანამედროვე საერთაშორისო სისტემაში მიმდინარე პროცესებს. გლობალური აქტორების მიერ უსაფრთხოების პასუხისმგებლობის დელეგირება, მოკავშირეების მიტოვება კრიზისულ მომენტებში და ფუნქციური ინტერესების საფუძველზე მოტივირებული ჩართულობა მიაწოდებს იმაზე, რომ ჰეგემონის შესუსტება პირდაპირ ზრდის ანარქიისა და დაუცველობის რისკს. საქართველო, როგორც პატარა სახელმწიფო, ამ პროცესების ბუნებრივი შედეგის წინაშეა და მისი სტრატეგიული არჩევანი ვეღარ უნდა ეფუძნებოდეს ერთი ძალის მფარველობის იმედზე. მულტიპოლარულ სისტემაში გადარჩენის ერთადერთი გზა არის პარტნიორობის დივერსიფიკაცია, თვითდაცვითი უნარების განვითარება და საერთაშორისო პასუხისმგებლობების ფრთხილი გაზიარება.

ამავე დროს, საქართველო წარსულშიც არაერთხელ დაუპირისპირდა იმ ფაქტს, რომ საერთაშორისო დაპირებები ხშირად ვერ გადავიდა ქმედით მხარდაჭერაში - იქნება ეს ვახტანგ VI-ის უიმედო გათვლა ევროპაზე თუ ერეკლე II-ის ტრაქტატი რუსეთთან.

ყველა ეს მაგალითი აჩვენებს ერთსა და იმავეს: **მფარველობის კონცეფცია, როდესაც სუსტი სახელმწიფო ერთი დიდი ძალის იმედად დგას, აღარ შეესაბამება დღევანდელ გეოპოლიტიკურ რეალობას.** მულტიპოლარულ სისტემაში არცერთ ძალას არ აქვს ვალდებულება უნივერსალური სტაბილურობის მიმართ. მათთვის სტრატეგიული პარტნიორობა დროებით ინტერესებთან არის დაკავშირებული და არ არის დაფუძნებული სტრუქტურულ ღირებულებებზე ან ეთიკურ ვალდებულებებზე.

ამ ფონზე, საქართველოს სტრატეგიული არჩევანი აღარ უნდა ეფუძნებოდეს აბსოლუტურ მოლოდინს რომელიმე ძალისგან. საჭიროა:

- **მრავალმხრივი საგარეო პოლიტიკა**, რომელიც მოიცავს პარტნიორობის დივერსიფიკაციას და რისკების გათვლას, სადაც არცერთი ურთიერთობა არ გახდება კრიტიკულად დამოკიდებული. ეს სტრატეგიული არჩევანი ემყარება ჰეგემონიის სისტემური ციკლურობის აღიარებას;
- **ინსტიტუციური გამჭვირვალობა**, რათა ქვეყნის შიგნით გაძლიერდეს დემოკრატიული და თავდაცვითი მდგრადობა, რადგან საერთაშორისო დაცვა მხოლოდ მაშინ ამოქმედდება, როცა ქვეყნის შიგნითაც არსებობს თვითდაცვითი უნარი და პოლიტიკური წონასწორობა.
- და რაც ყველაზე მთავარია, **ისტორიული გაკვეთილების გათვალისწინება**, რათა აღარ განმეორდეს სცენარები, სადაც უსაფრთხოების დაპირებაა არანაირი ძალა არ გააჩნია.

საქართველო აღარ უნდა იყოს მხოლოდ გავლენების მიმღები. მულტიპოლარულ ეპოქაში ის უნდა იქცეს გავლენების **დამაბალანსებელ მოთამაშედ**, რომელსაც გააჩნია საკუთარი სტრატეგიული ღერძი და მანევრის თავისუფლება. მულტიპოლარულ ეპოქაში საქართველოს უსაფრთხოების არქიტექტურა უნდა დაიგეგმოს, როგორც დამოუკიდებელი სტრატეგიული აქტორის და არა როგორც ერთპიროვნულად მფარველობის მიმღების.

ბიბლიოგრაფია

- Biden, Joe. 2022. "US NATIONAL SECURITY STRATEGY." The White House. <https://www.whitehouse.gov/presidential-action/us-national-security-strategy/>.
- english.gov.cn. 2015. "Initiative Offers Road Map for Peace, Prosperity." March 2015. https://english.www.gov.cn/archive/publications/2015/03/30/content_281475080249035.htm.
- Hamzawy, Amr, and Natalie Triche. 2025. "The Gulf Shifts Policies in Response to the 'New' Syria." Carnegie Endowment for International Peace. January 2025. <https://carnegieendowment.org/research/2025/01/the-gulf-shifts-policies-in-response-to-the-new-syria?lang=en>.
- Keohane, Robert O. (Robert Owen). 1984. *after Hegemony : Cooperation and Discord in the World Political Economy*. Princeton, N.J. : Princeton University Press. <http://archive.org/details/afterhegemonycoo00keoh>.
- Kindleberger, Charles P. 1981. "Dominance and Leadership in the International Economy: Exploitation, Public Goods, and Free Rides." *International Studies Quarterly* 25 (2): 242. <https://doi.org/10.2307/2600355>.
- Meneshian, George. 2023. "Armenia-Russia Relations: Navigating a Shifting Landscape." November 14, 2023. <https://brusselsmorning.com/armenia-russia-relations-navigating-a-shifting-landscape/35582/>.
- NATO. 2023. "Joint Declaration on EU-NATO Cooperation by the President of the European Council, the President of the European Commission, and the Secretary General of the North Atlantic Treaty Organization." NATO. 2023. https://www.nato.int/cps/en/natohq/official_texts_210549.htm.
- Rayfield, Donald. 2019. *Edge of Empires: A History of Georgia*. Reaktion Books. <https://press.uchicago.edu/ucp/books/book/distributed/E/bo14444362.html>.
- Rhoades, Ashley L., Elina Treyger, Nathan Vest, Christian Curriden, Brad A. Bemish, Irina A. Chindea, Raphael S. Cohen, Jessica Giffin, and Kurt Klein. 2023. "Great-Power Competition and Conflict in the Middle East." RAND Corporation. https://www.rand.org/pubs/research_reports/RRA969-3.html.
- Suny, Ronald G. 1994. "The Making of the Georgian Nation, Second Edition." Indiana University Press (blog). 1994. <https://iupress.org/9780253209153/the-making-of-the-georgian-nation-second-edition/>.
- Takeyh, Ray. 2019. "Middle East Burden Sharing | Council on Foreign Relations." January 2019. <https://www.cfr.org/in-brief/middle-east-burden-sharing>.
- Wallerstein, Immanuel Maurice. 2011. *The Decline of American Power: The U.S. in a Chaotic World*. New York: New Press.
- ჭუმბურიძე მანანა. 2013a. "Documents of King Vakhtang VI; Manana Chumburidze." National Archives of Georgia. 2013. <https://archive.gov.ge/en/mefe-vakhtang-vi-is-sabutebi-manana-chumburidze>.
- ჭუმბურიძე მანანა. 2013b. "მეფე ერეკლე II-ის საბუთები; მანანა ჭუმბურიძე." საქართველოს ეროვნული არქივი. 2013. <https://archive.gov.ge/ge/mefe-erekle-ii-is-sabutebi-manana-chumburidze>.

საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკა და სახალხო გვარდია

ვიცე-პოლკოვნიკი გოჩა ბათაძე

საქართველოს თავდაცვის ძალების
ეროვნული გვარდიის მე-10 ტერიტორიული თავდაცვის ბრიგადის
104-ე ტერიტორიული თავდაცვის ბატალიონის მეთაური,
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ჰუმანიტარული ფაკულტეტის დოქტორანტი

აბსტრაქტი

საქართველოს ისტორიული სახელმწიფოს დამოუკიდებლობის პერიოდიდან, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეტაპი-საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის წლები (1918-1921) იყო. ეს არის და იქნება საქართველოს ისტორიაში სიამაყის, ტკივილის, სინანულის და მაინც ოპტიმიზმის სიმბოლო. სამწლიანი პერიოდი, როდესაც დემოკრატიული სახელმწიფოს მოუწია უმძიმეს პერიოდში არსებობა, გამოირჩევა მისი ჯარის, მხედართმთავრთა და ხალხის მაღალი პატრიოტული სულისკვეთების გამოვლენით, შეუპოვრობით, გამძლეობით და რწმენით, რაც მოსახლეობას აერთიანებდა ქვეყნის დამოუკიდებლობის შენარჩუნების იდეის ირგვლივ.

რუსეთის 1917 წლის ოქტომბრის (ნოემბრის) რევოლუციის შემდეგ, საქართველოში ეროვნული ძალების გაერთიანებით, რომელსაც გერდს უმაგრებდა ქართული ინტელიგენციაც, დაარსდა ეროვნული საბჭო, რაც წარმოდგენილი იყო, როგორც ქართველი ხალხის წარმომადგენელი ორგანო. აღნიშნულმა ორგანომ 1918 წლის 26 მაისს გამოაცხადა საქართველო დამოუკიდებელი რესპუბლიკად. საქართველოს დამოუკიდებლობა აღიარა ბოლშევიკურმა რუსეთმა (1920 წელს) და ქემალისტურმა თურქეთმა (1918 წელს).

საქართველო თავისი გეოპოლიტიკური (სტრატეგიული) ადგილმდებარეობიდან გამომდინარე, ყოველთვის იყო და არის მსოფლიო წამყვანი ქვეყნებისთვის და ზესახელმწიფოებისათვის ინტერესის სფერო. ასე იყო 1918-1921 წლებშიც. ერთის მხრივ ე.წ. ანტანტას ქვეყნებს სურდათ საქართველოზე გავლენის შენარჩუნება, მეორეს მხრივ კი თურქეთი და რუსეთი აშკარად ავლენდნენ თავიანთ იმპერიალისტურ ზრახვებს. ამ დროს კი დემოკრატიული საქართველოს მთავრობა იმედის თვალით უყურებდა თითქმის ყველას, მათ შორის თურქეთს და რუსეთსაც კი.

რთული საშინაო თუ საგარეო მდგომარეობა ქვეყანას არ აძლევდა საშუალებას სტაბილურ გარემოში განვითარებულიყო. ხელისუფლებას მუდმივად უწევდა, ერთის მხრივ, შიდა არეულობების დალაგება-დაშოშმინება, მეორეს მხრივ კი მტრულად განწყობილი მეზობელი ქვეყნების მიერ პერიოდული შემოტევების მოგერიება, რაც საბოლოოდ ქვეყნის ოკუპაციით დასრულდა.

ბუნებრივია, რომ ახლად ჩამოყალიბებულ რესპუბლიკისათვის იოლი არ იქნებოდა მხოლოდ პოლიტიკური გზით ყოველმხრივ სიტუაციის დალაგება, მითუმეტეს ისეთ სახელმწიფოებთან, როგორიც იყო მაშინდელი საბჭოთა რუსეთი და ქემალისტური თურქეთი იყო, რომელთაც თავიანთი ინტერესები ჰქონდათ ზოგადად ამიერკავკასიაში და მათ შორის, საქართველოშიც. ამიტომაც უმნიშვნელოვანესი იყო ძლიერი ეროვნული არმიის ჩამოყალიბება, რომელიც უზრუნველყოფდა ქვეყნის სუვერენიტეტის დაცვას და ამავდროულად, შიდა არეულობების დასტაბილურებას. ამდენად, საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა აქტიურად შეუდგა სამხედრო ძალების ფორმირებას. მთავრობაში აზრთა სხვადასხვაობის მიუხედავად, გადაწყდა, რომ ქვეყანას უნდა ჰყოლოდა რეგულარული ჯარი და ამავდროულად გვარდია, რომელიც სახალხო გვარდიის სახელით არის ცნობილი. სწორედ, წინამდებარე სტატია ეხება საქართველოს პირველი დემოკრატიის პერიოდში სახალხო გვარდიის როლს დემოკრატიის შენარჩუნებაში.

ბუნებრივია, სტატიაში ვერ იქნება სამწლიანი პერიოდის ყველა ეტაპი და ფაქტი განხილული, მაგრამ ძირითადი მოვლენების ფონზე წარმოვაჩენთ სახალხო გვარდიის როლს და მის დამსახურებას ქვეყნის დემოკრატიის შენარჩუნებაში.

საკვანძო სიტყვები: დემოკრატიული რესპუბლიკა, ბრძოლა ბოლშევიზმის წინააღმდეგ, წითელი გვარდია, სახალხო გვარდია, რეგულარული ჯარი.

FIRST DEMOCRATIC REPUBLIC OF GEORGIA AND THE PEOPLE'S GUARD

Lieutenant Colonel Gocha Batadze

Commander of the 104th Territorial Defense Battalion of
10th Territorial Defense Brigade of
National Guard of the Georgian Defense Forces,
Doctoral student of Humanities Faculty of Sukhumi State University

Abstract

One of the most important stages of the period of independence of the historical state of Georgia - the years of the First Democratic Republic of Georgia (1918-1921) - was, is and will be a symbol of pride, pain, regret and yet optimism in the history of Georgia. The three-year period, when the democratic state had to survive in the most difficult period, is distinguished by the manifestation of the high patriotic spirit of its army, commanders and people, their perseverance, endurance and faith, which united the population around the idea of preserving the country's independence.

After the October (November) Revolution in Russia in 1917, the National Council was established in Georgia by the unification of national forces, supported by the Georgian intelligentsia, which was presented as a representative body of the Georgian people. This body declared Georgia an independent republic on May 26, 1918. Georgia's independence was recognized by Bolshevik Russia and Kemalist Turkey.

Due to its geopolitical location, Georgia has always been a sphere of interest for the world's leading countries. This was also the case in 1918-1921. On the one hand, the so-called the Entente countries wanted to maintain their influence on Georgia, and on the other hand, Turkey and Russia were clearly demonstrating their imperialistic intentions. At that time, the democratic Georgian government looked with hope at almost everyone, including Turkey and even Russia.

The difficult internal and foreign situation did not allow the country to develop in a stable environment. The government constantly had to settle and quell internal unrest, on the one hand, and repel periodic attacks by hostile neighboring countries, on the other hand, which ultimately ended in the occupation of the country.

Naturally, it would not be easy for the newly formed republic to sort out the situation in all respects only through political means, especially with states such as the Soviet Russia and Kemalist Turkey, which had their interests in Transcaucasia in general and, among them, in Georgia. That is why it was of the utmost importance to form a strong national army that would ensure the protection of the country's sovereignty and, at the same time, stabilize internal unrest. Thus, the government of the First Democratic Republic of Georgia actively began to form military forces. Despite the differences of opinion in the government, it was decided that the country should have a regular army and at the same time a guard, known as the People's Guard. This article is about the role of the People's Guard in maintaining democracy during the period of the first democracy in Georgia.

Naturally, the article will not be able to discuss all the stages and facts of the three-year period, but against the background of the main events, we will present the role of the People's Guard and its merits in preserving the country's democracy.

Keywords: Democratic Republic, fight against Bolshevism, Red Guard, People's Guard, regular army.

შესავალი

საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის არმიის პარალელურად, არსებობას განაგრძობდა ჯერ კიდევ 1917 წლის თებერვლის რევოლუციის გამარჯვებისათნავე სოციალ-დემოკრატების მიერ ჩამოყალიბებული წითელი გვარდია, რომელსაც დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ სახალხო გვარდია ეწოდა.¹

„წითელი გვარდია“ ძირითადად შედგებოდა საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის მხარდამჭერებისაგან დამუშათაკლასისგან. მისი ჩამოყალიბებამოხდა სოციალისტური იდეებზე დაფუძნებით და მასზე დიდ გავლენას ახდენდა მაშინდელ რუსეთში მიმდინარე პოლიტიკური მოვლენებიც. საქართველო ჯერ კიდევ არ იყო გამოყოფილი რუსეთისაგან და დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე, რუსეთში არსებული ე.წ. რევოლუციური გარდატეხის პარალელურად, ქვეყნაში მიმდინარეობდა შიდა ძალთა დაპირისპირება და იყო გაურკვეველ პოლიტიკური სიტუაციის პროცესში.

ქვეყნის მაშინდელი წითელი გვარდიის ფორმირება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა იყო საქართველოში დემოკრატიული წყობილების განმტკიცებაში. წითელი გვარდია (შემდგომში სახალხო გვარდია) საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში ოპოზიციური ჯგუფების (მეფის რეჟიმის ძალები თუ ბოლშევიკები) მიერ წარმოებული შეიარაღებული ამბოხების ჩახშობის მონაწილე და უფრო მეტიც-მთავარი ძალა იყო. წითელი გვარდიის მნიშვნელობას უსვამს ხაზს სახალხო გვარდიის მთავარი შტაბის ხელმძღვანელი-ვალიკო ჯუღელი თავის მოგონებებში, როცა საუბრობს მე-8 პოლკის განიარაღებაზე, რომელიც რიგით მეოთხე იყო.² თუმცა, ამავდროულად სახალხო გვარდიის არსებობას გააჩნდა რიგი უარყოფითი მხარეებიც, რაზესაც იქნება სტატიაში საუბარი.

ძირითადი ნაწილი

1918 წლის 26 მაისს საქართველომ დამოუკიდებლობა გამოაცხადა. 1918 წლის 2 ივლისს კი საქართველოს ეროვნული საბჭოს გადაწყვეტილებით მიღებული იქნა კანონი „საქართველოს რესპუბლიკის სახალხო გვარდიის შესახებ“, რითაც 1918 წლის ბოლოს სოციალ-დემოკრატიული წითელი გვარდია გადაკეთდა სახალხო გვარდიად და დაისახა კონკრეტული მიზანი, რაც რესპუბლიკის, მისი დამოუკიდებლობის და თავისუფლების დაცვა წარმოადგენდა. სახალხო გვარდია ომის დროს ემორჩილებოდა საერთო მთავარსარდალს, ხოლო დანარჩენ პერიოდში, მთავრობის თავმჯდომარეს.³

სახალხო გვარდია იმართებოდა სახალხო გვარდიის მთავარი შტაბის და საოლქო/სარაიონო შტაბების მიერ. გვარდიაში მოხალისეების სამსახური უსასყიდლო იყო და სამსახური შეეძლო საქართველოს ნებისმიერ მოქალაქეს, რომელიც თავის მხრივ არ ირიცხებოდა სამხედრო სამსახურში. სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს მოხალისეებს მთავრობა აძლევდა დახმარებას. ოფიცრები და ინსტრუქტორები, რომლებიც ირიცხებოდნენ სახალხო გვარდიის რიგებში, მთავრობისაგან იღებდნენ ხელფასს. მოხალისეები ვალდებული იყვნენ, როდესაც ამას საჭიროდ ჩათვლიდა მთავრობა, გამოცხადებულიყვნენ საკუთარ რაიონულ შტაბში იარაღით და აღჭურვილობით, რომელიც მათ მიზარებული ჰქონდათ შტაბების მიერ. აქვე აღსანიშნავია, რომ გარდა მთავრობის თავმჯდომარისა, გვარდიის გაწვევის უფლება ჰქონდა ეროვნული საბჭოს თავმჯდომარეს. საგანგებო ვითარებაში ამ ფუნქციით შეეძლო ესარგებლა მთავარ და რაიონულ შტაბებს, რომელი უფლებაც 1919 წლიდან ჩამოერთვათ.⁴

1 ა. ბენდიანიშვილი, საქართველოს პირველი რესპუბლიკა (1918-1921 წწ.), (თბ., 2001, გვ. 112-113.)

2 ვ. ჯუღელი, მძიმე ჯვარი (სახალხო გვარდიელის ჩანაწერები), (გამომცემლობა „ზიარი“ თბილისი, 2022, გვ. 52.)

3 საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული, თბ., 1990;

4 საქართველოს ისტორიის ინსტიტუტი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, შრომები, ტ. III, თბ., 2011.

სახალხო გვარდია შედგებოდა რეგულარული და როგორც ზემოთ აღინიშნა, არარეგულარული შენაერთებისაგან (მოხალისეები). რეგულარულ შენაერთებში შედიოდა: საარტილერიო ბრიგადა, საგანგებო ქვეითი ბატალიონი, ცხენოსანი დივიზიონი, საგანგებო ტყვისმფრქვეველთა რაზმი, ჯავშნოსან ავტომობილთა გუნდი (1920 წლიდან ჯავშანსატანკო დივიზიონი ეწოდა), ჯავშნიანი რკინიგზის რაზმი, საინჟინრო გუნდი. რაც შეეხება არარეგულარულ შენაერთებში, რომლებიც იკრიბებოდნენ ომის დროს ტერიტორიული პრინციპის მიხედვით - შედიოდა 19 სარეზერვო ბატალიონი: თბილისის-4, გარეკახეთის, კახეთის-2, დუშეთის, ქართლის-2, ახალციხის, იმერეთის-3, სამეგრელოს-2, სოხუმის, გურიის და ბათუმის. ამდენად, სახალხო გვარდიის რეგულარული და არარეგულარული შენაერთების რაოდენობა ერთად, დაახლოებით 15000 მეზომოლი უნდა ყოფილიყო მობილიზაციის დროს.⁵

სახალხო გვარდიას, როგორც ეროვნული თავდაცვის ძალას, უნდა დაეცვა საქართველოს დამოუკიდებლობა და წინააღმდეგობა გაეწია როგორც ქვეყნის შიგნით წამოჭრილ, ასევე გარე საფრთხეებზეც. სახალხო გვარდია, რომელიც დაფუძნებული იყო რევოლუციურ იდეებზე და ამავდროულად იმართებოდა პოლიტიკოსი ხელმძღვანელების მიერ, დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობისათვის უფრო სანდო დასაყრდენ ძალად იყო მიჩნეული, ვიდრე რეგულარული არმია. ამასთან დაკავშირებით ღიად გამოხატავდნენ უკმაყოფილებას მაშინდელი მხედართმთავრები. გენერალი გიორგი მაზნიაშვილი ამბობს თავის მოგონებებში, რომ დემოკრატიული მთავრობისათვის „... გვარდია იყო პირმო შვილი, ჯარი კი გერი...“⁶ და ფაქტობრივად, გვარდიის გულის მოსაგებად არაფერს ზოგავდაო მენშევიკური მთავრობა. გვარდიაში მიდიოდა საუკეთესო აღჭურვილობა, იარაღი, ფეხსაცმელი თუ ტანსაცმელი. გვარდია იკვებებოდა უკეთ და ჰქონდათ ბლომად ფულიცო. იგივეს იმეორებდა გენერალი კვინიტაძეც: „... გვარდია ნებიერი იყო, არმია - გერი“.⁷

შესაძლოა გადამეტებულიცაა გენერლების მიერ იმდროინდელი მდგომარეობის ასახვა, თუმცა აშკარაა, რომ მთავრობა უფრო მეტ ყურადღებას აქცევდა გვარდიას, ვიდრე დანარჩენ ჯარს, რაც აჩენს კითხვას-რატომ?.. ბუნებრივია მთავრობა უფრო მეტად ენდობოდა რევოლუციური იდეოლოგიით გამსჭვალულ სახალხო გვარდიის ხელმძღვანელობას, ვიდრე მეფის რუსეთის ჯარში ნამსახურებ ოფიცრებს და მეთაურებს, რომლებიც სათავეში ედგათ იმ დროინდელ სამხედრო შენაერთებს. თუმცა მხოლოდ ეს ფაქტი არ უნდა ყოფილიყო მიზეზი; მიუხედავად მთავრობაში აზრთა სხვადასხვაობისა, რომ სახალხო გვარდია ყოფილიყო სამხედრო მინისტრის დაქვემდებარებაში (აღნიშნულს კატეგორიულად მოითხოვდა განსაკუთრებით სამხედრო სამინისტროს გუნდი), მთავრობის თავმჯდომარემ საბოლოოდ მხარი დაუჭირა სახალხო გვარდიის დამოუკიდებელ ორგანიზაციად ჩამოყალიბებას, რომელიც უშუალოდ დაექვემდებარებოდა მთავრობას; ეს კი ალბათ, ხელ-ფეხს უხსნიდა მას გვარდია შიდა არეულობის თუ დესტაბილიზაციის კერების ჩახშობისათვის მცისიერად გამოეყენებინა. მაგრამ, მთავარი მიზეზი ხელისუფლების მხრიდან სახალხო გვარდიაზე დაყრდნობისა, მაინც არის რევოლუციური იდეოლოგიის ერთობა, რამეთუ სახალხო გვარდიის მთავრი შტაბი მისი ხელმძღვანელის ჩათვლით, ძირითადად რეველუციონებისგან იყო დაკომპლექტებული. ეს ერთი ფაქტიც საკმარისია იმისათვის, რომ წარმოვიდგინოთ თუ რა რთული იქნებოდა მისი და გენერლების ერთობლივი ოპერაციების წარმოება. ამავდროულად გვარდიის რაოდენობა ორმაგად იყო წარმოდგენილი ვიდრე არმიის დანაყოფები.

სახალხო გვარდია უნდა ყოფილიყო სამხედრო მინისტრზე დაქვემდებარებაში და არა მთავრობის. ეს საშუალებას მისცემდა მთავარსარდალს და გენერალიტეტს სახალხო გვარდიის

5 დ. სილაქაძე, „საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო გვარდიის საორგანიზაციო-საშტატო სტრუქტურისა და რიცხოვნობის საკითხისათვის“. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. III თბილისი. 2011

6 გ. მაზნიაშვილი, მოგონებები 1917-1925, („სახელმწიფო გამომცემლობა“, ტიფლისი, 1927, გვ. 8.)

7 გ. კვინიტაძე, ჩემი მოგონებები (1917-1921 წ.წ.), ნაწ. II, (თბილისი, 2014, გვ. 114.)

ეფექტურად გამოყენებაში, განსაკუთრებით საომარ ვითარებაში. ასეთი მოცუპულება თავიდან აარიდებდა ქვეყანას სახალხო გვარდიელების მხრიდან თვითნებურ მოქმედებებს, როგორც იყო პოზიციების მიტოვება და ფრონტის სარდალისადმი დაუმორჩილებლობა. აღნიშნულ ფაქტებს უსვამს ხაზს გ. მაზნიაშვილი თავის მოგონებებში, როცა საუბრობს ხაშურის ბატალიონის მიერ პოზიციების მიტოვებაზე და თბილისისკენ წასვლაზე.⁸ ასევე, აწყურთან 2500 კაცამდე გვარდიელის თვითნებურად უკან დახევაზე⁹ და ა.შ. იყო ფაქტები მოხალისეების მხრიდან ცალკეული მარადიურობისა. აღნიშნულის შესახებ ინფორმაცია მრავლად ჩანს, როგორც გენერლების, ისე თავად გვარდიის ხელმძღვანელის მოგონებებშიც.

აშკარაა, რომ მთავრობა სახალხო გვარდიის დამისხელმძღვანელს მეტად ეყრდნობოდა, რადგანაც სწორედ ვალიკო ჯუღელის დიდი ძალისხმევითა და ენთუზიაზმით ჩამოყალიბდა ტფილისის წითელი გვარდიის პირველი შენაერთი, რომელმაც გადამწყვეტ მომენტში - 1917 წლის 12 დეკემბერს შოკისმომგვრელი შეტევით დაიკავა ამიერკავკასიის მთავარი იარაღის საცავი, თბილისის არსენალი, და დედაქალაქი თუ მთელი ქვეყანა ბოლშევიკური შიდა გადატრიალებისაგან გადაარჩინა.¹⁰

თავის მოგონებებში ვალიკო ჯუღელი, ნოე ჟორდანიასთან ურთიერთობაზეც ღიად საუბრობს, რაც კიდევ ერთხელ ააშკარავებს მთავრობის და სახალხო გვარდიის ახლო ურთიერთობას. ამაზე მიუთითებს არაერთი ფაქტი, რაც ასახულია ვ. ჯუღელის მოგონებებში, მაგალითად: „ამჟამად ჩვენ მატარებელში ვართ მე, ნ.ნ. ჟორდანია, ირ. გ. წერეთელი, ალ. დგებუაძე და ვლ. მგელაძე მივდივართ ბათუმში.“¹¹ მთავრობის მიერ გვარდიისადმი აშკარა ნდობას უსვამს ხაზს საქართველოს სხვადასხვა რეგიონში 1918-1920 წლებში მიმდინარე ბოლშევიკური გამოსვლების ჩასახშობად უშუალოდ გვარდიის გამოყენება თავად ვალიკო ჯუღელის ხელმძღვანელობითაც.

განსაკუთრებით აღსანიშნავია, სახალხო გვარდიის სისასტიკის შესახებ გაბნეული ინფორმაციაც, რაც ერთის მხრივ არ უნდა ყოფილიყო უცნობი მთავრობისთვის. აშკარაა, რომ სახალხო გვარდიის მხრიდან სისასტიკის ფაქტებს მრავლად ჰქონდა ადგილი. ამას ადასტურებს ბევრჯერ თვით ვ. ჯუღელიც არაერთი გვარდიელის დახვრეტის შესახებ, როგორც იყო თელავის სადგურთან,¹² სომხური სოფლის გამარცხის დროს¹³ თუ 10 წლის გოგონას გაუპატიურებისათვის დახვრეტის ფაქტი.¹⁴ მიუხედავად იმისა რომ ამ ქმედებებს განიცდის, ის მაინც ამართლებს თავის საქციელებს.¹⁵ არადა თავისივე მოგონებებში წერს: „... მე ვიცი, რომ გავიმარჯვებო. და ეს იქნება დემოკრატიის გამარჯვება შოვინისტებზე...“¹⁶ მაშინ როდესაც მისივე საქციელი ასამარებდა დემოკრატიული პროცესების საწყისებს. შესაძლოა გამართლებაც მოეპოვოს დისციპლინის განმტკიცების თვალსაზრისით საომარ ვითარებაში განსაკუთრებით მძიმე დამნაშავეების მსგავსი სახით გასამართლებას, თუმცა, როდესაც დემოკრატიის სახელით გამოდიხარ და წარმოადგენ დემოკრატიული სახელმწიფოს დასაყრდენს, ვფიქრობ, არაა გამართლებული მსგავსი ქმედება; მითუმეტეს ბოლშევიკების მიერ აქტიურ ანტისახელმწიფოებრივი მოქმედებების ფონზე.

საინტერესო ინფორმაციას გვაწვდის ვ. ჯუღელი 1919 წლის 13 ივლისის ჩანაწერებში, სადაც იგი აღნიშნავს ფაქტს, რომ ის სახალხო გვარდიის მთავარი შტაბის ხელმძღვანელის თა-

8 იქვე. გ. მაზნიაშვილი, 1927, გვ. 165.

9 აქვე, გვ. 194.

10 დ. ზვადაგია, წინასიტყვაობა, წიგნში: მძიმე ჯვარი (სახალხო გვარდიელის ჩანაწერები), (გამომცემლობა „ზიარი“, თბილისი, 2022, გვ. 11.)

11 ვ. ჯუღელი. მძიმე ჯვარი (სახალხო გვარდიელის ჩანაწერები), (გამომცემლობა „ზიარი“ თბილისი, 2022, გვ. 60.)

12 აქვე, გვ. 53.

13 აქვე, გვ. 194.

14 აქვე, გვ. 181.

15 აქვე, გვ. 183.

16 აქვე, გვ. 148.

ნამდებობიდან წამოვიდა, რადგან სახალხო გვარდია დაუქვემდებარეს სამხედრო მინისტრს. ამ გადაწყვეტილებას ასე ხსნიდა: „...როგორც ჩანს, ვიღაცას ეშინია გვარდიის, ეშინია მთავარი შტაბის, თვით ჩემიც კი ეშინია!...“¹⁷ ეს სიტყვები აშკარად მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ გვარდია რიგ შემთხვევებში დამოუკიდებლად მოქმედებდა. იყო დაუმორჩილებელი და თანდათან საშინო ორგანიზაციის სახეს ღებულობდა. სამხედრო სამინისტროს წარმომადგენლებმა საბოლოოდ დააწმუნა მთავრობა, რომ არ შეიძლებოდა ქვეყანაში ყოფილიყო ორი სამხედრო ძალა და სჯობდა ერთი სტრუქტურის/ორგანიზაციის შემადგენლობაში თუ იქნებოდა. ვფიქრობ, ეს გადაწყვეტილება ერთ-ერთი იმ დროინდელი მთავრობის სწორი არჩევანი იყო. თუმცა მალევე შეიცვალა გადაწყვეტილება და ვ. ჯუღელის 1919 წლის 19 ივლისის ჩანაწერებშიც ჩანს, რომ მთავრობის დაქვემდებარებაში დარჩა კვლავ სახალხო გვარდია. არადა, ვინ იცის, რაოდენ ეფექტური იქნებოდა სამომავლოდ წარმოებულ ომებში, გვარდია რომ სამხედრო სამინისტროს სრულ დაქვემდებარებაში ყოფილიყო.

ობიექტურობიდან გამომდინარე, გვერდს ვერ ავუვლი სახალხო გვარდიისა და ჯარის ხელმძღვანელობას შორის არაჯანსაღ დამოკიდებულებაზე საუბარს, რაც სწორედ ქვეყნის შეიარაღებული ძალების არასათანადო მოწყობის შედეგი იყო. მაშინდელი ჯარისა და სახალხო გვარდიის ხელმძღვანელების ჩანაწერებში აშკარად ჩანს ერთმანეთისადმი უარყოფითი დამოკიდებულება, როცა ერთმანეთს კრიტიკასაც არ ერიდებიან. ამ მხრივ ყურადსაღებია თვით ვ. ჯუღელის ჩანაწერები. მაგალითად: „...მაზნიევმა, როგორც ჩანს, აქ ბევრი რამ აურდაურია თავისი ტაქტიკითაც და უტაქტობითაც. მოგვიწევს ეს ყველაფერი მოვაწესრიგოთ და ატმოსფეროც განვმუხტოთ...“¹⁸ რთულად დასაჯერებელია სამოქალაქო პირის მიერ გამოცდილი გენერლის ტაქტიკის დაწუნება. იგი თავადვე აღიარებს, რომ არის სამხედრო პირი. უწინარეს ყოვლისა პოლიტიკოსად მივიჩნევდა თავს და მხოლოდ ამის შემდეგ - რევოლუციის ჯარისკაცად.¹⁹

ის, რომ საქართველოს პირველი დემოკრატიული მთავრობის მიერ, ჯარის ჩამოყალიბებისთანავე ვერ გატარდა ეფექტური რეფორმები, გენერალი კვინიტაძის ღია გულისწყრომაც ადასტურებს; გენერალი არაერთ სირთულეზე საუბრობს თავის მოგონებებში, რომ წინააღმდეგობაში მოდიოდა რიგი დადგენილებები ერთმანეთთან. მთავრობის მიერ ჯარის სტრუქტურის ჩამოყალიბება, რომელიც მრავალ ხარვეზს მოიცავდა, ართულებდა მის ეფექტურად მართვას, მითუმეტეს საომარ სიტუაციაში. გენერალი ამბობდა, რომ მთავრობა თუ მას შეთავაზებდა 1921 წლის თებერვალში მთავრსარდლის თანამდებობას, იგი პირველ რიგში მოითხოვდა უმაღლეს სამხედრო მმართველობაში ძირფესვიან რეფორმას და მათ შორის გვარდიის ბატალიონების საერთოდ გაუქმებას, ან მინიმუმამდე შემცირებას მაინც.²⁰

არმიასა და სახალხო გვარდიას შორის არაჯანსაღი დამოკიდებულების ნათელი სურათია გენერალ მაზნიაშვილის ჩანაწერები თავის „მოგონებანში“: „მივმართე სახალხო გვარდიის შტაბის უფროსს ვალ. ჯუღელს და ვსთხოვე აეღო თავისთავზე ამოცანის სისრულეში მოყვანა აფხაზეთში. ჯუღელმა განმიცხადა, რომ ამის შესახებ მას ჰქონდა ლაპარაკი პირდაპირი მავთულით მთავრობასთან და სწორედ მას აქვს დაკისრებული აფხაზეთის გაწმენდა ბოლშევიკებისაგან...“²¹ თუმცა, როგორც სამხედრო პირი იქვე დასძენს გვარდიის თბილისში გაბრუნების შესახებ, რომ: „...ბოროტი ენები ლაპარაკობენ, ვითომ გვარდია დაბრუნდა ტფილისში საქართველოს დამოუკიდებლად გამოცხადების დღის-26 მაისის ზეიმში მონაწილეობის მისაღებად. ნამდვილად კი, როგორც მე ვფიქრობ სახალხო გვარდიის ტფილისში დაბრუნება მჭიდროდ დაკავშირებული იყო მოსალოდნელ აჯანყებებთან დუშეთში, ლეჩხუმში და

17 იქვე. ვ. ჯუღელი. 2022, გვ. 240.

18 იქვე, გვ. 138.

19 იქვე, გვ. 146.

20 იქვე. გ. კვინიტაძე, ჩემი მოგონებები (1917-1921), II ნაწ., 2014, გვ. 5.

21 იქვე. გ. მაზნიაშვილი, მოგონებები 1917-1925, 1927, გვ. 57.

შემდეგ სამეგრელოში და ოსეთში.²² რაც არ უნდა ყოფილიყო მიზეზი, აშკარაა რომ გენერალი არ ფლობდა არც თავდაპირველ ინფორმაციას მთავრობის მიერ გვარდიის ხელმძღვანელზე გაცემულ განკარგულების შესახებ და არც აფხაზეთიდან წასვლის რეალურ მიზეზს. ყოველივე ეს კი კიდევ ერთხელ აშკარად მიუთითებს მთავრობის მხრიდანაც არასათანადო ქმედებებზე და ასევე, გვარდიასა და ჯარს შორის არაკორდინირებაზე.

რეგულარული ჯარისადმი უნდობლობას აფიქსირებს ვ.ჯუღელი ტფილისის ჩანაწერშიც: „თითქმის მთელ გვარდიას ვხსნით გაგრის ფრონტიდან. იქ რეგულარული ჯარები მიემგზავრებიან, მაგრამ მე მათი, რატომღაც, ნაკლებად მწამს...“²³ ასევე უმოწყალოდ აკრიტიკებს რეგულარ ჯარის მეთაურობას ერთ-ერთ ჩანაწერში „... გამოუცდელობისა და ჩვენი გენერლების ფეტიშიზმის ბრალი იყო ოზურგეთზე შეტევისას, წარუმატებლობა რომ განვიცადეთ 10 აპრილს. მაშინ ჩვენ ზედმეტად ვენდობოდით გენერლების სამხედრო ავტორიტეტს...“²⁴ მაშინ, როდესაც გენერალი მაზნიაშვილი სახალხო გვარდიელების სიმამაცეზეც ამხვილებს ყურადღებას, რომელიც ოსმალებთან ბრძოლაში გამოავლინეს გურიაში 1918 წლის 11 აპრილს და უკან დაახევინეს.²⁵

რაოდენ უცნაურადაც არ უნდა ჟღერდეს, ვ. ჯუღელისთვის უფრო ღირებულს და მნიშვნელოვანს წარმოადგენდა რევოლუციური იდეები და სწრაფვა, ვიდრე ეროვნული და ამას ღიად აფიქსირებს. ერთ-ერთ ჩანაწერში იგი გმობს მთავრობის სასახლეზე ეროვნული დროშის აღმართვას, ნაცვლად რევოლუციური წითელი დროშისა.²⁶ ასევე რწმენით აღსავსე ხმამაღლა ამბობს: „მიყვარს, მიყვარს მე ნამუსახდილი, ნატანჯი, გამარცვული რუსეთი და მისი აღდგომის მჯერა!..“²⁷

რაოდენ დასანანია, როცა თვით ქართველი სწავლულების მიერაც ჟღერდებოდა საბჭოთა მთავრობისთვის სიამოვნების მოგვრის მოტივით თუ რევოლუციური შთაგონებით გაჟღენთილი ანტიეროვნული ნარატივები, რომლებზეც იზრდებოდა თაობები 70 წლიანი „ბნელი“ ეპოქის პერიოდში. სწორედ ამას ემსახურება ვ. ჯანჯღავას სიტყვებიც, როდესაც საუბრობს საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის ე.წ. „მენშევიკურ“ მთავრობაზე: „მენშევიკები საქართველოში მცხოვრებ სხვა ხალხთა მიმართ დიდ-მპყრობელურ ნაციონალ-შოვინისტურ პოლიტიკას ახორციელებდნენ. მენშევიკური მთავრობა წინააღმდეგი იყო ავტონომია მინიჭებოდა აფხაზეთის, აჭარისა და სამხრეთ ოსეთის მშრომელებს თვით საქართველოს ფარგლებშიც კი.“²⁸ რაზედაც ვფიქრობ სრულიად სამართლიანი გადაწყვეტილება იყო მიღებული იმდროინდელი ხელისუფლების მიერ. უფრო მეტიც, არც დღეს არ უნდა არსებობდეს არავითარი ავტონომიური წარმონაქმნი საქართველოს ტერიტორიაზე, რომ იმპერიალისტური სახელმწიფოების მიერ არ იყოს ხელჩასაჭიდი „დაყავი და იბატონეს“ პოლიტიკის გატარებით საქართველოს სუვერენიტეტის სამუდამოდ გაქრობის მცდელობა და მითუმეტეს შესაძლებლობა.

1918 წლის 14 მარტს, ერთის მხრივ, ბოლშევიკური მოძრაობის გააქტიურებით და მეორეს მხრივ, სეპარატიზმის გაღვივებით, შიდა ქართლის მთიანეთის სოფლები ყორნისი და ორტევი აჯანყებამ მოიცვა, რაც მალევე გადავიდა ცხინვალსა და ჯავაშიც. „მთავრობამ ოსეთის რევოლუციური გლეხობის წინააღმდეგ დიდი შეიარაღებული ძალები გაგზავნა ვ. ჯუღელისა და გენერალ კონიაშვილის მეთაურობით. 22-23 მარტს მენშევიკურმა ჯარებმა აიღეს დაბა

22 აქვე, გვ. 58.

23 იქვე ვ.ჯუღელი, 2022, გვ.250

24 იქვე. ვ.ჯუღელი, 2022, გვ.269.

25 იქვე. გ.მაზნიაშვილი, 1927, გვ. 49.

26 იქვე. ვ.ჯუღელი, 2022, გვ.262.

27 აქვე, გვ.273.

28 ვ. ჯანჯღავა, გლეხთა რევოლუციური მოძრაობა საქართველოში 1917-1921 წლებში, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1982, გვ.107.

ცხინვალი, აჯანყებულმა გლეხებმა ჯავის ხეობისაკენ დაიხიეს.²⁹ საბოლოოდ აჯანყებულთა გამოსვლა მარცხით დასრულდა, რაშიც უდიდესი როლი შეასრულა სახალხო გვარდიის შენაერთებმა.

აღსანიშნავია სახალხო გვარდიის როლი 1918 წლის ივნისი-ივლისის თვეებში დუშეთის მაზრის აჯანყების მზადებიდანვე ჩახშობის საქმეში. ამას ადასტურებს ვ. ჯანჯღავაც, როცა საუბრობს მოვლენების შესახებ. „16 ივნისს მენშევიკურმა გვარდიამ ალყა შემოარტყა ბაზალეთის, მისაქციელის და სხვა სოფლების გლეხთა რაზმებს და მათთვის იარაღის ჩამორთმევას შეუდგა...“³⁰

ფაქტობრივად, 1918 წელს თითქმის უწყვეტ რეჟიმში მიმდინარეოდა ქვეყნის სხვადასხვა რეგიონებში (მაშინდელ მაზრებში) ბოლშევიკური გამოსვლები, რაც საწყის ეტაპზე აჯანყების და ადგილობრივი მენშევიკური მმართველობის განდევნითაც სრულდებოდა, თუმცა საბოლოოდ საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ შეძლო ქვეყანაში მიმდინარე აჯანყებების ჩახშობა. ქვეყანაში წესრიგის დამყარებაში და ბოლშევიკური გამოსვლების დამარცხებაში, უდიდესი წვლილი კი შეიტანა სწორედ სახალხო გვარდიამ.

1919 წელს თითქმის მთელი ქვეყნის მასშტაბით, ბოლშევიკების მიერ ახალი აჯანყების ტალღა აგორდა, რომელსაც საბოლოოდ უნდა დაესრულებინა საქართველოში მენშევიკური მთავრობის არსებობა და ძალაუფლება უნდა გადასულიყო ბოლშევიკების ხელში. ამის ნათელი მაგალითია იმდროინდელ პრესაში ასახული თუნდაც ერთ-ერთი ფაქტი თელავის მაზრის მაგალითზე; სამაზრო სამხედრო-რევოლუციური კომიტეტის წინასწარი მონაცემებით, აჯანყებაში მონაწილეობისათვის 465 შეიარაღებული მებრძოლი იყო მზად. თუმცა მთავრობის მიერ აჯანყების დაწყებამდე იქნა სამაზრო და რაიონული ცენტრების ხელმძღვანელობისა, აქტიურ მებრძოლთა დაპატიმრება.³¹ ამას დაერთო მთავრობის მიერ შეიარაღებული ძალების ეფექტური მობილიზება გამოსვლების ნეიტრალიზაციისათვის, რამაც საბოლოოდ შესაძლებელი გახადა 1919 წლის ოქტომბრის ბოლოს სამთავრობო ძალების მიერ აჯანყებულთა დამარცხება. აქაც, კიდევ ერთხელ უდიდესი როლი შეასრულა სახალხო გვარდიის შენაერთებმა.

სახალხო გვარდიამ, ქვეყნის შიგნით არეულობების ჩასახშობად ბოლშევიკების შეტაკებებში არაერთი პატრიოტი ოფიცერი და ჯარისკაცი დაკარგა. გვარდიის შენაერთებიდან განსაკუთრებული როლი შეასრულა ქართულმა ჯავშანმატარებელმა ალ. გოგუაძის მეთაურობით, რომლის მებრძოლებმა საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის ისტორიაში არა მხოლოდ შიდა წესრიგის დამყარების დროს, არამედ გარეშე მტრებთან ბრძოლების დროსაც არაერთხელ წარმოაჩინეს თავი სიმამაცითა და თავგანწირვით.

მიუხედავად საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის წარმატებული გამარჯვებისა 1919 წლის ბოლშევიკების აჯანყებების ჩახშობაში, 1920-21 წლები კვლავ დიდი გამოწვევების წინაშე აყენებს რესპუბლიკის მთავრობას; ერთის მხრივ, ქვეყნის შიგნით არსებული ბოლშევიკური მოძრაობებით და მეორეს მხრივ, საბჭოთა რუსეთის აშკარა ჩარევით ქვეყნის სამომავლო ბედის გადაწყვეტაში, რაც სამწუხაროდ 1921 წლის 25 თებერვალს საქართველოს გასაბჭოებით დასრულდა.

1920 წლიდან კვლავ იწყება ბოლშევიკური პარტიის მიერ ორგანიზებული ე.წ. გლეხთა გამოსვლები, რომლის ერთ-ერთ მაგალითს წარმოადგენდა შიდა ქართლის მთიანეთის (სამხრეთ ოსეთის) ოსი მოსახლეობის აჯანყება, რომლის ჩახშობაც დაევალა სახალხო გვარდიას, მისი ხელმძღვანელის ვ. ჯუღელის მეთაურობით. სახალხო გვარდიის მიერ 1920 წლის 12 ივნისს ოსეთის აჯანყება ჩახშობილი იქნა, 14 ივნისს კი ჯავის აჯანყებაც. ამ აჯანყებების

29 იქვე. ვ. ჯანჯღავა, 1982, გვ.108-109

30 იქვე, გვ. 110.

31 გაზ. „ერთობა“, 1919 წლის 10 დეკემბერი.

ჩახშობაზე საუბრობს ვ. ჯანჯღავა, რომ: „...მენშევიკები, ჯუღელის ბრძანების თანახმად, ხოცავდნენ მოხუცებს, ქალებს, ბავშვებს, წვავდნენ სოფლებს, მიერეკებოდნენ პირუტყვს. ეს იყო საშინელი ანგარიშის გასწორება საბჭოთა ხელისუფლებისათვის მებრძოლებთან.“³² ვფიქრობ, ფაქტები გადამეტებულად არის წარმოჩენილი. ბუნებრივია, მსგავს სიტუაციაში სისასტიკე იქნებოდა გამოვლენილი აჯანყების ორგანიზატორების და ხელმძღვანელების მიმართ, თუმცა მოხუცების, ბავშვების და ქალების ხოცვა ყოველად გადამეტებულია და ემსახურება საბჭოთა სიძულვილის გამოხატვას საქართველოს იმჟამინდელი მთავრობის, თუ მისი ძირითადი საყრდენის - სახალხო გვარდიისადმი. ვ. ჯანჯღავა, სახალხო გვარდიის სისასტიკეს ამყარებს მაშინდელი სამხედრო მინისტრის გ. ლორთქიფანიძის ერთ-ერთ საგაზეთო სტატიითაც, როცა იგი მიმართავს ქართულ ჯარს: „არ დაინდოთ მოღალატენი, შხამიანი გველის წიწილები უნდა გაისრისოს, ამას მოითხოვს ქართველი ხალხის ბედნიერება...“³³ შიდა ქართლის მთიანეთის აჯანყების შედეგებზე საუბრობს ასევე ვ. აბაევი: „... მენშევიკების მხეცობის შედეგად მოხდა სამხრეთ ოსეთის, მეურნეობის ეკონომიური საფუძვლის მოშლა, ქვეყანამ დაკარგა ყველა ძირითადი პირობა თავისი შემდგომი არსებობისათვის...“³⁴ ბუნებრივია, ანიშნული გადმოცემაც გამოხატულებაა საბჭოელების უკვდავი ნარატივისა; რაც გულისხმობდა, საქართველოს მოსახლეობაში დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობისადმი ზიზღის-სიძულვილის დანერგვას და ამგვარად დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის სურვილის საბოლოოდ განელება-გაქრობას.

უმნიშვნელოვანესი პერიოდი იყო 1921 წლის თებერვალ-მარტი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ისტორიაში. ქვეყანას ფაქტობრივად არ ქონდა არანაირი თავდაცვითი გეგმა შემუშავებული საბჭოთა რუსეთის მხრიდან თავდასხმის მოსაგერიებლად, ასევე დედაქალაქის დასაცავად. არ იყო სათანადოდ მოზილიზირებული ჯარი მოსალოდნელი საფრთხისათვის. ფაქტობრივად მთავრობა და მთავარსარდლობა ვერ ფლობა ზუსტ ინფორმაციას ომის დაწყების შესახებ და შესაბამისად არც სათანადოდ მართული არ იყო ჯარი ომის დასაწყისში თავის განლაგებით თუ დაჯგუფებით. ყოველივე ამან საბოლოოდ გამოიწვია დემოკრატიული მთავრობის არსებობის დასამარება და ქვეყნის გასაბჭოება სწორედ. თუმცა, ამ ურთულეს პერიოდშიც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა სახალხო გვარდიამ წარმატების თუ წარუმატებლობის მხრივ.

მაშინდელი მთავარსარდალი გენერალი კვინიტაძე მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე წარმოებულ ბრძოლებში მრავალი გმირობის ფაქტის შესახებ საუბრობს თავის მოგონებებში, მაგრამ სამწუხაროდ იქვე დასძენს, რომ მსგავსი გმირობის ფაქტები მტკვრის მარცხენა სანაპიროზე მიმდინარე ბრძოლებში სახალხო გვარდიელთა მიერ არ გამოვლენილა. თუმცა იქვე აღნიშნავს, რომ მტკვრის მარცხენა მხარეს ბრძოლაში ჩართული სამი-ოთხი გვარდიის ბატალიონებიდან გმირულად იბრძოდა ბათუმის გვარდია. იგი აღნიშნავს ასევე გვარდიელთა მიერ კრიტიკულ სიტუაციებში უკან დახევის შესახებ. უფრო მეტიც, გენერალი სინანულს გამოთქვამდა, რომ კახეთთან კავშირის გაწყვეტის შემდეგ კახეთის გვარდიის ბატალიონი საერთოდ დაიშალა.³⁵

1921 წლის 18 მარტს, ბათუმიდან მაშინდელი მთავრობის წასვლის შემდეგ, ბათუმი ფაქტობრივად თურქებს ექირათ. სწორედ დემოკრატიული მთავრობის რეგულარული არმიის ნარჩენებთან ერთად, მათ შორის მთავრობის გამცილებელი ქართველი ოფიცრებისა თუ მოხალისეების გაერთიანებული ძალებით შესაძლებელი გახდა ქ. ბათუმის განთავისუფლება თურქული ჯარისგან, რომელსაც სათავეში ედგა გენერალი მაზნიაშვილი. ამ ფაქტს ადასტურებს

32 იქვე. ვ. ჯანჯღავა, 1982, გვ.198.

33 გაზ „ერთობა“, 1920 წლის 20 ივნისი.


34 ვ. აბაევი, სამხრეთ ოსეთის მშრომელთა ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლებისათვის, იბ, სოციალისტური რევოლუც. გამარჯვება საქართველოში, (თბ, 1957, გვ. 205.)

35 იქვე. გ. კვინიტაძე, ჩემი 2014, გვ.56-57.

ა. კიკვიძე, რაც ასახულია საქართველოს ისტორიის ნარკვევებში: „მათ ცხარე ბრძოლებში თურქ ასკერებს შორს დაახევინეს და სრულიად გაწმინდეს ბათუმი მოძალადეებისაგან.“³⁶ მაშინ როდესაც, რუსი მეთაურების თუ საბჭოთა ხელისუფალთა წარმომადგენლის მიერ არაერთი შეთხზული ლეგენდაა დაწერილი, თითქოს ქ. ბათუმი არათუ ქართული ჯარის მიერ, არამედ საბჭოთა ჯარის მიერ იქნა გათავისუფლებული.

ბათუმის გათავისუფლებისთვის ბრძოლებში რუსეთის წითელი არმია, რომ არ მონაწილეობდა, ამის უტყუარი არაერთი წყარო არსებობს. 1921 წლის დასაწყისში ბათუმში 3000-მდე ქართველი ჯარისკაცი იმყოფებოდა, თუმცა უმეტაწოდ დარჩენილი და დაქსაქსული იყვნენ. დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას ერთადერთი გამოსავალი დარჩა, ბოლშევიკებთან მოლაპარაკება, რათა ჯარების ბათუმში შემოსვლა დაეჩქარებინა. ნოე ჟორდანიას ემიგრაციაში გასვლის წინ მოსახლეობაზე მიმართულ განცხადებაში საუბრობს ქ. ბათუმის საქართველოს შემადგენლობაში დარჩენის აუცილებლობაზე.³⁷ მთავრობა აცნობიერებდა ბათუმის სტრატეგიულ მნიშვნელობას და კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდა ოსმალეთის მიერ სამუდამოდ მიტაცებას.

საქართველოს მთავრობამ ბათუმის ციხეში მყოფი ბოლშევიკები, მათ შორის სერგო ქავთარაძე გაათავისუფლა (შემდგომში ქ. ბათუმის რევკომის თავმჯდომარე) და ქალაქის მართვა მათ გადასცა. ამის შემდგომ პერიოდს იხსენებს სერგო ქავთარაძე თავის მოგონებაში, რომ ხანში შესული გენერალი (გიორგი მზანიაშვილი), რომელიც თითქოს ოჯახთან ერთად თურქეთში გახიზნას აპირებდა (რაც საფუძველს მოკლებული მოსაზრებაა), დახვრეტის იძულებით დაუთანხმებია, სათავეში ჩადგომოდა ქალაქის დაცვას და თურქებისგან მის გაწმენდას.³⁸ თუმცა იქვე დასძენს, რომ ეჭვობდა გენერალს მუქარის შიშით მიეღო თანხმობაზე გადაწყვეტილება. ბათუმის ოლქის სამხედრო შენაერთების ხელმძღვანელად დანისვინის შესახებ, მაშინდელი ქალაქის რევკომის გადაწყვეტილება გენერალ მზანიაშვილს რუსულ ენაზე შედგენილი ტექსტით ეცნობა.



სურ.1³⁹

36 ა. კიკვიძე, საქართველოს ისტორია, ნაწ. III, გვ. 29.

37 ნოე ჟორდანიას მიმართვა „საქართველოს ქალაქებს, ერობებს, თემებს“ ბათუმის საკითხის გამო, მთავრობის მიერ საქართველოს ტერიტორიის დატოვების შესახებ (ჩანაწერი ფანქრით), 24.02.1921, სცსა, ფ. 2113 ან. 1, ს. 43, ფურც. 1.

38 ს. ქავთარაძე, 1921 წელი, თებერვალი, ჟურნ. „მნათობი“, 1957, №116 გვ. 147.

39 აცსა, ფონდი ი-67, ანაწ. 1, საქ. 53, ფ. 5-ა.

გააცნობიერარა დიდმა ქართველმა გენერალმა არსებული სიტუაცია, მან მყისიერად მიიღო სრულიად სწორი გადაწყვეტილება და გადადგა ნაბიჯი ქალაქ ბათუმის განთავისუფლებაზე ბოლშევიკური მთავრობის დაქვემდებარებაში. „... მე მზად ვარ განვაგრძო სამხედრო სამსახური და დღეიდანვე შევუდგები სამხედრო მოქმედებას ოსმალეთის წინააღმდეგ...“⁴⁰, ასე მიმართა მაშინდელ ბოლშევიკურ მთავრობას.

გენერალმა გაფანტული მეგრძოლების სასწრაფო მობილიზაცია გამოაცხადა და ჯარი ქართული რეგულარული ნაწილების, ოსმალეთში მოქმედი ქართული ლეგიონის ყოფილი მეგრძოების და ადგილობრივი მოხალისეებით შეავსო. ჯარის ნაწილებს შეემატნენ აჭარის სოფლებიდან მოხალისეებად მოსული, პატრიოტიზმისა და თავდადებისათვის თავგანწირული ახალგაზრდები და მაზნიაშვილის რაზმში ჩაირიცხნენ. 18 მარტს გენერალმა მაზნიაშვილმა ქიაზიმ-ბეის (ბათუმში მყოფი თურქული ჯარის ხელმძღვანელი) ულტიმატუმი გაუგზავნა, ერთ საათში დაეტოვებინა ქ. ბათუმი და იქიდან თურქეთის ჯარი გაეყვანა, თუმცა ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ გენერალმა გასცა ბრძოლის დაწყების ბრძანება.⁴¹ აქ კი ჩნდება კითხვა, რატომ არ ჩანს გვარდიის შენაერთების მონაწილეობის ფაქტი ბათუმის განთავისუფლებაში, მაშინ როცა ქალაქში მათ არსებობას ადასტურებს ბათუმის რევკომის თავმჯდომარე-სერგო ქავთარაძე, რომლის გადმოცემით სახალხო გვარდიის ნაწილებს, რომლებიც ქალაქში იმყოფებოდნენ მეთაურებთან ერთად (ალ. დგებუაძე, ვ. ჯიბლაძე), ბრძოლაში მონაწილეობა არ მიუღიათ. მათ მხოლოდ ფული მოუთხოვიათ გვარდიის დემობილიზაციისათვის, რაც დაუკმაყოფილებიათ კიდეც.⁴² აღნიშნული ფაქტი ნამდვილად საჭიროებს სამომავლო კვლევას, რადგანაც დღესდღეობით მრავალი მკვლევარის ნაშრომების და ჩემს მიერ აჭარის საარქივო მუზეუმში არსებული წყაროების დეტალური შესწავლის მიუხედავად, ვერცერთი ფაქტი ვერ გამოვლინდა, რაც დაადასტურებდა მინიმუმ მიზეზს, თუ რატომ არ მიიღო სახალხო გვარდიის შენაერთებმა ბათუმის განთავისუფლებაში მონაწილეობა.

საქართველოს პირველი დემოკრატიული საქართველოს მთავრობის ემიგრაციაში წასვლის (1921 წლის 18 მარტი) და ბათუმის თურქული ჯარისაგან განთავისუფლების შემდეგ, ფაქტობრივად სრულდება საქართველოს დამოუკიდებლობის ხანაც და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლება იწყებს ახალი-საბჭოთა საქართველოს წითელი არმიის ფორმირებას. თვალსაჩინოებისათვის, წარმოვადგენ სახალხო გვარდიის დათხოვნის და მისი ქონების გადანაწილების შესახებ ბრძანებას და დადგენილებას, რითაც დასრულდა სახალხო გვარდიის არსებობა.

ბრძანება №39

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახალხო სამხედრო საზღვაო კომისარიატისადმი.

ამასთანავე ვაცხადებ ცნობად და სახელმძღვანელოდ საქართველოს რევკომის დეკრეტის ასლს №2 26 თებერვლიდან.

ასლი: „1. საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის რევოლუციონურმა კომიტეტმა დაადგინა:

ა) მოხდეს საერთო დემობილიზაცია საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არმიისა და ამ მუხლში აღნიშნული არმია და სახალხო გვარდია დათხოვნილ იქნეს.

ბ) ამ დეკრეტით დათხოვნილ არმიასა და სახალხო გვარდიას ევალებათ ყოველი სახელმწიფო ქონება და სამხედრო იარაღი და მასალა ჩააბარონ სახელმწიფო საწყობებში სალიკვიდაციო კომისიების საშუალებით, რომლებიც დაარსებულ იქნებიან სამხედრო-საზღვაო სახალხო კომისარის ბრძანებით.

40 გ. მაზნიაშვილი, მოგონებები 1917-1925, „სახელმწიფო გამომცემლობა“, ტიფლისი, 1927, გვ. 200.

41 ლ. სალარიძე, ბათუმი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდში (1918-1921), გამომცემლობა „ფავორიტი“, (თბილისი, 2023, გვ. 395-396.)

42 ს. ქავთარაძე, 1921 წელი, თებერვალი, (ჟურნ. „მნათობი“, 1957, №11, გვ. 149.)

დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

ს. ს. ს. რ. რევოლუციონური კომიტეტის

თავმჯდომარე **ორახელაშვილი**

სამხედრო-საზღვაო საქმეთა სახალხო

კომისარი **შ. ელიავა**

სამხედრო-საზღვაო საქმეთა სახალხო

კომისარის მოადგილე კვანტალიანი.

უფროსი გენერალური შტაბისა

ა. გაბაშვილი.

7 აპრილი 1921 წ. თბილისი⁴³

დადგენილება №4

ყოფილ სახალხო გვარდიის დაწესებულების ქონების უწყებათა შორის განაწილებისა

1. ყოფილი სახალხო გვარდიის ყველა დაწესებულებანი მათი ქონებით გადანაწილებულ იქნეს სამხედრო-საზღვაო, სასურსათო და მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატების შორის.
2. ამ დაწესებულებათა და მათი ქონების გადანაწილების წესის შემუშავება დაევალოს ზემოხსენებულ უწყებების წარმომადგენელთაგან შემდგარ კომისიას, სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარის მოადგილის თავმჯდომარეობით.

საქ. ს.ს.რ. რევ. კომიტეტის

თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

რევკომის მდივანი **შ. გაბრიჩიძე.**

1921 წ. მარტის 27, ტფილისი, -სასახლე.⁴⁴

ამრიგად - დემოკრატიული საქართველო სამწლიან პერიოდში სრულად იყო დამოკიდებული სახალხო გვარდიელების სიმამაცესა და შეუპოვრებაზე, რამაც შეაძლებინა მას შიდა არეულობის დარეგულირება და ამავდროულად წინააღმდეგობის გაწევა გარეშე მტრების მოსაგერიებლად. თუმცა, უდავოა, რომ მაშინდელი მთავრობის მიერ გატარდა არაეფექტური სამხედრო რეფორმა, რაც აშკარად ვლინდება შეირაღებული ძალების სტრუქტურების შექმნა-მოწყობაში თუ სახალხო გვარდიის არსებული პრინციპით ფორმირებაში. ქვეყანა არ იყო ასევე მზად საბჭოთარუსეთთან ბრძოლისათვის, ფაქტობრივად არ გააჩნდა საამისო თავდაცვის გეგმა. არ არსებობდა ასევე დედაქალაქის თავდაცვის გეგმა და ვითარებიდან გამომდინარე ჯარის უკან დახევის გეგმაც. ყოველივე ეს კი იძლევა საშუალებას თამამად ითქვას, რომ საქართველოს პირველი რესპუბლიკის მთავრობის მიერ ეფექტური სამხედრო რეფორმის გატარება, რომ გვარდია ყოფილიყო სამხედრო სამინისტროს დაქვემდებარებაში სტრუქტურული ერთეული და შესაბამისად დაკომპლექტებული სამხედრო პირებისგან შემდგარი მმართველობით; სრული ნდობის გამოცხადება გამოჩენილი სამხედრო მხედართმთავრებისადმი და მეტი ყურადღების დათმობა მოსალოდნელი გარე საფრთხეებისადმი, მაშინდელი მთავრობა, მართალია, შეიძლება ვერ შეინარჩუნებდა ქვეყნის სუვერენიტეტს, თუმცა დემოკრატიული საქართველოს არსებობა გარკვეული ვადით ნამდვილად გახანგრძლივდებოდა.

43 აცსა, ფონდი № რ-1, ანაწერი №1, საქ. №23, ფურც. 32/ბ.

44 აცსა, ფონდი № რ-1, ანაწერი №1, საქ. №23, ფურც. 13/ა.

ბიბლიოგრაფია

საარქივო მასალა

საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი:

ნ. ჟორდანიას მიმართვა „საქართველოს ქალაქებს, ერობებს, თემებს“ ბათუმის საკითხის გამო, მთავრობის მიერ საქართველოს ტერიტორიის დატოვების შესახებ (ჩანაწერი ფანქრით), 24.02.1921, სცსა, ფ.2113 ან. 1, ს.43, ფურც.1.

აჭარის ცენტრალური საისტორიო არქივი:

აცსა, ფონდი № რ-1, ანაწერი №1, საქ. №23, ფურც. 13/ა.

აცსა, ფონდი № რ-1, ანაწერი №1, საქ. №23, ფურც. 32/ბ.

აცსა, ფონდი ი-67, ანაწ. 1, საქ.53, ფ.5-ა.

სხვა დოკუმენტური წყაროები, მემუარები, მოგონებები და ნაშრომები

ა. ბენდიანიშვილი, საქართველოს პირველი რესპუბლიკა (1918-1921 წწ.), თბ., 2001.

ა. კიკვიძე, საქართველოს ისტორია, ნაწ. III.

ბ. კვინიტაძე, მოგონებები, წიგ. II, თბ., 1999.

ბ. კვინიტაძე, ჩემი მოგონებები (1917-1921), II ნაწ., თბილისი, 2014.

ბ. მაზნიაშვილი, მოგონებები 1917-1925, „სახელმწიფო გამომცემლობა“, ტიფლისი, 1927.

დ. სილაქაძე, საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო გვარდიის საორგანიზაციო-საშტატო სტრუქტურისა და რიცხოვნობის საკითხისათვის.

დ.ხვადაგია, წინასიტყვაობა, წიგნში: მძიმე ჯვარი (სახალხო გვარდიელის ჩანაწერები).

ვ. აბაევი, სამხრეთ ოსეთის მშრომელთა ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლებისათვის, იხ, სოციალისტური რევოლუც. გამარჯვება საქართველოში, თბ, 1957.

ვ. ჯანჯღავა, გლეხთა რევოლუციური მოძრაობა საქართველოში 1917-1921 წლებში, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1982.

ვ. ჯუღელი, მძიმე ჯვარი (სახალხო გვარდიელის ჩანაწერები), გამომცემლობა „ზიარი“ თბილისი, 2022.

ლ.სალარიძე, ბათუმი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდში (1918-1921), გამომცემლობა „ფავორიტი“, თბილისი, 2023.

ს. ქავთარაძე, 1921 წელი, თებერვალი, ჟურნ. „მნათობი“, 1957, №116.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული, თბ., 1990;

საქართველოს ისტორიის ინსტიტუტი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, შრომები, ტ. III, თბ., 2011.

პერიოდული პრესა

გაზ. „ერთობა“, 1919 წლის 10 დეკემბერი.

გაზ. „ერთობა“, 1920 წლის 20 ივნისი.

სირიის უახლესი მოვლენები და მათი გავლენა შავი ზღვის რეგიონისა და სამხრეთ კავკასიის სატრანზიტო ფუნქციაზე

პირველი კლასის რიგითი ნინო სამადაშვილი
სსიპ-დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს
ეროვნული თავდაცვის აკადემიის
მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის
უსაფრთხოების კვლევების მსმენელი

აბსტრაქტი

სირიის კრიზისი, როგორც ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი გეოპოლიტიკური გამოწვევა 21-ე საუკუნის საერთაშორისო სისტემაში, მნიშვნელოვან გავლენას ახდენს არამხოლოდ ახლო აღმოსავლეთის რეგიონზე, არამედ მის საზღვრებს მიღმაც — მათ შორის, სამხრეთ კავკასიის სტრატეგიულ სივრცეზე. სამხრეთ კავკასია, როგორც სატრანზიტო და ენერგეტიკული კვანძი, მდებარეობს საერთაშორისო ძალთა კონკურენციის ეპიცენტრში, სადაც გლობალური და რეგიონული აქტორები (რუსეთი, თურქეთი, ირანი, აშშ და ევროკავშირი) ცდილობენ საკუთარი ინტერესების გატარებას. სირიის კონფლიქტმა კიდევ უფრო გაამძაფრა აღნიშნული კონკურენცია და შეცვალა რეგიონში არსებული სტატუს-კვო.

სტატია იკვლევს, თუ როგორ მოქმედებს სირიის კონფლიქტი სამხრეთ კავკასიის სატრანსპორტო და ენერგეტიკულ მარშრუტებზე — მათ შორის ისეთ მსხვილ პროექტებზე, როგორებიცაა სამხრეთის გაზის დერეფანი, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენი და შუა დერეფანი. გარდა სამხედრო-პოლიტიკური ასპექტებისა, სტატია განიხილავს რეგიონული მოთამაშეების ეკონომიკურ და დიპლომატიურ სტრატეგიებს, რომლებიც მიმართულია გავლენის სფეროების განსაზღვრისკენ. განსაკუთრებით ხაზგასმულია ის, თუ როგორ ცდილობს თითოეული გარე ძალა საკუთარი პოზიციების გამყარებას რეგიონში სირიის კრიზისის მეშვეობით — იქნება ეს სამხედრო თანამშრომლობის გაძლიერება, ეკონომიკური ჩართულობის გაფართოება თუ ენერგეტიკული დივერსიფიკაციის ხელშეწყობა.

საკვანძო სიტყვები: სირიის კონფლიქტი, სამხრეთ კავკასია, გეოპოლიტიკა, საერთაშორისო აქტორები, სატრანზიტო მარშრუტები, ენერგეტიკული უსაფრთხოება, თურქეთი, ირანი, აშშ, ევროკავშირი, რეგიონული სტაბილურობა.

THE LATEST DEVELOPMENTS IN SYRIA AND THEIR IMPACT ON THE TRANSIT FUNCTION OF THE BLACK SEA REGION AND THE SOUTH CAUCASUS

Private First Class Nino Samadashvili

Student of Master's Program in Security Studies of
LEPL-David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia

Abstract

The Syrian crisis, as one of the most significant geopolitical challenges in the international system of the 21st century, has a considerable impact not only on the Middle East region but also beyond its borders — including the strategic space of the South Caucasus. The South Caucasus, as a transit and energy hub, lies at the epicenter of competition among international powers, where global and regional actors (Russia, Turkey, Iran, the United States, and the European Union) strive to advance their interests. The Syrian conflict has further intensified this competition and altered the existing status quo in the region.

This article explores how the Syrian conflict affects the South Caucasus's transportation and energy routes — including major projects such as the Southern Gas Corridor, the Baku-Tbilisi-Ceyhan oil pipeline, and the Middle Corridor. In addition to military-political aspects, the article examines the economic and diplomatic strategies of regional players aimed at delineating spheres of influence. Special emphasis is placed on how each external power seeks to strengthen its position in the region through the Syrian crisis — whether by enhancing military cooperation, expanding economic engagement, or promoting energy diversification.

Keywords: Syrian conflict, South Caucasus, geopolitics, international actors, transit routes, energy security, Turkey, Iran, USA, EU, regional stability.

შესავალი

2024 წლის ბოლოდან სირიაში მიმდინარე პროცესებმა მკვეთრად შეცვალა რეგიონის პოლიტიკური არქიტექტურა. ბაშარ ალ-ასადის ხელისუფლების დამხობა და გარდამავალი მმართველი სტრუქტურის ფორმირება წარმოადგენს გარდამტეხ მოვლენას ახლო აღმოსავლეთის რეგიონში. აღნიშნული ცვლილებები არამხოლოდ სირიის შიდა დინამიკაზე, არამედ მის გარშემო მდებარე გეოპოლიტიკურ სივრცეებზე ახდენს და მომავალშიც მოახდენს მნიშვნელოვან გავლენას. განსაკუთრებით რეზონანსულია ეს ცვლილებები ისეთ სტრატეგიულად მნიშვნელოვან რეგიონებზე, როგორიცაა შავი ზღვის რეგიონი და სამხრეთ კავკასია.

სირიის ახალი ხელისუფლების ფორმირება, ირანის, თურქეთისა და რუსეთის ინტერესთა გადანაწილება სირიის ტერიტორიაზე, საერთაშორისო ინიციატივები ახალი სატრანზიტო და ენერგეტიკული დერეფნების პროექტებში – ყოველივე ეს ქმნის ძალთა განახლებულ კონფიგურაციას, რომელიც უკვე მოქმედებს სამხრეთ კავკასიის გეოპოლიტიკურ მდგომარეობაზე. არსებული ვითარება ცვლის პოლიტიკურ და ეკონომიკურ სიტუაციას, აჩენს ახალ რისკებსა და შესაძლებლობებს აზერბაიჯანისთვის, საქართველოსთვის და სომხეთისთვის.

აღნიშნული თემა აქტუალურია, რადგან სამხრეთ კავკასია სირიის ჩრდილო-აღმოსავლეთ საზღვართან უშუალო გეოგრაფიულ სიახლოვეში მდებარეობს და მოქმედებს როგორც ტრანზიტული ხიდი ევროპასა და აზიას შორის. შესაბამისად, ნებისმიერი გეოპოლიტიკური რყევა ახლო აღმოსავლეთში პირდაპირ აისახება ამ რეგიონის სტაბილურობაზე, უსაფრთხოებაზე და ეკონომიკურ ფუნქციებზე. ამასთან, ახალმა სატრანზიტო ინიციატივებმა – როგორიცაა IMEC, ყატარი-თურქეთის სადენი და ინდოეთიდან ევროპამდე დაგეგმილი დერეფნები – შესაძლოა კონკურენცია გაუწიონ სამხრეთ კავკასიაზე გამავალ არსებულ მარშრუტებს.

მეთოდოლოგიურად სტატია თვისებრივი კვლევის კატეგორიაში მოიაზრება. მონაცემთა შეგროვებისა და ანალიზისთვის კვლევის პროცესში გაანალიზდა მეორადი წყაროები – მათ შორის საერთაშორისო კვლევები, სტატისტიკა და მედიაში გამოქვეყნებული ანალიტიკური მასალა.

სტატიის მიზანია პასუხი გასცეს შემდეგ საკვლევ კითხვას:

როგორ მოქმედებს სირიაში ძალაუფლებისა და ახლო აღმოსავლეთის რეგიონში გეოპოლიტიკური დინამიკის შეცვლა სამხრეთ კავკასიის სატრანზიტო და ენერგეტიკულ ფუნქციებზე?

აღნიშნული კითხვიდან გამომდინარე, შემუშავდა შემდეგი ჰიპოთეზა:

სირიის უახლესი მოვლენების შედეგად ახლო აღმოსავლეთის რეგიონში მიმდინარე გეოპოლიტიკური ტრანსფორმაცია მნიშვნელოვნად გაართულებს სამხრეთ კავკასიის სატრანზიტო ჰაბის ფუნქციის შენარჩუნებას.

დამოუკიდებელი ცვლადი: სირიაში მიმდინარე პოლიტიკური ცვლილებები და რეგიონის ძალთა ახალი გადანაწილება.

დამოკიდებული ცვლადი: სამხრეთ კავკასიის (საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი) სატრანზიტო და ენერგეტიკული ფუნქციების ცვლილება.

თეორიული ჩარჩო

მოცემული კვლევა ეფუძნება თავდაცვითი რეალიზმის თეორიულ ჩარჩოს. აღნიშნული თეორია, რომელიც რეალიზმის ძირითადი მიმდინარეობის ნაწილია, ამტკიცებს, რომ სახელმწიფოებს შორის ურთიერთობები განისაზღვრება საერთაშორისო სისტემის ანარ-

ქიულობით – ანუ იმ მოსაზრებით, რომ არ არსებობს ცენტრალური მმართველი ძალა, რომელიც წესრიგს დაამყარებს. მსგავს პირობებში, სახელმწიფოთა მთავარი ამოცანა არის გადარჩენა, რაც მათ აიძულებს გამოიყენონ თავდაცვითი სტრატეგიები – სამხედრო ძალების გაძლიერება, გაწვევრიანება ალიანსებში და ძალთა ბალანსის შენარჩუნება.

სამხრეთ კავკასიის ქვეყნების – საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის ქვეყანა განსაკუთრებით კარგადაა გასაგები თავდაცვითი რეალიზმის პრიზმიდან, როდესაც საქმე ეხება სირიის კონფლიქტთან და ზოგადად ახლო აღმოსავლეთის არასტაბილურობასთან დაკავშირებულ უსაფრთხოების გამოწვევებს. რეგიონის სამივე ქვეყანა – თუმცადა განსხვავებული საგარეო პოლიტიკური ვექტორებით – ცდილობს უპასუხოს მზარდ გარე საფრთხეებს იმ რესურსების ფარგლებში, რაც მათ გააჩნიათ.

ხსენებულ სახელმწიფოთა მოქმედებები არ აიხსნება აგრესიული ექსპანსიის მცდელობებით, არამედ მათ უსაფრთხოების საჭიროებებზე რეაქციით. კენეთ უოლცი ხაზს უსვამდა, რომ ანარქიულ სისტემაში სახელმწიფოები პრაგმატულად მოქმედებენ საკუთარი გადარჩენის მიზნით¹. ამ იდეას ავითარებს სტივენ უოლცი თავის „საფრთხის ბალანსის თეორიაში“, სადაც განმარტავს, რომ სახელმწიფოები უფრო მძაფრად რეაგირებენ იმ საფრთხეებზე, რომლებიც აშკარად უკავშირდება მათ უშუალო უსაფრთხოებას და სტაბილურობას².

სამხრეთ კავკასიის ქვეყნებისთვის სირიის კონფლიქტი და იქ გარე აქტორების – განსაკუთრებით რუსეთის, ირანისა და თურქეთის – მონაწილეობა არამხოლოდ გეოგრაფიულად ახლოს განვითარებული პროცესია, არამედ უშუალო სტრატეგიული რისკია. ამიტომ რეგიონის სახელმწიფოები არ არიან პასიური აქტორები, არამედ ახორციელებენ გადარჩენის უზრუნველყოფისათვის საჭირო ზომებს, რაც თავდაცვითი რეალიზმის საფუძვლებთან თანხვედრაშია.

ისტორიული ჩარჩო

2024 წლის დეკემბერში სირიაში მნიშვნელოვანი პოლიტიკური ცვლილებები განხორციელდა. 8 დეკემბერს, პრო-თურქული ისლამისტური დაჯგუფება ჰაიათ თაჰრირ ალ-შამის (HTS) მეთაურობით წამოწყებული 11 დღიანი ელვისებური იერიშის შედეგად, ასადების 54-წლიანი ალავიტური მმართველობა დასრულდა. პრეზიდენტი ბაშარ ალ-ასადი ოჯახთან ერთად ქვეყნიდან გაიქცა და თავი რუსეთს შეაფარა. ასადის რეჟიმის დაცემის შემდეგ, 2024 წლის დეკემბერშივე ჩამოყალიბდა გარდამავალი მთავრობა, რომელსაც თავდაპირველად მოჰამედ ალ-ბაშირი ხელმძღვანელობდა. 2025 წლის 29 მარტს, ჰაიათ თაჰრირ ალ-შამის ყოფილი ლიდერი, აჰმედ ალ-შარა, დაინიშნა სირიის პრეზიდენტად. მან ხელი მოაწერა ხუთწლიანი გარდამავალი პერიოდის დროებით კონსტიტუციას, რომელიც შარიათს განსაზღვრავს სამართლებრივი სისტემის საფუძვლად, რითაც ასევე დასრულდა ასადების სეკულარული მმართველობა. თუმცა, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ახალ კონსტიტუციაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების უფლებების დაცვას.

ხსენებულმა როგორც თავად სირიის შიდა, ისე მთლიანი ახლო აღმოსავლეთის გეო-პოლიტიკურ დინამიკაზე მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა. ასადის რეჟიმის დაცემის შემდეგ, ქვეყანაში 115 ათასზე მეტი სირიელი დაბრუნდა ისეთი ქვეყნებიდან, როგორებიცაა თურქეთი, იორდანია და ლიბანი. ციხეებიდან გაანთავისუფლეს ალავიტური რეჟიმის მსხვერპლი ასობით პატიმარი. სირიის ახალმა ხელისუფლებამ ქვეყნის მოქალაქეებს რევოლუციის გამარჯვება მიულოცა და 8 დეკემბერი ეროვნულ დღესასწაულად გამოაცხადა. გარდა ამისა, ქვეყნის ადმინისტრაციამ გამოაცხადა პარლამენტის, ყველა უშიშროების სამსახურისა და ქვეყნის შეიარაღებული ფორმირებების (მათ შორის, თავად ჰაიათ თაჰრირ ალ-შამის)

1 Kenneth N. Waltz, *Theory of International Politics*. Reading, MA: (Addison-Wesley, 1979)

2 Stephen M. Walt, *The Origins of Alliances*. Ithaca, NY: (Cornell University Press, 1987)

დაშლის შესახებ, ასევე ოფიციალურად გაუქმდა პარტია «ბაასი», რომელიც ქვეყანას ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში მართავდა.

2025 წლის მარტში ასევე ჩამოყალიბდა სირიის გარდამავალი მთავრობა, რომელიც მოიცავს სხვადასხვა ეთნიკური და რელიგიური ჯგუფის წარმომადგენლებს, მათ შორის დრუზებს, ქრისტიანებს, ქურთებსა და ალავიტებსაც კი. აღსანიშნავია ისიც, რომ პირველად სირიის ისტორიაში მინისტრთა კაბინეტში შევიდა ქალიც, რომელიც ორმაგი მოქალაქეობის მქონე (კანადა და სირია) ქრისტიანია და თანაც აქტიური დამცველი სექსუალურ უმცირესობათა უფლებების. ქალი დაინიშნა ცენტრალური ბანკის ხელმძღვანელადაც.

რადიკალური ცვლილებები განხორციელდა ეკონომიკური კუთხითაც. დაიწყო ასადისეული სოციალისტური და კონტროლირებადი ეკონომიკის ლიბერალიზაცია, განსაკუთრებით იდლიბის პროვინციაში, სადაც თურქეთის მხარდაჭერით მოქმედი ძალები წარმატებით ახორციელებენ თავისუფალი ბაზრის რეფორმებს, მათ შორის უცხოური ინვესტიციების მოზიდვის კუთხით, რაც ასევე სიახლეა და კრიტიკულად მნისვნელოვანია გაპარტახებული ეკონომიკის აღსადგენად. თუმცა, დამასკოსა და სხვა რეგიონებში, სადაც ადრე ასადის რეჟიმი დომინირებდა, ბიზნესები განიცდიან შემცირებულ გაყიდვებსა და იმპორტისგან მომდინარე კონკურენციას, რაც წვევს სოციალურ უკმაყოფილებასა და ახალ დამაბულობებს³.

გარდა აღნიშნულისა, ახალი მთავრობა ცდილობს გააერთიანოს სხვადასხვა შეიარაღებული ჯგუფები ერთიან ეროვნულ არმიაში. თუმცა, ეს პროცესი რთულია, განსაკუთრებით უცხოელი ჯიჰადისტების საკითხის გამო, რომლებიც მნიშვნელოვან როლს თამაშობდნენ ასადის რეჟიმის დამხობაში. მათი ინტეგრაცია ახალ მმართველობაში წინააღმდეგობას აწყდება როგორც შიდა, ისე საერთაშორისო დონეზე. 2025 წლის მაისში, ისრაელმა განახორციელა საჰაერო დარტყმები სირიის პრეზიდენტის, აჰმედ ალ-შარას, სასახლესთან ახლოს, რაც შეფასდა როგორც გაფრთხილება ახალი ისლამისტური მთავრობის მიმართ. დარტყმები მოჰყვა სუნიტებსა და დრუზებს შორის დაპირისპირებას, განსაკუთრებით სუეიდას პროვინციაში. ისრაელი აცხადებს, რომ მიზნად ისახავს დრუზების დაცვის უზრუნველყოფას. მანამდე, 2025 წლის მარტში სირიაში ალავიტების წინააღმდეგ განხორციელდა მასობრივი ძალადობა, რაც ერთ-ერთ ყველაზე სისხლიან და სექტარულად მოტივირებულ მოვლენად შეფასდა ქვეყანაში ასადის რეჟიმის დაცემის შემდეგ⁴.

სირთულებებია ქურთულ მოსახლეობასთანაც. ახალი ისლამისტურად ორიენტირებული მთავრობა (HTS-ის ფრთიდან) ქურთულ ავტონომიას ეჭვის თვალით უყურებს. შარიათზე დაფუძნებული გარდამავალი კონსტიტუცია კი ქურთებისთვის შემამფოთებელია – ეჭვი აქვთ, რომ მათი ენა, კულტურა და სეკულარული მმართველობის მოდელი არ იქნება აღიარებული.


მნიშვნელოვანია, თავად აჰმედ ალ-შარასს, საბრძოლო სახმისით აბუ მუჰამედ ალ-ჯულანის, როგორც ხსენებული მოვლენების მთავარი მოქმედი პირის დახასიათებაც. მისი სახმისი გოლანის მაღლობებს უკავშირდება, საიდანაც არის წარმოშობით. მამამისი, რომელიც ნავთობის ინჟინერი იყო, აქტიურად იღებდა მონაწილეობას ახალგაზრდობაში ასადების ბაასისტური რეჟიმის წინააღმდეგ გამართულ საპროტესტო აქციებში. თავად აჰმედ ალ-შარასს, რომელსაც თანაკურსელები (ის ჯერ მედიას, ხოლო შემდეგ კი მედიცინას ეუფლებოდა დამასკოს უნივერსიტეტში) „ჩუმ მანიპულატორ ინტელიგენტად“ და ბეჯით სტუდენტად ახასიათებდნენ⁵. თუმცა, მეორე ინტიფადის დროს, განიმსჭვალა პრო-პალესტინური იდეებით,

3 Enab Baladi. "Mohammed al-Bashir to Head Syria's Transitional Government." Enab Baladi, December 10, 2024. <https://english.enabbaladi.net/archives/2024/12/mohammed-al-bashir-to-head-syrias-transitional-government/> (Access 03.05.25)

4 Amnesty International. "Syria: Coastal Massacres of Alawite Civilians Must Be Investigated as War Crimes." Amnesty International, April 3, 2025. <https://www.amnesty.org/en/latest/news/2025/04/syria-coastal-massacres-of-alawite-civilians-must-be-investigated-as-war-crimes/> (Access 03.05.25)

5 Hassan, Hassan. "Profile: Abu Mohammad al-Jolani." The Telegraph, December 8, 2024. <https://www.telegraph.co.uk/world-news/2024/12/08/profile-abu-mohammad-al-jolani-syria-isis-jihadi/> (Access 03.05.25)

რასაც ხელი მისმა წარმოშობის ადგილმაც შეუწყო (გოლანის მაღლობები) და შეუერთდა ალ-ყაიდას მეგობრობითა რიგებს. აქტიურად იღებდა მონაწილეობას ერაყის ომშიც აშშ-ს წინააღმდეგ, იყო დაპატიმრებული და ხუთი წელი იხდიდა სასჯელს სხვადასხვა ამერიკულ ციხეებში, მათ შორის, „სახელგანთქმულ“ აბუ-გრების ციხეშიც. განთავისუფლების შემდეგ დაარსა ალ-ყაიდასთან აფილირებული ჯიჰადისტური ორგანიზაცია ჯებჰათ ალ-ნუსრა, რის გამოც აშშ-მ მის „თავზე“ ათი მილიონი ამერიკული დოლარი დააწესა ჯილდოდ. თუმცა, შემდეგ ალ-ჯულანმა არ დაუშვა ალ-ნუსრას ისლამურ სახელმწიფოსთან გაერთიანება და შეეცადა მხარდაჭერის მოპოვებას არა-რადიკალურ ისლამისტურ ძალებში, რომელიც ყატარისა და თურქეთის სახით იპოვა (არაოფიციალურად). მან გადაარქვა დაჯგუფებას სახელი და დაარქვა ჰაიათ თაჰრირ ალ-შამი იმ მოტივით, რომ ამოიღებდნენ ტერორისტთა სიიდან⁶. სწორედ მან შეძლო 42 წლის ასაკში, 11 დღეში ახლო აღმოსავლეთის ერთ-ერთი ყველაზე სისხლიანი რეჟიმის დამხობა.



სურათი 1: 10 მილიონი აშშ დოლარი ტერორისტის შესაჩერებლად.⁷



სურათი 2: სირიის ლიდერი ხვდება ევროკავშირის საგარეო მინისტრებს.⁸

სხვათა შორის, ახალმა პრეზიდენტმა დონალდ ტრამპს გაპრეზიდენტებაც მიულოცა და იმედიც გამოთქვა სირიასა და აშშ-ს შორის ურთიერთობების გაღრმავლებასთან დაკავშირებით. გარდა ამისა, გაასაჯაროვა ბრიტანეთის საელჩოს გახსნის თაობაზე გადაწყვეტილებაც, რაც

6 Charles Lister, "How al-Qa`ida Lost Control of Its Syrian Affiliate: The Inside Story." CTC Sentinel 11, no. 2 (February 2018): 1–14. <https://ctc.westpoint.edu/al-qaيدا-lost-control-syrian-affiliate-inside-story/> (Access 03.05.25)

7 წყარო: <https://www.fdd.org/>

8 წყარო: <https://www.fdd.org/>

მართლაც ისტორიული მოვლენაა. ალბათ, ზედმეტია იმის დამატება, რომ ალ-შჰარაა ოფიციალურად ამოღებულ იქნა ტერორისტთა სიიდან.

შეცვლილი გეოპოლიტიკური სურათი

სირიაში მიმდინარე მოვლენებმა თავდაყირა დააყენა შავი ზღვის რეგიონისა და სამხრეთ კავკასიის გეოპოლიტიკური სურათი. გამოიკვეთა მთავარი „გამარჯვებულები“ და „დამარცხებულები“:

თურქეთი მიმდინარე მოვლენების უმთავრეს „გამარჯვებულად“ მოგვევლინა. სწორედ ეს ქვეყანა მოიაზრება მთავარ მხარდამჭერად სირიის ახლანდელი ხელისუფლების, მიხედვად იმისა, რომ ალ-შჰარაას ქმედებები არ ადასტურებს თურქული ინტერესების უპირობო გატარებას.

თურქეთი გახდა გარდამავალი მთავრობის ერთ-ერთი გარანტორი, აშშ-სა და ყატართან ერთად. ხსენებულიდან გამომდინარე, მნიშვნელოვნად გაიზარდა რეგიონში (და არამხოლოდ) თურქეთის პრესტიჟი, გავლენა და უფრო ნათლად გამოიკვეთა „დიდი თურქის იდეის“ ხორცშესხმის შესაძლებლობა. იდლიბის პროვინცია, ალექსის ჩრდილოეთი და აფრინი ფაქტობრივად თურქეთის პროტექტორატის ქვეშაა, სადაც გამოიყენება თურქული ლირა, სკოლებში ისწავლება თურქული ენა, მოქმედებს თურქული ჰოსპიტალები და პოლიცია. გარდა ამისა, მას შესაძლებლობა მიეცა გააკონტროლოს სირიის ტერიტორიაზე ქურთული დაჯგუფებები, რომელთა განიარაღებაც ოფიციალურად მოითხოვა სირიის ახალმა პრეზიდენტმა. ასევე, სირიელი დევნილების დაბრუნება შიდა პოლიტიკაში კრიტიკის შემცირების კარგი საშუალება აღმოჩნდა⁹.

ყველაზე საინტერესო კი ის ფაქტია, რომ მიუხედავად ერდოღანის მძაფრი და კატეგორიული განცხადებებისა ისრაელის მოქმედების თაობაზე პალესტინელების წინააღმდეგ, სწორედ თურქეთის დახმარების წყალობით მოხდა ბოლო არაბული რეჟიმის, რომელიც ნასერის ეგვიპტის, კადაფის ლიბიისა და ბაასისტური ერაყის შემდეგ ანტი-ისრაელურ საქმიანობის ავანგარდში იყო, დამხობა. ამას თუ მივუმატებთ იმასაც, თუ ისრაელი თურქეთთან ერთად როგორ აქტიურად ეხმარებოდა აზერბაიჯანს მეორე ყარაბაღის ომში, არ უნდა გაგვიკვირდეს, რომ პრო-პალესტინური ჯგუფები ხშირად ადანაშაულებენ ერდოღანს ისრაელთან ფარულ თანამშრომლობაში.

„ცეცხლზე ნავთის დასხმა“ კი თავად მუჰამად ალ-ჯულანის გადაწყვეტილება აღმოჩნდა, რომელმაც სირიის ტერიტორიაზე ყველა პალესტინურ ორგანიზაციას უმოკლეს ვადებში ქვეყნის დატოვება მოსთხოვა. მოუწოდა რა დაყარონ იარაღი, დახურონ საწვრთნელი ბანაკები და დაშალონ გასამხედროებული დაჯგუფებები. მან ასევე დაამატა, რომ სურს ისრაელში სამუშაო დასასწავლო ვიზიტით გაუშვას საკუთარი ქვეყნის მოქალაქეები. ხოლო, პრეზიდენტის სასახლასთან ისრაელის ავიაციის მიერ განხორციელებული საჰაერო თავსასხმამდე რამდენიმე კვირით ადრე „აბრაამის შეთანხმებასთან“ მიერთების სურვილიც კი გამოთქვა¹⁰. (გავიხსენოთ, რომ სწორედ პალესტინელების გამო შეუერთდა ის თავის დროზე ტერორისტთა რიგებს, როგორც გოღანის მაღლობების, რომელიც ამჟამად ისრაელის მიერაა ოკუპირებული, „შვილი“).

შესაბამისად, ისრაელიც შეგვიძლია განვიხილოთ მიმდინარე მოვლენების მთავარ „გამარჯვებულად“, რადგან ასადის დაცემით ისრაელმა დაასუსტა ირანის ერთ-ერთი მთავარი პარტნიორი რეგიონში. გარდა ამისა, იმის გამო, რომ ახალი სირიული მთავრობა ნაკლებად კონსოლიდირებულია და არ პასუხობს ისრაელის ავიაიერიშებზე – მოქმედების თავისუფლება გაიზარდა, რის წყალობითაც ეფექტურად ახორციელებს ირანის და ჰეზბოლას

9 Ibid. Enab Baladi. 2024.

10 France 24. "Israel Launches More Than 20 New Strikes Across Syria Amidst Druze Tensions." France 24, May 3, 2025. <https://www.france24.com/en/middle-east/20250503-israel-launches-more-than-20-new-strikes-across-syria-amidst-druze-tensions> (Access 03.05.25)

ძალების შეკავებას სირიის ტერიტორიაზე, მათი სახედრო ინფრასტრუქტურის განადგურების წყალობით. მაგ: 2025 წლის 1 მაისს ისრაელმა განახორციელა სერიოზული საჰაერო დარტყმები დამასკოს სამხრეთ გარეუბანში, სადაც სავარაუდოდ მდებარეობდა ირანული კავშირის ყოფილი სამეთაურო პუნქტი, ხოლო აპრილის ბოლოს დაბომბა იარაღის საწყობი ალ-ქისვაში, რომელიც გამოიყენებოდა ჰეზბოლასთვის ირანული იარაღის გადასაცემად. შედეგად დაიღუპა რამდენიმე ირანელი სამხედრო მრჩეველი.

ისრაელმა ასევე გააძლიერა სამხედრო ყოფნა გოლანის მაღლობებთან, რათა თავიდან აეცილებინა ნებისმიერი ინფილტრაცია სირიის (და თურქეთის), განსაკუთრებით კი ისლამისტური დაჯგუფებების მხრიდან. მან ასევე გაზარდა აშშ-სთან კოორდინაცია და არაბული მოკავშირეების (მაგ. იორდანია, ეგვიპტე, საუდის არაბეთი) ინფორმირება. ის აქტიურდ თანამშრომლობს ქვეყნის შიგნით ისეთ ეთნიკურ უმცირესობებთან, როგორებიც არიან დრუზები და ქურთები¹¹.

თურქეთი და ისრაელი თუ ხსენებული მოვლენების მთავარი „გამარჯვებულები“ არიან, ირანი მთავარ „დამარცხებულად“ შეიძლება მივიჩნიოთ. მნიშვნელოვნად დაზიანდა მისი პრესტიჟი, მოეშალა სასიცოცხლო დასაყრდენი, რადგან სირიის ლიდერი იყო შიიტური „წინააღმდეგობის ღერძის“ (محارفة) ნაწილი და აღნიშნულიდან გამომდინარე, დაკარგა კრიტიკულად მნიშვნელოვანი გავლენის სფერო რეგიონში, სადაც შეღწვა უახლოეს მომავალში მეტად სათუთაა. ისრაელის საჰაერო დარტყმების შედეგად განადგურდა ირანის მიერ აშენებული სამხედრო საწყობები, წვრთნის ცენტრები და რაკეტების ტრანსპორტირების მარშრუტები (განსაკუთრებით ალ-ქისვაში, ტიასი (T4) და ალ-ბუკამალში).

მოიშალა პროქსი-დაჯგუფებებთან ლოჯისტიკა თეირანი – ბაღდადი – დამასკო – ბეირუთის გზა (Shi'a Crescent), რომელიც ირანს აძლევდა გეოსტრატეგიულ ლოჯისტიკაზე წვდომას ხმელთაშუა ზღვამდე, მიიღო უზარმაზარი აუნაზღაურებელი ფინანსური ზარალი: როგორც ცნობილია, 2011–2024 წლებში ირანმა სირიაში დახარჯა \$30 მლრდ-ზე მეტი. აღნიშნულს ისიც ემატება, რომ ქურთები ირანის მიმართ უნდობლად არიან განწყობილნი, ხოლო სუნიტები – მტრულად¹².

ამ ყველაფერს რეგიონში უმთავრესი მეტოქეების - ისრაელისა და თურქეთის გაძლიერებაც მოჰყვა. გარდა ამისა, გაიზარდა აშშ-ს გავლენებიც და მნიშვნელოვნად შეეზღუდა ისედაც მწირი (სანქციების გამო) ეკონომიკური შესაძლებლობები. ირანისთვის ხსენებული მოვლენები „წარუმატებელი“ შიდა და საგარეო მოვლენების კასკადის გაგრძელება აღმოჩნდა, რომელიც მან გასული წლის განმავლობაში განიცადა (პრეზიდენტის ტრაგიკული სიკვდილი, ჰამასის ლიდერის საკუთარ ტერიტორიაზე ლიკვიდაცია ისრაელის სპეც-სამსახურების მიერ ჰეზბოლას მნიშვნელოვნად დასუსტება - ბოლო ექვს თვეში დაიღუპა 40-ზე მეტი ირანელი მრჩეველი და ჰეზბოლას მებრძოლი, რომლებიც სირიაში ყოფნას უზრუნველყოფდნენ, აფეთქებების სერია კრიტიკულად მნიშვნელოვან ისეთ სტრატეგიულ ობიექტებზე, როგორებიცაა უდიდესი პორტები, სამხედრო საწარმოები და ა.შ.).

კიდევ ერთი „დამარცხებული“ რუსეთი აღმოჩნდა - ახალმა გარდამავალმა სუნიტურმა ხელისუფლებამ ღიად განაცხადა: „რუსეთს არ აქვს უფლება ჩაერიოს სირიის მომავალში“, აღნიშნულმა გამოიწვია პრესტიჟისა და გავლენების დაკარგვა ასადის რეჟიმის სახით, კრიტიკული დასაყრდენის მოშლა ლევანტში და დაზვერვის სტრუქტურების (განსაკუთრებით ალეპო-ჰომსის ზოლში) მორღვევა.

გარდა ამისა, მიუხედავად აქტიური მცდელობისა, რუსეთს არ ჰყავს ამ ეტაპზე

11 Associated Press. “Middle East Latest: Israel Plans an Extended Occupation of Syrian Buffer Zone.” AP News, December 17, 2024. <https://apnews.com/article/israel-hamas-war-syria-news-17-december-2024-3df6c0a90a0d58efc30e4b5f7143c96f> (Access 03.05.25)

12 Neville Teller, “With Regime Change in Syria and Political Order in Lebanon, Iran Is Losing Control.” The Jerusalem Post, April 28, 2025. <https://www.jpost.com/opinion/article-851737> (Access 03.05.25)

სრულფასოვანი მოკავშირე არც ქურთების და არც დრუზების სახით, ხოლო ირანთან კოორდინაცია დარღვეულია. აღნიშნულს ემატება აუნაზღაურებელი ფინანსური ზარალიც: 2015–2024 წლებში რუსეთმა სირიის ოპერაციებში დახარჯა დაახლოებით \$12–15 მილიარდი¹³.

რაც ყველაზე მთავარია, გაურკვევლობა სირიაში არსებულ სამხედრო ბაზებთან დაკავშირებით კვლავაც გრძელდება. ჯერ არ არის გადაწყვეტილი დარჩება თუ არა რუსული ბაზები ქვეყანაში. მიუხედავად იმისა, რომ რუსეთმა ამოიღო ჰაიათ თაჰრირ ალ-შამი ტერორისტულ დაჯგუფებათა სიიდან, აქამდე გამართული ყველა მოლაპარაკება წარუმატებლად დასრულდა, რადგან სირია ასადის გადაცემასთან ერთად, უზარმაზარ თანხებს ითხოვს კომპენსაციის სახით, როდესაც მან მშვიდობიანი მოსახლეობა დაბობმბა აკრძალური საშუალებების გამოყენებით.

შედეგად, 2024 წლის დეკემბერში, ოპოზიციის წინსვლის ფონზე, რუსეთმა დაიწყო ჰმეიმის საჰაეროაზის ევაკუაცია, მათ შორის S-400 და Tor საჰაერო თავდაცვის სისტემების გადატანა ტარტუსში. 2025 წლის იანვარში სირიის ახალმა მთავრობამ გააუქმა 2017 წლის შეთანხმება, რომელიც რუსეთს 49 წლით აძლევდა ტარტუსის საზღვაო ბაზის გამოყენების უფლებას¹⁴. რუსული სამხედრო გემები ბაზიდან გაიყვანეს და ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე განლაგდნენ (ლიბია)¹⁵. 2025 წლის თებერვალში სირიის თავდაცვის სამინისტრომ რუსულ სამხედრო კოლონას ტარტუსის ბაზაში შესვლის უფლება არ მისცა, რაც მიუთითებს რუსეთის წვდომის შეზღუდვაზე. 2025 წლის დასაწყისში, სირიის ახალმა გარდამავალმა მთავრობამ ასევე მოითხოვა რუსული პერსონალის ეტაპობრივი გაყვანა ლატაკიის პორტიდან, გააუქმა ბაზის არაოფიციალური გამოყენების მემორანდუმი, რომელიც 2020 წელს გაფორმდა. რუსულ გემებს აღარ აქვთ მუდმივი შეჩერების ან მომსახურების უფლება; საჭიროა წინასწარი ნავიგაციის თანხმობა. გარდა ამისა, 2025 წლის მარტში სირიის ახალმა მთავრობამ მოითხოვა რუსული სპეცსამსახურების ქსელის დემონტაჟი ლატაკიასა და მის მიმდებარედ, რაც განხორციელდა კიდევაც (მაგ. რეკ-პელენას დემონტაჟი). რუსულმა გემებმა ლატაკიიდან უკანასკნელად დატოვეს პორტი აპრილში, მას შემდეგ მუდმივი ყოფნა არ დაფიქსირებულა. 2025 წლის აპრილშივე სუნიტურმა მილიციებმა დაიკავეს რამდენიმე რუსული სამხედრო-ტექნიკური ობიექტი¹⁶. 2025 წლის მაისში კი სირიის ახალმა გარდამავალმა მთავრობამ ლატაკიის პორტის მართვა 30-წლიანი კონცესიით გადასცა ფრანგულ ლოგისტიკურ გიგანტს, CMA CGM-ს¹⁷.

გარდა ხსენებულისა, აღსანიშნავია, რომ უკრაინის სპეცსამსახურებმა, კერძოდ კი თავდაცვის სამინისტროს მთავარმა სადაზვერვო სამმართველომ (FYP), მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს ბაშარ ალ-ასადის რეჟიმის დამხობაში სირიაში. როგორც The Washington Post და სხვა ავტორიტეტული წყაროები იუწყებიან, უკრაინამ დაახლოებით 20 გამოცდილი დრონის ოპერატორი და 150 FPV ტიპის დრონი გაგზავნა სირიის აჯანყებულთა მთავარ შტაბში იდლიბში, დაახლოებით ოთხი-ხუთი კვირით ადრე, ვიდრე ოპოზიციურმა ძალებმა დაიკავეს დამასკო. მიუხედავად იმისა, რომ უკრაინის დახმარება მხოლოდ «ზომიერი» იყო, იგი აღიქმება, როგორც მისი ფართო სტრატეგიის ნაწილი, რომელიც მიზნად ისახავს რუსეთის ოპერაციების დაბალანსებას ახლო აღმოსავლეთსა და აფრიკაში¹⁸.

13 Andrey Kortunov, "Russia in the Mediterranean After Assad's Fall." Middle East Council on Global Affairs, February 27, 2025. https://mecouncil.org/publication_chapters/russia-in-the-mediterranean-after-assads-fall/ (Access 03.05.25)

14 The Moscow Times. "Syria Terminates Russian Naval Base Deal – Reports." The Moscow Times, January 22, 2025. <https://www.themoscowtimes.com/2025/01/22/syria-terminates-russian-naval-base-deal-reports-a87690> (Access 03.05.25)

15 Euractiv. "Syria Cripples Moscow's Mediterranean Presence." Euractiv, January 22, 2025. <https://www.euractiv.com/section/politics/news/syria-cripples-moscows-mediterranean-presence/> (Access 03.05.25)

16 Ursa Space Systems. "Satellite Imagery Uncovers Russian Naval Exit from Syrian Base." Ursa Space Systems, December 19, 2024. <https://ursaspace.com/blog/satellite-imagery-uncovers-russian-naval-exit-from-syrian-base/> (Access 03.05.25)

17 Reuters. "Syria Signs New 30-Year Deal with French Shipping Giant CMA CGM." Reuters, May 1, 2025. <https://www.reuters.com/business/syria-signs-new-30-year-deal-with-french-shipping-giant-cma-cgm-2025-05-01/> (Access 03.05.25)

18 Oleniak, Lilianna. "Ukraine Helped Syrian Rebels to Overthrow Assad." RBC-Ukraine, December 11, 2024. <https://new-sukraine.rbc.ua/news/ukraine-helped-syrian-rebels-to-overthrow-1733912358.html> (Access 03.05.25)

სამხედრო დახმარებასთან ერთად, უკრაინამ სწრაფად გადადგა ნაბიჯები დიპლომატიური ურთიერთობების აღსადგენად და ახალ ხელისუფლებასთან თანამშრომლობის გასაღრმავებლად. 2024 წლის 30 დეკემბერს, უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრი ანდრიი სიბიჰა და სოფლის მეურნეობის მინისტრი ვიტალი კოვალევი ეწვივნენ დამასკოს, სადაც შეხვდნენ სირიის გარდამავალი მთავრობის ლიდერს, აჰმედ ალ-შარას, და საგარეო საქმეთა მინისტრს, ასად ალ-შაიბანის და უკრაინის საპატიო საკონსულოც გახსნეს დამასკოში¹⁹. გარდა აღნიშნულისა, უკრაინამ სირიაში გაგზავნა 500 ტონა ხორბლის ფქვილი «მარცვალ უკრაინიდან» ინიციატივის ფარგლებში, რითაც პურით უზრუნველყო დაახლოებით 167,000 სირიელის ერთი თვის განმავლობაში²⁰.

ხსენებული გეოპოლიტიკური ძვრები მნიშვნელოვან გამოწვევებს აჩენს შავი ზღვის რეგიონისა და სამხრეთ კავკასიის ქვეყნებისთვის, რადგან წარმოქმნილი დისბალანსი რეგიონის ხსენებულ ლიდერებს შორის ზრდის დამაბულობასა და ტურბულენტურობას. რუსეთისა და ირანის გავლენის შემცირება სირიაში ნიშნავს, რომ მოსკოვი და თეირანიც შესაძლოა უფრო მეტად კონცენტრირდნენ სამხრეთ კავკასიაზე, რაც ხსენებული რეგიონის სამივე ქვეყნისთვის განსაკუთრებულ გამოწვევას წარმოადგენს, რადგან შესაძლოა გამაძაფრდეს დაპირისპირება გავლენის მოპოვებისთვის ლიდერებს შორის. აღნიშნულს კი სჭირდება დელიკატური ბალანსის დაცვა თურქეთთან, ირანთან, რუსეთთან და დასავლეთთან ურთიერთობებში, რაც კომპლექსურ და ხშირად წინააღმდეგობრივ საგარეო პოლიტიკას მოითხოვს.

გარდა ამისა, ირანის გავლენების შესუსტება და თურქეთის - გაძლიერება ართულებს სომხეთის მდგომარეობას, მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ, რომ ასადის რეჟიმს აღიარებული ჰქონდა გენოციდი, რისი უკან წაღების შანსიც დიდია სირიის ახლანდელი მთავრობის პირობებში, რომელსაც მჭიდრო პოლიტიკური, ეკონომიკური და სამხედრო ურთიერთობა აკავშირებს თურქეთთან. გაზრდილია ეთნიკურ ნიადაგზე ძალადობის საფრთხე ალექსოში მცხოვრებ სომხების მიმართაც²¹. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ სომხეთი აქტიურად ცდილობს გააგრძელოს დიპლომატიური ურთიერთობების გაღრმავება ახალ მთავრობასთან. 2025 წლის მარტში, მან სირიაში გაგზავნა ჰუმანიტარული დახმარება, რაც მიუთითებს ორ ქვეყანას შორის თანამშრომლობის შესაძლებლობაზე.

სირიაში ბოლო თვეებში განვითარებულმა მოვლენებმა აზერბაიჯანისთვის რამდენიმე მნიშვნელოვანი სარგებელი და ახალი შესაძლებლობა მოიტანა — როგორც პოლიტიკურ, ისე ეკონომიკურ და დიპლომატიურ ჭრილში, როგორცაა 2025 წლის თებერვალში, 13-წლიანი პაუზის შემდეგ, საელჩოს ხელახალი გახსნა დამასკოში, რითაც დაიწყო ოფიციალური დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენა ახალ გარდამავალ მთავრობასთან²². აღნიშნული ნაბიჯი ორივე ქვეყნის მხრიდან აღიქმება როგორც პოლიტიკური ნდობის აღდგენა და თანამშრომლობის ახალი ფაზის დასაწყისი. გარდა ამისა, სირიამ კონკრეტულად გამოხატა ინტერესი აზერბაიჯანის დახმარების მიმართ ნავთობისა და გაზის სექტორის აღდგენისა და განვითარებისთვის, რაც აზერბაიჯანს ახალ ინვესტიციებსა და გავლენას მოუტანს რეგიონში²³.

აზერბაიჯანი ასევე ცდილობს პოზიციონირდეს როგორც რეგიონული სტაბილურობის მხარ-

19 Liam Nguyen, "Ukraine Affirms Support for New Syrian Government Amid Regional Shifts." National Courrier, December 31, 2024. <https://nationalcourrier.com/2024/12/31/ukraine-affirms-support-for-new-syrian-government-amid-regional-shifts/> (Access 03.05.25)

20 Amira Barkhush, Frolova Tetiana, "Ukrainian Foreign Minister Meets With New Syrian Leadership in Damascus." UNITED24 Media, December 30, 2024. <https://united24media.com/latest-news/ukrainian-foreign-minister-meets-with-new-syrian-leadership-in-damascus-4789> (Access 03.05.25)

21 Shant Khatcherian, "Aleppo's Armenians in a Changing Syria." The Armenian Weekly, March 28, 2025. <https://armenianweekly.com/2025/03/28/aleppos-armenians-in-a-changing-syria/> (Access 03.05.25)

22 Ministry of Foreign Affairs of the Republic of Azerbaijan. "Press Release on the Visit of Deputy Foreign Minister Yalchin Rafiyev to Syria." MFA.gov.az, February 23, 2025. <https://www.mfa.gov.az/en/news/no49224> (Access 03.05.25)

23 Eruygur, Burc. "Azerbaijan Says It Is 'Absolutely Essential' to Restore Peace, Stability in Syria." Anadolu Agency, December 10, 2024. <https://www.aa.com.tr/en/asia-pacific/azerbaijan-says-it-is-absolutely-essential-to-restore-peace-stability-in-syria/3420614> (Access 03.05.25)

დამჭერი. ის არაოფიციალურად ჩართულია შუამავლურ კომუნიკაციებში სირიის საკითხზე თურქეთსა და ისრაელს შორის, რაც ხაზს უსვამს მის მზარდ როლს ახლო აღმოსავლეთის დიპლომატიაში²⁴.

გარდა აღნიშნულისა, მთავარი მოკავშირის - თურქეთის როლის გაძლიერება და ირანის, რომელთანაც მას დამაბული ურთიერთობა აქვს - შესუსტება დადებითი მოვლენას წარმოადგენს, თუმცა გამოწვევებს წარმოადგენს სირიაში მეზობელი სხვადასხვა დაჯგუფების შესაძლო გადასვლა კავკასიისკენ, რაც აზერბაიჯანისთვის ტერორისტული აქტივობის ზრდას ნიშნავს.

რაც შეეხება საქართველოს, მას აქვს შესაძლებლობა გააუმჯობესოს სირიის გარდამავალ მთავრობას 2018 წელს ასადის რეჟიმის მიერ მიღებული გადაწყვეტილება აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის (სამხრეთ ოსეთის) დამოუკიდებლობის აღიარების შესახებ²⁵. თუმცა, ამ ეტაპზე, საქართველოს ხელისუფლება არ ჩქარობს დიპლომატიური ნაბიჯების გადადგმას, სავარაუდოდ, აკვირდება სირიის შიდა პოლიტიკურ განვითარებასა და საერთაშორისო ურთიერთობებს, რათა მიიღოს ინფორმირებული გადაწყვეტილება მომავალი ურთიერთობების თაობაზე.

ახალი კონკურენტული სატრანზიტო და ენერგეტიკული მარშრუტები

თუმცა, მიმდინარე მოვლენებში ყველაზე მნიშვნელოვანი მაინც სატრანზიტო და ენერგეტიკულ მარშრუტებს უკავშირდება. სწორედ აღნიშნული ითვლება სირიაში მიმდინარე მოვლენების მთავარ მამოძრავებლად. უკრაინაში მიმდინარე კონფლიქტისა და სუეცის არხის არასტაბილურობის ფონზე, კიდევ ერთხელ მძაფრად იჩენს თავს აზიისა და ევროპის დამაკავშირებელი ალტერნატიული დერეფნების საჭიროება. ასევე, თუ გავითვალისწინებთ ყატარის საამიროს აქტიურ ჩართულობას ხსენებულ მოვლენებში, რომელიც, გაზის მსოფლიო მარაგის კუთხით მე-3 ადგილი უკავია, ყველაფერი ნათელი გახდება. სწორედ ყატარი, მთავარი მწარმოებლისა და თურქეთი, ენერგეტიკული ჰაბის ფუნქციით შეიტანენ მნიშვნელოვან წვლის ევროპის წიაღისეული საწვავით მომარაგების საკითხში²⁶.

თუმცა, ამ პროექტის წარმატება გარკვეულწილად დამოკიდებულია რეგიონული უსაფრთხოების სტაბილურობაზე, იგი ქმნის მნიშვნელოვან გეოპოლიტიკურ და ეკონომიკურ შესაძლებლობებს არა მხოლოდ თურქეთისა და ყატარისთვის, არამედ ზოგადად ევროპისა და აზიისთვის.

24 Hassan, Hassan. "The Balance of Power Is Shifting in the Middle East – and It Is Turkey's 'Full Moon' on the Rise." The Guardian, December 19, 2024. <https://www.theguardian.com/commentisfree/2024/dec/19/balance-of-power-middle-east-turkey-ankara-syria-rebels-iran> (Access 03.05.25)

25 "Syria Just Backed Russia's Illegal Occupation of Georgian Regions." Atlantic Council, May 31, 2018. Accessed February 10, 2025. <https://www.atlanticcouncil.org/blogs/new-atlanticist/syria-just-backed-russia-s-illegal-occupation-of-georgian-regions/> (Access 03.05.25)


26 Handan Kazancı, "Türkiye-Qatar Natural Gas Pipeline Could Be Revived, Says Turkish Energy Minister." Anadolu Agency, December 10, 2024. <https://www.aa.com.tr/en/energy/energy-diplomacy/turkiye-qatar-natural-gas-pipe-line-could-be-revived-says-turkish-energy-minister/46164> (Access 03.05.25)



სურათი 3: ყატარის მილსადენი.²⁷ წყარო: <https://www.turkiyetoday.com/>

IMEC (India-Middle East-Europe Economic Corridor) არის მრავალმხრივი ეკონომიკური დერეფნის პროექტი, რომელიც მიზნად ისახავს ინდოეთის, ახლო აღმოსავლეთის (განსაკუთრებით საუდის არაბეთის, არაბეთის გაერთიანებული ემირატების, ისრაელის) და ევროპის დაკავშირებას საზღვრო, ენერგეტიკული და ინფრასტრუქტურული ქსელებით. IMEC გამოცხადდა 2023 წლის სექტემბერში, G20-ის სამიტზე ინდოეთში, როგორც Biden's signature **geopolitical initiative**, რომლის მიზანია ჩინეთის “ერთი სარტყელი, ერთი გზა” ინიციატივისთვის კონკურენციის გაწევა, ინდოეთის, არაბეთის ნახევარკუნძულისა და ევროპის ეკონომიკური ინტეგრაცია და აშშ-ის გლობალური ინფრასტრუქტურული გავლენის გაფართოება.

ყველაფერთან ერთად, აღნიშნული მარშრუტი გვერდს აუვლის წითელ ზღვასა და სუეცის არხს, მასთან დაკავშირებული სირთულეებით (ჰუთების თავდასხმები, გადატვირთვა, გემების გაჩედივა), რაც თავის მხრივ 40%-ით უფრო დააჩქარებს და 30%-ით შეამცირებს ტრანსპორტირების ხარჯებს²⁸.



სურათი 4: IMEC. წყარო: <https://visionias.in/>

სირია ამ ეტაპზე არ არის IMEC პროექტის ოფიციალური წევრი, თუმცა წარმოადგენს გეოპოლიტიკურ კარიბჭეს რეგიონს შორის, სადაც ინდოეთი, როგორც ჩინეთის მთავარი დამბალანსებელი და ევროპა დაკავშირებულია ერთმანეთთან ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების მეშვეობით. სტაბილურობის შემთხვევაში, სირიას შეეძლება გახდეს გადამწყვეტი კვანძი, სადაც გამავალი სატრანსპორტო მარშრუტები გააქტიურდება.

²⁷ წყარო: <https://www.turkiyetoday.com/>

²⁸ India's World. “The India-Middle East-Europe Economic Corridor.” India's World, February 2025. <https://indiasworld.in/the-india-middle-east-europe-economic-corridor/> (Access 03.05.25)

აღნიშნული კი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ამცირებს შუა დერეფნის, რომელთა მნიშვნელოვან სატრანზიტო ნაწილად აზერბაიჯანი და საქართველო მოიაზრებიან, ფუნქციასა და როლს. თავად IMEC-ით გამავალ ტვირთს არ დასჭირდება ბაქო–თბილისი–ყარსის რკინიგზა და შესაბამისად, სამხრეთ კავკასიასაც გვერდს უვლის. ასევე, იკლებს საზღვაო პორტების – ფოთისა და ბაქოს დატვირთვა. სამხრეთ კავკასია ხშირად მოიხსენიებოდა როგორც დასავლური ენერგეტიკული და სავაჭრო პოლიტიკის ცენტრალური რგოლი. IMEC-ის გაძლიერება ამცირებს რეგიონზე დამოკიდებულებას, რაც ნიშნავს ნაკლებ ინვესტიციებს ინფრასტრუქტურაში, ნაკლებ პოლიტიკურ ინტერესს დასავლეთის მხრიდან, და შესაძლო გეოპოლიტიკურ მარგინალიზაციას.



სურათი 5: IMEC-ის ეფექტიანობა ტრადიციულ მარშრუტთან შედარებით. წყარო: MEY

თუმცა, გასათვალისწინებელია, რომ ახლო აღმოსავლეთში სიტუაციის დასტაბილურებას დიდი დრო დასჭირდება, რაც მნიშვნელოვანი ფაქტორია კონკურენტუნარიანობის გაზრდისთვის. გარდა ამისა, თურქეთი არანაკლებად დაინტერესებულია შუა დერეფნის წრმატებითაც.

ყველაფერთან ერთად, შუა დერეფნის ინფრასტრუქტურას სჭირდება მნიშვნელოვანი ინვესტიციები მაღალი სიმძლავრის ტრანზიტის საერთაშორისო სტანდარტების დასაკმაყოფილებლად. გამოწვევები მოიცავს შეზღუდულ სიმძლავრეს, მოძველებულ აღჭურვილობას და ლოჯისტიკურ ბლოკირებას. რუსეთის უზარმაზარ ტერიტორიის გამტარუნარიანობის ჩანაცვლება ისედაც შეუძლებელია. მით უმეტეს, ისეთი „ვიწრო სატანზიტო ყელისთვის“, როგორც საქართველო და კავკასიაა. თუ სწრაფად არ გაიზრდება გამტარუნარიანობა, მუდმივი გაჩქედვები, დაყოვნებები და შეფერხებები ნელ-ნელა ისევ გამოიწვევს სატრანსპორტო, სატვირთო და ენერგეტიკული ნაკადების სხვა მიმართულებით გადასროლას. დამატებითი ალტერნატივების არსებობა, რომელიც რუსეთის ტერიტორიაზე არ გადის, ირიბად მაინც მომგებიანია საქართველოსა და სამხრეთ კავკასიის სხვა ქვეყნებისთვის.

თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ შეერთებულ შტატებისა და ევროკავშირის სტრატეგიული ინტერესები დიდ როლს შეასრულებს აღნიშნულ საკითხში. მიმდინარე სატარიფო ომის ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ აშშ მხარს დაუჭერს ჩინეთის კონკურენტ პროექტს.

დასკვნა

სირიის შიდა პოლიტიკაში მიმდინარე ღრმა ტრანსფორმაციებმა და რეგიონში ძალთა განახლებულმა გადანაწილებამ მნიშვნელოვანი გავლენა იქონია სამხრეთ კავკასიის გეოპოლიტიკურ როლზე. კვლევამ აჩვენა, რომ სირიის კონფიგურაცია მხოლოდ ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხი აღარ არის – ის უკვე გადაიზარდა ფართო რეგიონალურ რეალობაში, რომელიც უშუალოდ ეხება ენერგეტიკულ დერეფნებს, სატრანზიტო მარშრუტებსა და უსაფრთხოების არქიტექტურას შავი ზღვის სივრციდან კასპიის ზონამდე.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს იმ ფაქტს, რომ სირიის ტერიტორიაზე გაჩენილი ახალი სატრანზიტო ალტერნატივები, რომლებიც დასავლეთის ინტერესებში ჯდება – მაგალითად, IMEC-ის დერეფანი, ყატარი-თურქეთის კორიდორი და ინდოეთ-არაბული ზღვის ხაზები – პოტენციურად ასუსტებს სამხრეთ კავკასიის, როგორც ენერგეტიკული და სატრანზიტო ჰაზის ფუნქციას. აღნიშნული მიგვანიშნებს იმაზე, რომ რეგიონს გრძელვადიან პერსპექტივაში ახალი კონკურენტული გამოწვევების გადალახვა მოუწევს, რათა არ დაკარგოს სტრატეგიული ფუნქცია ევრაზიულ ლოჯისტიკაში.

ჰიპოთეზა კვლევის პროცესში დადასტურდა: სირიის ახალი პოლიტიკურ-საერთაშორისო ფუნქციონალურ კონტექსტში ტრანსფორმაცია განსაკუთრებულად აისახება სატრანზიტო და ენერგეტიკულ არქიტექტურაზე სამხრეთ კავკასიაში. ამასთან, კვლევამ გამოავლინა, რომ აზერბაიჯანისთვის შეიქმნა როგორც ახალი შესაძლებლობები დასავლური პროექტებში ინტეგრაციის მხრივ, ასევე იზრდება სარისკო დამოკიდებულება მოსალოდნელ კონკურენტულ ხაზებზე. სომხეთი კვლავ რჩება ჩრდილში სირიის საკითხებთან მიმართებით, თუმცა მისი გეოპოლიტიკური როლი შესაძლოა გაიზარდოს გლობალური მოთამაშეების სტრატეგიულ გათვლებში. საქართველოს შემთხვევაში კი სირიის მიმართულებით პირდაპირი დიპლომატიური კავშირების არქონა და გეოპოლიტიკურ დერეფნებზე დამოკიდებულება გრძელვადიან პერსპექტივაში საჭიროებს საგარეო პოლიტიკის მორგებას ახალ რეგიონულ რეალიებზე.

ამიტომ, სამხრეთ კავკასიამ – როგორც ერთიანმა რეგიონულმა სუბიექტმა – უნდა მოახდინოს რეაგირება სირიის ახალ რეალობაზე, აქტიური ჩართულობით ახალ რეგიონულ ინიციატივებში და საკუთარი პოზიციის გამყარებით იმ ვითარებაში, სადაც სატრანზიტო კონკურენცია კიდევ უფრო გამწვავდება.

ბიბლიოგრაფია

- Amnesty International. "Syria: Coastal Massacres of Alawite Civilians Must Be Investigated as War Crimes." Amnesty International, April 3, 2025. <https://www.amnesty.org/en/latest/news/2025/04/syria-coastal-massacres-of-alawite-civilians-must-be-investigated-as-war-crimes/>
- Associated Press. "Middle East Latest: Israel Plans an Extended Occupation of Syrian Buffer Zone." AP News, December 17, 2024. <https://apnews.com/article/israel-hamas-war-syria-news-17-december-2024-3df6c0a90a0d58efc30e4b5f7143c96f>
- Barkhush, Amira, and Tetiana Frolova. "Ukrainian Foreign Minister Meets With New Syrian Leadership in Damascus." UNITED24 Media, December 30, 2024. <https://united24media.com/latest-news/ukrainian-foreign-minister-meets-with-new-syrian-leadership-in-damascus-4789>
- Enab Baladi. "Mohammed al-Bashir to Head Syria's Transitional Government." Enab Baladi, December 10, 2024. <https://english.enabbaladi.net/archives/2024/12/mohammed-al-bashir-to-head-syrias-transitional-government/>
- Eruygur, Burc. "Azerbaijan Says It Is 'Absolutely Essential' to Restore Peace, Stability in Syria." Anadolu Agency, December 10, 2024. <https://www.aa.com.tr/en/asia-pacific/azerbaijan-says-it-is-absolutely-essential-to-restore-peace-stability-in-syria/3420614>
- Euractiv. "Syria Cripples Moscow's Mediterranean Presence." Euractiv, January 22, 2025. <https://www.euractiv.com/section/politics/news/syria-cripples-moscows-mediterranean-presence/>
- France 24. "Israel Launches More Than 20 New Strikes Across Syria Amidst Druze Tensions." France 24, May 3, 2025. <https://www.france24.com/en/middle-east/20250503-israel-launches-more-then-20-new-strikes-across-syria-amidst-druze-tensions>
- Hassan, Hassan. "The Balance of Power Is Shifting in the Middle East – and It Is Turkey's 'Full Moon' on the Rise." The Guardian, December 19, 2024. <https://www.theguardian.com/commentis-free/2024/dec/19/balance-of-power-middle-east-turkey-ankara-syria-rebels-iran>
- Hassan, Hassan. "Profile: Abu Mohammad al-Jolani." The Telegraph, December 8, 2024. <https://www.telegraph.co.uk/world-news/2024/12/08/profile-abu-mohammad-al-jolani-syria-isis-jihadi/>
- India's World. "The India-Middle East-Europe Economic Corridor." India's World, February 2025. <https://indiasworld.in/the-india-middle-east-europe-economic-corridor/>
- McMahon, Bob, and Carla Anne Robbins. "Syrians Plot Transition, Turmoil in Georgia and Romania, UK Joins Trans-Pacific Trade Deal, and More." Council on Foreign Relations, December 12, 2024. Accessed February 10, 2025. <https://www.cfr.org/podcasts/syrians-plot-transition-turmoil-georgia-romania-uk-joins-trans-pacific-trade-deal-and-more>
- Khatcherian, Shant. "Aleppo's Armenians in a Changing Syria." The Armenian Weekly, March 28, 2025. <https://armenianweekly.com/2025/03/28/aleppos-armenians-in-a-changing-syria/>
- Kazancı, Handan. "Türkiye-Qatar Natural Gas Pipeline Could Be Revived, Says Turkish Energy Minister." Anadolu Agency, December 10, 2024. <https://www.aa.com.tr/en/energy/energy-diplomacy/turkiye-qatar-natural-gas-pipeline-could-be-revived-says-turkish-energy-minister/46164>
- Kortunov, Andrey. "Russia in the Mediterranean After Assad's Fall." Middle East Council on Global Affairs, February 27, 2025. https://mecouncil.org/publication_chapters/russia-in-the-mediterranean-after-assads-fall/
- Lister, Charles. "How al-Qa'ida Lost Control of Its Syrian Affiliate: The Inside Story." CTC Sentinel 11, no. 2 (February 2018): 1–14. <https://ctc.westpoint.edu/al-qaida-lost-control-syrian-affiliate-inside-story/>

- Ministry of Foreign Affairs of the Republic of Azerbaijan. "Press Release on the Visit of Deputy Foreign Minister Yalchin Rafiyev to Syria." MFA.gov.az, February 23, 2025.
<https://www.mfa.gov.az/en/news/no49224>
- Nguyen, Liam. "Ukraine Affirms Support for New Syrian Government Amid Regional Shifts." National Courier, December 31, 2024. <https://nationalcourier.com/2024/12/31/ukraine-affirms-support-for-new-syrian-government-amid-regional-shifts/>
- Oleniak, Liliana. "Ukraine Helped Syrian Rebels to Overthrow Assad." RBC-Ukraine, December 11, 2024.
<https://newsukraine.rbc.ua/news/ukraine-helped-syrian-rebels-to-overthrow-1733912358.html>
- Reuters. "Syria Signs New 30-Year Deal with French Shipping Giant CMA CGM." Reuters, May 1, 2025. <https://www.reuters.com/business/syria-signs-new-30-year-deal-with-french-shipping-giant-cma-cgm-2025-05-01/>
- "Syria Just Backed Russia's Illegal Occupation of Georgian Regions." Atlantic Council, May 31, 2018. Accessed February 10, 2025. <https://www.atlanticcouncil.org/blogs/new-atlanticist/syria-just-backed-russia-s-illegal-occupation-of-georgian-regions/>
- "Syria Timeline: Since the Uprising Against Assad." United States Institute of Peace. Accessed February 10, 2025. <https://www.usip.org/syria-timeline-uprising-against-assad>
- Teller, Neville. "With Regime Change in Syria and Political Order in Lebanon, Iran Is Losing Control." The Jerusalem Post, April 28, 2025. <https://www.jpost.com/opinion/article-851737>
- The Moscow Times. "Syria Terminates Russian Naval Base Deal – Reports." The Moscow Times, January 22, 2025. <https://www.themoscowtimes.com/2025/01/22/syria-terminates-russian-naval-base-deal-reports-a87690>
- "Turkey's Energy Hub Ambitions Have New Momentum After Assad's Fall." Chatham House, December 17, 2024. Accessed February 10, 2025.
<https://www.chathamhouse.org/2024/12/turkeys-energy-hub-ambitions-have-new-momentum-after-assads-fall>
- Ursa Space Systems. "Satellite Imagery Uncovers Russian Naval Exit from Syrian Base." Ursa Space Systems, December 19, 2024. <https://ursaspace.com/blog/satellite-imagery-uncovers-russian-naval-exit-from-syrian-base/>
- Walt, Stephen M. *The Origins of Alliances*. Ithaca, NY: Cornell University Press, 1987;
- Waltz, Kenneth N. *Theory of International Politics*. Reading, MA: Addison-Wesley, 1979

ახლო აღმოსავლეთი: რისკები და შესაძლებლობები საქართველოსთვის

პოლკოვნიკი ჯამბულ ზალოშვილი

სსიპ-დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს
ეროვნული თავდაცვის აკადემიის
მაგისტრატურის სახელმწიფო რესურსების მართვის
მიმართულების ხელმძღვანელი,
სამხედრო მეცნიერებათა დოქტორი

აბსტრაქტი

ნაშრომი იკვლევს ახლო აღმოსავლეთის რეგიონული არასტაბილურობის გავლენას საქართველოზე, აანალიზებს ამ გავლენით გამოწვეულ რისკებს და განიხილავს პოტენციურ შესაძლებლობებს, რომლებიც შეიძლება წარმოიქმნას ამ რთული გეოპოლიტიკური კონტექსტის ფარგლებში. კვლევა ეფუძნება თანამედროვე პოლიტიკური და ეკონომიკური ანალიზის მეთოდებს და ეყრდნობა როგორც ქართველი, ისე საერთაშორისო მკვლევარების ნაშრომებს. გაანალიზებულია ახლო აღმოსავლეთის არასტაბილურობის ძირითადი ასპექტები, მათ შორის გრძელვადიანი კონფლიქტები, ტერორიზმი და რადიკალიზმი, ენერგორესურსები და რეგიონული და გლობალური ძალების ჩართულობა. საქართველოსთვის წარმოქმნილი რისკების კონტექსტში განხილულია უსაფრთხოების პირდაპირი საფრთხეები, ენერგოუსაფრთხოების გამოწვევები, მიგრაციის პოტენციური ტალღები და გლობალურ მოთამაშეთა დაპირისპირების რეგიონული ანარეკლი. ამავდროულად, ნაშრომი წარმოაჩენს საქართველოსთვის გაჩენილ შესაძლებლობებს, რომლებიც მოიცავს დიპლომატიური პლატფორმის გაძლიერებას, რეგიონული კავშირების გაფართოებას, ტრანზიტული პოტენციალის განვითარებას და საერთაშორისო პოზიციების გამყარებას. კვლევა მიზნად ისახავს ხელი შეუწყოს საქართველოს სტრატეგიული პოზიციის უკეთ გააზრებას ახლო აღმოსავლეთის მიმდინარე დინამიკის კონტექსტში და ხელი შეუწყოს ქვეყნის საგარეო პოლიტიკის ფორმირებას.

საკვანძო სიტყვები: საქართველო, ახლო აღმოსავლეთი, რეგიონული არასტაბილურობა, გეოპოლიტიკა, უსაფრთხოების გამოწვევები, საერთაშორისო ურთიერთობები.

THE MIDDLE EAST: RISKS AND OPPORTUNITIES FOR GEORGIA

Colonel Jambul Zaloshvili²

Chief of Master Program in State Resource Management of
LEPL-David Aghmashenebeli National Defense Academy of Georgia
Doctor of Military Sciences

Abstract

The paper examines the impact of Middle Eastern regional instability on Georgia, analyzes the risks caused by this influence, and discusses potential opportunities that may arise within this complex geopolitical context. The research is based on modern political and economic analysis methods and draws on the works of both Georgian and international researchers. The main aspects of Middle Eastern instability are analyzed, including long-term conflicts, terrorism and radicalism, energy resources, and the involvement of regional and global powers. In the context of risks for Georgia, direct security threats, energy security challenges, potential migration waves, and regional reflections of confrontations between global players are discussed. At the same time, the paper presents opportunities that have emerged for Georgia, including strengthening the diplomatic platform, expanding regional connections, developing transit potential, and reinforcing international positioning. The research aims to contribute to a better understanding of Georgia's strategic positioning in the context of current Middle Eastern dynamics and to present recommendations for the formation of the country's foreign policy.

Keywords: Georgia, Middle East, regional instability, geopolitics, security challenges, international relations.

XXI საუკუნეში ახლო აღმოსავლეთი კვლავ რჩება მსოფლიოს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს გეოპოლიტიკურ რეგიონად, რომელიც გამოირჩევა პოლიტიკური არასტაბილურობით, გეოსტრატეგიული დაძაბულობითა და სამხედრო კონფლიქტებით. რეგიონი, რომელიც აერთიანებს ისეთ ქვეყნებს, როგორიცაა ეგვიპტე, სირია, ერაყი, ირანი, ისრაელი, პალესტინა, საუდის არაბეთი და სხვა სახელმწიფოები, წარმოადგენს გეოპოლიტიკური, რელიგიური, ეკონომიკური და კულტურული ინტერესების გადაკვეთის უნიკალურ არეალს. რეგიონის მნიშვნელობას განაპირობებს არა მხოლოდ ნავთობისა და ბუნებრივი აირის მდიდარი რესურსები, არამედ მისი სტრატეგიული მდებარეობა სამი კონტინენტის - ევროპის, აზიისა და აფრიკის - გასაყარზე.¹

ახლო აღმოსავლეთი ისტორიულად ყოველთვის იყო დიდი სახელმწიფოების სტრატეგიული ინტერესების სფერო. მე-20 საუკუნეში, ცივი ომის პერიოდში, იგი წარმოადგენდა აშშ-სა და საბჭოთა კავშირს შორის დაპირისპირების ერთ-ერთ მთავარ მიზეზს. დღესაც, რეგიონში გავლენისთვის იბრძვიან გლობალური ძალები - აშშ, რუსეთი, ჩინეთი, ევროკავშირი, და რეგიონული ლიდერობის მსურველი სახელმწიფოები - ირანი, თურქეთი და საუდის არაბეთი. სწორედ ეს გლობალური და რეგიონული მეტოქეობა ხშირად განაპირობებს ადგილობრივი კონფლიქტების გამწვავებას.

თანამედროვე ახლო აღმოსავლეთის არასტაბილურობის მთავარ კერებს წარმოადგენს ისრაელ-პალესტინის გამწვავებული კონფლიქტი, სირიის სამოქალაქო ომი, იემენში მიმდინარე შეიარაღებული დაპირისპირება, ლიბანში არსებული დაძაბულობა და ირანის ბირთვული პროგრამის გარშემო არსებული კრიზისი.² ამ კონფლიქტებს ახასიათებს როგორც ღია, ისე ფარული დაპირისპირებები, რომლებიც ხშირად სცდება რეგიონის საზღვრებს და გლობალურ გავლენას ახდენს საერთაშორისო უსაფრთხოებაზე, ენერგეტიკულ ბაზრებსა და მიგრაციულ პროცესებზე.

რეგიონის დესტაბილიზაციის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია ტერორისტული ორგანიზაციების აქტიურობა. ისლამური სახელმწიფოს (ISIS), ალ-ქაიდას და სხვა ექსტრემისტული დაჯგუფებების მოქმედებები არა მხოლოდ აჩქარებს რეგიონის ფრაგმენტაციას, არამედ ქმნის რადიკალიზმის გავრცელების საფრთხეს მეზობელ რეგიონებში, მათ შორის კავკასიაში.³

ახლო აღმოსავლეთის პრობლემები არ შემოიფარგლება მხოლოდ სამხედრო-პოლიტიკური ხასიათის კონფლიქტებით. რეგიონის წინაშე დგას სერიოზული ეკონომიკური გამოწვევები, მათ შორის რესურსების არათანაბარი განაწილება, უმუშევრობის მაღალი დონე, კორუფცია და ეკონომიკური დამოკიდებულება ენერგორესურსებზე. ამ პრობლემების ფონზე, რეგიონში იზრდება სოციალური დაძაბულობა და პოლიტიკური არასტაბილურობა, რაც სამომავლოდ ახალი კონფლიქტების წარმოშობის რისკს ზრდის.

საქართველოსთვის, რომელიც მდებარეობს ევროპისა და აზიის გზაჯვარედინზე, შავი ზღვის აუზში, ახლო აღმოსავლეთის არასტაბილურობა წარმოადგენს როგორც მნიშვნელოვან გამოწვევას, ისე პოტენციურ შესაძლებლობას. ერთი მხრივ, საქართველო, როგორც შედარებით პატარა სახელმწიფო, მოწყვლადია რეგიონული კრიზისების მიმართ. მეორე მხრივ, ქვეყნის გეოგრაფიული მდებარეობა და ისტორიული კავშირები მას აძლევს შანსს გახდეს მნიშვნელოვანი შუამავალი და სტრატეგიული დამაკავშირებელი რგოლი რეგიონებს შორის.⁴

1 Fred Halliday, *The Middle East in International Relations: Power, Politics and Ideology* (Cambridge: Cambridge University Press, 2005), 167-261.

2 Marc Lynch, *The New Arab Wars: Uprisings and Anarchy in the Middle East* (New York: PublicAffairs, 2016).

3 Charles R. Lister, *The Syrian Jihad: Al-Qaeda, the Islamic State and the Evolution of an Insurgency* (Oxford: Oxford University Press, 2015), 327-350.

4 კორნელი კაკაჩია და ტრეისი ჯერმანი, „უსაფრთხოების უზრუნველყოფა პატარა სახელმწიფოს სტატუსის პირობებში“, წიგნში საქართველოს საგარეო პოლიტიკა 21-ე საუკუნეში გამოწვევები პატარა ქვეყნისთვის, რედ. ტრეისი ჯერმანი, სტივენ ჯონსი და კორნელი კაკაჩია (თბილისი, გამომცემლობა „ივანე ჯავახიშვილის სახელობის

საქართველოს გეოპოლიტიკური მდებარეობა განაპირობებს მის განსაკუთრებულ დამოკიდებულებას რეგიონული უსაფრთხოების მიმართ. ქვეყანა მდებარეობს რუსეთის, თურქეთის და ირანის სიახლოვეს - სამივე მათგანი აქტიური მოთამაშეა ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკაში.⁵ აღსანიშნავია, რომ საქართველოს ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციისკენ სწრაფვა მნიშვნელოვნად ამწვავებს მის გეოპოლიტიკურ მდგომარეობას, რადგანაც ქვეყანას უწევს მუდმივი ბალანსირება სხვადასხვა რეგიონული ძალების ურთიერთსაწინააღმდეგო ინტერესებს შორის.⁶

ახლო აღმოსავლეთის არასტაბილურობა პირდაპირ გავლენას ახდენს საქართველოზე რამდენიმე მიმართულებით. უპირველეს ყოვლისა, ეს არის უსაფრთხოების საკითხები - რელიგიური რადიკალიზმისა და ტერორიზმის გავრცელების საფრთხე, ტრანსნაციონალური დანაშაულის ზრდა და არალეგალური მიგრაცია. მეორე მხრივ, ენერგეტიკული უსაფრთხოების საკითხები და ეკონომიკური ურთიერთობების გამოწვევები. თუმცა, პარალელურად, საქართველოს მისწრაფება გახდეს ევროპასა და აზიას შორის დამაკავშირებელი დერეფანი ქმნის პერსპექტივას ქვეყნის ეკონომიკური და პოლიტიკური მნიშვნელობის გასაზრდელად.

ნაშრომი მიზნად ისახავს გააანალიზოს ახლო აღმოსავლეთში არსებული რეგიონული არასტაბილურობის ძირითადი ასპექტები, მათი გავლენა საქართველოზე და ის პოტენციური რისკები და შესაძლებლობები, რომლებიც ამ კონტექსტში ჩნდება საქართველოსთვის. კვლევა ეფუძნება თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობების თეორიებს და გამოყენებული იქნება, როგორც ქართველი, ისე უცხოელი მკვლევარების ნაშრომები.

ძირითადი ნაწილი

1. ახლო აღმოსავლეთის არასტაბილურობის ძირითადი ასპექტები

ახლო აღმოსავლეთში არსებული არასტაბილურობა მოიცავს პოლიტიკურ, რელიგიურ, ეკონომიკურ და სოციალურ ფაქტორებს.

ისრაელი-პალესტინის კონფლიქტი წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე ხანგრძლივ დაპირისპირებას თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობებში. ეს კონფლიქტი პერიოდულად გადადის ღია სამხედრო დაპირისპირებაში, როგორც ეს მოხდა 2023 ბოლოს. ისრაელი-პალესტინის გადაუჭრელი კონფლიქტი წარმოადგენს ახლო აღმოსავლეთის რეგიონში არასტაბილურობის ძირითად ფაქტორს, რომელსაც აქვს დიდი პოტენციალი გამოიწვიოს მასშტაბური რეგიონთაშორისი დაპირისპირება.

სირიის სამოქალაქო ომი, რომელიც 2011 წელს დაიწყო, ჩამოყალიბდა რთულ პროქსი-ომად, სადაც ჩართულია არა მხოლოდ ადგილობრივი მხარეები, არამედ რეგიონული და გლობალური ძალები. რუსეთის, ირანის, თურქეთის, აშშ-ის და სხვა ქვეყნების ჩარევამ კიდევ უფრო გაართულა კონფლიქტის მოგვარების პერსპექტივა.⁷ სირიის კრიზისმა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა მეზობელ ქვეყნებზე ლტოლვილთა ნაკადების, ტერორიზმის გავრცელებისა და რეგიონული უსაფრთხოების სისტემის რღვევის თვალსაზრისით.

ირანსა და დასავლეთს შორის დამაბულობა, განსაკუთრებით ირანის ბირთვული პროგრამის გარშემო, წარმოადგენს კიდევ ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს რეგიონული არასტაბილურობისთვის. 2015 წლის ბირთვული შეთანხმებიდან (JCPOA) აშშ-ის გასვლამ 2018 წელს და სანქციების აღდგენამ გააღრმავა უნდობლობა მხარეებს შორის. ირანის საკითხი წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე კომპლექსურ გეოპოლიტიკურ გამოწვევას, რომელიც სცდება რეგიონულ საზღვრებს და მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს საერთაშორისო უსაფრთხოების

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი“, 2023), 49-80.

5 Stephen F. Jones, *Georgia: A Political History Since Independence* (London: I.B. Tauris, 2022), 312-330.

6 Svante E. Cornell, *Getting Georgia Right*. Brussels: Centre for European Studies, 2013.

7 Christopher Phillips, *The Battle for Syria: International Rivalry in the New Middle East*. (New Haven: Yale University Press, 2020), 124-132.

არქიტექტურაზე.

იემენში მიმდინარე კონფლიქტი კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია რეგიონული არასტაბილურობისთვის. 2014 წელს დაწყებული სამოქალაქო ომი გადაიზარდა რეგიონულ დაპირისპირებაში, სადაც საუდის არაბეთი და ირანი პროქსი-ძალების მეშვეობით ებრძვიან ერთმანეთს.

კონფლიქტების ეს რთული ქსელი ქმნის ახლო აღმოსავლეთში არსებული არასტაბილურობის საერთო სურათს, რომელშიც ერთი კრიზისის გამწვავებამ შეიძლება გამოიწვიოს ჯაჭვური რეაქცია და რეგიონული ესკალაცია. სწორედ ამიტომ, რეგიონში სტაბილურობის შენარჩუნება საჭიროებს კომპლექსურ მიდგომას, რომელიც გაითვალისწინებს არა მხოლოდ ცალკეული კონფლიქტების სპეციფიკას, არამედ მათ შორის არსებულ კავშირებსა და რეგიონულ დინამიკას.

ტერორისტული ორგანიზაციების აქტიურობა ახლო აღმოსავლეთის ერთ-ერთ უმთავრესი პრობლემაა. ტერორისტული ორგანიზაციების წარმატება რეგიონში განპირობებულია რამდენიმე ფაქტორით. პირველ რიგში, ეს არის სახელმწიფოებრივი ინსტიტუტების სისუსტე და „მმართველობის ვაკუუმი“ კონფლიქტურ ზონებში. მეორე, სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები, როგორიცაა უმუშევრობა, სიღარიბე და განათლების ხელმიუწვდომლობა, რაც ქმნის ნაყოფიერ ნიადაგს რადიკალიზაციისთვის. მესამე, რელიგიური კონფლიქტები, განსაკუთრებით სუნიტურ და შიიტურ თემებს შორის.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ტერორისტული ორგანიზაციების მიერ თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება. სოციალური მედია და დაშიფრული კომუნიკაცია ეფექტურად გამოიყენება პროპაგანდისთვის, რეკრუტირებისთვის და ოპერაციების დაგეგმვისთვის.

„უცხოელი ტერორისტი მეზობლების“ ფენომენი, წარმოადგენს გლობალური უსაფრთხოების სერიოზულ გამოწვევას. რადიკალიზებული პირები სხვადასხვა ქვეყნიდან ჩადიან კონფლიქტის ზონებში ISIS-ის და მსგავსი დაჯგუფებების მხარდასაჭერად, ხოლო შემდეგ ბრუნდებიან თავიანთ ქვეყნებში. ეს პრობლემა განსაკუთრებით აქტუალურია კავკასიის რეგიონისთვის, მათ შორის საქართველოსთვის, სადაც მუსლიმური მოსახლეობის ნაწილი შეიძლება გახდეს რადიკალური იდეოლოგიების სამიზნე.

ახლო აღმოსავლეთის რეგიონული არასტაბილურობის განხილვა შეუძლებელია ენერგორესურსების ფაქტორების გათვალისწინების გარეშე. რეგიონი ფლობს ნავთობის და გაზის მსოფლიო მარაგების დაახლოებით ნახევარს (გაზი - 43% და ნავთობი - 48%), რაც მას აქცევს გლობალური ენერგეტიკული უსაფრთხოების უმნიშვნელოვანეს რეგიონად. ენერგორესურსების ეს კონცენტრაცია წარმოადგენს ერთ-ერთ მთავარ მიზეზს, რის გამოც რეგიონი იქცა გეოპოლიტიკური კონკურენციის არენად.

ენერგეტიკული რესურსების გამოყენება პოლიტიკური მიზნებისთვის ახლო აღმოსავლეთში ფართოდ გავრცელებული პრაქტიკაა. ნავთობის ფასების მანიპულაცია, მილსადენების მშენებლობა და ენერგორესურსების ექსპორტის დივერსიფიკაცია ხშირად წარმოადგენს დიპლომატიური და გეოპოლიტიკური სტრატეგიების ნაწილს.

ახლო აღმოსავლეთის რეგიონული დინამიკა მნიშვნელოვნად არის განპირობებული გარე ძალების ჩართულობით და მათი ურთიერთქმედებით ადგილობრივ აქტორებთან. რეგიონში აქტიურად მოქმედებენ როგორც გლობალური ძალები - აშშ, რუსეთი და ჩინეთი, ისე რეგიონული ლიდერები - ირანი, თურქეთი და საუდის არაბეთი. თითოეულ მათგანს აქვს საკუთარი სტრატეგიული ინტერესები და მიზნები, რომლებიც ხშირად წინააღმდეგობაში მოდის ერთმანეთთან.

ამერიკის შეერთებული შტატები ათწლეულების განმავლობაში წარმოადგენს დომინანტ აქტორს რეგიონში. აშშ-ის ინტერესები მოიცავს: ენერგორესურსების უსაფრთხო მიწოდების უზრუნველყოფას, ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლას, ისრაელის უსაფრთხოების გარან-

ტირებას და ირანის გავლენის შეკავებას.⁸ აშშ-ის პოლიტიკა ხშირად კრიტიკის ობიექტია „ორმაგი სტანდარტების“ გამოყენების გამო, დემოკრატიის მხარდაჭერა ერთ შემთხვევაში და ავტორიტარული რეჟიმების ტოლერანტობა მეორე შემთხვევაში, როდესაც ეს სტრატეგიულ ინტერესებს ემსახურება.

რუსეთი აქტიურად ცდილობს საბჭოთა კავშირის დროინდელი გავლენის აღდგენას რეგიონში. სირიაში ინტერვენციამ 2015 წელს მნიშვნელოვნად შეცვალა რეგიონული ძალთა ბალანსი.⁹ რუსეთის სტრატეგია ხასიათდება პრაგმატული ურთიერთობებით ყველა მნიშვნელოვან აქტორთან, მათ შორის ერთმანეთის მოწინააღმდეგე მხარეებთან (ირანი-ისრაელი, თურქეთი-სირია). ამ მიდგომამ რუსეთს საშუალება მისცა გამხდარიყო გავლენიანი შუამავალი რეგიონულ კონფლიქტებში.

ჩინეთის ჩართულობა უპირატესად ეკონომიკურ ინტერესებზეა ორიენტირებული, თუმცა ბოლო წლებში სულ უფრო იძენს პოლიტიკურ განზომილებას. ჩინეთის „არაჩარევის პოლიტიკა“ და ეკონომიკური ინვესტიციების სტრატეგია მიმზიდველია რეგიონის ბევრი ქვეყნისთვის.¹⁰

რეგიონული ძალების შემთხვევაში, თურქეთი ცდილობს რეგიონულ ჰეგემონად ჩამოყალიბებას „ნეო-ოსმანური“ პოლიტიკის გატარებით. ერდოღანის მმართველობის პერიოდში თურქეთის სტრატეგია მოიცავს სამხედრო ოპერაციებს სირიაში, ლიბიასა და ერაყის ჩრდილოეთში, ასევე აქტიურ დიპლომატიურ როლს რეგიონულ კონფლიქტებში.¹¹

ირანის ისლამური რესპუბლიკა გავლენის გაფართოებას ახდენს „წინააღმდეგობის ღერძის“ კონცეფციის მეშვეობით, რომელიც აერთიანებს შიიტურ დაჯგუფებებს სხვადასხვა ქვეყანაში. ირანის სტრატეგიული ინტერესები მოიცავს რეგიონში ამერიკული გავლენის შეზღუდვას და შიიტური თემების მხარდაჭერას სუნიტური უმრავლესობის მქონე სახელმწიფოებში.

საუდის არაბეთი, სუნიტური ისლამის ცენტრი, აქტიურად ცდილობს ირანული გავლენის შეკავებას რეგიონში. მისი პოლიტიკა ხასიათდება კონსერვატიული სუნიტური ისლამის მხარდაჭერით, ნავთობის რესურსების დიპლომატიურ ინსტრუმენტად გამოყენებით და მჭიდრო კავშირებით დასავლეთთან, განსაკუთრებით აშშ-თან.¹²

გლობალური და რეგიონული ძალების ინტერესთა გადაკვეთა ახლო აღმოსავლეთში ქმნის რთულ გეოპოლიტიკურ გარემოს, რომელიც ხშირად გამოიხატება „მარიონეტული ძალების“ კონფლიქტებით. რეგიონში დაპირისპირება სულ უფრო მეტად იძენს ჰიბრიდული ომის ნიშნებს - კიბერშეტევები, ეკონომიკური ზეწოლა, დეზინფორმაციის კამპანიები და პროქსი-ძალების გამოყენება.¹³ ეს ყველაფერი კიდევ უფრო ართულებს რეგიონის უსაფრთხოების საკითხებს და პროგნოზირებადობას. ამ დინამიკის გააზრება აუცილებელია სხვა ქვეყნებისთვის, მათ შორის საქართველოსთვის, რათა სწორად შეაფასონ და დაგეგმონ საკუთარი პოლიტიკა რეგიონის მიმართ.

რისკები საქართველოსთვის

ახლო აღმოსავლეთის არასტაბილურობა, თავისი კომპლექსური ხასიათით, მნიშვნელოვან გამოწვევებს უქმნის საქართველოს. მიუხედავად იმისა, რომ საქართველო გეოგრაფიულად უშუალოდ არ ესაზღვრება ახლო აღმოსავლეთს, რეგიონული პროცესები მაინც

8 Marc Lynch, *The New Arab Wars: Uprisings and Anarchy in the Middle East*, (New York: PublicAffairs, 2021)

9 Dmitri Trenin, *What Is Russia Up To in the Middle East?*, (Cambridge: Polity Press, 2022), 144.

10 James M. Dorsey, *China and the Middle East: Venturing into the Maelstrom*, (New York: Palgrave Macmillan, 2022), 289.

11 Lisel Hintz, *Identity Politics Inside Out: National Identity Contestation and Foreign Policy in Turkey*, (Oxford: Oxford University Press, 2022), 148.

12 Toby Matthiesen, *The Other Saudis: Shiism, Dissent and Sectarianism*, (Cambridge: Cambridge University Press, 2022), 292.

13 Linda Robinson et al. *Modern Political Warfare: Current Practices and Possible Responses*, (Santa Monica: RAND Corporation, 2021), 354.

აისახება ქვეყნის უსაფრთხოებაზე, ეკონომიკურ განვითარებასა და საგარეო პოლიტიკაზე.

საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობა, როგორც შავ ზღვასა და კასპიის ზღვას შორის არსებული დერეფნისა, ქვეყანას აქცევს პოტენციურ სატრანზიტო პუნქტად ახლო აღმოსავლეთსა და ევროპას შორის. ეს მდებარეობა, ერთი მხრივ, წარმოადგენს მნიშვნელოვან ეკონომიკურ შესაძლებლობას, მაგრამ მეორე მხრივ, ზრდის ტერორისტული და ექსტრემისტული ჯგუფების აქტივობის რისკებს.¹⁴

ახლო აღმოსავლეთში მოქმედი ტერორისტული და ექსტრემისტული ორგანიზაციები ხშირად ცდილობენ გავლენის გავრცელებას სხვა რეგიონებშიც. საქართველოშიც ფიქსირდება ინდივიდუალური რადიკალიზმის გავრცელების შემთხვევები, განსაკუთრებით პანკისის ხეობაში, საიდანაც ბოლო წლებში რამდენიმე მოქალაქე შეუერთდა რადიკალურ ისლამისტურ დაჯგუფებებს სირიაში და ერაყში. მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფოს უსაფრთხოების სამსახურები ამ მიმართულებით აქტიურად მუშაობენ, რეგიონული არასტაბილურობა კვლავ ზრდის რისკს, რომ საქართველო ისევ აღმოჩნდეს გლობალური ტერორისტული ქსელების ინტერესის ობიექტი.

ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტების ერთ-ერთი მთავარი შედეგია მასობრივი მიგრაცია, რომელიც გავლენას ახდენს როგორც რეგიონის, ისე მეზობელი ტერიტორიების სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ სტაბილურობაზე. სირიის, ერაყის, ავღანეთისა და სხვა კონფლიქტური ზონებიდან ლტოლვილთა ნაკადები ცვლის რეგიონულ დემოგრაფიულ სურათს და ქმნის მრავალ გამოწვევას.

მიუხედავად იმისა, რომ ამჟამად საქართველო არ წარმოადგენს მიგრანტთა მთავარ დანიშნულების ან სატრანზიტო ქვეყანას, სიტუაცია შეიძლება სწრაფად შეიცვალოს, როგორც ეს მოხდა 2015-2016 წლების ევროპის მიგრაციული კრიზისის დროს. მიგრანტთა მასშტაბური შემოდინება შეიძლება გახდეს დამატებითი წნეხი საქართველოს სოციალური მომსახურების სისტემაზე და შექმნას ინტეგრაციის პრობლემები.¹⁵

საქართველოს ენერგოუსაფრთხოება მჭიდროდაა დაკავშირებული ახლო აღმოსავლეთისა და კასპიის რეგიონის სტაბილურობასთან. ქვეყანა წარმოადგენს მნიშვნელოვან სატრანზიტო დერეფანს აზერბაიჯანიდან და ცენტრალური აზიიდან ევროპისკენ მიმავალი ენერგორესურსებისთვის.¹⁶

ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენი და სამხრეთ კავკასიის გაზსადენი (შაჰ-დენიზის პროექტი) წარმოადგენს საქართველოს ეკონომიკისთვის უმნიშვნელოვანეს ინფრასტრუქტურას, რომელიც უზრუნველყოფს როგორც სატრანზიტო შემოსავლებს, ასევე ქვეყნის ენერგომომარაგებას. ახლო აღმოსავლეთის არასტაბილურობა ქმნის რისკებს ამ სტრატეგიული მნიშვნელობის ობიექტებისთვის.

საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობა, ისტორია და სტრატეგიული მნიშვნელობა ხშირად აქცევდა მას დიდი ძალების გეოპოლიტიკური ინტერესების გადაკვეთის წერტილად. ახლო აღმოსავლეთში არსებული გეოპოლიტიკური დაპირისპირება პირდაპირ ზეგავლენას ახდენს საქართველოზე და ზღუდავს მის საგარეო პოლიტიკის მანევრირების შესაძლებლობებს.

საქართველოს, როგორც მცირე სახელმწიფოს, შეზღუდული აქვს შესაძლებლობა, გავლენა მოახდინოს რეგიონულ დინამიკაზე. ამიტომ, ის იძულებულია მოახდინოს ადაპტაცია ცვალებად გეოპოლიტიკურ რეალობასთან და შეეცადოს დაბალანსებული საგარეო პოლიტიკის გატარებას. ეს მოითხოვს ფრთხილ დიპლომატიას და სტრატეგიულ ხედვას, რათა მინიმუმამდე იქნას დაყვანილი ახლო აღმოსავლეთის არასტაბილურობით გამოწვეული

14 Fawaz A. Gerges, *The New Middle East: Protest and Revolution in the Arab World* (Cambridge: Cambridge University Press, 2014), 5.

15 Françoise De Bel-Air, "Migration Profile: Syria," *European University Institute, Migration Policy Centre* (2016), 10-12.

16 Mamuka Tsereteli, *The Southern Energy Corridor: A Strategic Priority for the U.S.*, *The Central Asia-Caucasus Analyst* (2015), 39-43.

უარყოფითი გავლენა.

შესაძლებლობები საქართველოსთვის

მიუხედავად იმისა, რომ ახლო აღმოსავლეთის არასტაბილურობა წარმოქმნის მნიშვნელოვან რისკებს, იგი ასევე ქმნის გარკვეულ შესაძლებლობებს საქართველოსთვის. ამ შესაძლებლობების გააზრება და სტრატეგიული გამოყენება შეიძლება დაეხმაროს ქვეყანას გააძლიეროს თავისი პოზიციები რეგიონულ და საერთაშორისო დონეზე.

საქართველოს მდებარეობა ევროპასა და აზიას შორის, მისი დაბალანსირებული საგარეო პოლიტიკა და კარგი ურთიერთობები როგორც დასავლეთთან, ისე რეგიონის ქვეყნებთან, ქმნის შესაძლებლობას ქვეყანამ შეასრულოს მნიშვნელოვანი მედიატორის როლი.

საქართველოს ჩართულობა საერთაშორისო სამშვიდობო ინიციატივებში, გაეროს და ევროკავშირის პროექტებში, რომლებიც მიზნად ისახავს სტაბილურობის უზრუნველყოფას ახლო აღმოსავლეთში, შეიძლება გახდეს ქვეყნის საერთაშორისო პრესტიჟის ამაღლების მნიშვნელოვანი ფაქტორი. ამავე დროს, ეს შესაძლებლობას აძლევს საქართველოს, ჩამოაყალიბოს თავისი როლი საერთაშორისო მშვიდობის მშენებლობის პროცესში.

ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებთან ეკონომიკური თანამშრომლობის გაღრმავება წარმოადგენს მნიშვნელოვან შესაძლებლობას საქართველოსთვის. სპარსეთის ყურის არაბული ქვეყნები, განსაკუთრებით გაერთიანებული არაბული საემიროები და ყატარი, წარმოადგენენ პერსპექტიულ პარტნიორებს ინვესტიციების მოზიდვის თვალსაზრისით.

ტურიზმის სფერო წარმოადგენს კიდევ ერთ პერსპექტიულ მიმართულებას. საქართველოს, როგორც უსაფრთხო და მდიდარი კულტურული მემკვიდრეობის მქონე ქვეყნის, მიმზიდველობა იზრდება ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების მოქალაქეებისთვის. ამაზე მეტყველებს ბოლო წლებში ამ რეგიონიდან ჩამოსული ტურისტების რაოდენობის ზრდა.

სავაჭრო ურთიერთობების განვითარება ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებთან ასევე წარმოადგენს მნიშვნელოვან შესაძლებლობას. საქართველოს სოფლის მეურნეობის პროდუქციის ექსპორტი შეიძლება გახდეს ეკონომიკური ზრდის დამატებითი ფაქტორი.

რეგიონული არასტაბილურობის პირობებში იზრდება ალტერნატიული სატრანზიტო მარშრუტების მნიშვნელობა. საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობა საშუალებას აძლევს მას შეასრულოს მნიშვნელოვანი როლი ევროპასა და აზიას შორის სატრანზიტო დერეფნის ფუნქციონირებაში. განსაკუთრებით აღსანიშნავია „შუა დერეფნის“ განვითარების პერსპექტივა, რომელიც აკავშირებს ჩინეთს და ცენტრალურ აზიას ევროპასთან საქართველოს გავლით. ეს მარშრუტი, რომელიც გვერდს უვლის როგორც რუსეთს, ისე არასტაბილურ ახლო აღმოსავლეთს, სულ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს საერთაშორისო ვაჭრობაში.

საქართველოს პორტების, კერძოდ, ბათუმისა და ფოთის, განვითარება და მათი მოდერნიზაცია, ასევე ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის პროექტის რეალიზება მნიშვნელოვნად გაზრდის ქვეყნის სატრანზიტო პოტენციალს.

დასკვნა

კვლევამ აჩვენა, რომ ახლო აღმოსავლეთში არსებული რეგიონული არასტაბილურობა წარმოადგენს კომპლექსურ ფენომენს, რომელიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს საქართველოზე. ეს გავლენა ვლინდება როგორც პოტენციური რისკების, ისე შესაძლებლობების სახით, რომელთა გააზრება და სათანადო რეაგირება წარმოადგენს საქართველოს ეროვნული უსაფრთხოებისა და განვითარების პოლიტიკის მნიშვნელოვან ამოცანას.

ახლო აღმოსავლეთი, როგორც გლობალური გეოპოლიტიკური მნიშვნელობის რეგიონი, რჩება არასტაბილურობის ზონად, სადაც გრძელვადიანი კონფლიქტები, ირანის ბირთვული პროგრამის გარშემო დამაბულობა, ტერორისტული ორგანიზაციების

საქმიანობა და ენერგორესურსებისთვის კონკურენცია ქმნის მუდმივი კრიზისულ გარემოს. ამ არასტაბილურობას კიდევ უფრო ზრდის რეგიონული და გლობალური ძალების ჩართულობა, რომლებიც ხშირად იყენებენ ადგილობრივ კონფლიქტებს საკუთარი გავლენის გასაფართოებლად.

საქართველოსთვის, როგორც შავი ზღვის რეგიონის ქვეყნისთვის, რომელიც მდებარეობს ახლო აღმოსავლეთსა და ევროპას შორის, ეს არასტაბილურობა წარმოშობს მთელ რიგ საფრთხეებს. პირველ რიგში, ეს არის უსაფრთხოების რისკები, დაკავშირებული რადიკალიზმის გავრცელებასთან და ტერორისტული ქსელების შესაძლო ტრანზიტთან. მეორე, არასტაბილურობა ახლო აღმოსავლეთში შეიძლება გახდეს საფრთხე საქართველოს ენერგოუსაფრთხოებისთვის, განსაკუთრებით მისი როლისთვის, როგორც სატრანზიტო ქვეყნისა კასპიის რეგიონიდან ევროპისკენ მიმავალი ენერგორესურსებისთვის. მესამე, კონფლიქტებით გამოწვეული მიგრაციული ნაკადები წარმოადგენს გამოწვევას ქვეყნის სოციალური სისტემებისთვის. დაბოლოს, გლობალურ მოთამაშეთა დაპირისპირება ახლო აღმოსავლეთში შეიძლება აისახოს საქართველოზეც, განსაკუთრებით რუსეთისა და ირანის თანამშრომლობის გაღრმავების კონტექსტში.

თუმცა, ახლო აღმოსავლეთის არასტაბილურობა ასევე ქმნის შესაძლებლობებს საქართველოსთვის. ქვეყანას შეუძლია გაამდიეროს თავისი როლი, როგორც შუამავალმა დიპლომატიურ მოლაპარაკებებში დაპირისპირებულ მხარეებს შორის და აქტიურად ჩაერთოს საერთაშორისო სამშვიდობო ინიციატივებში. ეკონომიკური თვალსაზრისით, საქართველოს შეუძლია გააღრმავოს თანამშრომლობა რეგიონის ქვეყნებთან ინვესტიციების მოზიდვის, ტურიზმის განვითარებისა და სავაჭრო ურთიერთობების გაფართოების მიმართულებით. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საქართველოს სატრანზიტო პოტენციალის გაძლიერება „შუა დერეფნის“ განვითარების კონტექსტში, რომელიც აკავშირებს ჩინეთს და ცენტრალურ აზიას ევროპასთან.

ახლო აღმოსავლეთის არასტაბილურობა მოითხოვს საქართველოსგან გააზრებულ და მოქნილ მიდგომას, რომელიც ორიენტირებული იქნება როგორც რისკების შემცირებაზე, ისე შესაძლებლობების მაქსიმალურ გამოყენებაზე. ეს გულისხმობს ეროვნული უსაფრთხოების სისტემების გაძლიერებას, ენერგეტიკული დამოუკიდებლობის ზრდას, ეკონომიკური და სავაჭრო კავშირების დივერსიფიკაციას, საერთაშორისო პარტნიორებთან თანამშრომლობის გაღრმავებას და საქართველოს პოზიციის გამყარებას, როგორც სტაბილურობის ცენტრისა არასტაბილურ რეგიონში.

ბიბლიოგრაფია

კაკაჩია, კორნელი და ტრეისი ჯერმანი, „უსაფრთხოების უზრუნველყოფა პატარა სახელმწიფოს სტატუსის პირობებში“, წიგნში „საქართველოს საგარეო პოლიტიკა 21-ე საუკუნეში გამოწვევები პატარა ქვეყნისთვის“, რედაქტირებულია ტრეისი ჯერმანის, სტივენ ჯონსისა და კორნელი კაკაჩიას მიერ, თბილისი: გამომცემლობა „ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი“, 2023.

Cornell, Svante E. Getting Georgia Right, Brussels: Centre for European Studies, 2013.

De Bel-Air, Françoise. Migration Profile: Syria, European University Institute, Migration Policy Centre, 2016.

Dorsey, James M. China and the Middle East: Venturing into the Maelstrom, New York: Palgrave Macmillan, 2022.

Gerges, Fawaz A. The New Middle East: Protest and Revolution in the Arab World, Cambridge: Cambridge University Press, 2014.

- Halliday, Fred. *The Middle East in International Relations: Power, Politics and Ideology*, Cambridge: Cambridge University Press, 2005.
- Jones, Stephen F. *Georgia: A Political History Since Independence*, London: I.B. Tauris, 2022.
- Lister Charles R. *The Syrian Jihad: Al-Qaeda, the Islamic State and the Evolution of an Insurgency*, Oxford: Oxford University Press, 2015.
- Lynch, Marc. *The New Arab Wars: Uprisings and Anarchy in the Middle East*, New York: PublicAffairs, 2016.
- Matthiesen, Toby. *The Other Saudis: Shiism, Dissent and Sectarianism*, Cambridge: Cambridge University Press, 2022.
- Phillips, Christopher. *The Battle for Syria: International Rivalry in the New Middle East*, New Haven: Yale University Press, 2020.
- Robinson, Linda et al. *Modern Political Warfare: Current Practices and Possible Responses*, Santa Monica: RAND Corporation, 2021.
- Trenin, Dmitri. *What Is Russia Up To in the Middle East?* Cambridge: Polity Press, 2022.
- Tsereteli, Mamuka. *The Southern Energy Corridor: A Strategic Priority for the U.S.?*, The Central Asia-Caucasus Analyst, 2015.

„სტაბილურობა ახლო აღმოსავლეთში და საქართველოს უსაფრთხოების გამოწვევების სამართლებრივი ასპექტები“

ვიცე-პოლკოვნიკი ვაჟა ვაშაყმაძე

სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს
ეროვნული თავდაცვის აკადემიის
ბაკალავრიატის სამართლის მიმართულების უფროსი,
სამართლის მაგისტრი

აბსტრაქტი

ნაშრომში განხილულია ახლო აღმოსავლეთში არსებული არასტაბილური გარემოს შესაძლო გავლენა ახლო აღმოსავლეთის რეგიონის გარეთ არსებულ ქვეყნებზე და მათ შორის საქართველოზე, ასევე სხვადასხვა გლობალურ ურთიერთობებზე, საქართველოს საერთაშორისო თანამშრომლობაში ჩაბმის და კოორდინირებული ქმედებების აუცილებლობა, ახლო აღმოსავლეთის რეგიონიდან საქართველოს წინაშე დამდგარი უსაფრთხოების გამოწვევების „სამართლებრივი ასპექტები“, რაც მოიცავს ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებს, სახელმწიფო თუ პიროვნების უსაფრთხოების უზრუნველყოფის საკითხებს, საქართველოს ეროვნულ სტრატეგიებს და სხვა ძირითად საკანონმდებლო აქტებს ამ მიმართულებით არსებულ გამოწვევებთან გასამკლავებლად, რომლითაც ხელმძღვანელობენ საქართველოს შესაბამისი უწყებები და უსაფრთხოების სამსახურები. ასევე მოყვანილია ის ძირითადი საერთაშორისო კონვენციები და ოქმები, რომელზეც საქართველო არის მიერთებული. ასევე განხილულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, განსაკუთრებით კი სისხლის სამართლის კოდექსის 38-ე თავი (ტერორიზმი). განხილულია აღნიშნულ კოდექსში შეტანილი ცვლილებების და დამატებების დადებითი და უარყოფითი მხარეები და მოცემულია ავტორის ხედვა აღნიშნულთან დაკავშირებით.

ნაშრომში ასევე განხილულია მთავრობის განკარგულებით დამტკიცებული საქართველოს ეროვნული კონტრტერორისტული სტრატეგიების, როგორც 2019 – 2021-ის, ასევე გაახლებული 2022 – 2026 წლების, ძირითადი ხედვები და მიდგომები. ხაზგასმულია ამ კუთხით ინფორმაციის გაცვლის აუცილებლობა და თანამშრომლობის მნიშვნელობა პარტნიორ ქვეყნებთან თუ საერთაშორისო ორგანიზაციებთან და მათთან ერთად კოორდინირებული ქმედებების განხორციელების აუცილებლობა. ასევე აღნიშნულია კერძო სექტორისა თუ სამოქალაქო საზოგადოების ფართო ჩართულობის აუცილებლობა მომდინარე საფრთხეებთან საბრძოლველად წარმატების მიღწევაში. აღნიშნულია აქტიური ჩართულობის და მონაწილეობის მნიშვნელობა საერთაშორისო კონტრტერორისტულ ფორუმებში თუ სხვა სამუშაო ჯგუფებში. ასევე აღნიშნულია შესაბამისი უწყებების და უსაფრთხოების სამსახურების მიერ უსაფრთხოების კუთხით გატარებული ღონისძიებები და მიღებული შედეგები, პარტნიორების და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ აღმოჩენილი დახმარება. ორმხრივი თუ რეგიონალური ურთიერთობების გაღრმავების და კოორდინირების აუცილებლობა და ამ კუთხით სამუშაო ჯგუფების შექმნის აუცილებლობა. მოცემულია ძირითადი ტერმინები და ზოგიერთი მათგანის სამართლებრივი განმარტება. დასკვნით ნაწილში ნახსენებია ასევე საქართველოში არსებულ მდგომარეობაზე და საქართველოს ადგილზე გლობალური ტერორიზმის 2024 წლის ინდექსში.

საკვანძო სიტყვები: ტერორიზმი, ანტიტერორიზმი, კონტრტერორიზმი, საქართველოს კანონმდებლობა, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, კონტრტერორისტული სტრატეგია, კონვენციები.

STABILITY IN THE MIDDLE EAST AND LEGAL ASPECTS OF GEORGIA'S SECURITY CHALLENGES

Lieutenant Colonel Vazha Vashakmadze

Chief of Baccalaureate Program in Law of
LEPL – David Aghmashenebeli National Defense Academy of Georgia,
Master of Laws

Abstract

The paper discusses the possible impact of the unstable environment in the Middle East on countries outside of the Middle East region, including Georgia, as well as on various global relations, the need for Georgia to engage in international cooperation and to take coordinated actions, the “legal aspects” of the security challenges facing Georgia from the Middle East region, which include universally recognized human rights, issues of ensuring the security of the state or individual, Georgia’s national strategies, and other key legislative acts in this particular regard to address and solve existing challenges, which guide the relevant agencies and security services of Georgia. The main international conventions and protocols to which Georgia has joined are also cited. The Criminal Code of Georgia is also discussed, especially Chapter 38 of the Criminal Code (terrorism). The positive and negative sides of the amendments and additions made in this Code are discussed, and the author’s vision regarding this is given also.

The paper also discusses the main visions and approaches of the National Counterterrorism Strategies of Georgia, approved by government decree, for both 2019-2021 and the updated 2022-2026 years. The necessity of information exchange in this regard and the importance of cooperation with partner countries and international organizations and the need to implement coordinated actions with them are emphasized. The necessity of broad involvement of the private sector and civil society in achieving success in combating emerging threats is also noted. The importance of active involvement and participation in international counterterrorism forums and other working groups is noted. The measures taken by relevant agencies and security services in terms of security and the results obtained, the assistance provided by partners and international organizations are also noted. The necessity of deepening and coordinating bilateral or regional relations and the necessity of creating working groups in this regard are also noted. Key terms and legal definitions of some of them are provided. The concluding section also discusses the current situation in Georgia and ranking of Georgia in the 2024 Global Terrorism Index.

Keywords: Terrorism, Anti-terrorism, Counter-terrorism, Legislation of Georgia, Criminal Code of Georgia, Counter-terrorism strategy, Conventions.

შესავალი

სტაბილურობა ახლო აღმოსავლეთში მნიშვნელოვანია არა მხოლოდ აღნიშნული რეგიონისათვის, არამედ რეგიონის გარეთ არსებულ ქვეყნებისთვისაც და მათ შორის საქართველოსთვისაც, ვინაიდან იქ მიმდინარე არასტაბილური პროცესები მხოლოდ რეგიონში არ რჩება და გავლენას ახდენს სხვა ქვეყნებზეც. არსებული ვითარების ანალიზი ცხადყოფს, რომ არასტაბილურობა წარმოშობს გამოწვევებს უსაფრთხოების სფეროში და საფუძველს უქმნის ტერორიზმის წარმოქმნასა და განვრცობას. ტერორიზმი კი წარმოადგენს თანამედროვე მსოფლიოს უსაფრთხოების ერთ-ერთ უდიდეს გამოწვევას, ვინაიდან მას არ გააჩნია საზღვრები. ტერორიზმის შედეგები გავლენას ახდენს არამარტო სახელმწიფოებზე, არამედ ადამიანებზეც და საერთოდ გლობალურ ურთიერთობებზეც (როგორც პოლიტიკური, ისე სავაჭრო/ეკონომიკური კუთხით), იწვევს დესტაბილიზაციას, შიშის დასადგურებას საზოგადოებაში და ძალადობის ზრდას.

მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფოები ინდივიდუალურად ცდილობენ მიმართონ გარკვეულ ქმედებებს საკუთარ საზღვრებში, რათა შეინარჩუნონ უსაფრთხოება ქვეყანის შიგნით, ტერორიზმით გამოწვეული ლოკალური პრობლემები გლობალურ ეფექტებს მაინც ჰქმნის. ეს ყოველივე კი ცხადყოფს, რომ ტერორიზმის წინააღმდეგ ეფექტური ბრძოლა მხოლოდ ერთი სახელმწიფოს ძალებით შეუძლებელია. უსაფრთხოების გამოწვევებთან გასამკლავებლად მნიშვნელოვანია საერთაშორისო თანამშრომლობა ძალისხმევითა კოორდინაციისთვის და საერთო სტრატეგიების შესამუშავებლად, რაც ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის წარმატების ეფექტიანობა დამოკიდებულია კოორდინირებულ საერთაშორისო ძალისხმევაზე. ასეთი ძალისხმევის მნიშვნელოვანი საერთაშორისო ორგანიზაციებია: გაერო, ნატო, ინტერპოლი, ევროპოლი და სხვა, რომლებიც აქტიურად იღვწიან რათა გაუმკლავდნენ ასეთ გამოწვევებს. მათი დახმარებით ქვეყნებს აქვთ საშუალება შექმნან საერთო მიდგომები და გლობალური სტრატეგიები, რათა შეძლონ კოორდინირებულად მოქმედება. ტერორიზმთან ერთობლივი ბრძოლის შესახებ ხაზგასმულია ასევე საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შეთანხმებაშიც.

აღნიშნულ პროცესი რა თქმა უნდა მრავალწახნაგიანია და მოიცავს ბევრ მნიშვნელოვან ფაქტორს, როგორიცაა: დიპლომატიური, ეკონომიკური, სამხედრო, თუ სხვა. ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფაქტორს წარმოადგენს „სამართლებრივი ასპექტები“, რომელიც თავის არსში აერთიანებს ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებს, სახელმწიფო თუ პიროვნების უსაფრთხოების საკითხებს, ეროვნულ სტრატეგიებს და ძირითად საკანონმდებლო აქტებს ამ მიმართულებით, საერთაშორისო კონვენციებსა თუ ოქმებს და ა.შ. რათა სახელმწიფოს „ჰქონდეს უახლეს ტერორისტულ საფრთხეებთან შესაბამისი, თანამედროვე სამართლებრივ ტენდენციებზე მორგებული, საერთაშორისოდ აღიარებულ ნორმებთან თანხვედრაში არსებული კანონმდებლობა.“¹

ძირითადი ნაწილი

ქვეყანაში უსაფრთხოების განმტკიცება, მათ შორის ტერორიზმთან ბრძოლა და მისი პრევენცია ყველა სახელმწიფოსთვის აუცილებელ მოვალეობას წარმოადგენს, თუმცა ეს არ უნდა მოხდეს ადამიანის საერთაშორისოდ აღიარებული უფლებების სტანდარტებისა თუ სხვა საერთო ღირებულებების ხარჯზე, რომლებზეც დაფუძნებულია თანამედროვე ევროპული საზოგადოებები და მათ სათანადო პატივი უნდა მიეგოთ. ამიტომ ანტიტერორისტული (დონისძიებათა ერთობლიობა (თავდაცვითი ქმედებები), რომელთა მიზანია ოპერატიულ დონეზე ებრძოლოს იმ მიზეზებს, რაც ხელს უწყობს ტერორიზმის აღმოცენებას) თუ

1 საქართველოს ეროვნული კონტრტერორისტული სტრატეგია - საქართველოს მთავრობის 2022 წლის 25 იანვრის N124 განკარგულება. (2022-2026 წ.წ.)

კონტრტერორისტული (აქტიური მოქმედება პირების და მათი ქსელების გამოვლენა/განადგურების მიზნით) საქმიანობის კუთხით ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხია „სამართლებრივი ასპექტების“ სრულყოფა, რაც გულისხმობს შესაბამისი სამართლებრივი ბაზის მომზადებას და კანონმდებლობის დახვეწას - რომელიც, როგორც ჩვენს სტრატეგიაშია მითითებული, იმავდროულად უნდა შეესაბამებოდეს საერთაშორისოდ აღიარებულ ნორმებს - რათა სათანადოდ მოხდეს ტერორიზმისა და ტერორიზმის ხელშემწყობი აქტების, მათ შორის წვრთნის, ტერორიზმის დაფინანსების, კიბერტერორიზმის, ტერორიზმისკენ მოწოდების, ტერორისტულ ორგანიზაციაში გაწევრებისთვის გადაბირების, აგრეთვე, უცხოელი ტერორისტი მებრძოლების გამოვლენა/აღკვეთა და დამნაშავეთა დროული დაკავება.

„სამართლებრივი ასპექტების“ გამართულობისათვის პირველი ნაბიჯების გადადგმა საქართველომ სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბების პარალელურად დაიწყო, მით უფრო, რომ საქართველოში ადგილი ჰქონდა პრეზიდენტზე თავდასხმასაც. პარლამენტმა 2000 წლის 27 სექტემბერს მიიღო დადგენილება „ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ ევროპული კონვენციის რატიფიცირების თაობაზე². ამის შემდეგ საქართველო შეურთდა ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის არაერთ სხვადასხვა საერთაშორისო კონვენციებსა თუ მათ შემსწორებელ ოქმებს³ და დაიწყო მათი ასახვა ეროვნულ დონეზე, საქართველოს კანონმდებლობაშიც, რომელიც დაიხვეწა და წარმოადგენს მნიშვნელოვან საფუძველს. მაგალითად, შესაბამისი ცვლილებები იქნა შეტანილი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში, რაც გამოიხატა არამარტო ცალკეულ მუხლებში ცვლილებების შეტანით, არამედ დაემატა ახალი მუხლებიც და მთლიანი თავიც კი (თავი 38)⁴, რომელმაც მოახდინა რიგი ქმედებების კრიმინალიზაცია ტერორიზმთან დაკავშირებით და განსაზღვრა პასუხისმგებლობა როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირებისათვისაც (სულ 21 მუხლი 05.05.2025-ის მდგომარეობით: მუხლები 323 - 331⁵). აქ საგულისხმოა რამოდენიმე მომენტიც, რასაც სისხლის სამართლის კოდექსის ანალიზი ცხადყოფს. პირველი, მიუხედავად იმისა, რომ შეიძლება თანმდევი შედეგი არ იყოს განზრახ ჩადენილი, ვინაიდან ტერორიზმი განზრახი დანაშაულია, თანმდევი შედეგიც განზრახულად ითვლება. მეორე, რაც შეეხება იურიდიული პირების პასუხისმგებლობას ასეთი ქმედებისათვის, თითქმის ყველა მუხლს (გარდა: 323², 331 და 331² მუხლებისა) მითითებული აქვს შენიშვნაში, რომ: „ამ მუხლით გათვალისწინებული ქმედებებისათვის იურიდიული პირი ისჯება ლიკვიდაციით ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით და ჯარიმით.“⁶ მესამე მომენტი მოიცავს არსებულ ხარვეზებს⁶. კერძოდ, ზოგიერთი მუხლი თითქოსდა გაორებულია. მაგალითად მუხლი 177 განსაზღვრავს ქურდობის კვალიფიკაციას, ხოლო 330³ მუხლში მოცემულია ქურდობა ტერორიზმის თავში მითითებული ერთ-ერთი დანაშაულის ჩადენის მიზნით. მსგავსი ვითარებაა ასევე 181 (გამოძალვა) და 330⁴ მუხლებს შორის, 236 (ცეცხლსასროლი იარაღის... ფეთქებადი ნივთიერების ან ასაფეთქებელი მოწყობილობის მართლსაწინააღმდეგო... დამზადება, გადაზიდვა...) და 323¹ მუხლებს შორის, 362 (ყალბი დოკუმენტის... დამზადება...) და 330⁵-ს შორის და ა.შ. რაც საჭიროებს შემდეგ დახვეწას და მიმაჩნია, რომ საქართველოში არსებული საკანონმდებლო ტექნიკის კუთხით, უმჯობესი იქნებოდა არა ახალი მუხლების შექმნა, არამედ უკვე არსებულ მუხლებში ცვლილების შეტანა

2 საქართველოს საკანონმდებლო მაცნე - საქართველოს პარლამენტის დადგენილება „ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ ევროპული კონვენციის რატიფიცირების თაობაზე <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/40420?publication=0> (ბოლო წდომის თარიღი 19.05.2025)

3 მაგ.: საქართველოს პარლამენტის 2004 წლის 26 ოქტომბრის N522 დადგენილება „ტერორიზმის აღკვეთის შესახებ“ ევროპული კონვენციის შემსწორებელი ოქმის“ რატიფიცირების შესახებ.

4 საქართველოს საკანონმდებლო მაცნე - საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, თავი XXXVIII - ტერორიზმი <https://www.matsne.gov.ge/document/view/16426?publication=274> (ბოლო წდომის თარიღი 19.05.2025)

5 საქართველოს საკანონმდებლო მაცნე - საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, თავი XXXVIII - ტერორიზმი <https://www.matsne.gov.ge/document/view/16426?publication=274> (ბოლო წდომის თარიღი 19.05.2025)

6 ტერორიზმთან ბრძოლის სამართლებრივი მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით. გერმანულ-ქართული სისხლის სამართლის ჟურნალი www.dgstz.de, 2017. ავტ.: სამართლის დოქტორი ირაკლი დვალიძე.

და მათში დამატება, მით უფრო რომ გვაქვს მუხლები, რომლებიც შეიცავს ტერორიზმის ნიშნებს, თუმცა არ არის გაერთიანებული ტერორიზმის თავში (თავი 38). ასეთებია მაგალითად მუხლი 227 (საჰაერო ან წყლის ხომალდის... მართლსაწინააღმდეგო დაუფლება), მუხლი 228 (მეკობრეობა), მუხლი 231² (ბირთვული ნივთიერების მართლსაწინააღმდეგოდ დაუფლების ან გამოყენების მუქარა) და ა.შ.

ცვლილება შევიდა ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსშიც და 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით სასამართლოს მიეცა უფლება მოწმის მოვალეობისაგან გაათავისუფლოს ის პირი, რომელიც არის კონტრტერორისტული ან/და სპეციალური ოპერაციის გასაიდუმლოებული მონაწილე (მის პროფესიულ მოვალეობასთან დაკავშირებით).

2003 წელს მიღებული იქნა კანონი „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“, რომელიც შეცვლილი იქნა 2019 წელს და მასში ხაზგასმულია გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების და სანქციების შესრულება/აღსრულების აუცილებლობა.

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, 2007 წელს, საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულ იქნა კანონი „ტერორიზმთან ბრძოლის შესახებ“⁷, რომელშიც საკანონმდებლო დონეზე განმარტებული იქნა „ტერორიზმი“ („ძალადობა ან ძალადობის გამოყენების მუქარა, მიმართული ფიზიკური ან იურიდიული პირების წინააღმდეგ, შენობა-ნაგებობების, სატრანსპორტო საშუალებების, კომუნიკაციების და სხვა მატერიალური ობიექტების განადგურება-დაზიანება ან მათი განადგურება-დაზიანების მუქარა იარაღის, საფეთქებელი მასალების, ბირთვული, ქიმიური, ბიოლოგიური თუ სხვა, ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ნივთიერების გამოყენებით ან ადამიანის გატაცებითა თუ მძევლად აყვანით, რათა ხელისუფლება ანდა მისი რომელიმე ორგანო ან საერთაშორისო ორგანიზაცია იძულებული გახდეს, განახორციელოს გარკვეული ქმედება ან თავი შეიკავოს გარკვეული ქმედების განხორციელებისაგან, რომელიც ტერორისტების მართლსაწინააღმდეგო ინტერესებში შედის“), „ტერორისტული აქტი“, „ტერორისტული მიზანი“, „ტერორისტული საქმიანობა“, „ტერორისტი“ და სხვა მნიშვნელოვანი ტერმინები. განისაზღვრა ტერორიზმთან ბრძოლის ძირითადი პრინციპები, ორგანიზაციული საფუძვლები და შესაბამისი სუბიექტების უფლებამოსილებები, კონტრტერორისტული ოპერაციების ჩატარების მეთოდები, გამოსაყენებელი ძალები და საშუალებები, ტერორისტული საქმიანობის შედეგად შექმნილი ექსტრემალური სიტუაციების მართვის საფუძვლები, დაზარალებული პირების რეაბილიტაციის და სამართლებრივი დაცვის პრინციპები და სხვა, ისევე როგორც საერთაშორისო თანამშრომლობის საფუძვლები.

აღნიშნული კუთხით ეფექტიანობის გაზრდის მიზნით, გადადგმული იქნა აგრეთვე სხვა ნაბიჯებიც, კერძოდ:

- ა) შეიქმნა სხვადასხვა სამუშაო ჯგუფები, მაგალითად 2009 წელს, საქართველოს პრემიერ-მინისტრის გადაწყვეტილებით შეიქმნა სუამის ეროვნული უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფი⁸.
- ბ) შემუშავებული იქნა და 2019 წელს მივიღეთ „ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ საქართველოს ეროვნული სტრატეგია“⁹ და გვემა, სადაც გაწერილია ეროვნული ხედვა ტერორიზმთან ბრძოლის წინააღმდეგ, ასევე მიდგომები და საერთაშორისო თანამშრომლობა 2019-2021 წლებში. დოკუმენტში ხაზგასმული იყო ტერორიზმისა და ექსტრემიზმის კუთხით ქვეყნის წინაშე მდგარი საფრთხეები და გამოწვევები და რომ გამოწვევას წარმოადგენდა სირიასა და ერაყში მყოფი საქართველოს ის მოქალაქეები, რომლებიც შეურთდნენ ტერორის-

7 საქართველოს საკანონმდებლო მაცნე - საქართველოს კანონი „ტერორიზმთან ბრძოლის შესახებ“ <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/21796?publication=12> (ბოლო წდომის თარიღი 19.05.2025)

8 საქართველოს პრემიერ-მინისტრის 2009 წლის N264 ბრძანება https://www.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=156&info_id=29457 (ბოლო წდომის თარიღი 19.05.2025)

9 საქართველოს მთავრობის 2019 წლის 23 იანვრის N53 განკარგულება „ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ საქართველოს ეროვნული სტრატეგიის დამტკიცების თაობაზე“.

ტულ დაჯგუფება ე.წ. „ისლამური სახელმწიფოს“, იგივე ISIS/დაეში-ს თუ სხვა ტერორისტულ ორგანიზაციებს, ისევე როგორც თავად სხვა ტერორისტული ორგანიზაციებიდან მომდინარე საფრთხეები. გამოწვევად იყო მიჩნეული ასევე ის უცხოელი ტერორისტი მებრძოლებიც, რომლებსაც შესაძლოა ეცადათ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში გადაადგილება საქართველოს გავლით. აღნიშნული სტრატეგიის განხორციელების მიზნით შემუშავდა სამოქმედო გეგმაც, რომლის ძირითადი ნაწილიც მოიცავდა სახელმწიფო უწყებების მიერ, საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში, ტერორიზმთან, ექსტრემიზმთან და რადიკალიზაციასთან დაკავშირებული ინფორმაციის შეგროვებასა და ანალიზს, ასევე კონტრტერორისტული ქმედებების ფარგლებში პრევენციული ღონისძიებების განხორციელებას.

2022 წელს კი, დამტკიცდა „საქართველოს ეროვნული კონტრტერორისტული სტრატეგია“¹⁰ 2022-2026 წლებზე, რომელშიც გათვალისწინებული იქნა არა მარტო შიდა გამოწვევები, არამედ რეგიონსა და მსოფლიოში არსებული ვითარება და ასევე 2019-2021 წლების სტრატეგიის განხორციელების დროს გამოვლენილი გამოწვევები და დაგროვებული გამოცდილება.

2022-2026 წლების სტრატეგიის მიზანი, რომელიც გაწერილია დოკუმენტში არის: „სახელმწიფოსა და საზოგადოების დაცვა ტერორიზმისა და ძალადობრივი ექსტრემიზმიდან მომდინარე საფრთხეებისაგან“¹¹ და რომელშიც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მინიჭებული კერძო სექტორისა, სამოქალაქო საზოგადოებისა და საერთაშორისო პარტნიორების ფართო ჩართულობას. დოკუმენტი ძირითადად დაფუძნებულია შვიდ მიმართულებაზე. ესენია: ინფორმაციის შეგროვება და ანალიზი, პრევენცია, მზადყოფნა, დაცვა, დევნა, სამართლებრივი რეგულაციების განვითარება და საერთაშორისო თანამშრომლობა.

2022-2026 წლების სტრატეგიამ მოგვცა „ძალადობრივი ექსტრემიზმისა“ და „რადიკალიზაციის“ დეფინიციები, რომელიც მანამდე გაწერილი არ იყო.

დოკუმენტში ხაზგასმითაა გაწერილი, რომ: „კრიტიკულად მნიშვნელოვანია ტერორიზმისა და ძალადობრივი ექსტრემიზმიდან მომდინარე საფრთხეებთან შესაბამისად განახლებული, საერთაშორისო სამართლებრივი სტანდარტების ნორმატიული ბაზის არსებობა.“¹² ასევე აღნიშნულია აუცილებლობა საერთაშორისო კონტრტერორისტულ ფორუმებსა თუ სამუშაო ჯგუფებში ჩართულობის და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის შესახებ, ისევე როგორც პარტნიორ ქვეყნებთან ორმხრივი თანამშრომლობა.

2023 წელს საქართველოს მთავრობამ, 2019 წელს მღებულის კანონის „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საფუძველზე, N135 დადგენილებით დაამტკიცა „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების, აგრეთვე მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელების დაფინანსების პრევენციის, გამოვლენისა და აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ 2023–2026 წლების ეროვნული სტრატეგია“ და მისი სამოქმედო გეგმა, რომლის ერთ-ერთი მიზანიცაა ტერორიზმის დაფინანსების პრევენცია და გამოვლენა/აღკვეთა და რომელიც შესაბამისობაშია საერთაშორისო სტანდარტებთან. დოკუმენტი ითვალისწინებს ევროპარლამენტისა და საბჭოს არაერთ დირექტივას. ამ დოკუმენტშიც ხაზგასმითაა აღნიშნული შიდა და საერთაშორისო თანამშრომლობის გაძლიერების აუცილებლობა¹³.

გ) როგორც ზემოთ ავლენიანთ საქართველო შეერთებულია სხვადასხვა საერთაშორისო კონვენციებს და რეზოლუციებს. მაგალითად, 2015 წელს საქართველომ, გაეროს უშიშროების საბჭოს 2178 (2014წ.) რეზოლუციის შესაბამისად, სისხლის სამართლებრივ კანონმდებლობაში

10 საქართველოს ეროვნული კონტრტერორისტული სტრატეგია - საქართველოს მთავრობის 2022 წლის 25 იანვრის N124 განკარგულება (2022-2026 წ.წ.).

11 საქართველოს ეროვნული კონტრტერორისტული სტრატეგია - საქართველოს მთავრობის 2022 წლის 25 იანვრის N124 განკარგულება (2022-2026 წ.წ.).

12 საქართველოს ეროვნული კონტრტერორისტული სტრატეგია - საქართველოს მთავრობის 2022 წლის 25 იანვრის N124 განკარგულება (2022-2026 წ.წ.).

13 <https://www.matsne.gov.ge/document/view/5772532?publication=0> (ბოლო წდომის თარიღი 19.05.2025)

ასახა და მოახდინა უცხოელი ტერორისტების მიერ გადაადგილებასთან დაკავშირებული ქმედებების კრიმინალიზაცია. შესაბამისად, სისხლის სამართლის კოდექსში განისაზღვრა მათზე პასუხისმგებლობა¹⁴.

2022 წლის ბოლოს, საქართველო შეუერთდა ევროკავშირის სამართალდაცვით სფეროში თანამშრომლობის სააგენტოს (ევროპოლი) ტერორიზმის დაფინანსების მიდევნების პროგრამას და შეიქმნა შესაბამისი ჯგუფი.

საქართველოსა და ევროპოლს შორის გაფორმებული ოპერატიული და სტრატეგიული თანამშრომლობის შესახებ ჩარჩო შეთანხმების საფუძველზე (2017წ.), 2024 წელს ხელი მოეწერა და პარლამენტს გადაეცა რატიფიცირებისათვის საქართველოსა და ევროპოლს შორის საიდუმლო ინფორმაციის გაცვლისა და დაცვის შესახებ შეთანხმება.¹⁵

არამარტო ევროკავშირის წევრ ქვეყნებთან, ასევე სხვა პარტნიორ ქვეყნებთანაც მიმდინარეობს ორმხრივი თანამშრომლობა და შესაბამისი ინფორმაციის გაცვლა.

პარტნიორი ქვეყნების მხარდაჭერით საქართველოს ყველა სასაზღვრო-გამშვები პუნქტი აღიჭურვა ბირთვული და რადიოაქტიური მასალების/ნივთიერებების აღმოჩენი დეტექტორებით, შემუშავდა და დაინერგა მობილური დაკვირვების სისტემაც და 2023 წლიდან, ამ სისტემის ფარგლებში დაიწყო 24/7-ზე ვიდეო მონიტორინგი¹⁶, ხოლო 2024 წლიდან ამოქმედდა სახის ელექტრონული ამოცნობის სპეციალური პროგრამაც.

პარტნიორ ქვეყნებთან კოორდინაციაში საქართველოს უსაფრთხოების შესაბამისი სამსახურები მონიტორინგს უწევენ ინტერნეტ სივრცესაც და პრევენციის მიზნით იზღუდება წვდომა რადიკალური იდეოლოგიის გამავრცელებელ ვებ-გვერდებზე, ისევე როგორც სოციალურ მედიაში დარეგისტრირებულ სპეციფიკურ ჯგუფებზე¹⁷.

აღსანიშნავია ის გარემოზაც, რომ საქართველოში ასევე მოხდა ტერორიზმის კვლევითი ცენტრის დაარსება (გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის სამართლისა და კრიმინოლოგიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში). ეს ყოველივე კი, ხელს შეუწყობს „სამართლებრივი ასპექტების“ დახვეწას.

დასკვნა

არსებული ვითარების ანალიზი გვიჩვენებს, რომ დღეისათვის საქართველოს კანონმდებლობის ძირითადი ნაწილი აღნიშნული მიმართულებით დახვეწილი და გამართულია, მცირედი გამონაკლისების გარდა, რისი ნათელი მაგალითიცაა სისხლის სამართლის კოდექსში შეტანილი ცვლილებები, ახალი კანონების მიღება, ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის შემუშავება და დამტკიცება და ა.შ. ყოველივე ეს კი, საერთაშორისო კონვენციებზე, ოქმებზე და შეთანხმებებზე მიერთებასთან ერთად, ჰქმნის ფართო სამართლებრივ სამოქმედო საფუძველს საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურებისთვის, რომელთაც, საერთაშორისო პარტნიორებთან კოორდინაციაში, შესწევთ უნარი გამოავლინონ, შეაკავონ, აღკვეთონ და/ან სხვა სახის რეაგირება მოახდინონ ტერორისტულ ინციდენტებზე და ეს გულისხმობს არა მარტო ქვეყნის შიგნით, არამედ ქვეყნის გარეთ მოქმედ ტერორისტულ (მაგალითად ე.წ. „ისლამური სახელმწიფო“, იგივე ISIS/დაეში და ა.შ.) ორგანიზაციებში ჩართული პირების გამოვლენას და შეკავება/დაკავებასაც¹⁸.

14 საქართველოს საკანონმდებლო მაცნე - საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, თავი XXXVIII - ტერორიზმი <https://www.matsne.gov.ge/document/view/16426?publication=274> (ბოლო წდომის თარიღი 19.05.2025)

15 <https://ssg.gov.ge/news/917/saqartvelosa-da-evropols-shoris-saidumlo-informaciis-gacvlisa-da-dacvis-shesaxeb-shetanxmehas-xeli-moetsera> (ბოლო წდომის თარიღი 19.05.2025)

16 სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური, <https://ssg.gov.ge/news/965/ashsh-is-saxelmtsifo-departamenti-saqartvelom-ganagrdo-uryevi-dzalisxmeva-kontrterorizmis-sakitxebshi-da-darcha-amerikis-sheertebuli-shtatebis-mtkice-partniorad-usaftxoebis-mimartulebit> (ბოლო წდომის თარიღი 19.05.2025)

17 სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური, „ტერორიზმთან ბრძოლა“, <https://ssg.gov.ge/page/counter-terrorism> (ბოლო წდომის თარიღი 19.05.2025)

18 სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური, „პანკისში დაკავებული ხუთი ქართველი ISIS-ს შეუერთდა“, <https://1tv>.

საქართველოს ხელისუფლების შესაბამისმა შტოებმა და უწყებებმა, სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობით, უცხოელ პარტნიორებთან თუ ორგანიზაციებთან ერთად თანამშრომლობაში, ყოველი ახალი გამოწვევის იდენტიფიცირებისას უნდა გააგრძელონ კანონმდებლობის დახვეწა და შესაბამისი ცვლილებების გატარება ეროვნულ თუ გლობალურ დონეზე მათი თავსებადობის ამაღლების კუთხით.

საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურებმა უნდა გააგრძელონ მონაწილეობა კონტრტერორისტულ და/ან სხვა მსგავს საერთაშორისო ფორუმებში და სამუშაო ჯგუფებში.

საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურების მიერ გაძლიერებული ძალისხმევა და თანმდევი დადებითი შედეგი, გამოხატულია ქვეყანაში არსებული საფრთხის დონის დაბალი მაჩვენებელით, რაც დასტურდება არაერთი ქვეყნის და მათ შორის აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის ყოველწლიურ ანგარიშებში. კერძოდ გლობალური ტერორიზმის 2024 წლის ინდექსი გვიჩვენებს, რომ საქართველო არის ტერორიზმის ნულოვანი დონის მქონე ქვეყნებს შორის და ვითარება საქართველოში ამ კუთხით არის მშვიდი¹⁹.

ყოველივე ეს კი ჰქმნის საფუძველს, კიდევ უფრო შეეწყოს ხელი „სამართლებრივი ასპექტების“ დახვეწას და უსაფრთხოების გარემოს განმტკიცებას.

ბიბლიოგრაფია

საქართველოს ეროვნული კონტრტერორისტული სტრატეგია (2022-2026 წ.წ.) - საქართველოს მთავრობის 2022 წლის 25 იანვრის N124 განკარგულება.

საქართველოს საკანონმდებლო მაცნე - საქართველოს პარლამენტის დადგენილება „ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ ევროპული კონვენციის რატიფიცირების თაობაზე

(<https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/40420?publication=0>).

საქართველოს პარლამენტის 2004 წლის 26 ოქტომბრის N522 დადგენილება „ტერორიზმის აღკვეთის შესახებ ევროპული კონვენციის შემსწორებული ოქმის“ რატიფიცირების შესახებ.

საქართველოს საკანონმდებლო მაცნე - საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, თავი XXXVIII - ტერორიზმი

(<https://www.matsne.gov.ge/document/view/16426?publication=274>).

ტერორიზმთან ბრძოლის სამართლებრივი მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით. გერმანულ-ქართული სისხლის სამართლის ჟურნალი

www.dgstz.de, 2017. ავტ.: სამართლის დოქტორი ირაკლი დვალაძე.

საქართველოს საკანონმდებლო მაცნე - საქართველოს კანონი „ტერორიზმთან ბრძოლის შესახებ“ (<https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/21796?publication=12>).

საქართველოს პრემიერ-მინისტრის 2009 წლის N264 ბრძანება (https://www.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=156&info_id=29457).

საქართველოს მთავრობის 2019 წლის 23 იანვრის N53 განკარგულება „ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ საქართველოს ეროვნული სტრატეგიის დამტკიცების თაობაზე“.

საქართველოს ეროვნული კონტრტერორისტული სტრატეგია (2022-2026 წ.წ.) - საქართველოს მთავრობის 2022 წლის 25 იანვრის N124 განკარგულება.

<https://www.matsne.gov.ge/document/view/5772532?publication=0>

<https://ssg.gov.ge/news/917/saqartvelosa-da-evropols-shoris-saidumlo-informaciis-gacvlisa-da-dacvis-shesaxe-shetanxmebas-xeli-moetsera>

<https://lang/en/news/five-georgians-detained-in-pankisi-join-isis-ssg-reports/> (ბოლო წდომის თარიღი 19.05.2025)

¹⁹ <https://ssg.gov.ge/news/916/globaluri-indeqsis-mixedvit-saqartvelo-terorizmis-nulovani-donis-mqone-saxelmtsifoebsshorisaa> (ბოლო წდომის თარიღი 19.05.2025)

<https://ssg.gov.ge/news/965/ashsh-is-saxelmtsifo-departamenti:-saqartvelom-ganagrdo-uryevi-dzalisxmeva-kontrterorizmis-sakitxebshi-da-darcha-amerikis-sheertebuli-shtatebis-mtkice-partniorad-usaftrxoebis-mimartulebit>

<https://ssg.gov.ge/page/counter-terrorism>

<https://1tv.ge/lang/en/news/five-georgians-detained-in-pankisi-join-isis-ssg-reports/>

<https://ssg.gov.ge/news/916/globaluri-indeqsis-mixedvit-saqartvelo-terorizmis-nulovani-donis-mqone-saxelmtsifoebis-shorisaa>

სტაბილურობა ახლო აღმოსავლეთში და საქართველოს უსაფრთხოების გამოწვევები

ვიცე-პოლკოვნიკი იოსებ ტურაშვილი

სსიპ-დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს
ეროვნული თავდაცვის აკადემიის
ბაკალავრიატის მენეჯმენტის მიმართულების უფროსი,
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის
პოლიტიკის მეცნიერების დოქტორანტი

აბსტრაქტი

გლობალური გეოპოლიტიკური დინამიკა მჭიდრო კავშირშია რეგიონის სტაბილურობასთან, განსაკუთრებით მაშინ, როცა საუბარი გვაქვს ისეთ სტრატეგიულ არეალზე, როგორიცაა ახლო აღმოსავლეთი. აღნიშნული რეგიონი ათწლეულების განმავლობაში წარმოადგენდა ძალადობრივი კონფლიქტების, რადიკალიზმის, ენერგოუსაფრთხოების კრიზისებისა და გეოპოლიტიკური დამაულობლების ეპიცენტრს. ამგვარი ტენდენციები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს არამხოლოდ უშუალო მონაწილე ქვეყნებზე, არამედ ახლოს მდებარე სახელმწიფოებზეც, მათ შორის საქართველოზე. ნაშრომში დეტალურადაა განხილული ახლო აღმოსავლეთის გეოპოლიტიკური კონტექსტი, სტაბილურობის ძირითადი ფაქტორები, გარე და შიდა მოთამაშეთა გავლენა, და კონფლიქტური კერების - პალესტინა-ისრაელის, სირიის, იემენის და ირან-საუდის დაპირისპირების როლი რეგიონულ წესრიგში.

მნიშვნელოვანი ყურადღება გამახვილებულია იმაზე, თუ როგორ აისახება ახლო აღმოსავლეთში არსებული მერყევი სტაბილურობა საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების მდგომარეობაზე. საქართველო, როგორც ენერგოუსაფრთხოების ტრანზიტული ჰაზი, რომელიც ასევე ევროატლანტიკური ინტეგრაციის გზაზეა, სერიოზულად ზიანდება რეგიონში არსებული კრიზისული პროცესებისგან. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საფრთხე, რომელიც ნაშრომში იქნა გამოკვეთილი, არის ტერორიზმის შესაძლო გავრცელება, უკანონო მიგრაცია, იარაღის კონტრაბანდა და საინფორმაციო ომები. ასევე, რეგიონში აქტიური სახელმწიფოთა - რუსეთის, აშშ-ის, თურქეთისა და ირანის პოლიტიკა ხშირად იწვევს გლობალური უსაფრთხოების არქიტექტურის რღვევას, რასაც საქართველოს სტრატეგიული სიტუაცია კიდევ უფრო ართულებს.

ნაშრომი წარმოაჩენს საქართველოს რეაგირების შესაძლებლობებს და რეკომენდაციებს რამდენიმე საკვანძო მიმართულებით: კიბერუსაფრთხოების გაძლიერება, საერთაშორისო თანამშრომლობის გაფართოება, მიგრაციის მართვა, უსაფრთხოების ეროვნული სტრატეგიის რეფორმა და საზოგადოების ცნობიერების ამაღლება. წარმოდგენილია კონკრეტული მაგალითები საქართველოს მიერ გადადგმული ნაბიჯების შესახებ და ხაზგასმულია, რომ კრიზისულ რეგიონებთან მეზობლობა საქართველოს არა მხოლოდ საფრთხეებად, არამედ გარკვეულწილად შესაძლებლობებადაც უნდა აღიქვას.

მეთოდოლოგიურად ნაშრომი თვისებრივი კვლევების კატეგორიაში მოიაზრება და კვლევაზე მუშაობის პროცესში მონაცემთა შეგროვებისათვის და ანალიზისთვის გამოყენებულ იქნა თვისებრივი კვლევის სხვადასხვა ტექნიკები, როგორიცაა კონტენტ-ანალიზი, პროცესის მიდევნების მეთოდი და შემთხვევის ანალიზი.

დასასრულს, ნაშრომი ასკვნის, რომ საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების სისტემა უნდა დაეფუძნოს პროაქტიურ პოლიტიკას, რეგიონულ და გლობალურ კოორდინაციას, ხოლო უსაფრთხოების სტაბილურობის მიღწევა შესაძლებელი გახდება მხოლოდ კომპლექსური, თანმიმდევრული და ინტეგრირებული მიდგომების მეშვეობით. თემის გაანალიზება განსაკუთრებით აქტუალურია დღეს, როცა მსოფლიო იმყოფება მრავალპოლარული და დაუდგენელი წესრიგის პირობებში, სადაც სტაბილურობა კვლავ გლობალური გამოწვევად რჩება.

საკვანძო სიტყვები: გეოპოლიტიკა; უსაფრთხოება; ახლო აღმოსავლეთი; საქართველოს ეროვნული უსაფრთხოება; რეგიონული სტაბილურობა.

STABILITY IN THE MIDDLE EAST AND GEORGIA'S SECURITY CHALLENGES

Lieutenant Colonel Ioseb Turashvili

Head of Management Program of Baccalaureate of
LEPL - David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia,
Doctoral student of political science of
Caucasus International University

Abstract

The global geopolitical landscape is intrinsically linked to regional stability, particularly in strategically sensitive zones such as the Middle East. For decades, the Middle East has remained a focal point of armed conflicts, radical ideologies, humanitarian crises, energy insecurity, and intense geopolitical rivalry. These ongoing developments not only impact the states directly involved but also influence the surrounding regions — including Georgia, which occupies a pivotal location at the crossroads of Europe and Asia. This paper explores the geopolitical context of the Middle East, identifies key factors of instability, analyzes the role of external and internal actors, and examines the significance of ongoing conflicts — such as the Israeli-Palestinian issue, the Syrian civil war, the Yemeni crisis, and the Iran-Saudi rivalry — in shaping the regional order.

A central focus of the paper is to assess how instability in the Middle East directly or indirectly affects Georgia's national security. As an energy transit country and a state actively pursuing Euro-Atlantic integration, Georgia faces considerable risks arising from regional instability. Among the most pressing challenges are the potential spillover of terrorism, illegal migration flows, arms smuggling, cyber threats, and hybrid warfare. Additionally, the regional policies of key actors like Russia, the United States, Turkey, and Iran often disrupt the fragile balance of power, further complicating Georgia's security environment and strategic aspirations.

The study presents Georgia's current response mechanisms and offers practical policy recommendations in several critical areas: strengthening cybersecurity capabilities, enhancing international cooperation (particularly within NATO and EU frameworks), developing sustainable migration policies, reforming the national security strategy, and raising public awareness on national security threats. The research also includes examples of Georgia's initiatives and partnerships in these fields and emphasizes the need for a holistic and forward-looking approach to national defense and resilience.

Furthermore, the paper highlights that proximity to unstable regions should not only be viewed through the lens of threats but also through the prism of opportunities. Georgia's ability to serve as a diplomatic bridge, a reliable partner for energy transit, and a contributor to regional stability presents a chance to bolster its international standing. However, this requires robust institutional development, strategic foresight, and alignment with global democratic security standards.

Methodologically, the work falls into the category of qualitative research, and various qualitative research techniques, such as content analysis, process tracking method, and case analysis, were used to collect and analyze data during the research process.

In conclusion, the paper argues that Georgia must adopt a proactive and multidimensional security policy to effectively manage emerging challenges. Regional cooperation, strategic communication, and comprehensive internal reforms are vital to ensuring national stability in a volatile global order. As the world navigates an era of multipolarity and strategic ambiguity, the link between the Middle East's stability and Georgia's security will remain a key consideration in the country's foreign and domestic policy formulation.

Keywords: Geopolitics; Security; Middle East; Georgia's National Security; Regional Stability.

შესავალი

თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობებში ახლო აღმოსავლეთი კვლავ რჩება ერთ-ერთ ყველაზე დინამიკურ, სტრატეგიულად მნიშვნელოვან და გეოპოლიტიკურად კომპლექსურ რეგიონად. ტერიტორიული დაპირისპირებები, ეთნიკურ-რელიგიური კონფლიქტები, ენერგორესურსების განაწილება, დიდი სახელმწიფოების სამხედრო და პოლიტიკური ჩარევა ქმნის უსაფრთხოების მერყევ გარემოს, რომელიც გავლენას ახდენს არა მხოლოდ უშუალო მონაწილე ქვეყნებზე, არამედ გეოგრაფიულად მეზობელ და გლობალურად დაკავშირებულ სახელმწიფოებზე. აღნიშნული რეგიონი წარმოადგენს ერთგვარ „უსაფრთხოების ლაბორატორიას“, სადაც სწრაფად ცვალებადი მოვლენები შეიძლება გარდამტეხი აღმოჩნდეს საერთაშორისო წესრიგისთვის. **ნაშრომის თემის არეალი მოიცავს** ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე უსაფრთხოების პროცესებს და მათი გავლენის ანალიზს საქართველოზე — ქვეყანაზე, რომელიც შორიახლოს მდებარეობს ამ კონფლიქტურ სივრცესთან და, ამავდროულად, წარმოადგენს მნიშვნელოვანი სატრანზიტო ჰაბს ევროპასა და აზიას შორის. ნაშრომის მიზანია, გაანალიზოს, როგორ აისახება ახლო აღმოსავლეთის მერყევი სტაბილურობა საქართველოს უსაფრთხოებაზე და როგორ შეიძლება იმოქმედოს საქართველომ პრევენციულად მსგავსი საფრთხეების აღმოსაფხვრელად. **ნაშრომის აქტუალობა განპირობებულია** ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე გლობალური პროცესების ინტენსივობით, საქართველოს გეოსტრატეგიული როლით და თანამედროვე მსოფლიოში მზარდი დაუდგენელი საფრთხეებით, რომლებიც არა მხოლოდ სამხედრო ან ეკონომიკური ფორმით ვლინდება, არამედ მოიცავს კიბერუსაფრთხოებას, საინფორმაციო ომებს, მასობრივი მიგრაციის გამოწვევებს და რეგიონული კონფლიქტების გადანაცვლების საფრთხეს. **მკითხველისთვის საკითხის გაცნობის მიზნით**, ნაშრომი იწყება ახლო აღმოსავლეთის უსაფრთხოების ისტორიული და თანამედროვე კონტექსტის ანალიზით. მოყვანილია ძირითადი კონფლიქტური კერები (ისრაელ-პალესტინა, სირია, იემენი, ირანი), წარმოდგენილია საერთაშორისო და რეგიონული მოთამაშეების გავლენა (აშშ, რუსეთი, თურქეთი, ირანი, არაბული ქვეყნები) და მათი სტრატეგიული ინტერესი. შემდგომ, განხილულია საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების გარემო, სტრატეგიული პრიორიტეტები და არსებული პოლიტიკა, რომლებიც შეიძლება საჭიროებდეს გადახედვას ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე ცვლილებების ფონზე. **კვლევების ანალიზის ფარგლებში**, ნაშრომში განხილულია საერთაშორისო კვლევითი ინსტიტუტების ანგარიშები (მაგ. Carnegie Middle East Center, RAND Corporation, Brookings Institution), საქართველოში გამოცემული ანალიტიკური მასალები და პოლიტიკის დოკუმენტები. კვლევების უმეტესობა ყურადღებას ამახვილებს ახლო აღმოსავლეთში გარე ძალების კონკურენციაზე, ენერგოუსაფრთხოებასა და ტერორიზმის საფრთხეზე, თუმცა ნაკლებად არის შესწავლილი ამ მოვლენების პირდაპირი გავლენა საქართველოზე. **საკუთარი ჰიპოთეზის სახით განისაზღვრება**, რომ ახლო აღმოსავლეთის რეგიონში არსებული არასტაბილურობა ქმნის ახალ ტიპის ჰიბრიდულ საფრთხეებს საქართველოსთვის, რომლის საპასუხოდ საჭირო ხდება უსაფრთხოების პოლიტიკის რეფორმა, კიბერუსაფრთხოების გაძლიერება, საერთაშორისო პარტნიორობთან კოორდინაციის გაზრდა და მჭიდრო მონიტორინგი რეგიონში მიმდინარე გეოპოლიტიკურ პროცესებზე.

ძირითადი ნაწილი

უპირველეს ყოვლისა განვიხილოთ ახლო აღმოსავლეთის გეოპოლიტიკური მდგომარეობა და ძირითადი სტაბილურობის ფაქტორები:

გეოპოლიტიკური კომპლექსურობა და სტრატეგიული მნიშვნელობა - ახლო აღმოსავლეთი გეოპოლიტიკურად ერთ-ერთ ყველაზე სტრატეგიულ რეგიონად განიხილება, რადგან

ის წარმოადგენს ევრაზიისა და აფრიკის კონტინენტების გადაკვეთას და შეიცავს მსოფლიოს ნავთობისა და ბუნებრივი გაზის უმსხვილეს მარაგებს. ეს განაპირობებს რეგიონზე როგორც რეგიონალური, ისე გლობალური ძალების კონკურენციას (აშშ, რუსეთი, ჩინეთი, ევროკავშირი, ირანი, თურქეთი, საუდის არაბეთი და სხვ.). მნიშვნელოვანი სტრატეგიული წერტილებია: ჰორმუზის სრუტე, რომლის გავლითაც მსოფლიოს ნავთობის თითქმის 20% გადის; და სუეცის არხი, რომელიც აკავშირებს ხმელთაშუა ზღვას წითელ ზღვასთან და წარმოადგენს ევროპა-აზიის ტვირთნაკადების უმნიშვნელოვანეს მარშრუტს.¹

დაუსრულებელი და გადაჯაჭვული კონფლიქტები - ახლო აღმოსავლეთში მრავალი კონფლიქტი აყალიბებს ერთგვარ გეოპოლიტიკურ “დომინოს ეფექტს”, სადაც ერთი კრიზისი გავლენას ახდენს მეზობელ სახელმწიფოებზე. ძირითადი აქტიური და გაყინული კონფლიქტებია:

ასევე აღსანიშნავია რეგიონში სირიის სამოქალაქო ომი, რომელიც 2011 წელს დაიწყო და 2024 წლის დეკემბერში პრეზიდენტ ბაშარ ალ ასადის რეჟიმის დამხობით დასრულდა. ეს საქართველოსთვის ძალზედ მნიშვნელოვანია, რადგან ასადის რეჟიმი რუსეთის მიერ ოკუპირებული საქართველოს რეგიონების - აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის დამოუკიდებლობას აღიარებდა. დღეს სირიას გარდამავალი მთავრობის პრეზიდენტი აჰმედ ალ-შარაა ხელმძღვანელობს, თუმცა გარკვეული შეტაკებები კვლავ გრძელდება გაქცეული პრეზიდენტის ბაშარ ალ ასადის მომხრეებსა და ახალ ხელისუფლებას შორის. მმართველი რეჟიმის, ოპოზიციური ძალების, ქურთების და უცხოური სახელმწიფოების ჩართულობით, კონფლიქტმა არაერთი ტერორისტული დაჯგუფება წარმოშვა და დიდი ჰუმანიტარული კრიზისი გამოიწვია.

იემენის ომი არის ერთ-ერთი ყველაზე მძიმე და გრძელვადიანი ჰუმანიტარული კრიზისი თანამედროვე მსოფლიოში, რომელიც რეგიონულ და საერთაშორისო პოლიტიკურ დაპირისპირებასაც ასახავს. მისი ფესვები უკავშირდება როგორც იემენის შიდა პრობლემებს, ასევე ფართო გეოპოლიტიკურ კონკურენციას. ჰუთების მოძრაობა ირანის მხარდაჭერით მოქმედებენ და აკონტროლებენ ჩრდილოეთ და დასავლეთ იემენის დიდ ნაწილს, მათ შორის დედაქალაქ სანას, ხოლო ჰადის ძალები საუდის არაბეთისა და საერთაშორისო კოალიციის მხარდაჭერით ცდილობენ იემენის ლეგიტიმური ხელისუფლების აღდგენას.

ისრაელ – პალესტინის დაპირისპირება – ათწლეულების განმავლობაში არსებული დამაბულობა, რომელიც პერიოდულად ფართომასშტაბიან შეტაკებებს იწვევს. 2023 წლის 7 ოქტომბერს „ჰამასის“ მეზრძოლების მიერ ღაზის სექტორიდან ისრაელზე განხორციელებული სისხლიანი და სასტიკი შეტევის შემდეგ ისრაელმა „ჰამასს“ ომი გამოუცხადა, რომელიც დღემდე მიმდინარეობს.

ასევე რეგიონში ხშირია ეთნოკონფესიური დაპირისპირებები, რომელთაც ამწვავებს შიიტურ-სუნიტური დაპირისპირება. სუნიტურ სამყაროში გავლენიანი სახელმწიფოა საუდის არაბეთი, ხოლო შიიტური მიმართულების ლიდერია ირანი. ეს ქვეყნები ხშირად უპირისპირდებიან ერთმანეთს არაპირდაპირი გზებით — იემენში, სირიაში, ერაყში და ლიბანში. ახლო აღმოსავლეთში ეთნოკონფესიური დაპირისპირება, განსაკუთრებით შიიტურ-სუნიტური დამაბულობა, გადაჭარბებით უკვე აღარ არის მხოლოდ რელიგიური ან თეოლოგიური საკითხი. ეს არის მჭიდროდ დაკავშირებული პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური საკითხების კომპლექსი, რომელიც იწვევს არასტაბილურობას როგორც ეროვნულ, ასევე რეგიონულ დონეზე. მსგავსი დაპირისპირებების განმუხტვა მოითხოვს კომპლექსურ საერთაშორისო ძალისხმევას, ინკლუზიური მმართველობის მოდელებს და გრძელვადიან დიალოგზე ორიენტირებულ მიდგომებს.

1 NATO (2023). Annual Report on Regional Security Environment. https://www.nato.int/nato_static_fl2014/assets/pdf/2024/3/pdf/sgar23-en.pdf (გადამოწმებულია 20.05.2025)

ექსტრემისტული ჯგუფების როლი და ასიმეტრიული საფრთხეები - ბოლო ათწლეულებში ახლო აღმოსავლეთში გაძლიერდა არარეგულარული სამხედრო სტრუქტურების გავლენა, რომლებიც ხშირად ქმნიან უსაფრთხოების ვაკუუმს სახელმწიფო ინსტიტუტების სისუსტის ფონზე. მაგალითებია: ISIS – რომელმაც 2014–2019 წლებში დაამყარა ე.წ. “ხალიფატი” სირიასა და ერაყში; ჰეზბოლა (ლიბანი) – ირანის მხარდაჭერილი შიიტური ძალა, რომელიც ერთდროულად მონაწილეობს პოლიტიკაში და ასრულებს სამხედრო როლს; ჰამასი (ღაზა) – რომელიც კონფლიქტშია როგორც ისრაელთან, ისე პოლიტიკურად პალესტინის ავტონომიის მთავრობასთან. ასეთ ჯგუფებს ახასიათებთ ტრანსნაციონალური მოქმედების შესაძლებლობა, რაც ქმნის გლობალურ უსაფრთხოების პრობლემებს, მათ შორის საქართველოსთვისაც.

გლობალური ძალების ჩართულობა და რეგიონული კონკურენცია - აშშ აქტიურად მონაწილეობდა ერაყში (2003), ავღანეთში (2001–2021) და სირიაში; ასევე წარმოადგენს ისრაელის მთავარ სტრატეგიულ პარტნიორს. **რუსეთი** კვლავ ინარჩუნებს სამხედრო ბაზებს რეგიონში. **ირანი** კი ცდილობს რეგიონში შიიტური გავლენის გავრცელებას, რაც ქმნის დაპირისპირებას საუდის არაბეთთან, ისრაელთან და აშშ-სთან. ხოლო **თურქეთი** ასრულებს კომპლექსურ როლს, მონაწილეობს სირიის ჩრდილოეთ ოპერაციებში, ქურთული ჯგუფების წინააღმდეგ, და ზრდის თავის პოლიტიკურ გავლენას.

ეკონომიკური ფაქტორები და ენერგორესურსები - ახლო აღმოსავლეთი ფლობს მსოფლიოში არსებული ნავთობის დაახლოებით 48%-ს და ბუნებრივი გაზის 38%-ს. ენერგეტიკული რესურსების ექსპორტზე დამოკიდებულება ქვეყნებს მერყევ ეკონომიკურ სტრუქტურას აძლევს, ხოლო ფასების რყევები გავლენას ახდენს სოციალურ სტაბილურობაზე (მაგ: 2011 წლის არაბული გაზაფხულის ეკონომიკური საფუძვლები).

ახლო აღმოსავლეთის გეოპოლიტიკური მდგომარეობა რთული კომპლექსია, რომელშიც ერთმანეთს ეჯახება სახელმწიფო და არარეგულარული ძალები, გლობალური ინტერესები და ლოკალური დაპირისპირებები. რეგიონის სტაბილურობაზე ზეგავლენას ახდენს როგორც ტერორიზმი და კონფლიქტები, ასევე ეკონომიკური კრიზისები, ენერგეტიკული მარშრუტების კონტროლი და დიდი სახელმწიფოების ქმედებები. ეს ყველაფერი ქმნის გარე საფრთხეთა სისტემას, რომელიც საქართველოზე გავლენას ახდენს მიგრაციის, ენერგოუსაფრთხოების, ტერორიზმის პრევენციისა და გეოპოლიტიკური პოზიციონირების კრილში.

საქართველოს უსაფრთხოების გამოწვევები ახლო აღმოსავლეთის სტაბილურობის ფონზე

საქართველო, როგორც კავკასიის რეგიონის ცენტრალური ქვეყანა, გეოპოლიტიკურად ერთდროულად წარმოადგენს აღმოსავლეთ ევროპის, ცენტრალური აზიისა და ახლო აღმოსავლეთის დამაკავშირებელ რგოლს. სწორედ ამ გეოსტრატეგიულ მდებარეობას ერთდროულად ახლავს როგორც განვითარების პოტენციალი, ისე მნიშვნელოვანი უსაფრთხოების გამოწვევები, განსაკუთრებით მაშინ, როცა ახლო აღმოსავლეთში სტაბილურობა ირღვევა.

ენერგოუსაფრთხოება და კრიტიკული ინფრასტრუქტურის რისკები - საქართველო მონაწილეობს სტრატეგიულ ენერგეტიკულ პროექტებში, როგორიცაა: Baku–Tbilisi–Ceyhan (BTC) ნავთობსადენი; South Caucasus Pipeline (SCP) – ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირებისთვის; Baku–Tbilisi–Erzurum (BTE) – გაზის გადამცემი სისტემა თურქეთის გავლით და შავი ზღვის წყალქვეშა კაბელის პროექტი.

რეგიონში დამაბულობამ - განსაკუთრებით ჰორმუზის სრუტის ჩაკეტვის ან სპარსეთის ყურეში სამხედრო ესკალაციის პირობებში - შეიძლება გამოიწვიოს სატრანსპორტო მარშრუტების გადალაგება კავკასიის მიმართულებით. ეს ზრდის როგორც ეკონომიკურ მნიშვნელობას, ისე სავარაუდო თავდასხმების ან დივერსიების საფრთხეს საქართველოს

კრიტიკულ ინფრასტრუქტურაზე. მაგალითად: 2020 წელს აზერბაიჯან-სომხეთის ომის დროს გამოიკვეთა, რომ რეგიონალური კონფლიქტები პირდაპირ საფრთხეს უქმნიან ტრანზიტულ პროექტებს საქართველოში. ანალოგიურად, ახლო აღმოსავლეთის ესკალაციამ შესაძლოა ამ კონტექსტში გაზარდოს რისკები.

ტერორიზმისა და რადიკალიზაციის პოტენციალი - საქართველო არ არის ისლამური რადიკალიზმის პირდაპირი სამიზნე, თუმცა 2010-იანი წლების განმავლობაში გამოიკვეთა ზოგიერთი ნიშანი, როგორიცაა: პანკისის ხეობაში მცირე რაოდენობით, მაგრამ რეალურია რადიკალიზაციის ფაქტები, რომელთაგან რამდენიმე შეერთდა ISIS-ს 2014-2017 წლებში;

საქართველოში მოქმედი უსაფრთხოების უწყებები აქტიურად ახორციელებენ კონტ-რორადიკალიზაციის პოლიტიკას, თუმცა რეგიონში არსებულმა კონფლიქტებმა (სირია, ერაყი, ავღანეთი) შექმნა კონკრეტული “გადინების არხები”. 2017 წელს თბილისში ჩატარებული ანტიტერორისტული სპეცოპერაციის დროს ლიკვიდირებული იქნა პირი, რომელიც ეჭმიტანილი იყო ტერორისტულ საქმიანობაში სირიაში.²

მიგრაცია და ჰუმანიტარული გამოწვევები - ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე კონფლიქტების შედეგად მზარდია მიგრაცია, რაც ზოგადად მთელ ევროპაში კრიზისს ქმნის. საქართველომ ჯერჯერობით თავი აარიდა მასიური მიგრაციული ნაკადების მიღებას, თუმცა, როგორც სატრანზიტო ქვეყანა, იგი კვლავ რჩება არალეგალური მიგრაციის “გზაზე”; შესაძლებელია გახდეს მიგრაციული ზეწოლის ქვეშ მყოფი ქვეყანა, თუ თურქეთ-ევროკავშირის შეთანხმება შეირყევა ან ახლო აღმოსავლეთში ჰუმანიტარული ვითარება კიდევ უფრო დამძიმდება.

საგარეო პოლიტიკის ბალანსი და გლობალური ძალების ინტერესები - რეგიონის უსაფრთხოების მერყეობა აიძულებს საქართველოს შეინარჩუნოს პარტნიორობა აშშ-სთან და ნატოსთან, რომლებიც ახლო აღმოსავლეთში სამხედრო ოპერაციების ძირითადი სუბიექტები არიან; ასევე, არ გააღიზიანოს რეგიონის რეგიონული მოთამაშეები, განსაკუთრებით ირანი და თურქეთი, რომლებთანაც დელიკატური ბალანსი აუცილებელია.

საქართველომ ოფიციალურად მხარი დაუჭირა ტერორიზმთან ბრძოლას და გააგზავნა საკუთარი ჯარები ავღანეთში (ISAF და later Resolute Support), რაც მის საერთაშორისო იმიჯზე დადებითად აისახა, თუმცა ასევე გაზარდა რეგიონული საფრთხეების მიმართ საქართველოს რეაგირების მექანიზმები.³

საინფორმაციო ომები და გავლენების გეოპოლიტიკა - ახლო აღმოსავლეთში განვითარებულ კონფლიქტებს თან ახლავს მასობრივი საინფორმაციო ომები. რუსული, ირანული და თურქული მედიაპლატფორმები ცდილობენ გავლენის მოპოვებას საქართველოზეც.

დეზინფორმაციის თვალსაზრისით შეიძლება ითქვას, რომ რეგიონული კრიზისების კონტექსტში იზრდება კრემლისტური და ანტიდასავლური ნარატივების გავრცელება. ასევე ახლო აღმოსავლეთის თემების იდეოლოგიური ინტერპრეტაციები (მაგ., ისრაელი-პალესტინის კონფლიქტი) საქართველოში ხშირად ხდება საზოგადოებრივი დაპირისპირების საგანი.

ახლო აღმოსავლეთში სტაბილურობის რღვევა საქართველოს უსაფრთხოების არქიტექტურაზე მრავალმხრივ ზეგავლენას ახდენს – როგორც პირდაპირი სამხედრო საფრთხეების, ისე არაპირდაპირი გეოპოლიტიკური, საინფორმაციო და ეკონომიკური ზეწოლების მეშვეობით. ამ ფონზე, ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგია მოითხოვს

2 საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის წლიური ანგარიშები (2018–2023) <https://surli.cc/licvxq> (გადამოწმებულია 20.05.2025);

3 საქართველოს თავდაცვის სამინისტრო. საქართველოს თავდაცვის სტრატეგია და გარე საფრთხეების ანალიზი. <https://mod.gov.ge/enanner-E.swf> (გადამოწმებულია 20.05.2025);

როგორც გლობალურ პარტნიორებთან კოორდინაციას, ისე შიდა სტაბილურობის, კრიტიკული ინფრასტრუქტურის დაცვისა და საზოგადოებრივი მექანიზმების გამყარებას.

საქართველოს სტრატეგიული პასუხები და რეკომენდაციები

საქართველომ, როგორც პოსტ-საბჭოთა სივრცის ქვეყანამ, რომელიც გეოპოლიტიკური რეალობების გათვალისწინებით ცდილობს შექმნას ეფექტური ეროვნული უსაფრთხოების სისტემა, უნდა გააგრძელოს სტრატეგიული რეაგირება ახლო აღმოსავლეთში სტაბილურობის პრობლემებზე, რათა შემდგომში განავითაროს მისი გეოპოლიტიკური პოზიციები და უზრუნველყოს უსაფრთხოება.

საქართველოს საგარეო პოლიტიკის განვითარება და რეგიონული ძალების შერწყმა - საქართველოს საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია დაუღალავად მუშაობა ნატოსა და ევროკავშირთან სტრატეგიული პარტნიორობის გაძლიერებისათვის. საქართველოს მიმართ გამოკვეთილი მხარდაჭერა გლობალური უსაფრთხოების სტრუქტურებისგან, მათ შორის ნატოსა და აშშ-სგან, ხელს შეუწყობს ქვეყნის უსაფრთხოების განმტკიცებას რეგიონალურ დონეზე.

ნატოსთან თანამშრომლობის ფარგლებში, საქართველოს ნატოში ინტეგრაციის პროცესი, მტკიცე პოზიციის დაფიქსირება, განსაკუთრებით სამხედრო და პოლიტიკურ პარტნიორობ-თან ერთად, ხელს შეუწყობს ქვეყნის გაძლიერებას და დაცვას.

რაც შეეხება ევროკავშირს, საქართველოს ევროპული ინტეგრაცია, კერძოდ ენერგეტიკის, ეკონომიკის და უსაფრთხოების სექტორებში თანამშრომლობა, ხელს შეუწყობს ქვეყნის სტაბილურობას და როლის გაზრდას რეგიონში.

საქართველომ წარმატებით ჩაატარა არაერთი მრავალეროვანი სამხედრო წვრთნები ნატოსთან პარტნიორობით, რაც გამოიხატა საერთაშორისო რეპუტაციის ამაღლებაში.⁴

კრიტიკული ინფრასტრუქტურის დაცვა და ენერგეტიკული უსაფრთხოების გაძლიერება - საქართველოს ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის დაცვა, აგრეთვე ახალი ენერგეტიკული პროექტების განვითარება, მნიშვნელოვანია, რათა თავიდან აიცილოს ენერგოსაფრთხეები.

საქართველოს გავლით გაზის და ნავთობის ტრანსპორტირებისთვის აუცილებელია მყარი დიპლომატიური და ეკონომიკური ურთიერთობების ჩამოყალიბება ენერგეტიკული მარშრუტების მიმართულებით, რათა უზრუნველყოს ქვეყნის უსაფრთხოება.

მრავალფეროვანი ენერგიის წყაროების შესაქმნელად საქართველოში საჭიროა განავითარონ ალტერნატიული ენერგიის პროექტები, როგორცაა მზის და ქარის ენერგია, რათა მინიმუმამდე დაიყვანოს დამოკიდებულება მხოლოდ ენერგეტიკულ რესურსებზე.

საქართველოში შექმნილი ანტიტერორისტული ჯგუფები და უსაფრთხოების უწყე-ბები აქტიურად ახორციელებენ კრიტიკული ინფრასტრუქტურის დაცვას, როგორცაა ენერგოსადენები და გაზის მარშრუტები.⁵

შიდა რადიკალიზაციის პრევენცია და ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლა - რეგიონში არსებული უსაფრთხოების გამოწვევების გათვალისწინებით, საქართველოს კიდევ უფრო უნდა გაძლიერდეს ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის შესაძლებლობები. ამასთან ერთად, აუცილებელია მიგრანტების რადიკალიზაციის რისკების მართვა, როგორც შიდა, ისე საერთაშორისო დონეზე. ამ თვალსაზრისით საქართველომ აქტიურად უნდა გააგრძელოს მუშაობა სხვადასხვა მიმართულებით:

ტერორიზმის პრევენციის პროგრამები: საქართველო უნდა გააგრძელოს მუშაობა

⁴ საქართველოს თავდაცვის სამინისტრო, საქართველოს თავდაცვის სტრატეგია და გარე საფრთხეების ანალიზი. <https://mod.gov.ge/enanner-E.swf> (გადამოწმებულია 20.05.2025);

⁵ საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის წლიური ანგარიშები (2018–2023), <https://surl.li/zndmdq> (გადამოწმებულია 20.05.2025);

სპეციალიზირებულ უწყებებთან, რათა თავიდან აიცილოს რადიკალიზაციის და ტერორისტული აქტების საფრთხეები.

განათლების როლი: განათლება უნდა იყოს ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი ინსტრუმენტი, რომელიც ხელს შეუწყობს ახალგაზრდების, მათ შორის მიგრანტების, რადიკალიზაციის თავიდან ასაცილებლად.

საქართველოში აქტიურად ფუნქციონირებს პოლიციური განათლების პროგრამები, რომლებიც მიზნად ისახავს ახალგაზრდების ინფორმირებას ტერორიზმისა და ექსტრემიზმის საფრთხეებზე.⁶

ჰუმანიტარული მექანიზმების გაძლიერება და მიგრაციის მართვა - რეგიონის სტაბილურობის დარღვევის პირობებში, საქართველოს შეიძლება მიეღოს ჰუმანიტარული მიგრანტები, რაც შეიძლება გამოიწვიოს სოციალური და ეკონომიკური წნეხი. ამისათვის საჭიროა გამართული მიგრაციული პოლიტიკა და ჰუმანიტარული დახმარების სისტემის შექმნა.

მიგრაციის კონტროლი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხია ამ სფეროში. საქართველოს მთავრობამ უნდა გააგრძელოს მოქმედი მიგრაციის მექანიზმების გაუმჯობესება, რათა თავიდან აიცილოს არალეგალური მიგრანტების მოზიდვა და უზრუნველყოს საერთაშორისო დახმარება. ასევე, სოციალური ინტეგრაციას უნდა დაეთმოს დიდი ყურადღება. მიგრანტების ინტეგრაციის პროცესში მნიშვნელოვანია განათლება, სოციალური დახმარება და ბინების უზრუნველყოფა.

საქართველოს ბოლო წლებში წამოიწყო რამდენიმე პროექტი, რომლებიც მიზნად ისახავდა არალეგალური მიგრაციის შეჩერებას და სოციალური ასიმილაციის პროცესის ხელშეწყობას.

უსაფრთხოების კოორდინაცია რეგიონში - საქართველო უნდა განავითაროს უსაფრთხოების და სამხედრო თანამშრომლობა მეზობელ ქვეყნებთან, როგორიცაა თურქეთი, აზერბაიჯანი, და სომხეთი, რათა მოიცვას რეგიონალური საფრთხეები, როგორცაა ტერორიზმი, არარეგულარული სამხედრო მოქმედებები და გლობალური ძალების გადახრები. ამ გარემოებების გათვალისწინებით, აუცილებელია უსაფრთხოების და რეაგირების სტრატეგიების გაერთიანება რეგიონში მომხდარი ცვლილებების სწრაფად შეფასებისათვის.

საქართველოს სტრატეგიული უსაფრთხოების საპასუხო მექანიზმები მოიცავს არა მხოლოდ გლობალური და რეგიონული ძალების კონტექსტში თანამშრომლობას, არამედ შიდა დიპლომატიური და სამხედრო სტრუქტურების გამყარებას. მიმდინარე გამოწვევების აღიარება და შესაბამისი უსაფრთხოების პოლიტიკის განხორციელება აუცილებელია იმისთვის, რომ საქართველო დარჩეს სტაბილური და უსაფრთხო ქვეყანა, რომელიც წარმატებით იცავს თავის გეოპოლიტიკურ და ეკონომიკურ ინტერესებს.

დასკვნა

ახლო აღმოსავლეთის რეგიონი უკვე ათწლეულებია წარმოადგენს გლობალური არასტაბილურობის ერთ-ერთ მთავარ კერას, რაც მნიშვნელოვნად აისახება მეზობელ რეგიონებზე, მათ შორის - საქართველოზე. ახლო აღმოსავლეთში არსებული გეოპოლიტიკური დაძაბულობები, მათ შორის ირან-საუდის არაბეთის კონფლიქტი, ისრაელ-პალესტინის დაპირისპირება, სირიისა და იემენის ომები, ასევე ენერგორესურსებზე დამოკიდებულება და გარე ძალების აქტიური ჩარევა ქმნის ისეთ უსაფრთხოების გარემოს, რომელიც საქართველოსთვის როგორც შესაძლებლობებით, ისე გამოწვევებითაა სავსე.

საქართველო, თავისი გეოსტრატეგიული მდებარეობის გამო, მოექცა დიდი ძალების

⁶ საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის წლიური ანგარიშები (2018–2023), <https://sur1.li/fbzopw> (გადამოწმებულია. 20.05.2025);

ინტერესთა გადაკვეთის წერტილში და ამავედროულად წარმოადგენს ტრანზიტულ დერეფანს დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის. ასეთ პირობებში, ახლო აღმოსავლეთში არსებული მერყევი უსაფრთხოების ფონი ქმნის რეალურ საფრთხეებს: უკანონო მიგრაცია, ტერორიზმის გავრცელების რისკი, იარაღის ტრანზიტი, ჰიბრიდული და საინფორმაციო ომები, ასევე ენერგოუსაფრთხოების კრიზისები.

მიუხედავად ამისა, საქართველომ უნდა ისარგებლოს თავისი ადგილმდებარეობითა და პარტნიორული კავშირებით. რეგიონული თანამშრომლობის გაღრმავება, საერთაშორისო სტრუქტურებთან, როგორცაა: ნატო, ევროკავშირი, გაერო; ასევე ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიის მუდმივი განახლება წარმოადგენს საჭირო და რეალისტურ ნაბიჯებს სტაბილურობის შესანარჩუნებლად.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ საქართველომ უნდა გააძლიეროს თავისი ინსტიტუციური მდგრადობა, გააფართოოს სტრატეგიული პარტნიორობები და განავითაროს მრავალდონიანი უსაფრთხოების სისტემა, რომელიც არა მხოლოდ რეაგირებას, არამედ რისკების პრევენციასაც ითვალისწინებს. ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე პროცესები უნდა შეისწავლებოდეს სისტემატურად, ხოლო ამ რეგიონის გამოწვევები საქართველოს უსაფრთხოების დღის წესრიგში მუდმივად უნდა იყოს პრიორიტეტულად განსაზღვრული.

ბიბლიოგრაფია

- საქართველოს თავდაცვის სამინისტრო. (2023). საქართველოს თავდაცვის სტრატეგია და გარე საფრთხეების ანალიზი. <https://mod.gov.ge/enanner-E.swf> (გადამოწმებულია 20.05.2025);
- საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის წლიური ანგარიშები (2018–2023) <https://ssg.gov.ge/uploads/%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%92%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A8%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%A3%E1%83%A1%20%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%92%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A8%E1%83%98%202023.pdf> (გადამოწმებულია 20.05.2025);
- Byman, D. (2020). Road Warriors: Foreign Fighters in the Armies of Jihad. Oxford University Press;
- Gause, F. G. (2014). Beyond Sectarianism: The New Middle East Cold War. Brookings Institution. <https://www.brookings.edu/wp-content/uploads/2016/06/English-PDF-1.pdf> (გადამოწმებულია 20.05.2025);
- Cornell, S. E., & Starr, F. (2006). The Baku-Tbilisi-Ceyhan Pipeline: Oil Window to the West. Central Asia-Caucasus Institute. https://www.silkroadstudies.org/resources/pdf/Monographs/2005_01_MONO_Starr-Cornell_BTC-Pipeline.pdf (გადამოწმებულია 20.05.2025);
- NATO (2023). Annual Report on Regional Security Environment. https://www.nato.int/nato_static_fl2014/assets/pdf/2024/3/pdf/sgar23-en.pdf (გადამოწმებულია 20.05.2025);
- UNODC (2022). World Drug Report – Chapter on Middle East Transit Routes. https://www.unodc.org/res/wdr2022/MS/WDR22_Booklet_1.pdf (გადამოწმებულია 20.05.2025).

სტაბილურობა ახლო აღმოსავლეთში და საქართველოს უსაფრთხოების გამოწვევები დემოგრაფიული ფაქტორების გათვალისწინებით

ვიცე-პოლკოვნიკი ზვიადი აბუთიძე

სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის
საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის
ბაკალავრიატის საინჟინრო მექანიკის მიმართულების უფროსი,
ინჟინერ-ქიმიკოს-ტექნოლოგის მაგისტრი
თავდაცვა და უსაფრთხოების მაგისტრი

აბსტრაქტი

საქართველო ბოლო 35 წლის განმავლობაში მრავალი გამოწვევის წინაშე იდგა, რომელთაგან ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი დემოგრაფიული ცვლილებებია. შობადობის კლების, შრომისუნარიანი მოსახლეობის მასობრივი ემიგრაციისა და ახლო აღმოსავლეთიდან იმიგრაციის ზრდის ტენდენციები, რაც გეოპოლიტიკური პროცესებით არის განპირობებული, მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ქვეყნის ეროვნულ უსაფრთხოებაზე. სტატიაში გაანალიზებულია დემოგრაფიული პროცესების ზეგავლენა საქართველოს უსაფრთხოების სისტემაზე, გამოკვეთილია მიგრაციით წარმოქმნილი საფრთხეები და განხილულია სტრატეგიული ნაბიჯები, რომლებიც მიზნად ისახავს აღნიშნული გამოწვევების დაძლევას. ყურადღება დაეთმო ასევე პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ შედეგებს, რომლებიც თან ახლავს ამ პროცესებს. სტატია გვთავაზობს კონკრეტულ სამოქმედო გეგმებს როგორც მოკლე, ისე გრძელვადიანი პერსპექტივისთვის, რაც კრიტიკულად მნიშვნელოვანია საქართველოს დემოგრაფიული და ეროვნული უსაფრთხოების სტაბილურობის უზრუნველსაყოფად. დემოგრაფიული გამოწვევები, როგორიცაა შობადობის კლება, შრომისუნარიანი მოსახლეობის გადინება და უკონტროლო იმიგრაცია, ქმნიან სტრუქტურულ რისკებს. თუ სახელმწიფოს არ ექნება პროაქტიური დემოგრაფიული პოლიტიკა და ეფექტური მიგრაციის მენეჯმენტის მექანიზმები, ეს შეიძლება გადაიზარდოს უსაფრთხოების სისტემურ კრიზისში. შესაბამისად, აუცილებელია სახელმწიფოს დროული და მიზნობრივი ქმედებები, რათა უზრუნველყოს გრძელვადიანი სტაბილურობა და უსაფრთხოება.

საკვანძო სიტყვები: ახლო აღმოსავლეთი, დემოგრაფიული ცვლილებები, მიგრაცია, ემიგრაცია, იმიგრაცია, ეროვნული უსაფრთხოება.

STABILITY IN THE MIDDLE EAST AND GEORGIA'S SECURITY CHALLENGES IN THE CONTEXT OF DEMOGRAPHIC FACTORS

Lieutenant Colonel Zviadi Abutidze

Head of Bachelor Program of Mechanical Engineering of
LEPL - Davit Agmashenebeli National Defense Academy of Georgia,
Master of Engineer-Chemist-Technologist
Master of Defense and Security

Abstract

Over the past 35 years, Georgia has faced a series of profound challenges, among which demographic transformations are particularly critical. Declining birth rates, the large-scale emigration of the working-age population, and rising immigration from the Middle East—shaped by ongoing geopolitical developments—have significantly influenced the country's national security environment. This paper explores the impact of demographic trends on Georgia's security system, identifies key threats emerging from migration processes, and evaluates strategic policy options to address these issues. Special attention is given to the political, economic, and social consequences of these developments. The study presents concrete action plans for both the short and long term, which are vital for maintaining demographic balance and national security. Structural risks posed by declining fertility, workforce outflow, and unregulated immigration require a proactive state response. Without a coherent demographic policy and effective migration management framework, these trends may evolve into a systemic security crisis. Therefore, timely and targeted government action is imperative to ensure long-term stability and national resilience.

Keywords: Middle East, demographic changes, migration, emigration, immigration, national security.

შესავალი

საქართველოს დემოგრაფიული სტრუქტურა და მიგრაციული პროცესები მნიშვნელოვან როლს თამაშობენ ქვეყნის უსაფრთხოების არქიტექტურის ჩამოყალიბებაში. ბოლო სამი ათწლეულის განმავლობაში, შობადობის მუდმივმა შემცირებამ და შრომისუნარიანი მოსახლეობის მასობრივმა მიგრაციამ მნიშვნელოვნად შეასუსტა ქვეყნის სოციალური და ეკონომიკური სტაბილურობა. ამ პროცესებს ამძიმებს ახლო აღმოსავლეთში გეოპოლიტიკური კრიზისების ფონზე იმიგრაციის მზარდი ტალღა, რაც უსაფრთხოების ახალი ტიპის საფრთხეებს ქმნის, როგორც სოციალურ ინტეგრაციასთან დაკავშირებული პრობლემებიდან დაწყებული, ასევე სახელმწიფო რესურსების დატვირთვის ჩათვლით.

დემოგრაფიული დინამიკის ანალიზი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ხდება, როდესაც ის უსაფრთხოების თვალსაზრისით განიხილება. ქვეყნიდან მიგრაცია, შობადობის შემცირება, მოსახლეობის დაბერება და საზღვარგარეთიდან არარეგულირებადი იმიგრაცია შეიძლება სისტემურ კრიზისად გადაიზარდოს, თუ სახელმწიფო დროულად და მიზანმიმართულად არ მოახდენს რეაგირებას.

კვლევის მიზანია დემოგრაფიული ცვლილებების გავლენის ანალიზი საქართველოს ეროვნულ უსაფრთხოებაზე, განსაკუთრებით ახლო აღმოსავლეთის სტაბილურობისა და მიგრაციის ტენდენციების კონტექსტში. ასევე, მოსახლეობის სტრუქტურულ ცვლილებებთან დაკავშირებული ძირითადი რისკების გამოვლენა და პოლიტიკის დაგეგმვისა და სტრატეგიული რეაგირების რეკომენდაციების შეთავაზება.

ძირითადი ნაწილი

ახლო აღმოსავლეთი - წარმოადგენს გეოგრაფიულ და კულტურულ რეგიონს, რომელიც მოიცავს დასავლეთ აზიასა და ჩრდილოეთ აფრიკის ნაწილს. ეს ტერიტორია ცნობილია როგორც უძველესი ცივილიზაციების აკვანი, სადაც ჩამოყალიბდა მიწათმოქმედება, დამწერლობა და მსოფლიო რელიგიები - იუდაიზმი, ქრისტიანობა და ისლამი.¹



ახლო აღმოსავლეთის ქვეყნები:

- ეგვიპტე
- ისრაელი
- პალესტინა
- იორდანია
- სირია
- ლიბანი
- თურქეთი
- ირანი
- ერაყი
- საუდის არაბეთი
- არაბთა გაერთიანებული საამიროები
- იემენი
- ქუვეითი
- ღაზის სექტორი

სურ: 1 ახლო აღმოსავლეთი²

¹ ვიკიპედია, თავისუფალი ენციკლოპედია, https://en.wikipedia.org/wiki/Middle_East#/media/File:Middle_East_geographic_ge.jpg

² https://ka.wikipedia.org/wiki/ახლო_აღმოსავლეთი#/media/ფაილი:Middle_East_geographic_ge.jpg [წვდომის თარიღი: 1 მაისი 2025].

მიუხედავად იმისა, რომ ეგვიპტის ტერიტორიის უდიდესი ნაწილი აფრიკის კონტინენტზე მდებარეობს, მას ხშირად ახლო აღმოსავლეთის რეგიონის ნაწილად მიიჩნევენ მისი მჭიდრო ისტორიული და კულტურული კავშირების გამო.

რეგიონი გეოპოლიტიკურად სტრატეგიულია, საერთაშორისო მარშრუტებსა და ენერგორესურსებზე მდებარეობის გამო. ამიტომ, ახლო აღმოსავლეთი ხშირად საერთაშორისო ინტერესებისა და კონფლიქტების ეპიცენტრია.

ახლო აღმოსავლეთის სტაბილურობა

ერაყის კონფლიქტი - ერაყი 2003 წელს აშშ-ის სამხედრო ინტერვენციის შემდეგ პოლიტიკური არასტაბილურობის რეგიონად რჩება. ეთნიკური და რელიგიური კონფლიქტები, სუსტი მმართველობა და ტერორიზმის საფრთხე - განსაკუთრებით ISIS-ის გავლენით - რეგიონში უსაფრთხოების დესტაბილიზაციის მნიშვნელოვან ფაქტორებად რჩება.³

სირიის ომი (2011 წლიდან დღემდე) - კონფლიქტი XXI საუკუნის ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული ჰუმანიტარული კრიზისია. ასობით ათასი ადამიანი დაიღუპა და მილიონობით ადამიანი იძულებული გახდა მეზობელ ქვეყნებში, ევროპაში და ნაწილობრივ სამხრეთ კავკასიაში მიგრაცია გაეგრძელებინა. ომში ჩართულია არაერთი გლობალური და რეგიონული მოთამაშე - რუსეთი, აშშ, ირანი, თურქეთი - რაც კონფლიქტს გლობალურ განზომილებას ანიჭებს.⁴ სწორედ სირია გახდა ტერორისტული დაჯგუფება „ისლამური სახელმწიფოს“ (ISIS) გაჩენისა და გავრცელების კერა.

ავღანეთის კრიზისი (2021 წლიდან დღემდე) - აშშ-სა და ნატოს ძალების სწრაფი გასვლის შემდეგ, ქვეყანაში ხელისუფლებაში დაბრუნდა თალიბანი (ისლამური ფუნდამენტალისტური პოლიტიკურ-რელიგიური პრო-ჰუმტუნური მოძრაობა), რამაც შექმნა ადამიანის უფლებების დარღვევის და რეგიონული უსაფრთხოების მკვეთრი გაუარესების საფრთხე. ავღანეთიდან მიგრაციის ტალღამ გავლენა მოახდინა მეზობელ ქვეყნებზე, ირანზე, პაკისტანზე და ზოგიერთ შემთხვევაში კავკასიაზე.⁵

ისრაელ-პალესტინის კონფლიქტი, რომელიც რეგიონის ერთ-ერთი ყველაზე ხანგრძლივი კონფლიქტია, კვლავაც გავლენას ახდენს საერთაშორისო ურთიერთობებზე. 2023 წელს ჰამასის შეტევა და ისრაელის რეაქცია ღაზას სექტორში გამწვავდა, რამაც ათასობით ადამიანის სიკვდილი და რეგიონული დამაბულობის მკვეთრი ზრდა გამოიწვია.⁶

ირან-ისრაელის დაპირისპირება და ბირთვული საკითხი - ირანის ბირთვული პროგრამა და მისი რეგიონული აქტივობა (ლიბანში, სირიაში, ერაყში, იემენში) ზრდის ისრაელთან პირდაპირი სამხედრო დაპირისპირების რისკებს და მთლიანად რეგიონის დესტაბილიზაციას ახდენს.⁷

ლიბანის ეკონომიკური და პოლიტიკური კრიზისი - ლიბანი კრიტიკულ ეკონომიკურ და სოციალურ კოლაფსშია. ქვეყნის არასტაბილური მმართველობა და ჰეზბოლას პოლიტიკური და სამხედრო გავლენა ზრდის ირანის გავლენას და მეზობელ ქვეყნებში დესტაბილიზაციის პოტენციალს.⁸

3 T.C. Dışişleri Bakanlığı. 2023b. Orta Doğu Barış Süreci. Ankara. <https://www.mfa.gov.tr/orta-dogu-baris-sureci.tr.mfa> (წვდომის თარიღი: 30 აპრილი 2025).

4 T.C. Dışişleri Bakanlığı. 2023a. Türkiye'nin Orta Doğu ve Kuzey Afrika Ülkeleri ile İlişkileri. Ankara. https://www.mfa.gov.tr/turkiye_nin-ortadogu-ile-iliskileri.tr.mfa (წვდომის თარიღი: 30 აპრილი 2025).

5 Crisis Group, „The Taliban's Neighbourhood: Regional Diplomacy with Afghanistan“, https://www.crisisgroup.org/asia/south-asia/afghanistan/337-talibans-neighbourhood-regional-diplomacy-afghanistan?utm_source=chatgpt.com (წვდომის თარიღი: 30 აპრილი 2025).

6 T.C. Dışişleri Bakanlığı, „Türkiye'nin Orta Doğu ve Kuzey Afrika Ülkeleri ile İlişkileri“ (Ankara, 2023), https://www.mfa.gov.tr/turkiye_nin-ortadogu-ile-iliskileri.tr.mfa (წვდომის თარიღი: 30 აპრილი 2025).

7 T.C. Dışişleri Bakanlığı, „Orta Doğu Barış Süreci“ (Ankara, 2023), <https://www.mfa.gov.tr/orta-dogu-baris-sureci.tr.mfa> (წვდომის თარიღი: 30 აპრილი 2025).


8 T.C. Dışişleri Bakanlığı, „Ekonomi Gözlüğüyle Geniş Orta Doğu Projesi ve Türkiye“ (Ankara, 2023), <https://www.mfa.gov.tr/ekonomi-gozluguyle-genis-orta-dogu-projesi-ve-turkiye.tr.mfa> (წვდომის თარიღი: 30 აპრილი 2025).

ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე არასტაბილურობამ მიგრაციის მასშტაბური ტალღა გამოიწვია, რამაც მნიშვნელოვნად იმოქმედა როგორც დასავლეთ ევროპაზე, ასევე კავკასიის რეგიონზე. საქართველოსთვის არაბულ-მუსლიმური, არარეგულირებადი უსაფრთხოების სივრციდან მიგრაცია დემოგრაფიულ, სოციალურ და უსაფრთხოების გამოწვევას წარმოადგენს, რაც განსაკუთრებით შესამჩნევია მაშინ, როდესაც ეს მიგრაციული პროცესები არ არის მკაცრ კონტროლზე აყვანილი.

მიგრაცია, ემიგრაცია და იმიგრაცია - ძირითადი ცნებები:

დემოგრაფიული პროცესების გააზრებისას მნიშვნელოვანია მიგრაციის ძირითადი ფორმების - ემიგრაციისა და იმიგრაციის განსაზღვრა, რადგან ისინი პირდაპირ გავლენას ახდენენ ქვეყნის მოსახლეობის სტრუქტურასა და უსაფრთხოების გარემოზე.

მიგრაცია (ლათ. migratio - მიგრაცია) გულისხმობს ადამიანის გადაადგილებას ქვეყნის შიგნით ან მის საზღვრებს გარეთ, სხვადასხვა პერიოდის განმავლობაში - რამდენიმე საათიდან სიცოცხლის ბოლომდე. იგი მოიცავს საცხოვრებელი ადგილის შეცვლას, რაც გულისხმობს სტატისტიკურად აღრიცხული საზღვრების (ქალაქის, ქვეყნის და სხვა ადმინისტრაციული საზღვრების) გადაკვეთას. მიგრაციის სახეებია: მუდმივი, დროებითი, სეზონური, შიდა, გარე, იძულებითი და სხვა.⁹



სურ: 2.¹⁰

ემიგრაცია (ლათ. emigrare, გასვლა) არის უცხო ქვეყანაში მოკლე ან მუდმივი დროით გადასვლა პოლიტიკური, ეკონომიკური ან პირადი მიზეზების გამო. პოლიტიკური ემიგრაცია, როგორც წესი, რეპრესიულ რეჟიმთან ასოცირდება, ხოლო ეკონომიკური ემიგრაცია ხშირად გამოწვეულია უმუშევრობით, სიღარიბითა და დაბალი ხელფასებით.¹¹


„საქსტატის“ მონაცემებით, ბოლო 10 წლის განმავლობაში (2014-2023) ემიგრაციაში 815 608

⁹ ვიკიპედია, თავისუფალი ენციკლოპედია, <https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%92%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%90> [წვდომის თარიღი: 30 აპრილი 2025].

¹⁰ <https://idfi.ge/ge/statistics-of-migration-of-georgian-citizens> (წვდომის თარიღი: 1 მაისი 2025).

¹¹ ვიკიპედია, თავისუფალი ენციკლოპედია, <https://surl.li/xufig> (წვდომის თარიღი: 30 აპრილი 2025).

საქართველოს მოქალაქე წავიდა, ხოლო ქვეყანაში 265 ათასით ნაკლები - 550 919 საქართველოს მოქალაქე დაბრუნდა. 2022-2023 წლებში ემიგრაციაში 118 ათასით მეტი საქართველოს მოქალაქე წავიდა, ვიდრე სამშობლოში დაბრუნდა. ამავდროულად, საქართველოში 73,7 ათასი რუსეთის მოქალაქე დარჩა საცხოვრებლად. გაეროს მონაცემებით, 2020 წელს ემიგრაციაში საქართველოში დაბადებული 861 077 ადამიანი ცხოვრობდა. არსებული დინამიკის გათვალისწინებით, მათი რიცხვი 2024 წელს მილიონამდე გაიზრდება.¹²



იმიგრანტების რიცხოვნის მოქალაქეების მიხედვით

მოქალაქეობა	2024 წელი
ბარუნი	7
პალესტინის სახელმწიფო	20
ირანი, ისლამური რესპუბლიკა	839
ერაყი	57
ისრაელი	1 833
იორდანია	636
ქუვეიტი	17
ლიბანი	438
საუდის არაბეთი	154
სირიის არაბთა რესპუბლიკა	44
არაბთა გაერთიანებული საამიროები	20
აღუღეთი	5 214
აფიღანეთი	330
იგუბი	38
სულ	9 647
ჩინეთი	1 746
ინდოეთი	4 394
პაკისტანი	548
აღიანეთი	12
სულ	6 900
სხვა ქვეყნებიდან	53 774
სულ ჯამი	70 321

სურ: 3.¹³

იმიგრაცია (ლათ. immigrare - დასახლება) გულისხმობს უცხო ქვეყნის მოქალაქეების ან მოქალაქეობის არმქონე პირების ქვეყანაში შესვლას მუდმივი ან დროებითი ცხოვრების მიზნით. სუვერენულ სახელმწიფოს უფლება აქვს, გარკვეული პირობებით ნება დართოს იმიგრანტებს დარჩნენ მის ტერიტორიაზე, აუკრძალოს ქვეყანაში შესვლა ან გააძევოს ისინი თავისი საზღვრებიდან.¹⁴

იმიგრაციის ტენდენციები

საქართველო, როგორც სატრანზიტო ქვეყანა, შუა დერეფნის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს, რაც მას მზარდი მიგრაციული ნაკადების ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებად აქცევს. შუა დერეფანი, რომელიც ჩინეთს ევროპასთან ცენტრალური აზიის, კასპიის ზღვისა და სამხრეთ კავკასიის გავლით აკავშირებს, რუსეთის ჩრდილოეთ დერეფნის ალტერნატივად იქცა, განსაკუთრებით 2022 წლიდან, როდესაც რუსეთის უკრაინი ომის შედეგებმა ჩრდილოეთის მარშრუტის სანდოობა შეამცირა.¹⁵

12 ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი, „საქართველოს მოქალაქეების მიგრაციის სტატისტიკა“, <https://idfi.ge/ge/statistics-of-migration-of-georgian-citizens> [წვდომის თარიღი: 1 მაისი 2025].

13 <https://idfi.ge/ge/statistics-of-migration-of-georgian-citizens> [წვდომის თარიღი: 1 მაისი 2025].

14 ვიკიპედია, თავისუფალი ენციკლოპედია, <https://ka.wikipedia.org/wiki/იმიგრაცია> [წვდომის თარიღი: 30 აპრილი 2025].

15 ზვიადი აბუთიძე, „კავკასია გზაჯვარედინზე-რეგიონული სტაბილურობის გამოწვევები (შუა დერეფანი)“, სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია, ოფიცერთა სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის ნაშრომთა კრებული, გორი, 2023, გვ. 72-77. https://eta.edu.ge/uploads/konferenciebis_krebulebi/2023-11-29%20-%20კავკასია%20გზაჯვარედინზე%20რეგიონალური%20სტაბილურობის%20გამოწვევები.pdf [წვდომის თარიღი: 30 აპრილი 2025].

საქართველოს ლიბერალური სავიზო რეჟიმი და ევროკავშირთან დაახლოება მას მიგრანტებისთვის მიმზიდველ ქვეყნად აქცევს. შუა დერეფნის განვითარებამ საქართველო მნიშვნელოვან სატრანზიტო ცენტრად აქცია, რომელსაც ხშირად იყენებენ ახლო აღმოსავლეთიდან და აზიიდან მიგრანტები ევროპაში გადასასვლელად. გარდა ამისა, საქართველოს შედარებით სტაბილური ეკონომიკური და უსაფრთხოების გარემო ბევრ მიგრანტს ქვეყნის ტერიტორიაზე დარჩენის გადაწყვეტილებისკენ წააქეზებს.¹⁶

მიგრაციის ზრდამ გარკვეული გამოწვევები წარმოშვა. მიგრანტების ინტეგრაციის სირთულეები, კულტურული და რელიგიური განსხვავებები და ეკონომიკური უთანასწორობა ზრდის სოციალური დამაბულობის რისკს. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს ხელისუფლებამ განაგრძოს მიგრაციის მართვის პოლიტიკის დახვეწა და ხელი შეუწყოს მიგრანტების ეფექტურ ინტეგრაციას საზოგადოებაში.

საქართველოში თავშესაფრის მაძიებელთა მონაცემები 2024 წლის I კვარტლისთვის:¹⁷

სულ რეგისტრირებული: 379 პირი:

უკრაინა - 66
ინდოეთი - 51
ირანი - 45
თურქეთი - 43
პაკისტანი - 35
რუსეთი - 23
ერაყი - 15
იორდანია - 14
ნიგერია - 12
სირია - 10
ბელარუსი - 9
სხვა - 56

ლტოლვილის სტატუსი - 3:

ირანის მოქალაქე - 2
გაურკვეველი მოქალაქეობა - 1

სტატუსზე უარი ეთქვა - 158, მათ შორის:

თურქეთი - 33
ირანი - 29
პაკისტანი - 22
ნიგერია - 15
რუსეთი - 8
სხვა - 51

სტატუსი მიენიჭა:

ჰუმანიტარული სტატუსი - 11:
უკრაინელი - 9
ერაყის მოქალაქე - 1
გაურკვეველი მოქალაქეობა - 1

საქართველოდან გააძევეს - 59 უცხოელი, მათ შორის:

ერაყი - 11
ირანი - 7
აზერბაიჯანი, თურქეთი, ნიგერია, რუსეთი - 5-5
სხვა - 21

დროებით განთავსების ცენტრებში

განთავსდა - 45:

23 – აზერბაიჯანი - 23
10 – ჩინეთი - 10
6 – რუსეთი - 6
4 – თურქეთი - 4
1 – უკრაინა - 1
1 – სომხეთი - 1

¹⁶ საქსტატი (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური) [ელ. ფოსტით მოწოდებული მონაცემები, 6 მაისი, 2025].

¹⁷ ინტერპრესნიუსი, „სამართალი“, <https://surli.cc/ajrdgi> [გამოქვეყნების თარიღი: 25.04.2024]

დემოგრაფია და მისი გავლენა საქართველოს ეროვნულ უსაფრთხოებაზე

დემოგრაფია - შეისწავლის მოსახლეობის სტრუქტურას (სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურა, სიკვდილიანობისა და შობადობის მაჩვენებლები, მიგრაცია და ა.შ.) და მის კავშირს გარემო პირობებთან და სოციალურ-ეკონომიკურ სტატუსთან. ქვეყანაში დემოგრაფიული მდგომარეობა მნიშვნელოვანია, რადგან ის ეხმარება სახელმწიფოსა და საზოგადოებას უკეთ გაუმკლავდნენ მოსახლეობის ცვალებად საჭიროებებს, როგორცაა განათლების, ჯანდაცვის მოთხოვნა და ა.შ. დემოგრაფიული მდგომარეობის დასადგენად გამოიყენება ისეთი ინდიკატორები, როგორცაა მოსახლეობის ზომა, შობადობისა და სიკვდილიანობის მაჩვენებლები, სიცოცხლის ხანგრძლივობა, სქესობრივ-ასაკობრივი განაწილება, განათლების დონე, მიგრაცია.¹⁸

შრომისუნარიანი მოსახლეობის გადინება (ემიგრაციის ტალღა), რომელიც 2000-იანი წლებიდან მოყოლებული იზრდება, ქმნის შიდა შრომის ბაზრის დეფიციტს და ამცირებს ადამიანური რესურსების ხარისხს. ემიგრაცია განსაკუთრებულად აქტიურია ახალგაზრდებში და პროფესიონალ მუშახელში. შედეგად, სუსტდება ქვეყნის ეკონომიკური და სტრატეგიული მდგრადობა.

დღეს საქართველოში დემოგრაფიული მდგომარეობა მნიშვნელოვან გამოწვევებს წარმოადგენს. შობადობის შემცირებისა და მოსახლეობის მასობრივი ემიგრაციის ფონზე, განსაკუთრებით აქტუალურია დემოგრაფიული უსაფრთხოების საკითხი. ამ პროცესების შედეგად, მოსახლეობის ეთნიკური და ასაკობრივი შემადგენლობა არათანაბრად იცვლება, რამაც შეიძლება გამოიწვიოს სოციალური ბალანსის დარღვევა, რეგიონული უთანასწორობა და უსაფრთხოების სტრუქტურების გადატვირთვა.

გარდა ამისა, რეგიონში მიმდინარე გეოპოლიტიკური პროცესები, განსაკუთრებით ახლო აღმოსავლეთში კონფლიქტები და ეკონომიკური კრიზისები, იმიგრაციის ახალ ტალღებს წარმოქმნის, რაც დამატებით გამოწვევებს უქმნის საქართველოს, როგორც გარდამავალ, ასევე მიმღებ ქვეყანას, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც დემოგრაფიული ბალანსი ისედაც საფრთხის ქვეშაა.


აქედან გამომდინარე, დემოგრაფიული ანალიზი საქართველოში სტრატეგიული უსაფრთხოების დაგეგმვის განუყოფელი ნაწილი უნდა გახდეს.

დემოგრაფიული მონაცემები

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის (საქსტატი) მონაცემებით, 2024 წლის ბოლოსთვის საქართველოს მოსახლეობა დაახლოებით 3.7 მილიონ ადამიანს შეადგენდა. 2023 წელს შობადობის მაჩვენებელი ერთ ქალზე 1.5 შვილს შეადგენდა, რაც მოსახლეობის ბუნებრივი მატებისთვის საკმარისი არ არის. იმავე პერიოდში ქვეყნის მოსახლეობის დაახლოებით 20%-ი 65 წელზე მეტი ასაკის იყო, რაც მოსახლეობის დაბერების ტენდენციაზე მიუთითებს. მიგრაციის თვალსაზრისით, საქართველოდან ემიგრაცია 2023 წელს წინა წელთან შედარებით 12%-ით გაიზარდა, ძირითადად ეკონომიკური მიზეზების გამო. იმავე პერიოდში ქვეყანაში დაბრუნებულთა რაოდენობა შემცირდა, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ემიგრაციის ტენდენცია კვლავ აქტუალურია. ეს მონაცემები ხაზს უსვამს დემოგრაფიული გამოწვევების სერიოზულობას და სახელმწიფოს მიერ შესაბამისი პოლიტიკის გატარების აუცილებლობას მოსახლეობის სტაბილურობისა და უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.¹⁹

18 თათული დუშუაშვილი, „ცოტა რამ დემოგრაფიის შესახებ“, <https://surl.li/duoriw> [წვდომის თარიღი: 1 მაისი 2025].

19 საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, მიგრაცია, https://www.geostat.ge/index.php/ka/modules/categories/322/migratsia?utm_source=chatgpt.com [წვდომის თარიღი: 30 აპრილი 2025].



დიაგრამა 1.²⁰

შობადობის შემცირება და მისი სოციალური შედეგები საქართველოში შობადობის მაჩვენებელი 1990-იანი წლებიდან მოყოლებული იკლებს. ეს ტენდენცია განპირობებულია ეკონომიკური და სოციალური პრობლემებით, ურბანიზაციით, განათლების მიღების დაგვიანებით და ცხოვრების სტილის ცვლილებებით. დემოგრაფიული დაბერება იწვევს შრომისუნარიანი მოსახლეობის წილის შემცირებას, რაც პირდაპირ მოქმედებს ქვეყნის თავდაცვისუნარიანობაზე.

საქსტატის (საქართველოს ეროვნული სტატისტიკის სამსახურის) მონაცემებით: 1990 წელს საქართველოში შობადობის მაჩვენებელი 16,5% იყო, რაც იმას ნიშნავს, რომ 1990 წელს (ერთი კალენდარული წელი) ქვეყანაში ყოველ 1 000 მოსახლეზე საშუალოდ 16,5 ბავშვი დაიბადა. 2023 წლისთვის შობადობა 10,1%-მდე შემცირდა.²¹

დემოგრაფიული ცვლილებების ზეგავლენა უსაფრთხოებაზე

დემოგრაფიული ცვლილებები და მიგრაციული პროცესები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს საქართველოს უსაფრთხოების სისტემაზე. განსაკუთრებით დაუცველია რეგიონები, სადაც სოფლად მცხოვრები ხანდაზმული მოსახლეობის სიჭარბეა, ან მიგრანტების მაღალი კონცენტრაციაა. ასეთი რეგიონები შეიძლება გარე გავლენის სამიზნედ იქცეს, რაც ზრდის მათში უცხოური ძალების შეღწევის რისკს.

საქართველოს მიგრაციული პოლიტიკა ჯერ კიდევ შემუშავების პროცესშია. მიუხედავად იმისა, რომ 2021-2030 წლების მიგრაციის სტრატეგია მიზნად ისახავს მიგრაციის მართვის გაუმჯობესებას და მიგრანტების ინტეგრაციის ხელშეწყობას, პრაქტიკაში რეგისტრაციისა და სამართლებრივი სტატუსის საკითხები ხშირად გაუმჭვირვალეა. გარდა ამისა, სახელმწიფოს არ გააჩნია მიგრანტების ინტეგრაციისა და კონტროლის ყოვლისმომცველი სტრატეგია, რაც დამატებით უსაფრთხოების რისკებს ქმნის.²²

20 ntermedia.ge, საზოგადოება, საქართველოს მოსახლეობა წლების მიხედვით, <https://intermedia.ge/სტატია/176519-საქართველოს-მოსახლეობა-წლების-მიხედვით-1800-2024/19/>

21 საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, მოსახლეობა და დემოგრაფია, <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/316/mosakhleoba-da-demografia> [წვდომის თარიღი: 30 აპრილი 2025].

22 საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, საქართველოს მთავრობის დადგენილება N810, 30.12.2020., https://matsne.gov.ge/ka/document/view/5074437?utm_source=chatgpt.com&publication=0 [გამოქვეყნების თარიღი: 31 დეკემბერი 2020].

დემოგრაფიული გარდამავალი თეორიის თანახმად, შობადობისა და სიკვდილიანობის მაჩვენებლების ცვლილებები პირდაპირ გავლენას ახდენს საზოგადოებაში მიგრაციულ პროცესებზე. დევიდ კოულმენის მიერ აღწერილი მესამე დემოგრაფიული გარდამავალი პერიოდი მიუთითებს, რომ მიგრაციამ შეიძლება გამოიწვიოს მოსახლეობაში ეთნიკური, რელიგიური და კულტურული ცვლილებები, რაც განსაკუთრებით მგრძნობიარეა ისეთი პატარა ქვეყნებისთვის, როგორიც საქართველოა.²³

გამოწვევების წინააღმდეგ, ქვეყნის უსაფრთხოებისა და სოციალური სტაბილურობის უზრუნველსაყოფად აუცილებელია მიგრაციის მართვის სისტემის გაძლიერება, მიგრანტების ინტეგრაციის ხელშეწყობა და დემოგრაფიული პოლიტიკის გაუმჯობესება.

საქართველოს უვიზო რეჟიმი და დემოგრაფიულ-საფრთხისეული გამოწვევები

საქართველოს უვიზო რეჟიმი, რომელიც ამჟამად 90-ზე მეტი ქვეყნის მოქალაქეებს საშუალებას აძლევს, ქვეყანაში ერთი წლით უვიზოდ დარჩნენ, დიდწილად განსაზღვრავს მიგრაციის დინამიკას. ერთი მხრივ, ეს რეჟიმი ხელს უწყობს ეკონომიკურ ინტეგრაციას, ტურიზმისა და ინვესტიციების ზრდას, მაგრამ მეორე მხრივ, სერიოზულ გამოწვევებს ქმნის დემოგრაფიული სტაბილურობისა და ეროვნული უსაფრთხოების თვალსაზრისით. განსაკუთრებით იმ შემთხვევებში, როდესაც ქვეყანას უჭირს უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის მკაფიო მიგრაციის კონტროლისა და ინტეგრაციის პოლიტიკის განხორციელება. არსებული სამართლებრივი ჩარჩო არ ითვალისწინებს საკმარის მექანიზმებს იმიგრანტული ნაკადების კვალიფიციური მართვისთვის, რამაც შეიძლება გამოიწვიოს შიდა დემოგრაფიული ბალანსის დარღვევა. ეს საკითხი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საქართველოში შობადობის შემცირებისა და შრომისუნარიანი მოსახლეობის ემიგრაციის ფონზე, რაც ისედაც მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს.²⁴

რეკომენდაციები და სტრატეგიული ხედვა

საქართველოს სახელმწიფომ უნდა გააძლიეროს შობადობის ხელშეწყობის პოლიტიკა, რომელიც ეფუძნება დემოგრაფიული ანალიზსა და რეალურ მონაცემებზე დაფუძნებულ მიდგომებს. პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს ფინანსურ და სოციალურ სტიმულებს, მათ შორის ოჯახის სარგოების გაზრდას, მშობელთა შვებულების გაუმჯობესებას და მრავალშვილიანი ოჯახების საგადასახადო წახალისებას, განსაკუთრებით იმ სეგმენტებში, სადაც შობადობა განსაკუთრებით დაბალია.

იმიგრაციის მართვის თვალსაზრისით, მთავრობამ უნდა გაამკაცროს ქვეყანაში შესვლის სამართლებრივი ჩარჩო, განსაკუთრებით მაღალი რისკის მქონე ქვეყნებისთვის. პარალელურად, აუცილებელია მიგრანტების ინტეგრაციის მხარდამჭერი პროგრამების დანერგვა - ენობრივი სწავლება, პროფესიული მომზადება და კულტურული და საგანმანათლებლო მხარდაჭერა. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს იმ ჯგუფებს, რომლებიც ინტეგრაციის მაღალი ბარიერების წინაშე დგანან.

რეგიონული თანამშრომლობა მიგრაციის მართვის გაუმჯობესების მნიშვნელოვანი კომპონენტია. სამხრეთ კავკასიის ქვეყნებთან კოორდინაცია და ახლო აღმოსავლეთში არსებული კონფლიქტების მუდმივი ანალიზი საშუალებას მისცემს საქართველოს, დანერგოს ადეკვატური და დროული რეაგირების მექანიზმები. მიზანია მიგრაციის პოლიტიკის შემუშავება, რომელიც ერთდროულად დაიცავს ქვეყნის დემოგრაფიულ უსაფრთხოებას და

23 სულაბერიძე, ა. (2019). საქართველოს მოსახლეობის მიგრაცია მესამე დემოგრაფიული გადასვლის ფონზე, გლობალიზაცია და ბიზნესი, #8, გვ. 96-104. <https://doi.org/10.35945/gb.2019.08.011> [წვდომის თარიღი: 1 მაისი 2025].

24 საქართველოს მთავრობა, დადგენილება N255, 05.06.2015., „იმ ქვეყნების ჩამონათვალის დამტკიცების შესახებ, რომელთა მოქალაქეებსაც შეუძლიათ საქართველოში უვიზოდ შემოსვლა“ https://www.gov.ge/files/411_50007_255544_25550615.pdf (გამოქვეყნების თარიღი: 5 ივნისი 2015).

დააკმაყოფილებს ადამიანის უფლებების საერთაშორისო სტანდარტებს.

მოკლევადიანი ღონისძიებები

- ✓ იმიგრაციის მაღალი რისკის მქონე ქვეყნებისთვის სავიზო პოლიტიკის გამკაცრება.
- ✓ შობადობის სტიმულირების პროგრამების გაძლიერება: ფინანსური მხარდაჭერა და საგადასახადო შეღავათები.
- ✓ ინტეგრაციის პროგრამების დაწყება: ენის კურსები და შრომის ბაზარზე ხელშეწყობა.

გრძელვადიანი ღონისძიებები

- ✓ დემოგრაფიული სტრატეგიის ჩამოყალიბება 2050 წლისთვის.
- ✓ რეგიონული განვითარების ხელშეწყობა: სოფლებისა და მცირე ქალაქების გაძლიერება.
- ✓ ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის განახლება დემოგრაფიული რისკების გათვალისწინებით.

დასკვნა

კვლევამ აჩვენა, რომ საქართველოს უსაფრთხოების გარემო მჭიდრო კავშირშია როგორც გარე გეოპოლიტიკურ პროცესებთან, ასევე შიდა დემოგრაფიულ ტენდენციებთან. ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე კონფლიქტები და რეგიონული არასტაბილურობა, გლობალურ მიგრაციულ ტენდენციებთან ერთად, გავლენას ახდენს საქართველოზე, როგორც მიგრანტებისთვის სატრანზიტო და მიმზიდველ ქვეყანაზე.

ამავდროულად, შობადობის შემცირება და შრომისუნარიანი მოსახლეობის სტაბილური გადინება ზრდის ზეწოლას ქვეყნის შიდა დემოგრაფიულ და სოციალურ სტრუქტურაზე. ეს ფაქტორები საფრთხეს უქმნის როგორც ეკონომიკურ განვითარებას, ასევე სახელმწიფო ინსტიტუტების მდგრადობას, რაც მიუთითებს უსაფრთხოების პოლიტიკის გადახედვის აუცილებლობაზე. მიგრაცია, როგორც პროცესების ჯაჭვის მნიშვნელოვანი რგოლი, მოითხოვს სისტემურ ანალიზს და დაბალანსებულ მიდგომას, რომელიც რეაგირებს დემოგრაფიულ რეალობაზე, რეგიონულ საფრთხეებსა და გლობალურ ტენდენციებზე.

დასკვნის სახით, შეიძლება ითქვას, რომ თანამედროვე ეპოქაში დემოგრაფიულმა გამოწვევებმა უკვე გასცდა სოციალური განზომილების ფარგლებს და პირდაპირ კავშირშია სახელმწიფოს უსაფრთხოების დღის წესრიგთან. ამ მიმართულებით საქართველოს მიერ გადადგმული ნაბიჯები განსაზღვრავს ქვეყნის შესაძლებლობებს, გაუმკლავდეს გარეგავლენას, შეინარჩუნოს შიდა სტაბილურობა და მყარად დაიმკვიდროს თავისი ადგილი კავკასიურ და გლობალურ უსაფრთხოების ქსელში.

ბიბლიოგრაფია

- ზვიადი აბუთიძე, „კავკასია გზაჯვარედინზე-რეგიონული სტაბილურობის გამოწვევები (შუა დერეფანი)“, სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია, ოფიცერთა სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის ნაშრომთა კრებული, გორი, 2023, გვ. 72-77. https://eta.edu.ge/uploads/konferenciebis_krebulebi/2023-11-29%20-%20კავკასია%20გზაჯვარედინზე%20რეგიონალური%20სტაბილურობის%20გამოწვევები.pdf [წვდომის თარიღი: 30 აპრილი 2025];
- თათული დუშუაშვილი, „ცოტა რამ დემოგრაფიის შესახებ“, <https://surli.lu/ucklzy> [წვდომის თარიღი: 1 მაისი 2025];
- სულაბერიძე, ა. (2019). საქართველოს მოსახლეობის მიგრაცია მესამე დემოგრაფიული გადასვლის ფონზე, გლობალიზაცია და ბიზნესი, #8, გვ. 96-104. <https://doi.org/10.35945/gb.2019.08.011> [წვდომის თარიღი: 1 მაისი 2025];
- ვებგვერდი: ვიკიპედია, თავისუფალი ენციკლოპედია, <https://surli.cc/zrxosd> [წვდომის თარიღი: 1 მაისი 2025];

ვებგვერდი: ინტერპრესნიუსი, „სამართალი“, <https://surl.gd/auujcq> [გამოქვეყნების თარიღი: 25.04.2024];

ვებგვერდი: ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი, „საქართველოს მოქალაქეების მიგრაციის სტატისტიკა“, <https://idfi.ge/ge/statistics-of-migration-of-georgian-citizens> [წვდომის თარიღი: 1 მაისი 2025];

ვებგვერდი: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, მიგრაცია, <https://surl.li/hp-fknq> [წვდომის თარიღი: 30 აპრილი 2025];

ვებგვერდი: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, მოსახლეობა და დემოგრაფია, <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/316/mosakhleoba-da-demografia> [წვდომის თარიღი: 30 აპრილი 2025];

ვებგვერდი: საქართველოს მთავრობა, დადგენილება N255, 05.06.2015., „იმ ქვეყნების ჩამონათვალის დამტკიცების შესახებ, რომელთა მოქალაქეებსაც შეუძლიათ საქართველოში უვიზოდ შემოსვლა“ https://www.gov.ge/files/411_50007_255544_25550615.pdf [გამოქვეყნების თარიღი: 5 ივნისი 2015];

ვებგვერდი: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, საქართველოს მთავრობის დადგენილება N810, 30.12.2020., https://matsne.gov.ge/ka/document/view/5074437?utm_source=chatgpt.com&publication=0 [გამოქვეყნების თარიღი: 31 დეკემბერი 2020];

ვებგვერდი: Crisis Group, „The Taliban’s Neighbourhood: Regional Diplomacy with Afghanistan“, <https://surl.li/xyaoes> [წვდომის თარიღი: 30 აპრილი 2025];

ვებგვერდი: T.C. Dışişleri Bakanlığı. 2023b. Orta Doğu Barış Süreci. Ankara. <https://www.mfa.gov.tr/orta-dogu-baris-sureci.tr.mfa> [წვდომის თარიღი: 30 აპრილი 2025];

ვებგვერდი: T.C. Dışişleri Bakanlığı. 2023a. Türkiye’nin Orta Doğu ve Kuzey Afrika Ülkeleri ile İlişkileri. Ankara. https://www.mfa.gov.tr/turkiye_nin-ortadogu-ile-iliskileri.tr.mfa [წვდომის თარიღი: 30 აპრილი 2025];

ვებგვერდი: T.C. Dışişleri Bakanlığı, „Türkiye’nin Orta Doğu ve Kuzey Afrika Ülkeleri ile İlişkileri“ (Ankara, 2023), https://www.mfa.gov.tr/turkiye_nin-ortadogu-ile-iliskileri.tr.mfa [წვდომის თარიღი: 30 აპრილი 2025];

ვებგვერდი: T.C. Dışişleri Bakanlığı, „Orta Doğu Barış Süreci“ (Ankara, 2023), <https://www.mfa.gov.tr/orta-dogu-baris-sureci.tr.mfa> [წვდომის თარიღი: 30 აპრილი 2025];

ვებგვერდი: T.C. Dışişleri Bakanlığı, „Ekonomi Gözlüğüyle Geniş Orta Doğu Projesi ve Türkiye“ (Ankara, 2023), <https://www.mfa.gov.tr/ekonomi-gozluguyle-genis-orta-dogu-projesi-ve-turkiye.tr.mfa> [წვდომის თარიღი: 30 აპრილი 2025].

ინჯირლიკის საავიაციო ბაზის როლი ახლო აღმოსავლეთის უსაფრთხოებაში

პოლკოვნიკი მამუკა სამხარაძე
სამეთაურო სასტაბო კოლეჯის თავდაცვისა და ეროვნული
უსაფრთხოების კურსის უფროსი ინსტრუქტორი

მაიორი ალექსი გელაშვილი
სამეთაურო-სასტაბო კოლეჯის მსმენელი

აბსტრაქტი

წინამდებარე სტატიის მიზანს წარმოადგენს შეისწავლოს ინჯირლიკის საჰაერო ბაზის ფუნქციური დატვირთვა და როლი ახლო აღმოსავლეთის უსაფრთხოების არქიტექტურაში. ბაზის სტრატეგიული მდებარეობა, ტექნოლოგიური შესაძლებლობები და პოლიტიკურ-დიპლომატიური კონტექსტი განხილულია როგორც ურთიერთდამოკიდებული პარამეტრები, რომლებიც განსაზღვრავენ მის ფუნქციურ მნიშვნელობას და ეფექტურობას. ნაშრომი იკვლევს მისი დაარსებიდან დღემდე ბაზის ტრანსფორმაციას და ჩართულობის ფორმებს გლობალური და რეგიონალური მნიშვნელობის სამხედრო ოპერაციებში, ბაზის გავლენას რეგიონალურ ძალთა ბალანსზე და მნიშვნელობას ნატოსა და ამერიკისათვის. ასევე განიხილება ინჯირლიკის ჩანაცვლების შესაძლო ალტერნატივები. სტატია ასკვნის, რომ თურქული დიპლომატიური მეთოდიკისა და პოლიტიკური მერყეობის მიუხედავად, ინჯირლიკის ბაზა ინარჩუნებს სტრატეგიულ და ოპერატიულ მნიშვნელობას, თუმცა აუცილებელია რეგიონში არსებული სხვა ბაზების განვითარებაც, რაც შეამცირებს ინჯირლიკის ბაზაზე დამოკიდებულობას. ინჯირლიკის საჰაერო ბაზის უნიკალობს განსაზღვრავს როგორც მისი გეოგრაფიული მდებარეობა, ასევე მასზე განლაგებული და მისი დამხმარე სხვა მცირე ბაზები.

სტატია ემსახურება უსაფრთხოების მომართულებით საქართველოს უშუალო სიახლოვეს, მათ შორის სტრატეგიული პარტნიორების ჩართულობით, მიმდინარე პროცესების შესწავლის ხელშეწყობას, მიზნობრივ აუდიტორიად კი შესაძლებელია მიჩნეული იქნას საბაკალავრო-სამაგასტრო პროგრამების სტუდენტები (იუნკერები, მსმენელები).

საკვანძო სიტყვები: ინჯირლიკი, აშშ, თურქეთის რესპუბლიკა, საჰაერო ბაზა, ახლო აღმოსავლეთი, უსაფრთხოება, რეგიონი.

THE ROLE OF INCIRLIK AIR BASE IN MIDDLE EAST SECURITY

Colonel Mamuka Samkharadze

Senior Instructor of the Defense and National Security
Course of Command and Staff College

Major Alexi Gelashvili

Learner of the Command and Staff College

Abstract

The purpose of this article is to examine the functional role of the Incirlik Air Base in the Middle East security architecture. The strategic location of the base, technological capabilities and political-diplomatic context are considered as interdependent parameters that determine its functional importance and effectiveness. The paper examines the transformation of the base from its inception to the present day and the forms of involvement in military operations of global and regional importance, the impact of the base on the regional balance of power and its importance for NATO and the United States. Possible alternatives to replace Incirlik are also discussed. The article concludes that despite Turkish diplomatic methods and political vacillations, Incirlik base retains strategic and operational importance, however, it is necessary to develop other bases in the region, which will reduce dependence on Incirlik base. The uniqueness of Incirlik Air Base is determined by both its geographical location and the other smaller support bases located near it.

The article serves to facilitate the study of ongoing processes in close vicinity of Georgia, including the involvement of strategic partners, with a security focus. The target audience can be considered to be students of bachelor's and master's degree programs.

Keywords: Incirlik, USA, Republic of Turkey, air base, Middle East, security, region.

შესავალი

ინჯირლიკის საჰაერო ბაზა წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან სამხედრო ინფრასტრუქტურულ წერტილს, რომელიც მნიშვნელოვნად აყალიბებს ამერიკის შეერთებული შტატებისა და ნატოს სამხედრო ძალების შესაძლებლობებს ახლო აღმოსავლეთის გეოპოლიტიკურად დაძაბულ გარემოში. იგი მდებარეობს თურქეთის სამხრეთ ნაწილში, ადანას პროვინციაში და უზრუნველყოფს ოპერატიულ წვდომას სამხრეთ კავკასიასთან, ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტურ ზონებთან და ხმელთაშუა ზღვის რეგიონთან. ბაზა წარმოადგენს მთავარ საყრდენ წერტილს ნატოს სამხრეთ ფლანგზე და მნიშვნელოვან ბმულს ევროპასა და ახლო აღმოსავლეთს შორის, რომელიც ფართოდ გამოიყენება სამხედრო მოქმედებებში.

ბაზის ფუნქცია დროთა განმავლობაში პერიოდულად ტრანსფორმირდა - დაწყებული ცივი ომის ეპოქის დაზვერვისა და ბირთვული შეკავების სისტემით, დამთავრებული XXI საუკუნის ქსელურ-ციფრული ოპერაციული ჩარჩოებით, რომელიც მოიცავს დრონების ბაზირებას, C4ISR (Command - მართვა, Control - კონტროლი, Communication - კომუნიკაცია, Computers - კომპიუტერული სისტემები, Intelligence - დაზვერვა, Surveillance - მეთვალყურეობა, Reconnaissance - რეგოგნოსცირება) სისტემებს და კიბერუსაფრთხოების კომპონენტებს. ამ ტრანსფორმაციამ ინჯირლიკს მიაწია ტექნოლოგიური და ოპერატიული მოქნილობა, რაც აძლიერებს როგორც კოლექტიური, ისე ორმხრივი სტრატეგიული ძალისხმევის ეფექტიანობას რეგიონში.

ამასთანავე, აშშ-თურქეთის ურთიერთობები, რომლებიც სხვადასხვა პერიოდებში დაძაბულობით ხასიათდებოდა, ხშირად აყენებდა კითხვის ნიშნის ქვეშ ბაზის სტატუსს. 2003 წელს ერაყის ომის პერიოდში და 2016 წლის სამხედრო გადატრიალების მცდელობის ფონზე ბაზის ფუნქციონირება დროებით შეიზღუდა ან გახდა პოლიტიკური დავის საგანი. მსგავსი ვითარება შეიქმნა 2019 წელს, როდესაც თურქეთმა რუსეთისგან შეიძინა S-400-ების ბატარეა, რის საპასუხოდაც ამერიკამ F-35-ების პროექტიდან გარიცხა და სანქციები დაუწესა. ამ შემთხვევაშიც ინჯირლიკის ბაზა გახდა პოლიტიკური მანევრების საგანი. მიუხედავად ამისა, ინჯირლიკმა შეინარჩუნა თავისი როლი როგორც გლობალურ, ისე რეგიონულ უსაფრთხოების არქიტექტურაში და დღემდე წარმოადგენს დამაკავშირებელ წერტილს დასავლურ სამხედრო და პოლიტიკურ სტრატეგიებს შორის.

1. ბაზის ისტორია

ინჯირლიკის საჰაერო ბაზის ისტორია ნათლად ასახავს გლობალურ გეოპოლიტიკურ ცვლილებებს და დასავლური სამხედრო სტრატეგიის განვითარებას ახლო აღმოსავლეთის კონტექსტში. მისი ჩამოყალიბება და ტრანსფორმაცია მჭიდროდ უკავშირდება საერთაშორისო ძალთა ბალანსის დინამიკას, ტექნოლოგიურ პროგრესსა და რეგიონულ კრიზისებზე რეაგირების უნარს. ამ ისტორიის საწყისს წარმოადგენს 1943 წლის ქაიროს მე-2 სამშვიდობო კონფერენცია, სადაც შეერთებულმა შტატებმა პირველად წამოჭრა თურქეთის სტრატეგიული გამოყენების იდეა, როგორც პლატფორმისა, საბჭოთა კავშირის შემაკავებელი პოლიტიკისთვის. 1951 წელს აშშ-თურქეთს შორის გაფორმებული ორმხრივი შეთანხმებით დაიწყო ინჯირლიკის ბაზის მშენებლობა. თავდაპირველად ცნობილმა როგორც Adana Air Base, ბაზამ მალევე მიიღო დღევანდელი სახელწოდება — İncirlik Air Base (1955). მისი საწყისი ფუნქცია მოიცავდა დაზვერვით ოპერაციებს და სტრატეგიულ საჰაერო მხარდაჭერას ნატოს სამხრეთ ფლანგზე. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო Lockheed U-2 ტიპის თვითმფრინავების ბაზირება, რომლებიც ასრულებდნენ სადაზვერვო მისიებს საბჭოთა კავშირის მიმართულებით.

1958 წელს, ლიბანში აშშ-ის ინტერვენციისას ბაზა გამოიყენეს როგორც რეგიონული საჰაერო საყრდენი წერტილი ოპერატიული დანაყოფების გადასროლისთვის. ეს იყო საკ-

ვანძო მოვლენა, რის შედეგადაც ინჯირლიკი გადაიქცა პრაქტიკულ პლატფორმად ახლო აღმოსავლეთში.

1960-იანი წლებიდან ბაზა NATO-ის ინფრასტრუქტურულ ქსელში ინტეგრირდა და განთავსდა აშშ-ის ტაქტიკური ბირთვული იარაღი. ამით განისაზღვრა მისი როლი, როგორც ბირთვული შეკავების კომპონენტის. ამავე პერიოდში მოხდა საჰაერო მონიტორინგისა და რადარების სისტემების განახლება, რასაც დაემატა მარაგების და საწვავის შენახვის ინფრასტრუქტურა.

1991 წელს, მიუხედავად იმისა, რომ თურქეთმა თავი შეიკავა სრულფასოვანი ჩართულობისგან, ინჯირლიკმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ოპერაცია „უდაბნოს ქარიშხალში.“ იგი უზრუნველყოფდა ჩრდილოეთ ერაყის მიმართულებით საჰაერო და სადაზვერვო მხარდაჭერას. ამავე პერიოდში ბაზამ განიცადა ასაფრენი ბილიკების და სატვირთო პლატფორმების მოდერნიზაცია, რათა მიეღო C-17 კლასის ავიაცია.

2001 წლის 11 სექტემბერს განხორციელებული ტერაქტების შემდეგ, ავღანეთში განხორციელებულ ოპერაციებში ბაზამ შეიტანა ლოჯისტიკური ჰაბის როლი და ასრულებდა ძალთა გადასროლის, ტვირთებისა და მარაგების გადაზიდვის ოპერაციებს. ასევე მონაწილეობდა ჰუმანიტარული ტვირთების გატარებაში და შეასრულა ISR მხარდაჭერის ფუნქციები.

2002–2003 წლებში განხორციელდა მასშტაბური ინფრასტრუქტურული განახლება. მოეწყო საწვავის სისტემები დატერმინალები, გაძლიერდა ტვირთბრუნვის ქსელი. 2003 წელს, ერაყის ომთან დაკავშირებით, თურქეთის პარლამენტის უარის ფონზე (62,000 ამერიკელი ჯარისკაცის გადასროლაზე), ბაზა მაინც წარმატებით გამოიყენეს საჰაერო და სადაზვერვო ოპერაციებისთვის.

2005–2008 წლებში ტექნოლოგიური მოდერნიზაცია შევიდა ახალ ფაზაში: ბაზაზე ინტეგრირდა C4ISR სისტემა, რომელმაც შესაძლებელი გახადა რეალურ დროში ინფორმაციის შეგროვება, ანალიზი და გადაცემა. ამან გაზარდა მისი შესაბამისობა NATO-ს ქსელთან. ასევე განახლდა საკომუნიკაციო და მონაცემთა უსაფრთხოების მექანიზმები.

2010–2013 წლებში განხორციელდა დრონების ბაზირების ინფრასტრუქტურის განვითარება, რაც გახდა საფუძველი 2014 წელს დაწყებული ოპერაცია „მტკიცე მხარდაჭერის“ მთავარი საყრდენი. ინჯირლიკზე განლაგდა MQ-1 Predator და MQ-9 Reaper პლატფორმები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს ISIS-ის წინააღმდეგ მიზნობრივ დარტყმებში.

2015 წლის შემდეგ, როდესაც რუსეთმა გააძლიერა თავისი სამხედრო ყოფნა სირიაში და სრულად დაიკავა ხმელმისის საჰაერო ბაზა და ტარტუსის საზღვაო პუნქტი, ინჯირლიკის საჰაერო ბაზამ ნატოსთვის რეგიონში სტრატეგიული საპირწონე ბალანსის შენარჩუნების ფუნქცია შეიტანა. ამ ფონზე გაიზარდა როგორც ISR ოპერაციების მოცულობა, ისე ინფორმაციის ინტეგრაციის და მონაცემთა გადამუშავების შესაძლებლობები.

2016 წელს, თურქეთში განხორციელებული სამხედრო გადატრიალების მცდელობის ფონზე ბაზის ფუნქციონირება დროებით შეიზღუდა. აშშ-თურქეთის ურთიერთობის გაუარესებამ გამოიწვია ბაზის უსაფრთხოების სისტემების გადახედვა: განახლდა პერიმეტრის დაცვის, ვიდეო ზედამხედველობის და ბაზაზე შეჭრის საწინააღმდეგო მექანიზმები.

2017–2019 წლებში, თურქული საზოგადოების ანტიამერიკული განწყობების ზრდა, რუსეთისგან S-400-ების შეძენა და F-35 პროექტიდან თურქეთის გარიცხვა კიდევ უფრო ასუსტებდა ორმხრივ თანამშრომლობასა და ნდობას. მიუხედავად ამისა, ბაზის ოპერატიული ფუნქციები შენარჩუნდა.

2020-იანი წლების დასაწყისიდან, ალტერნატიული ბაზების (მაგ. მუაფაკ სალტი იორდანიაში) განვითარების ფონზე, ინჯირლიკმა შეინარჩუნა მთავარი ჰაბის როლი. ამავდროულად, 2022–2023 წლებში განახლდა პერსონალის უსაფრთხოების სისტემა -

ბიომეტრიული კონტროლი და ვენტილაცია პოსტ-პანდემიურ პერიოდში.

2023–2024 წლებში, ბაზაზე დამონტაჟდა უახლესი ვირტუალური რეალობის (VR) სისტემები, რომლებიც გამოიყენება საჰაერო მოძრაობის კონტროლისთვის და საფრენ ტრაექტორიებზე რეაგირებისთვის. სისტემები შემუშავებულია ამერიკულ-გერმანული კომპანია UFA Inc.-ის მიერ, ხელს უწყობს საფრთხის ოპერატიულ გამოვლენას და აუმჯობესებს რეაგირების სიზუსტეს კრიზისულ გარემოში.

2025 წელს, NATO-ს სტრატეგიულ კონცეფციაში ინჯირლიკი კვლავ მოიაზრება როგორც გარე მოქმედების საპასუხო პლატფორმა, რომელიც აერთიანებს EUCOM-სა და CENTCOM-ს შორის რესურსების მარშრუტიზაციის ფუნქციებს. ეს ხაზს უსვამს იმას, რომ ბაზა არ არის მხოლოდ რეგიონული კერა, არამედ გლობალური ოპერაციული ქსელის ფუნქციური კომპონენტი.

აღნიშნული ოპერაციები აჩვენებს, რომ ინჯირლიკის როლი დროის შესაბამისად შეიცვალა, თუმცა კვლავ ინარჩუნებს მის მნიშვნელობას, რომელიც შეიძლება მოერგოს როგორც ტრადიციულ საომარ კამპანიებს, ისე ჰიბრიდულ და ტაქტიკურ ჩარევას რეგიონში.

2. ბაზის შესაძლებლობები

ინჯირლიკის საჰაერო ბაზის ღირებულება რეგიონულ უსაფრთხოებაში პირველ რიგში განისაზღვრება იმ ოპერატიულ-ტექნიკური კომპონენტებით, რომლებიც მას აქცევს უმნიშვნელოვანეს პლატფორმად ახლო აღმოსავლეთის გეოპოლიტიკურად დაძაბულ სივრცეში. ბაზაზე განლაგებული ინფრასტრუქტურა, სისტემები და ტექნოლოგიური ქსელი მიმართულია სწრაფი რეაგირების, ISR შესაძლებლობების და ინტეგრირებული თავდაცვითი მოქმედებების ეფექტურად განხორციელებისკენ. ქვემოთ წარმოდგენილია მისი ძირითადი შესაძლებლობები, რომლებიც განსაზღვრავენ მის სტრატეგიულ ფუნქციურობას რეგიონში.

ინჯირლიკის ბაზას გააჩნია სრულად ოპტიმიზებული ასაფრენი ბილიკი, რომელიც აკმაყოფილებს მძიმე კატეგორიის ავიაციის საჭიროებებს. ბაზა ტექნიკურად მორგებულია ისეთი პლატფორმების მიღებაზე, როგორიცაა C-17 Globemaster III, C-130 Hercules, KC-135 Stratotanker, ხოლო საჭიროების შემთხვევაში შეუძლია მიიღოს B-52 და B-1 კლასის ბომბდამშენებიც. ოპერაციების კოორდინაციას ახორციელებს საჰაერო მართვის ოპერაციული ცენტრი (AOC), რომელიც უზრუნველყოფს რეგიონში მიმდინარე საჰაერო მისიის მართვას ცვალებად ოპერატიულ პირობებში. ინფრასტრუქტურა მოიცავს ტვირთისა და საწვავის ტერმინალებს, რომლებიც მორგებულია ერთდროული მისიების მხარდაჭერაზე. მუდმივი მეტეოროლოგიური ანალიზი ბაზის ფუნქციურობას აფერხებს მინიმალურად და უზრუნველყოფს ოპერაციების უწყვეტ რეჟიმში წარმართვას.

C4ISR სისტემები, რომლითაც აღჭურვილია ბაზა, უზრუნველყოფს მართვისა და კონტროლის, საკომუნიკაციო და დაზვერვითი ოპერაციების კოორდინაციას რეგიონულ დონეზე. ბაზაზე მოქმედებს სადაზვერვო სიგნალების დამუშავების ერთეული, რომელიც სინქრონიზებულია როგორც ნატოს ინტეგრირებულ მონაცემთა ქსელთან, ისე ამერიკული სამეთაურო ცენტრებთან. ISR ოპერაციების ტექნიკური ინტეგრაცია ეფუძნება სატელიტურ საკომუნიკაციო არხებსა და Link 16 მონაცემთა გადაცემის პროტოკოლს, რაც საშუალებას იძლევა რეალურ დროში გავრცელდეს ინფორმაცია სადაზვერვო წყაროებიდან ტაქტიკურ და ოპერატიულ დონეზე. განსაკუთრებით აქტიურად გამოიყენება ეს შესაძლებლობები თურქეთის სამხრეთ საზღვართან მიმდინარე მოვლენებზე დაკვირვებისთვის, სადაც საჭირო ხდება მყისიერი რეაგირება ან სამიზნის იდენტიფიცირება რეგიონულ ჩარევამდე.

ინჯირლიკის ბაზა უზრუნველყოფს MQ-1 Predator და MQ-9 Reaper ტიპის უპილოტო საფრენი აპარატების სრულფასოვან მხარდაჭერას, მათ შორის გაშვების, მართვისა და

ტექნიკური მომსახურების შესაძლებლობებით. მისი გეოგრაფიული მდებარეობა სირიასა და ერაყთან მიმართებაში, ქმნის ოპტიმალურ პირობებს საწვავის ეკონომიური მოხმარებისთვის და დრონების მიერ ოპერატიული ზეწოლის ეფექტურად განხორციელებისთვის. ბაზა მოქმედებს როგორც საკვანძო ჰაბი ISR ოპერაციებისთვის, დაკავშირებულია როგორც EUCOM-ის, ისე CENTCOM-ის სადაზვერვო ქსელებთან და უზრუნველყოფს რეალურ დროში კოორდინაციის შესაძლებლობებს. სწორედ ამ ინფრასტრუქტურის მეშვეობით ხორციელდება იმპროვიზებული ISR ოპერაციები, განსაკუთრებით ISIS-ის დარჩენილი სტრუქტურების მონიტორინგის მიზნით რეგიონში.

ინჯირლიკი ფუნქციონირებს როგორც მონაცემთა დაცული კვანძი, რომელიც ემსახურება რეგიონული ოპერაციების მონაცემთა უსაფრთხოებას. ბაზაზე მოქმედებს კიბერუსაფრთხოების ოპერატიული რეაგირების უჯრედი, რომელიც მიზნად ისახავს ოპერატიულ დონეზე კიბერუსაფრთხოების დარღვევის პრევენციას. მონაცემთა გადამუშავება ხდება NATO-ს სტანდარტების შესაბამისად. ბაზის სერვერული ჰაბები ოპტიმიზებულია როგორც ISR, ასევე ლოჯისტიკური მონაცემების სწრაფად დამუშავებისა და გამოყენებისთვის.

ბაზაზე დანერგილი ვირტუალური რეალობის სისტემა განკუთვნილია საჰაერო მოძრაობის მართვის, საფრენ ტრაექტორიებზე რეაგირების და ტრანსპორტირების უსაფრთხოების ტრენინგისთვის. აღნიშნული ტექნოლოგია არა მხოლოდ ზრდის პერსონალის სიზუსტეს და რეაგირებას რეალურ ოპერაციებზე, არამედ ქმნის შესაძლებლობას დაინერგოს მაღალი რეზოლუციის სიმულაციური სცენარები, რაც მნიშვნელოვანწილად ამცირებს ადამიანურ შეცდომებს.

ინჯირლიკი წარმოადგენს მძლავრ ლოგისტიკურ პლატფორმას, რომელსაც გააჩნია ტვირთბრუნვის მაღალი სიჩქარის ტერმინალები და მარაგების ცენტრალური განყოფილება. აღნიშნული შესაძლებლობები კრიტიკულად მნიშვნელოვანია არა მხოლოდ საბრძოლო, არამედ ჰუმანიტარული ოპერაციებისთვის. ამ ტიპის ჩართულობა ადასტურებს, რომ ბაზა არ არის მხოლოდ სამხედრო დანიშნულების მქონე ობიექტი, არამედ წარმოადგენს კრიზისებზე რეაგირების რეგიონულ ლოჯისტიკურ კვანძს.

გამომდინარე იქიდან, რომ ბაზაზე ამჟამად განლაგებული საფრენი და ფეთქებადი ნივთიერებების შესახებ ინფორმაცია დახურულია, შესაბამისად მისი მოპოვება ჭირს. ამ ეტაპისთვის რამდენი და რა დასახელებებია წარმოდგენილი, თქმა გაჭირდება. აღნიშნულს ემატება ის ფაქტიც, რომ პერმანენტულად ხორციელდება ზემოაღნიშნული საშუალებების ადგილმონაცვლეობა. სავარაუდოდ, ბაზაზე განლაგებულია ბირთვული ქობანის მატარებელი B61-12 (დაუზუსტებელი ინფორმაციით, ახალი ვარიანტის B61-13 25 ერთეული გასული წლის ბოლოს ან მიმდინარე წლის დასაწყისში შეიტანეს (ავტორი)) ტიპის ტაქტიკური დანიშნულების ბომბები (რაოდენობა 50 მერყეობს)¹, ამერიკული ბირთვული ბომბდამშენები B-1B Lancer², თურქეთის რესპუბლიკის სამხედრო-საჰაერო ძალების დაქვემდებარებაში მყოფი F-16C სიმულატორები და მოდერნიზირებული თვითმფრინავები³, 3 ერთეული ჰაერში საწვავის მიმწოდებელი Boeing KC-135 Stratotanker, სხვადასხვა დასახელების უპილოტო საფრენი აპარატები და მზვერავი თვითმფრინავები (P-8 თაობაზე იყო მინიშნება).

3. რეგიონული ფუნქცია და ძალთა ბალანსი ახლო აღმოსავლეთში

მისი გეოპოლიტიკური მდებარეობა საშუალებას აძლევს ამერიკას და ნატოს ჰქონდეთ სწრაფი და მრავალმხრივი წვდომა ისეთ რეგიონებზე, სადაც უსაფრთხოების მდგომარეობა მუდმივად ცვალებადია და საჭიროებს დროულ და ეფექტურ რეაგირებას. ეს სიახლოვე იძლევა

1 ABD'nin İncirlik'teki B-61 nükleer bombaları, <https://www.sanalsavunma.com/abd-incirlik-nukleer-bombalari-b-61/>

2 ელ. წყარო, <https://teyit.org/analiz/video-incirlik-hava-ussundeki-nukleer-ucaklari-mi-gosteriyor>

3 ელ. წყარო, <https://www.savunmasanayist.com/f-16larin-kalbi-incirlik-ussunde/>

შესაძლებლობას, სწრაფად განხორციელდეს სამხედრო ძალების მობილიზაცია, სადაზვერვო ოპერაციები ან ტაქტიკური რეაგირება. ოპერაციული დროის შემცირება წარმოადგენს ერთ-ერთ მნიშვნელოვან სარგებელს, რაც ბაზას ანიჭებს პრაქტიკულ უპირატესობას სხვა რეგიონულ პლატფორმებთან შედარებით. გარდა ამისა, იგი საკმარისად არის დაშორებული ირანისა და იემენის საზღვრებიდან, რაც იძლევა რეაგირებისთვის საკმარის დროს და ამავდროულად მეტად უსაფრთხოა.

სწრაფი რეაგირების შესაძლებლობას განაპირობებს ის, რომ ბაზას გააჩნია მაღალი გამტარუნარიანობის საფრენი ბილიკები, საწვავის მიწოდების სისტემა, ტვირთგადაზიდვის პუნქტები და პერსონალის მობილიზაციისთვის საჭირო ინფრასტრუქტურა. მეტეოროლოგიური პირობებიდან გამომდინარე, ბაზას შეუძლია 12 თვის განმავლობაში იმუშაოს სრული დატვირთვით. 65 კილომეტრში მდებარე მერსინის საზღვაო პორტის გავლით შესაძლებელია ინჯირლიკის მომარაგება საზღვაო მარშრუტებითაც, ან მისი კომბინირებულად - საზღვაო და საჰაერო გადაზიდვები - გამოყენება.

ბაზის ოპერატიული ღირებულება მრავალჯერ დადასტურდა კონკრეტულ სამხედრო ოპერაციებში მათ შორის 1991 წლის ოპერაცია უდაბნოს ქარიშხალის, 2003 წელს ერაყის განთავისუფლების ოპერაციის და 2014 წლიდან მტკიცე გადაწყვეტილების ოპერაციებში. გარდა ამისა, 2012 წელს სირიის კრიზისის გაღრმავების პერიოდში, ინჯირლიკი გამოყენებული იქნა როგორც სადაზვერვო ინფორმაციის მოპოვების პლატფორმა. ამასთან ერთად, იყო მზაობა, საჭიროების შემთხვევაში ბაზიდან განხორციელებულიყო პირდაპირი სამხედრო ჩარევა. ასევე, 2016 წელს, ანტიტერორისტული კამპანიების ფარგლებში, ინჯირლიკიდან განხორციელებული იყო დაზვერვის, თვალთვალისა და რეკოგნოსცირების ოპერაციები, რაც განპირობებული იყო ბაზის აქტიურ კონფლიქტურ ზონებთან წვდომით და მისი ინფრასტრუქტურული მზაობით. გარდა ამისა, ბაზა რეგულარულად იღებს სპეციალური დანიშნულების მობილურ დანაყოფებს, რომლებიც საჭიროების შემთხვევაში ახორციელებენ სწრაფ რეაგირებას კრიზისებზე. სიახლოვიდან გამომდინარე, იგი ხელს უწყობს სწრაფ გადასროლას იმ რეგიონებში, სადაც უსაფრთხოების გარემო სენსიტიურია, განსაკუთრებით სირიასა და ერაყში.

ეს მაგალითები ნათლად აჩვენებს, რომ ინჯირლიკი არ არის მხოლოდ გეოგრაფიულად ხელსაყრელი წერტილი, არამედ წარმოადგენს ოპერატიულად ოპტიმიზირებულ სამხედრო პლატფორმას, რომელიც იძლევა მაღალი ინტენსივობის და დროზე მგრძნობიარე ოპერაციების შესრულების შესაძლებლობას. სწორედ ეს ფუნქციური მოქნილობა აყალიბებს ბაზას ერთ-ერთ მთავარ საყრდენ წერტილად ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე სამხედრო რეაგირებისთვის.

ინჯირლიკის საჰაერო ბაზა რეგიონულ უსაფრთხოებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს არა მხოლოდ ოპერატიული წვდომით, არამედ იმგვარი სტრატეგიული ბალანსის შენარჩუნებით, რომელიც უკავშირდება ახლო აღმოსავლეთის ხუთ მთავარ სამხედრო-პოლიტიკურ მოთამაშეს: ირანს, რუსეთს, თურქეთს, ისრაელს და არაბული სამყაროს ქვეყნებს. ბაზის არსებობა ამ ძალთა სივრცეში ქმნის შეკავების მექანიზმებს, რომლებიც ფუნქციონირებენ როგორც პირდაპირი და არაპირდაპირი სამხედრო წნეხის, ისე პოლიტიკური ბერკეტების სახით.

ირანის კონტექსტში, ინჯირლიკი წარმოადგენს ერთ-ერთ მთავარ სამხედრო საყრდენ წერტილს, რომელიც ქმნის აშშ-ის შესაძლო საპასუხო შესაძლებლობებს თეირანის მიმართ. მიუხედავად იმისა, რომ ბაზა არ გამოიყენება ირანზე თავდასხმის მიზნებისთვის, მისი ინფრასტრუქტურა და განლაგება ხელს უწყობს სტრატეგიული სიგნალების გაგზავნას, რაც წარმოადგენს შეკავების კლასიკურ მექანიზმს. ამავდროულად, ბირთვულ თემატიკაზე მიმდინარე საერთაშორისო დამაბულობის ფონზე ინჯირლიკიდან შემდგომი აქტივობა (მაგ., დაზვერვის მისია ან ტვირთის გადაზიდვა) აღიქმება როგორც თავდაცვითი მზადყოფნის

მაჩვენებელი, რაც ირანის სამხედრო გეგმებზე შეზღუდვით მოქმედებს.

რუსეთის შემთხვევაში, ინჯირლიკი კრიტიკულ როლს ასრულებს სირიის ფრონტზე. მიუხედავად იმისა, რომ ასადის რეჟიმის შემდეგ რეგიონში მისი სამხედრო აქტივობები მინიმუმამდე დავიდა, დღეის მდგომარეობით მაინც უნარჩუნებს ხმელეთის საჰაერო ბაზას და ტარტუსის საზღვაო ბაზას. ამგვარი თანაარსებობა რეგიონში აჩვენებს, რომ ინჯირლიკი წარმოადგენს ნატოს პასუხისმგებლობის წერტილს და ანეიტრალურ მოსკოვის წნეხს ახლო აღმოსავლეთის თეატრში.

თურქეთი, როგორც მასპინძელი ქვეყანა, ინჯირლიკის მეშვეობით ხშირად თამაშობს ორმაგ სტრატეგიულ თამაშს. ერთი მხრივ, ბაზა აძლევს მას შესაძლებლობას გააძლიეროს პოზიცია ნატოსა და აშშ-სთან ურთიერთობაში, ხოლო მეორე მხრივ, ხშირად გამოყენებულია როგორც შიდა და გარე წნეხის ინსტრუმენტი. კერძოდ, მისი ფუნქციონირების დროებითი შეჩერებით ან პოლიტიკური მოთხოვნების დაყენებით (მაგ., 2003 და 2016 წლების კრიზისები). შესაბამისად, თურქული პერსპექტივიდან ინჯირლიკი არის არა მხოლოდ ამერიკული ბაზა, არამედ რეგიონული ძალაუფლების გადანაწილების მექანიზმიც.

ისრაელთან მიმართებით, ინჯირლიკს პირდაპირი სამხედრო კავშირი ნაკლებად გააჩნია, თუმცა ის ფუნქციონირებს როგორც უსაფრთხოების არქიტექტურის ნაწილი, რომელიც ირანთან შეკავების მექანიზმებში იკვეთება. ინფორმაციის გაცვლა, სადაზვერვო ინფორმაციით მხარდაჭერა და ნატოს მხრიდან სტაბილური საჰაერო შესაძლებლობების შენარჩუნება ირანის წინააღმდეგობით დატვირთულ გარემოში აძლიერებს ისრაელის პერიფერიულ უსაფრთხოებას. ამგვარად, ინჯირლიკი წარმოადგენს საყრდენ ელემენტს დასავლური უსაფრთხოების ქოლგისთვის, რომლის ქვეშ ისრაელის ინტერესები შეფარულად არის დაცული.

მნიშვნელოვანია ასევე ინჯირლიკის როლის გააზრება არაბულ სამყაროში მიმდინარე ძალთაგანაწილების კონტექსტში. მიუხედავად იმისა, რომ ბაზა პირდაპირ არ არის ჩართული სპარსეთის ყურის უსაფრთხოების სტრუქტურაში (რომელიც უფრო მეტად უკავშირდება კატარის ალ-უდეიდის ან ბაჰრეინის ბაზებს), მისი ფიზიკური სიახლოვე და ოპერატიული შესაძლებლობები ხშირად იქცევა დასავლური პოლიტიკის ბერკეტად. განსაკუთრებით პოსტ-არაბული გაზაფხულის პერიოდში, როდესაც ეგვიპტე, იორდანია და სირია რეგიონული მძლავრი რყევების ეპიცენტრი გახდა, ინჯირლიკს დაეკისრა დაზვერვითი და სტაბილურობის უზრუნველყოფის ფუნქციები, რომელთა მეშვეობითაც აშშ და ნატო ახორციელებდნენ არა მხოლოდ სამხედრო აქტიურ ქმედებებს, არამედ რეგიონული ხელისუფლებების მხარდამჭერ სიგნალებსაც.

მოლიანობაში, რეგიონული ბალანსის შესანარჩუნებლად ინჯირლიკის ბაზა არ არის მხოლოდ ფიზიკური ობიექტი. იგი ფუნქციონირებს როგორც მრავალპოლარული ძალის მექანიზმი, რომელიც აფერხებს ერთპიროვნულ გავლენას რეგიონში. შეკავების და წნეხის სტრატეგიაში ინჯირლიკის ბაზა მოქმედებს როგორც პასიური ბერკეტი, რომელიც საჭიროების შემთხვევაში მარტივად გარდაიქმნება აქტიური მოქმედების პლატფორმად, რითაც ხელს უწყობს რეგიონულ სტაბილურობას დესტაბილიზაციის საფრთხის პირობებშიც.

მიუხედავად იმისა, რომ ინჯირლიკის ბაზა უკვე ათწლეულებია, რაც ნატოს სტრატეგიულ ინსტრუმენტად ჩამოყალიბდა, ბაზის ოპერაციულ და სტრატეგიულ მნიშვნელობას ხშირად ავიწროებს არა გარე სამხედრო ფაქტორები, არამედ შიდა პოლიტიკური დინამიკა და საზოგადოებრივი განწყობები თავად თურქეთში. როგორც აშშ-ის, ისე ნატოს ინტერესებისთვის ბაზის შეუფერხებელი ფუნქციონირება არაერთხელ აღმოჩნდა პოლიტიკური კრიზისებისა და საზოგადოებრივი წნეხის სამიზნე. ამ შემთხვევაში, ბაზა არა მხოლოდ სამხედრო ინფრასტრუქტურაა, არამედ საზოგადოებრივი აღქმისა და ეროვნული სუვერენიტეტის სიმბოლოც, რაც ართულებს მის გრძელვადიან სტაბილურობას.

საერთაშორისო უსაფრთხოების კონტექსტში, თურქეთის დიპლომატიური ხასიათი და განსაკუთრებით პრეზიდენტი რეჯეპ თაიფ ერდოღანის მმართველობა, მნიშვნელოვან როლს თამაშობს ბაზის პოლიტიკურ ჩარჩოში ჩასმაში. ერთი მხრივ, თურქეთი ოფიციალურად რჩება ნატოს წევრ სახელმწიფოდ და განაგრძობს სტრატეგიულ თანამშრომლობას, მეორე მხრივ კი, ანტიდასავლური რიტორიკა, რომელიც ხშირია მმართველი წრეებისგან, ხშირად ქმნის საგარეო პოლიტიკურ დისონანსს. ეს დისონანსი განსაკუთრებით თვალსაჩინოა მაშინ, როდესაც თურქეთის ინტერესები ეჯახება დასავლურ პოლიტიკას სირიაში, ქურთების საკითხში ან რეგიონული გავლენისთვის ბრძოლაში.

ბაზასთან დაკავშირებული საზოგადოებრივი პროტესტები და კრიტიკა ასევე სერიოზული ფაქტორია. ისტორიულად, ინჯირლიკის ბაზა არაერთხელ გამხდარა საზოგადოების ნაწილის გაღიზიანების წყარო. მაგალითად, 2003 წელს ერაყის ომთან დაკავშირებულმა მოვლენებმა და მოგვიანებით 2016 წლის სახელმწიფო გადატრიალების მცდელობამ, რომელსაც ერდოღანის რეჟიმი ნაწილობრივ აშშ-ს უკავშირებდა, მნიშვნელოვნად გააღრმავა ანტიამერიკული განწყობები. ეს განწყობები როგორც პოლიტიკური პარტიების განცხადებებში, ისე ქუჩის აქციებში გამოვლინდა. ბევრი მემარცხენე, ისლამისტური და ნაციონალისტური დაჯგუფება ღიად აყენებს ინჯირლიკის დახურვის მოთხოვნას და მას ქვეყნის სუვერენიტეტის დარღვევად მიიჩნევს.

საინფორმაციო გარემო, განსაკუთრებით სამთავრობო მედია, ხშირად ასახავს ბაზას როგორც დასავლეთის გავლენის ინსტრუმენტს და ქვეყნის სუვერენიტეტის საფრთხეს. მსგავსი ნარატივი ქმნის სიტუაციურ მობილიზაციას საზოგადოებაში, რომელიც შესაძლოა სწრაფად გადაიზარდოს პოლიტიკურ აქტივიზმში და თურქეთის მთავრობაზე ზეწოლაში, რაც თავის მხრივ აისახება ბაზის ფუნქციონირებაზე. ამას ემატება პროირანული ან პრორუსული საინფორმაციო არხების მიზანმიმართული კამპანიები, რომლებიც მიზნად ისახავს ნატოსადმი სკეპტიციზმის გაღრმავებას.

ამგვარი შიდა პოლიტიკური დინამიკა და საზოგადოებრივი წნეხი, მიუხედავად იმისა, რომ ჯერ არ გადაზრდილა პირდაპირ სამხედრო თანამშრომლობის შეწყვეტაში, ქმნის არასტაბილურ გარემოს, რაც გავლენას ახდენს ბაზის ყოველდღიურ ოპერაციებზე, სტრატეგიულ დაგეგმვაზე და მთლიანობაში ნატოს პოზიციაზე რეგიონში.

4. გლობალური სტრატეგიული ჩარჩო და რეგიონული მხარდაჭერა

ინჯირლიკის საჰაერო ბაზა წარმოადგენს ერთ-ერთ იმ სტრატეგიულ პლატფორმას, რომელიც აძლიერებს ნატოს კოლექტიური უსაფრთხოების მექანიზმის ქმედითობას ახლო აღმოსავლეთის კრიზისულ სივრცეებში. მიუხედავად იმისა, რომ რეგიონი ფორმალურად არ ეკუთვნის ჩრდილო ატლანტიკური ხელშეკრულების მოქმედების არეალს, ტრანსნაციონალური საფრთხეების ხასიათმა, მათ შორის ტერორიზმმა და არასტაბილურმა რეჟიმებმა, პრაქტიკულად ნატოს უზიძგა რეგიონში ოპერაციული გაფართოებისკენ, თანამშრომლობისა და სტაბილურობის მხარდაჭერის ფარგლებში.

ინჯირლიკი, როგორც ალიანსის წევრ ქვეყანაში არსებული ბაზა, წარმოადგენს ერთგვარ ოპერატიულ დამაკავშირებელ რგოლს, რომელიც აძლევს ალიანსის ძალებს შესაძლებლობას, განახორციელონ ერთობლივი სამხედრო, სადაზვერვო და ლოგისტიკური ქმედებები ახლო აღმოსავლეთში. 2015 წლიდან დაწყებული ISIS-ის წინააღმდეგ მტკიცე მხარდაჭერის ოპერაციაში ნატოს წევრი ქვეყნების კოორდინირებული ჩართულობა ამ ბაზის მეშვეობით ხაზს უსვამს ალიანსის პრაქტიკულ როლს ტერორიზმთან ბრძოლაში და რეგიონული სტაბილურობის გაძლიერებაში.

ნატოს სტრატეგიულ კონცეფციებში, განსაკუთრებით 2022 წლის ვერსიაში დაფიქსირებულია პრინციპები, რომლებიც პირდაპირ ეხმიანებიან ინჯირლიკის მსგავსი ბაზების

საჭიროებას გარე რეგიონებთან კავშირისთვის. ამ დოკუმენტებში ხაზგასმულია, რომ ალიანსის უსაფრთხოების უზრუნველყოფა ხშირად მოითხოვს ძალების განთავსებას ალიანსის ფარგლებს გარეთ, ალიანსის მიზნების საპასუხოდ. სწორედ ამ სივრცეში თავსდება ინჯირლიკის ფუნქცია.

ინჯირლიკის საჰაერო ბაზის გლობალური მნიშვნელობა განსაკუთრებით გამოკვეთილად კითხვის ნიშნის ქვეშ დგება მაშინ, როდესაც თურქეთ-დასავლეთის ურთიერთობები დაძაბულ ფაზაში შედის. ამ ფონზე იზრდება ინტერესი იმაზე, თუ რამდენად რეალურია მისი ჩანაცვლება რეგიონული ალტერნატივებით, რომლებსაც შეეძლება აშშ-სა და ნატოს ანალოგიური ოპერატიული წვდომის უზრუნველყოფა ახლო აღმოსავლეთთან მიმართებით. უახლესი კვლევები და სამხედრო დაგეგმვის დოკუმენტები ხაზს უსვამენ სამ ძირითად ვარიანტს: ალ-უდეიდის ბაზა კატარში, სუდას ყურის ბაზა საბერძნეთში და მუაფაკ სალტის ბაზა იორდანიაში. თუმცა თითოეული მათგანი მხოლოდ ნაწილობრივ იმეორებს ინჯირლიკის უნიკალურობას.

ალ-უდეიდის საჰაერო ბაზა (კატარი) წარმოადგენს აშშ-ის საჰაერო ძალების უმნიშვნელოვანეს ობიექტს სპარსეთის ყურის რეგიონში. ბაზა მასპინძლობს CENTCOM-ის სამეთაურო სტრუქტურებს და უზრუნველყოფს სტრატეგიული ბომბდამშენების ბაზირებას. მისი ოპერატიული შესაძლებლობები მოიცავს დაზრეთის მისიებს, საბრძოლო მზადყოფნას და საზღვაო-საჰაერო ინტეგრაციას. მიუხედავად ამისა, ირანთან მისი გეოგრაფიული სიახლოვე ზრდის უსაფრთხოების რისკებს, რაც გააქტიურდა 2019 წლის სპარსეთის ყურის ესკალაციის დროს. ამასთანავე, 2017 წლის სპარსეთის ყურის თანამშრომლობის საბჭოს კრიზისმა და ბლოკადამ კატარის წინააღმდეგ აჩვენა, რომ ბაზის გეოპოლიტიკური სიმყარე მუდმივად არ არის გარანტირებული.

სუდას ყურის ბაზა (საბერძნეთი) განთავსებულია კრეტაზე და წარმოადგენს აშშ-ის ევროპული სარდლობის (EUCOM) მნიშვნელოვან პლატფორმას საზღვაო ოპერაციებში. ბაზა უზრუნველყოფს გემთსატვირთო და საჰაერო ოპერაციებს ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ ზონაში. Lerman-ის შეფასებით, აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთი უნდა მოიაზრებოდეს როგორც მრავალთვალსაშუალო ძალების პროექციის პლატფორმა, რაც სუდას ყურის პოტენციალს ზრდის ამერიკული სტრატეგიული ჩარჩოს ნაწილად. თუმცა, ბაზა გეოგრაფიულად დამორებულია ახლო აღმოსავლეთის აქტიურ კონფლიქტურ სივრცეებს.

მუაფაკ სალტის ბაზა (იორდანია) ბოლო წლებში განიცდის მნიშვნელოვან გაფართოებას, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც აშშ-თურქეთის და აშშ-ერაყის ურთიერთობები გაჯერდა გარკვეული სახის კრიზისებით. Rogoway-ის ინფორმაციით, აშშ გეგმავს მასშტაბურ ინფრასტრუქტურულ გაძლიერებას ამ ბაზაზე, რაც ზრდის როგორც დეცენტრალიზებული და უსაფრთხო ოპერაციული ცენტრის როლს. იორდანიის სტაბილური საგარეო პოლიტიკა ამყარებს ბაზის სანდოობას, თუმცა მისი მოცულობა და ტექნიკური უზრუნველყოფა ჯერ კიდევ ჩამორჩება ინჯირლიკს. გარდა ამისა, გეოპოლიტიკური გარემო - პალესტინა, ისრაელი, სირია - საჭიროებს ფრთხილ პოლიტიკურ მანევრებს.

ამავდროულად, რეგიონული ოპერაციების ფარგლებში ინჯირლიკის ბაზას პერიოდულად მხარს უჭერენ თურქეთის სხვა სამხედრო ობიექტები, მათ შორის დიარბაქირის, ბათმანისა და მაღათიის ბაზები. მიუხედავად შეზღუდული შესაძლებლობებისა, ისინი ქმნიან დამატებით ინფრასტრუქტურას, რომელიც კრიზისულ სიტუაციებში უზრუნველყოფს ტაქტიკურ და ლოჯისტიკურ მხარდაჭერას და აძლიერებს რეგიონულ ოპერაციულ ქსელს.

მთლიანობაში, ინჯირლიკს სრულფასოვანი შემცვლელი ჯერჯერობით არ გააჩნია. ალტერნატიულმა ბაზებმა შეიძლება ნაწილობრივ შეითავსონ მისი ფუნქციები, მაგრამ არ გააჩნიათ მისი სტრატეგიული მრავალმხრივობა, ანუ ერთდროული წვდომა ახლო აღმოსავლეთზე, აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთზე და ნატოს სამხრეთ ფლანგზე.

ამასთან, ინჯირლიკის მნიშვნელობა რეგიონში, ისეთივე ხასიათისაა როგორც ევროპაში რამშტეინის, ხოლო აზიაში კადენას საჰერო ბაზა. ამიტომ, მიუხედავად ალტერნატიული ბაზების განვითარების და ურთიერთდამხმარევი სტრატეგიების გაძლიერებისა, ინჯირლიკის ფუნქციების სრულად ჩანაცვლება ჯერ კიდევ გამოწვევად რჩება. ინჯირლიკის სტრატეგიული ჩანაცვლება ვერ იქნება ერთი ერთზე შესრულებული, ეს მოითხოვს ოპერაციული ქსელის დივერსიფიკაციას, ინვესტიციებს ლოგისტიკურ ინფრასტრუქტურაში და რაც მთავარია, დიპლომატიური ღერძის გამყარებას მასპინძელ ქვეყნებთან. მხოლოდ ასეთ კომპლექსურ და მრავალდონიან სტრატეგიას შეუძლია უზრუნველყოს აშშ-ისა და ნატოს გლობალური ოპერაციული სიმტკიცე ინჯირლიკის ბაზის გარეშე.

დასკვნა

ინჯირლიკის საჰერო ბაზა ისევე, როგორც დაარსებისას, ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს რგოლად რჩება დასავლეთის სტრატეგიულ ოპერაციულ სტრუქტურაში, განსაკუთრებით, როდესაც რეგიონული კრიზისები საჭიროებს სწრაფ, მრავალმხრივ და ინტეგრირებულ რეაგირებას. ბაზის სტრატეგიული მდებარეობა და მისი ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურა ქმნის ოპერატიულ უპირატესობას, რომელიც აძლევს ნატოს და აშშ-ს შესაძლებლობას, მოახდინონ წერტილოვანი ჩარევა და ძალის პროექცია ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტურ კერებში. თუმცა, თანამედროვე გეოპოლიტიკური ვითარება გვიჩვენებს, რომ ინჯირლიკი არ შეიძლება აღიქმებოდეს მხოლოდ როგორც სტაბილური და შეუცვლელი აქტივი.

ბაზის ფუნქციონირება სულ უფრო დამოკიდებული ხდება არა ტექნიკურ მზაობაზე, არამედ თურქეთის პოლიტიკურ ნებაზე. ისტორიულმა გამოცდილებამ არაერთხელ აჩვენა, რომ შინაგან პოლიტიკურ კრიზისებს ან ანტიამერიკულ განწყობებს შეუძლია შეაფერხოს ან სრულად დაბლოკოს ბაზის გამოყენება. ეს რეალობა ამძაფრებს აუცილებლობას, რომ სტრატეგიული დაგეგმვა მხოლოდ ერთ კონკრეტულ ბაზაზე არ იყოს მიბმული. ეს ერთ-ერთი მიზეზია, რის გამოც დასავლეთის სამხედრო სტრატეგიაში სულ უფრო მეტი ყურადღება ექცევა ბაზების ისეთ განლაგებას, რომელიც საშუალებას იძლევა ოპერაციები გადანაწილდეს სხვადასხვა პლატფორმებზე, მათ შორის იორდანიაში, კატარში და საბერძნეთში, რათა შემცირდეს დამოკიდებულება რომელიმე ერთ ადგილმდებარეობაზე და შეიქმნას მოქნილი, ურთიერთშემავსებელი სტრუქტურა, რომელიც საგანგებო შემთხვევაშიც კი შეუფერხებლად გააგრძელებს ფუნქციონირებას.

ამავე დროს, ინჯირლიკის უნიკალურობა ჯერ კიდევ უცვლელად ძლიერია. ბაზა არა მხოლოდ ტექნოლოგიური კვანძია, არამედ გეოპოლიტიკური სიმბოლო, რომელიც აერთიანებს ნატოს, თურქეთისა და აშშ-ს სტრატეგიულ ინტერესებს. მისი არსებობა ქმნის ბალანსს რუსეთის, ირანის და სხვა რეგიონული ძალების წინააღმდეგობის მიმართ და წარმოადგენს დასავლური შეკავების არქიტექტურის ნაწილს. სწორედ ამიტომ, მიუხედავად არსებული გამოწვევებისა, ინჯირლიკის სტრატეგიული პოტენციალი სრულად არ არის ამოწურული, პირიქით, მისი ფუნქციონირება საჭიროებს გააზრებულ პოლიტიკურ მხარდაჭერასა და ტექნოლოგიურ განახლებას.

დღეს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება არა მხოლოდ ბაზის ოპტიმიზაციას, არამედ მის გარშემო არსებულ დიპლომატიური სტაბილურობის გაძლიერებას. აუცილებელია, აშშ-მა და ნატომ განავითარონ უფრო გამჭვირვალე, მტკიცე და წინასწარ შეთანხმებული მექანიზმები თურქეთთან, რათა არ მოხდეს ბაზის პოლიტიკაზე ან მისი გამოყენების შეფერხება შიდა თუ გარე დამაბულობის პირობებში. ამავე დროს, პარალელურად უნდა გაძლიერდეს სხვა რეგიონული ბაზების ინფრასტრუქტურა და ტექნოლოგიური მზაობა, რაც შესაძლებელს გახდის იმ ფუნქციების ნაწილობრივ გადანაწილებას, რომელთაც დღეს ინჯირლიკი

ასრულებს. ასეთ კომპლექსურ და მრავალმხრივ მიდგომაში ინჟირლიკი შეინარჩუნებს თავის საკვანძო პოზიციას არა როგორც შეუცვლელი პლატფორმა, არამედ როგორც კრიტიკული როლი დინამიკური და ფართოდ განაწილებული უსაფრთხოების სისტემის ფარგლებში.

ბიბლიოგრაფია

- Anadolu Agency. “Despite Issues, Turkish Military Bases Still Key for US: Analyst.” *Hürriyet Daily News*, December 29, 2019. <https://surl.lu/pmdpoi>
- Bildik, Mehmet. “Importance of NATO’s Incirlik Airbase for Turkish-American Relations.” *Foreign Policy News*, January 7, 2017. <https://surl.li/yrrdcu>
- Garamone, Jim. “Incirlik Airmen Feel Sense of Accomplishment in Counter-ISIS Battle.” U.S. Department of Defense, February 17, 2017. <https://surl.li/cvgroh>
- Gorenburg, Dmitry. «Small, Distributed, and Secure: A New Basing Architecture for the Middle East.» *War on the Rocks*, December 1, 2020. <https://surl.li/mjheas>
- Hoffmann, Alexander. “Assessing Russia’s Strategy in Syria with Alexander Hoffmann.” *SpecialEurasia*, January 2, 2025. <https://surl.lu/fjknio>
- Kaymaz, Yıldırım. “The Role of Incirlik Air Base in the U.S. Iraq Intervention in 2003.” *Journal of International Social Research* 3, no. 12 (2010): 304–315. <https://dergipark.org.tr/tr/download/article-file/1008016>
- NATO. NATO 2022 Strategic Concept. NATO, June 29, 2022. <https://www.nato.int/strategic-concept/index.html>.
- Rogoway, Tyler. «Docs Show U.S. to Massively Expand Footprint at Jordanian Air Base Amid Spats with Turkey, Iraq.» *The War Zone*, August 31, 2018. <https://surli.cc/fgsgya>
- UFA Inc. «UFA, Inc. Launches Cutting-Edge VR Air Traffic Control System at Incirlik Air Base, Turkey.» UFA Inc., March 11, 2024. <https://www.ufainc.com/post/ufa-inc-launches-cutting-edge-vr-air-traffic-control-system-at-incirlik-air-base-turkey>.
- U.S. Air Force. «Incirlik Air Base History.» U.S. Air Force. Last modified April 2023. <https://www.incirlik.af.mil/About-Us/Fact-Sheets/Display/Article/300814/incirlik-air-base-history/>.

ირანის საგარეო პოლიტიკური ინტერესები სამხრეთ კავკასიაში: საფრთხეები და შესაძლებლობები

ვიცე-პოლკვენიკი რუსლან დარჩიძე

სსიპ-დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს
ეროვნული თავდაცვის აკადემიის
მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის
თავდაცვის ანალიზის მსმენელი

აბსტრაქტი

სამხრეთ კავკასია გეოპოლიტიკურად ერთ-ერთი ყველაზე რთული რეგიონია, სადაც სხვადასხვა რეგიონული და გლობალური ძალები იბრძვის გავლენის მოსაპოვებლად. ირანი, როგორც რეგიონის უშუალო მეზობელი და ისტორიულად მნიშვნელოვანი აქტორი, მუდმივად ცდილობს გააფართოოს საკუთარი პოლიტიკური, ეკონომიკური და უსაფრთხოების ინტერესები.

აღნიშნულ ნაშრომში განხილულია ირანის საგარეო პოლიტიკური ინტერესები სამხრეთ კავკასიის რეგიონში 1990-იანი წლებიდან დღემდე. ირანის ინტერესები ამ რეგიონში დინამიურად იცვლებოდა, რეგიონის გეოპოლიტიკური ტრანსფორმაციების, ასევე საერთაშორისო ძალთა ჩართულობის ფონზე. ირანი, როგორც ერთდერთი მეზობელი, სამხრეთ კავკასიის სამივე ქვეყანასთან — საქართველოსთან, სომხეთთან და აზერბაიჯანთან — მდგრად დიპლომატიურ ურთიერთობებს ინარჩუნებს. იგი ცდილობს არა მხოლოდ საკუთარი უსაფრთხოების უზრუნველყოფას, არამედ სტაბილურობისა და ეკონომიკური თანამშრომლობის კავშირების გაძლიერებას, საკუთარი სტრატეგიული პრიორიტეტულობიდან გამომდინარე.

საქართველო-ირანის ურთიერთობები, მიუხედავად პერიოდული დამაბულობისა, ეკონომიკური და სავაჭრო თანამშრომლობის განვითარებაზე არის ორიენტირებული. განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ირანმა სწრაფად აღადგინა დიპლომატიური კავშირები საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ. ასევე ირანის მიერ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მხარდაჭერა 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის დროსაც გამოიკვეთა.

ნაშრომში წარმოდგენილია ირანსა და სომხეთს შორის მჭიდრო ეკონომიკურ და ენერგეტიკული თანამშრომლობა, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანი გახდა სომხეთისთვის აზერბაიჯანსა და თურქეთთან საზღვრების დახურვის შემდეგ. ამავდროულად, ირანი ცდილობს შეინარჩუნოს ბალანსი სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის, თუმცა აზერბაიჯანსა და ისრაელის სამხედრო-ტექნიკური თანამშრომლობის ზრდამ ირანის უსაფრთხოების ინტერესები გამოწვევების წინაშე დააყენა. ირანი აქტიურად უპირისპირდება რეგიონში ისრაელის გავლენის ზრდას და ამ მიმართულებით რუსეთთან სტრატეგიულ პარტნიორობას აძლიერებს. 2025 წელს რუსეთ-ირანის ყოვლისმომცველი სტრატეგიული პარტნიორობის ხელშეკრულებამ რეგიონში დასავლეთის გავლენის შეზღუდვისა და უსაფრთხოების განმტკიცების ერთობლივი მიზნები გამოკვეთა.

ნაშრომში ასევე წარმოდგენილია ირანის მცდელობები სამხრეთ კავკასიის სატრანზიტო და ენერგეტიკულ პროექტებში მონაწილეობის მიღებისა. ირანი ცდილობს უზრუნველყოს საკუთარი ეკონომიკური ინტერესები და სანქციების პირობებში ალტერნატიული სავაჭრო მარშრუტები მოიძიოს. სამხედრო თვალსაზრისით, იგი რეგულარულად აძლიერებს საზღვრისპირა რეგიონებს და ახორციელებს სამხედრო წვრთნებს, რათა შეაკავოს პოტენციური საფრთხეები. ნაშრომში ასევე გაანალიზებულია, რომ რეგიონის მრავალმხრივი განვითარების გათვალისწინებით, ირანი მხარს უჭერს „3+3“ ფორმატს (საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი + ირანი, რუსეთი, თურქეთი), რომელიც დასავლეთის ჩარევის გარეშე რეგიონული ინტერესების თანამშრომლობას ისახავს მიზნად.

ამრიგად, ირანის საგარეო პოლიტიკა სამხრეთ კავკასიაში ერთდროულად მოიცავს როგორც

შესაძლებლობებს (ეკონომიკური ინტეგრაცია, სატრანზიტო ფუნქციების გაძლიერება, ენერგეტიკული თანამშრომლობა) ასევე საფრთხეებს. ისრაელის სამხედრო აქტიურობა და რუსეთ-დასავლეთის გავლენების კონკურენცია. ნაშრომი იძლევა ყოვლისმომცველ ინფორმაციას იმის შესახებ, თუ როგორ ერწყმის ერთმანეთს ირანისთვის რეგიონში არსებული შესაძლებლობები და გამოწვევები, როგორც შიდა სტრატეგიული ინტერესების უზრუნველყოფის, ისე გლობალური კონკურენციის პირობებში გავლენის შენარჩუნების მიზნით.

საკვანძო სიტყვები: ირანი, სამხრეთ კავკასია, საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი, ეკონომიკური და სამხედრო ინტერესები და „3+3“ ფორმატი.

POLITICAL INTERESTS IN THE SOUTH CAUCASUS: THREATS AND OPPORTUNITIES

Lieutenant Colonel Ruslan Darchidze

Student of Master's Program in Defense Analysis of
LEPL-David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia

Abstract

South Caucasus is geopolitically one of the most complex regions, where various regional and global powers compete to gain influence. Iran, as an immediate neighbor of the region and a historically significant actor, constantly seeks to expand its political, economic, and security interests.

This paper discusses Iran's foreign policy interests in the South Caucasus region from the 1990s to the present. Iran's interests in this region have dynamically changed against the backdrop of the region's geopolitical transformations and the involvement of international powers. Iran, as the only neighbor, maintains stable diplomatic relations with all three South Caucasus countries—Georgia, Armenia, and Azerbaijan. It strives not only to ensure its own security but also to strengthen stability and economic cooperation ties, guided by its strategic priorities.

Georgia-Iran relations, despite periodic tensions, are focused on developing economic and trade cooperation. This became especially evident after Iran quickly restored diplomatic ties following the dissolution of the Soviet Union. Additionally, Iran's support for Georgia's territorial integrity during the 2008 Russia-Georgia war was notable.

The paper highlights the close economic and energy cooperation between Iran and Armenia, which became particularly crucial for Armenia after the closure of its borders with Azerbaijan and Turkey. At the same time, Iran attempts to maintain a balance between Armenia and Azerbaijan, though the growing military-technical cooperation between Azerbaijan and Israel has posed challenges to Iran's security interests. Iran actively opposes the increasing influence of Israel in the region and, in this direction, strengthens its strategic partnership with Russia. In 2025, the Comprehensive Strategic Partnership Agreement between Russia and Iran outlined shared goals of limiting Western influence in the region and enhancing security.

The paper also presents Iran's attempts to participate in South Caucasus transit and energy projects. Iran seeks to secure its economic interests and find alternative trade routes under sanctions. Militarily, it regularly reinforces border regions and conducts military drills to deter potential threats. The paper further analyzes that, considering the region's multifaceted development, Iran supports the «3+3» format (Georgia, Armenia, Azerbaijan + Iran, Russia, Turkey), which aims at regional cooperation on shared interests without Western interference.

Thus, Iran's foreign policy in the South Caucasus simultaneously encompasses both opportunities (economic integration, strengthening transit functions, energy cooperation) and threats—Israel's military activity and the competition of Russian and Western influences. The paper provides comprehensive information on how Iran navigates the existing opportunities and challenges in the region—both in terms of securing its internal strategic interests and maintaining influence under global competition.

Keywords: Iran, South Caucasus, Georgia, Armenia, Azerbaijan, economic and military interests, and the «3+3» format.

შესავალი

სამხრეთ კავკასია, როგორც სტრატეგიულად მნიშვნელოვანი რეგიონი, ყოველთვის იყო საერთაშორისო და რეგიონული ძალების ინტერესთა ცენტრში. 1990-იანი წლებიდან, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, რეგიონში ახალი პოლიტიკური და გეოპოლიტიკური რეალობები ჩამოყალიბდა, რამაც მნიშვნელოვნად შეცვალა სამხრეთ კავკასიის ქვეყნების და მათ მეზობელ სახელმწიფოებს შორის ურთიერთობების დინამიკა. ირანი, როგორც სამხრეთ კავკასიის ერთადერთი მეზობელი, რომელიც საქართველოს, სომხეთსა და აზერბაიჯანს ესაზღვრება, განსაკუთრებულ როლს თამაშობს რეგიონში. მისი საგარეო პოლიტიკა ამ ქვეყნებთან მიმართებაში ეფუძნება როგორც ისტორიულ, ისე სტრატეგიულ ინტერესებს, რომელთა მიზანია რეგიონში სტაბილურობის შენარჩუნება და ეკონომიკური თანამშრომლობის გაღრმავება.

ამ ნაშრომში განხილულია ირანის საგარეო პოლიტიკური ინტერესები სამხრეთ კავკასიის რეგიონში 1990-იანი წლებიდან დღემდე. ყურადღება გამახვილებულია იმ ცვლილებებზე, რომლებიც ირანის პოლიტიკასა და რეგიონალურ ურთიერთობებში მოხდა გეოპოლიტიკური ტრანსფორმაციების, საერთაშორისო ძალთა ჩართულობისა და რეგიონის შიდა გამოწვევების ფონზე. ნაშრომში დეტალურად არის განხილული საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანისთან ირანის ურთიერთობები, რომლებიც სხვადასხვა ეტაპზე განსხვავებულ გამოწვევებსა და შესაძლებლობებს მოიცავდა.

განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ირანის მცდელობებს, შეინარჩუნოს რეგიონში ბალანსი და უზრუნველყოს საკუთარი ეკონომიკური და სამხედრო ინტერესები. ეს მნიშვნელოვნად თვალსაჩინოა ირანის ურთიერთობებში სომხეთთან და აზერბაიჯანთან, სადაც რეგიონული კონფლიქტებისა და გეოპოლიტიკური კონკურენციის ფონზე ირანი ცდილობს სტაბილურობის შენარჩუნებას. ასევე, ნაშრომში განხილულია ისრაელის სამხედრო აქტივობის ზრდა რეგიონში და ირანის მიერ რუსეთთან სტრატეგიული პარტნიორობის გაძლიერების მნიშვნელობა.

ირანის პოლიტიკა სამხრეთ კავკასიაში არ იზღუდება მხოლოდ ეკონომიკურ და სამხედრო ინტერესებზე — იგი მხარს უჭერს „3+3“ ფორმატს, რომელიც ითვალისწინებს რეგიონის ქვეყნებს შორის თანამშრომლობის გაღრმავებას დასავლეთის ჩარევის გარეშე. ეს ფორმატი წარმოადგენს მნიშვნელოვან პლატფორმას რეგიონული უსაფრთხოების და ეკონომიკური განვითარების ხელშესაწყობად.

ნაშრომის მიზანია მკითხველს მიაწოდოს საფუძვლიანი წარმოდგენა ირანის როლზე და ინტერესებზე სამხრეთ კავკასიაში, რაც ნაშრომის ძირითად ნაწილში უფრო დეტალურად იქნება განხილული. ნაშრომი იკვლევს, როგორ ერწყმის ერთმანეთს ირანის რეგიონული შესაძლებლობები და გამოწვევები, ასევე როგორ ცდილობს ირანი საკუთარი გავლენის შენარჩუნებას გლობალური და რეგიონული კონკურენციის პირობებში.

ძირითადი ნაწილი

ირანის საგარეო პოლიტიკური სტრატეგია სამხრეთ კავკასიის მიმართ 1990-იანი წლებიდან დღემდე განიცდიდა ცვლილებებს სხვადასხვა ეტაპზე. აღნიშნულ რეგიონზე თეირანის დამოკიდებულება ჩამოყალიბდა როგორც ისტორიულ-გეოგრაფიული, ისე გეოპოლიტიკური და ეკონომიკური ფაქტორების გათვალისწინებით. ირანი ამ რეგიონს აღიქვამს სტრატეგიულ მეზობლად, რომელიც დაკავშირებულია როგორც უსაფრთხოების, ასევე ეკონომიკური გავლენის თავალსაზრისით. ირანის პოლიტიკური მიდგომა რეგიონში მეტწილად გამოიხატება მის მცდელობაში, შეინარჩუნოს გავლენა, უზრუნველყოს გარე ძალების შეკავება (განსაკუთრებით ისრაელისა და აშშ-ის) და ერთდროულად განავითაროს ორმხრივი ეკონომიკური თანამშრომლობა სამხრეთკავკასიურ სახელმწიფოსთან.

1990-იან წლებში, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, ირანი აღმოჩნდა ახალ პოლიტიკურ რეალობაში, მეზობლად გაჩნდა დამოუკიდებელი სახელმწიფოები: საქართველო, სომხეთი და აზერბაიჯანი. ამ ვითარებამ მნიშვნელოვნად შეცვალა რეგიონში ძალთა ბალანსი და შექმნა ახალი გეოპოლიტიკური რეალობა, რომელშიც ირანი, როგორც რეგიონის მეზობელი და რეგიონული ძალა, აქტიურად ჩაერთო. ირანის საგარეო პოლიტიკა სამხრეთ კავკასიაში დინამიურად ვითარდებოდა, თანმიმდევრულად მოიცავდა როგორც ეკონომიკურ, ისე სამხედრო და პოლიტიკური ინტერესების გაძლიერებას. როგორც აღნიშნა ქოჰი-ესფაჰანიმ, „ირანის საგარეო პოლიტიკა სამხრეთ კავკასიაში ეფუძნება პრაგმატულ მიდგომას, რომელიც მიზნად ისახავს რეგიონული სტაბილურობის შენარჩუნებას და მეზობელ ქვეყნებთან ურთიერთობების გაღრმავებას“.¹ ირანის საგარეო პოლიტიკა რეგიონთან მიმართებით ძირითადად ნეიტრალიტეტს და არააგრესიულ თანამშრომლობას ეფუძნება. თეირანი ცდილობს თანაბრად შეინარჩუნოს ურთიერთობა სამივე სახელმწიფოსთან. უნდა აღინიშნოს, რომ განსაკუთრებული დამოკიდებულება სომხეთთან ჩამოაყალიბა, რომელმაც იმ პერიოდში თურქეთთან და აზერბაიჯანთან რთულ პოლიტიკურ ფაზაში შესვლის გამო ალტერნატიული პარტნიორი სწორედ ირანში იპოვა. ირანმა სომხეთს გაუწოდა დახმარების ხელი ეკონომიკურ და ენერგეტიკულ სფეროში, რაც სტაბილური თანამშრომლობის საფუძველი გახდა.² სომხეთთან ირანის ურთიერთობები განსაკუთრებით მჭიდროა ეკონომიკურ და ენერგეტიკულ სფეროებში. ეს ორი ქვეყანა მთავარი პარტნიორია სავაჭრო და სატრანზიტო მიმართულებით. ირანი სომხეთს ენერგომატარებლებით უზრუნველყოფს და მხარს უჭერს რეგიონულ პროექტებს, რაც ხელს უწყობს სომხეთის ეკონომიკურ განვითარებას და რეგიონში მისი სტაბილურობის შენარჩუნებას. ამავე დროს, ირანი ცდილობს შეინარჩუნოს ბალანსი სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის, რათა არ დაიძაბოს ურთიერთობები და არ შეიქმნას საფრთხე საკუთარი უსაფრთხოებისთვის.

2000-იანი წლებიდან, განსაკუთრებით პრეზიდენტ მოჰამედ ხათამისა და შემდეგ მაჰმუდ აჰმადინეჟადის მმართველობის პერიოდში, ირანის საგარეო პოლიტიკაში უფრო გააქტიურდა რეგიონული ეკონომიკური ინტეგრაციის იდეა. ირანი ცდილობდა თავისი ენერგეტიკული რესურსების და სატრანზიტო პოტენციალის გამოყენებით კავშირი დაემყარებინა შავი ზღვის გავლით ევროპულ ბაზრებთან. სწორედ ამ პერიოდში იწყება ირანის დაინტერესება საქართველო-შავი ზღვის პორტების მიმართულებით. რაც მრავალმხრივი მოლაპარაკებების საფუძველი ხდება გაზის ტრანსპორტირებისთვის ევროპაში. თუმცა საქართველოს პროდასავლურმა კურსმა ირანის პოლიტიკას გარკვეული შეზღუდვები დაუწესა. განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ამერიკის შეერთებულმა შტატებმა გაამკაცრა სანქციები ირანის წინააღმდეგ. საქართველომ კი უფრო მჭიდრო თანამშრომლობა დაიწყო ევროკავშირთან და ნატოსთან.

აზერბაიჯანთან ურთიერთობა ირანისთვის მუდმივი დილემის წყაროა. ერთი მხრივ, ორ ქვეყანას აკავშირებს საერთო რელიგიური და კულტურული საფუძვლები. მეორე მხრივ, აზერბაიჯანის შეიარაღებული ძალების გაძლიერება ისრაელის სამხედრო-ტექნიკური ინფრასტრუქტურით. ასევე, ირანში ეთნიკური აზერბაიჯანელების საკითხი მნიშვნელოვან გავლენას ახდენს თეირანის საგარეო პოლიტიკის სიფრთხილეზე. 2020 წლის ყარაბაღის მეორე ომის შემდეგ, როდესაც აზერბაიჯანმა თურქეთისა და ისრაელის მხარდაჭერით სტრატეგიული უპირატესობა მოიპოვა, ირანის პოლიტიკა უფრო მტკიცე გახდა. დაიწყო სამხედრო წვრთნები აზერბაიჯანის საზღვართან და გაჩნდა სათანადო განცხადებები ისრაელის გავლენის გაზრდის შესახებ. ირანი იძულებული გახდა უსაფრთხოების საკითხები უფრო მაღლა დაეყენებინა ეკონომიკურთან შედარებით.

1 Marzieh Kouhi-Esfahani – Iran's Foreign Policy in the South Caucasus: Relations with Azerbaijan and Armenia (Routledge, 2019) <https://www.routledge.com> (ბოლოს გადამოწმებულ იქნა 27.05.25)

2 ირანი და სამხრეთ კავკასია-გეოპოლიტიკური ინტერესები და რეგიონული პრიორიტეტები <https://www.timer.ge>

ირანის საგარეო პოლიტიკური დინამიკა კიდევ უფრო შეიცვალა 2020-იანი წლების დასაწყისიდან, როდესაც რუსეთთან ურთიერთობა ახალ ეტაპზე გადავიდა. რუსეთის იზოლაციამ უკრაინის ომის ფონზე და დასავლური სანქციების ქვეშ ყოფნამ თეირანსა და მოსკოვს შორის სტრატეგიული პარტნიორობის გაღრმავება გამოიწვია. 2025 წელს ხელმოწერილი ყოვლისმომცველი სტრატეგიული პარტნიორობის შეთანხმება მიზნად ისახავს არა მხოლოდ ორმხრივი თანამშრომლობის გაღრმავებას, არამედ რეგიონში დასავლეთის გავლენის შეკავებასაც. სწორედ ამ საკითხში, ირანი აქტიურად მხარს უჭერს და ცდილობს გავლენა მოახდინოს „3+3“ რეგიონულ ფორმატის მეშვეობით, რომელიც დასავლეთის მონაწილეობის გარეშე მოიაზრებს რეგიონული ინტერესების მართვას.

ამას ემატება ირანის მცდელობა, გააძლიეროს ეკონომიკური დამოუკიდებლობა და სანქციების პირობებში მოიძიოს ახალი სავაჭრო და სატრანზიტო მარშრუტები. სამხრეთ კავკასია ამ ვითარებაში მოიაზრება როგორც ერთ-ერთი სტრატეგიული დერეფანი, რომელიც ირანს აზიისა და ევროპის ეკონომიკურ ჰაზებთან დააკავშირებს.

აღსანიშნავია, რომ ირანის საგარეო პოლიტიკა სამხრეთ კავკასიის მიმართ 1990-იანი წლებიდან დღემდე განიცდის თანმიმდევრულ ევოლუციას — ნეიტრალური აქტიურობიდან სამხედრო-პოლიტიკური გაძლიერებისკენ და ტრანზიტულ-ეკონომიკური ინტეგრაციისკენ. ირანი ცდილობს დაბალანსებულად იმოქმედოს რეგიონში, სადაც მისი ეროვნული ინტერესები იკვეთება გლობალური კონკურენციის ცენტრებთან: ისრაელი, ამერიკის შეერთებული შტატები, რუსეთი და თურქეთი.

ირანის საგარეო პოლიტიკა სამხრეთ კავკასიის ორ მეზობელ სახელმწიფოსთან — სომხეთსა და აზერბაიჯანთან — დამყარებულია ბალანსის შენარჩუნებაზე. ორივე სახელმწიფოსთან ურთიერთობა ირანისთვის სტრატეგიულ მნიშვნელობას ატარებს: სომხეთი წარმოადგენს თეირანისთვის მნიშვნელოვან პოლიტიკურ პარტნიორს რეგიონში, მაშინ როდესაც აზერბაიჯანთან ირანს აკავშირებს ეთნიკური, ენერგეტიკული და გეოგრაფიული ინტერესები. მიუხედავად ამისა, ორი ქვეყნის ერთმანეთთან დაპირისპირება და განსაკუთრებით ყარაბაღის კონფლიქტი სერიოზულ დაბრკოლებებს ქმნის ირანის ბალანსირებულ პოლიტიკაში. თეირანი იძულებულია ერთდროულად შეინარჩუნოს პოზიციები და არ დაუშვას არცერთი მიმართულებით გავლენის დაკარგვა — მით უფრო, რომ რეგიონში აქტიურად მოქმედებენ კონკურენტი ძალები, როგორიცაა ისრაელი, თურქეთი და რუსეთი.

1990-იანი წლებიდან მოყოლებული ირანმა შეინარჩუნა ნეიტრალური პოზიცია სომხეთ-აზერბაიჯანის კონფლიქტთან მიმართებით. ირანმა ოფიციალურად აღიარა აზერბაიჯანის ტერიტორიული მთლიანობა, თუმცა პრაქტიკაში მან სომხეთთან მჭიდრო ეკონომიკური და ენერგეტიკული ურთიერთობები განავითარა. ირანი სომხეთისთვის ერთ-ერთი მთავარი სატრანზიტო გზა გახდა, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ბაქომ და ანკარამ 1990-იან წლებში სომხეთთან საზღვრები დახურეს. სომხეთის იზოლაციის ფონზე, თეირანმა შეითავსა პარტნიორის როლი, რაც მას საშუალებას აძლევდა რეგიონში გაეფართოებინა ეკონომიკური და პოლიტიკური გავლენა. სომხეთ-ირანის გაზსადენის პროექტი და საერთო ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის განვითარება ამ თანამშრომლობის ძირითადი მაგალითებია.

მეორეს მხრივ, ირანი ცდილობდა აზერბაიჯანთან ურთიერთობის შენარჩუნებასაც, თუმცა მას მუდმივად ართულებდა რამდენიმე ფაქტორი. პირველ რიგში, ირანში ცხოვრობს მრავალმილიონიანი ეთნიკური აზერბაიჯანული მოსახლეობა, რომელიც ქმნის შიდა უსაფრთხოებისთვის მგრძნობიარე ვითარებას. ირანის მთავრობა შიშობს სეპარატისტული განწყობების გაძლიერებაზე, რაც შესაძლოა ბაქოს გავლენის შედეგი იყოს. ეს შიში განსაკუთრებით გამძაფრდა 2020 წლის ყარაბაღის მეორე ომის შემდეგ, როდესაც აზერბაიჯანმა თურქეთის და ისრაელის მხარდაჭერით მნიშვნელოვანი სამხედრო წარმატება მოიპოვა. თეირანმა უკმაყოფილება გამოთქვა ისრაელის ტექნოლოგიური და დაზვერვითი

ინფრასტრუქტურის განთავსებით აზერბაიჯანის ტერიტორიაზე, რაც პირდაპირ საფრთხეს უქმნის ირანის უსაფრთხოებას.

ამავდროულად, ირანი ცდილობს შეამავლოს როლის შესრულებას — მას სურს შეინარჩუნოს რეგიონული სტაბილურობა. რაც მის ეკონომიკურ ინტერესებსა და უსაფრთხოების გათვლებთან მჭიდროდ არის დაკავშირებული. თეირანი ცდილობს კონფლიქტური მხარეების დიალოგის ხელშეწყობას, თუმცა არც ბაქოს და არც ერევანს არ სურთ ირანის გაძლიერება. ორივე მხარე უფრო მეტად ეყრდნობა სხვაგვარ გეოპოლიტიკურ პარტნიორებს — სომხეთი რუსეთს და დასავლეთს, აზერბაიჯანი კი თურქეთს და ისრაელს.

ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა ირანისთვის გახლავთ რეგიონული სატრანზიტო მარშრუტების ცვლილება. ყარაბაღის ომის შემდეგ აზერბაიჯანი და თურქეთი ცდილობენ გააძლიერონ „ზანგეზურის დერეფნის“ პროექტი, რომელიც ირანს გვერდს აუვლის და სომხეთის სატრანზიტო მნიშვნელობას შეამცირებს. თეირანი ღიად დაუპირისპირდა ამ პროექტს, რადგან ის განიხილება როგორც ირანის რეგიონული გავლენის შემცირების მცდელობა. ირანმა ამ რეაქციას სამხედრო წვრთნებითა და საზღვრისპირა ძალების მობილიზაციით უპასუხა. ირანის საგარეო საქმეთა მინისტრმა აბას არაღიმ 2024 წლის 5 სექტემბერს სოციალურ ქსელ X-ზე დაწერა: „ჩვენი მეზობლების ტერიტორიული მთლიანობისადმი ნებისმიერი საფრთხე ჩრდილოეთიდან, სამხრეთიდან, აღმოსავლეთიდან თუ დასავლეთიდან ... არის წითელი ხაზი ირანისათვის“.³

გარდა ამისა, ირანის პოლიტიკას ართულებს სუნიტურ-შიიტური დაპირისპირება. აზერბაიჯანი, რომელიც სუნიტური თურქეთის გავლენის ქვეშ იმყოფება, ირანისთვის წარმოადგენს რელიგიური ბალანსის დაკარგვის რისკს რეგიონში, რაც თეირანის ისლამურ მთავრობას საფრთხედ ესახება.

ირანის მცდელობა, დაბალანსებული პოლიტიკა გაატაროს სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის. იგი ეფუძნება პრაგმატულ მიდგომებს — ეკონომიკური ინტერესების დაცვას, გეოპოლიტიკური გავლენის შენარჩუნებას და უსაფრთხოების რისკების შემცირებას. თუმცა აღნიშნული პოლიტიკა მრავალი ფაქტორით არის გართულებული: რეგიონული ძალების აქტიური ჩარევით, შიდა ეთნიკური მობილიზაციის რისკებით, და ახალი სატრანზიტო დერეფნების გეოპოლიტიკური ბრძოლით. ირანი ცდილობს არ დაკარგოს მოქმედი პოზიციები სამხრეთ კავკასიაში. როგორც კლასიკური რეალიზმის ერთ-ერთი ფუძემდებელი ნიკოლო მაკიაველი ამბობს „მორალისა და ზნეობის ადილი პოლიტიკაში ნაკლებად მოიძებნება. პოლიტიკოს უნდა ჰქონდეს ლომის ძალა და მელიის ეშმაკობა“ (Machiavelli). ეს საკითხი ხაზს უსვამს იმას, რომ რეგიონში სტატუსის შესანარჩუნებლად ყველა ხერხის გამოყენება დასაშვებია ირანის მხრიდან.

უნდა აღინიშნოს, რომ სამხრეთ კავკასია წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე კონკურენტულ და მგრძნობიარე გეოპოლიტიკურ რეგიონს. ირანი დასავლეთის, რუსეთისა და ისრაელის გავლენის პარალელური ზრდის ფონზე ცდილობს სტრატეგიული წონასწორობის შენარჩუნებას. თეირანის პოზიცია ამ მრავალმხრივ კონკურენციაში გამოირჩევა როგორც ფილოსოფიური და პოლიტიკური, ისე იდეოლოგიური და უსაფრთხოების გათვლებით. ირანი ცდილობს, ერთი მხრივ, შეინარჩუნოს ისტორიულად მყარი კავშირები რეგიონის ქვეყნებთან ხოლო, მეორე მხრივ, წინააღმდეგობა გაუწიოს იმ ძალებს, რომელთა სტრატეგიული ინტერესები წინააღმდეგობაში მოდის მისი რეგიონული პოლიტიკის მიზნებთან.

რუსეთთან ურთიერთობა ირანისთვის გრძელვადიან სტრატეგიულ პარტნიორობას ეფუძნება. ეს თანამშრომლობა განსაკუთრებით გაღრმავდა მას შემდეგ, რაც ორივე სახელმწიფო გახდა დასავლური სანქციების სამიზნე. მოსკოვთან კოორდინაცია მნიშვნელოვანი გახდა სირიის ომის შემდეგ, ხოლო 2022 წლის შემდეგ უკრაინის ომისა და რეგიონში ახალი

³ <https://www.radiotavisupleba.ge/>, ვებ-გვერდი

გეოპოლიტიკური გადანაწილებების ფონზე. 2025 წელს გაფორმებული ირან-რუსეთის ყოვლისმომცველი სტრატეგიული პარტნიორობის შეთანხმება ადასტურებს ორი ქვეყნის მიზანს — შეამცირონ დასავლეთის გავლენა რეგიონში და უზრუნველყონ რეგიონული სტაბილურობა საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე. ამ ფონზე ირანი ხედავს რუსეთს, როგორც მნიშვნელოვან უსაფრთხოების და სამხედრო-პოლიტიკურ პარტნიორს. განსაკუთრებით ისეთ საკითხებში, როგორიცაა ისრაელის სამხედრო აქტიურობის შეკავება აზერბაიჯანში და ნატოს ინფრასტრუქტურის დაბალანსება შავი ზღვის აუზში.

თუმცა ირანსა და რუსეთს შორის პარტნიორობა ყოველთვის არ არის ჰარმონიული. მიუხედავად საერთო ინტერესებისა, მოსკოვი და თეირანი ხშირად ატარებენ სხვადასხვა პოლიტიკას სომხეთ-აზერბაიჯანის კონფლიქტისადმი. რუსეთი ფორმალურად უჭერს მხარს სომხეთს და ფლობს სამხედრო ბაზას გიუმრიში, მაშინ როდესაც ირანი ცდილობს წარმოჩინდეს როგორც ნეიტრალური აქტორი. უფრო მეტიც, ირანი შიშობს, რომ სამხრეთ კავკასიაში რუსეთის გავლენის გაძლიერება მას არასახარბიელო პოზიციაში მოაქცევს. იგი აიძულებს თეირანს გააქტიუროს საკუთარი დიპლომატიური და სამხედრო ჩართულობა.

დასავლეთი — განსაკუთრებით ამერიკის შეერთებული შტატები და ევროკავშირი ირანისთვის წარმოადგენს როგორც კონკურენტულ, ისე ხშირად დაპირისპირებულ ძალას. თეირანი აკრიტიკებს დასავლეთს სამხრეთ კავკასიაში «პროვოკაციული დემოკრატიზაციის» პოლიტიკისა და ნატოს გაფართოების მცდელობისთვის. ამავდროულად, ირანი აღიქვამს დასავლეთის ეკონომიკურ გავლენას როგორც პოტენციურ საფრთხეს რეგიონული სტატუს-კვოსთვის. საქართველოსთან თანამშრომლობის ფარგლებში თეირანი ცდილობს შეინარჩუნოს დიპლომატიური ურთიერთობა. მაგრამ დასავლეთის გავლენა თბილისზე, განსაკუთრებით უსაფრთხოების სფეროში, ირანის თვალსაზრისით მნიშვნელოვნად ზღუდავს მის სტრატეგიულ მოქმედებას კავკასიაში.

ასევე, აღსანიშნავია, რომ ირანისთვის ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი ძალაა ისრაელი. ბოლო წლებში ისრაელის სამხედრო-ტექნიკური თანამშრომლობა აზერბაიჯანთან მნიშვნელოვნად გაღრმავდა. ბაქო აქტიურად იყენებს ისრაელის იარაღს და დაზვერვით ტექნოლოგიებს, რაც თეირანში აღიქმება უშუალო საფრთხედ. ირანი შიშობს, რომ ისრაელის არსებობა მის ჩრდილოეთ საზღვრებთან სერიოზულად დაასუსტებს ქვეყნის უსაფრთხოებას და გაზრდის მიზნობრივი დივერსიული ოპერაციების რისკს. თეირანი უკვე არაერთხელ გამოვიდა განცხადებებით, რომელშიც მკაცრად გააკრიტიკა ისრაელის სამხედრო თანამშრომლობა აზერბაიჯანში. ამის საპასუხოდ ირანმა პარალელურად, განახორციელა სამხედრო წვრთნები საზღვრისპირა რეგიონებში, რათა დაეფიქსირებინა მზადყოფნა ყველა სცენარისთვის.

ამ ფონზე ირანი ცდილობს გააძლიეროს საკუთარი დამოუკიდებელი პოზიციები მრავალმხრივი ფორმატების მეშვეობით. ერთ-ერთი ასეთი მცდელობაა „3+3“ სტრატეგიული გეგმის მხარდაჭერა, რომელიც ითვალისწინებს სამხრეთ კავკასიის სამი ქვეყნისა (საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი) და სამი რეგიონული ძალის (ირანი, რუსეთი, თურქეთი) მონაწილეობას დასავლეთის ჩარევის გარეშე. ირანი ამ ფორმატს განიხილავს როგორც გზას დასავლური გავლენის შესაზღუდად და საკუთარი გეოპოლიტიკური პოზიციების გაზრდა გამყარების შესაძლებლობას.

საბოლოოდ, ირანის პოზიცია დასავლეთის, რუსეთისა და ისრაელის გავლენების ჭიდილში სამხრეთ კავკასიაში არის მრავალფენოვანი და სტრატეგიულად მორგებული. თეირანი არ ცდილობს კონფლიქტების გაღვივებას, ის ირჩევს მოქნილ დიპლომატიას და სტრატეგიულ პოლიტიკას იყენებს. ვითარებიდან გამომდინარე მისი მიზანია შეინარჩუნოს რეგიონში წონასწორობა და არ დაკარგოს გეოპოლიტიკური აქტიურობის შესაძლებლობა.

დასკვნა

დასკვნის სახით უნდა ითქვას, რომ ირანის საგარეო პოლიტიკური სტრატეგია სამხრეთ კავკასიის მიმართულებით 1990-იანი წლებიდან დღემდე დინამიური და მრავალშრიანი პროცესია. იგი მრავალფეროვანი რეგიონული და გლობალური ფაქტორების გათვალისწინებით ვითარდება. ირანი, როგორც ისტორიული, კულტურული და გეოგრაფიული მეზობელი, თანმიმდევრულად ცდილობს შეინარჩუნოს საკუთარი პოზიცია სამხრეთკავკასიურ სახელმწიფოსთან – საქართველოსთან, სომხეთთან და აზერბაიჯანთან ურთიერთობის ბალანსის გზით. მისი პოლიტიკის ცენტრალურ მიზნებს წარმოადგენს: რეგიონული სტაბილურობის შენარჩუნება, ეკონომიკური ინტერესების დაცვა, გარე ძალების განსაკუთრებით ისრაელისა და დასავლეთის გავლენის შეკავება და რუსეთის პოლიტიკასთან თანხვედრითი, თუმცა დამოუკიდებელი მოქმედების შესაძლებლობა.

ირანის დიპლომატიური აქტივობა სომხეთ-აზერბაიჯანის კონფლიქტის პირობებში აღსანიშნავია, როგორც მჭიდრო თანამშრომლობით სომხეთთან, ასევე ნეიტრალიტეტის შენარჩუნების მცდელობით აზერბაიჯანის მიმართ. თუმცა ისრაელ-აზერბაიჯანის სტრატეგიულმა ალიანსმა ირანის უსაფრთხოების საკითხები გაამწვავა და გამოიწვია მისი უფრო ღია რეაქციები სამხედრო წვრთნების, გზავნილების და რეგიონული ალიანსების გაძლიერების გზით.

მნიშვნელოვანია, რომ ირანი ცდილობს ალტერნატიული რეგიონული ფორმატების, განსაკუთრებით „3+3“-ის მხარდაჭერით, უზრუნველყოს თავისი პოზიციების გამყარება. აღნიშნული სტრატეგიული გეგმის გათვალისწინებით დასავლეთის ჩარევა მინიმუმამდე იქნებოდა დაყვანილი და თავად შეიძენდა უფრო მეტ გავლენას რეგიონულ გადაწყვეტილებებზე.

ამრიგად, ირანის საგარეო პოლიტიკა სამხრეთ კავკასიაში ასახავს ქვეყნის მცდელობას, უპასუხოს ერთდროულად გლობალურ კონკურენციას, უსაფრთხოების გამოწვევებს და ეკონომიკური ინტერესების აუცილებლობას. ეს პოლიტიკა ერთდროულად შეიცავს როგორც სტრატეგიულ შესაძლებლობებს, ისე საფრთხეებს, რომელთა მართვა ირანის გრძელვადიანი გავლენის განმსაზღვრელი ფაქტორი გახდება რეგიონის მომავალში.

ბიბლიოგრაფია

- აზერბაიჯანი, სომხეთი, ირანი, თურქეთი - რა ხდება საქართველოს სამეზობლოში <https://www.radiotavisupleba.ge> (ბოლოს გადამოწმებულ იქნა 27.05.25)
- ირანი და სამხრეთ კავკასია: გეოგრაფია და იმპერიული ამბიციები <https://www.interpressnews.ge> (ბოლოს გადამოწმებულ იქნა 27.05.25)
- ირანის საგარეო მინისტრი: ირანისა და სომხეთის მაკავშირებელი გზების დახურვას არ დავუშვებთ <https://tabula.ge/ge/news> (ბოლოს გადამოწმებულ იქნა 27.05.25)
- ირანი და რუსეთი სომხეთ-აზერბაიჯანის „ზანგეზურის დერეფანზე“ ვერ თანხმდებიან <https://www.radiotavisupleba.ge> (ბოლოს გადამოწმებულ იქნა 27.05.25)
- ირან-რუსეთის სტრატეგიული პარტნიორობა „კავკასიაში გარე ძალების ჩარევის წინააღმდეგ“ თანამშრომლობასაც მოიცავს <https://www.radiotavisupleba.ge> (ბოლოს გადამოწმებულ იქნა 27.05.25)
- ირანი და სამხრეთ კავკასია: გეოგრაფია და იმპერიული ამბიციები <https://www.interpressnews.ge> (ბოლოს გადამოწმებულ იქნა 27.05.25)
- ირანი და სამხრეთ კავკასია-გეოპოლიტიკური ინტერესები და რეგიონული პრიორიტეტები <https://www.timer.ge> (ბოლოს გადამოწმებულ იქნა 27.05.25)
- ირანის პარლამენტმა რუსეთთან სტრატეგიული პარტნიორობა დაამტკიცა <https://bm.ge> (ბოლოს გადამოწმებულ იქნა 27.05.25)

სომხეთი-ირანი-აზერბაიჯანი: სატრანსპორტო დერეფნების „ომი“. მოსაზრება ერევნიდან <http://www.saqinform.ge/news> (ბოლოს გადამოწმებულ იქნა 27.05.25)

“Changing Geopolitics of the South Caucasus after the Second Karabakh War.” Chr. Michelsen Institute. Accessed May 28, 2025. <https://www.cmi.no/publications> (ბოლოს გადამოწმებულ იქნა 27.05.25)

Houman A. Sadri – Iran and the Caucasus States in the 21st Century: A Study of Foreign Policy Goals and Means (Journal of Balkan and Near Eastern Studies, 2012) Accessed May 28, 2025, <https://www.tandfonline.com>

“Iran in the South Caucasus: Adjustment and Evolution.” RUSI Commentary. Accessed May 28, 2025. <https://www.rusi.org>

“Iran’s Approach to the Republic of Georgia: Opportunities, Challenges and Future Prospects.” Caucasus Watch. Accessed May 28, 2025. <https://caucasuswatch.de>

Islamic Republic of Iran’s Foreign Policy in the South Caucasus: Opportunities and Constraints <https://www.cambridgescholars.com> (ბოლოს გადამოწმებულ იქნა 27.05.25)

Marzieh Kouhi-Esfahani – Iran’s Foreign Policy in the South Caucasus: Relations with Azerbaijan and Armenia (Routledge, 2019) Accessed May 28, 2025 <https://www.routledge.com>

Shaffer, Brenda. “Iran after the Second Karabakh War.” Belfer Center for Science and International Affairs. Accessed May 28, 2025. <https://www.belfercenter.org>

“The New Russia-Iran Treaty: Implications for the South Caucasus Region.” The Central Asia-Caucasus Analyst. Accessed May 28, 2025. <https://www.cacianalyst.org>

“Time to Adjust the US Approach to the South Caucasus.” Atlantic Council TurkeySource. Accessed May 28, 2025. <https://www.atlanticcouncil.org>

The Geopolitical Chessboard of the South Caucasus: Emerging Powers, Shifting Alliances, and Global Stakes. Accessed May 28, 2025 <https://kanishksocialmedia.in> (ბოლოს გადამოწმებულ იქნა 27.05.25)

თურქეთის აქტიურობა ახლო აღმოსავლეთში და მისი გავლენა სამხრეთ კავკასიის უსაფრთხოების ბარემოზე

მაია კაპანაძე

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ასოცირებული პროფესორი,
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

რაულ ფევაძე

მაიორი, წვრთნებისა და სამხედრო განათლების სარდლობა,
საერთო საჯარისო ცენტრის ავიაციისა და საჰაერო თავდაცვის ცენტრი,
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის დოქტორანტი

აბსტრაქტი

